644
2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

ქართული
სიტყვიერებისა
და
ხელოვნების
ჟურნალი

№ 1
2012

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის რომელიც

რომელიც ზეპირად უნდა იცოდეს

ქართველმა

დავით გურამიშვილი

მოთქმა ჯმითა თავ-ბოლო ერთი

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიესო,
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდლად მიგიჩნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ღვთის საიდუმლო გაგტეხეს, გულში ვერ დაგიტიესო,
ოცდაათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც კი დანაბნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
შეგიპყრეს თვისი დამჭსნელი, საბელი მოგახვიესო;
მაგრა შეგიკრეს ჯელები, უფალსა არა გთნიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
ავაზაკზედა გაგცვალეს, ბარაბა მათ ირჩიესო;
ურიგო სიტყვა შეგკადრეს, გაგლანძღეს, გაგათრიესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიესო!
მოგკლეს უბრალო ბრალითა, ქვეყანა შეარყიესო;
მზე დანაბნელეს, მთვარეცა, ვარსკვლავნი დააფრქვიესო.
თავს კრეტსაბმელი განაპეს, ბოლომდი შუა ხიესო.

გაიკითხევდეთ გლახაკთა, ასმევ-აჭმევდით მშიერსო;
რასაც კეთილს იქთ, ღმერთი თქვენ მოგაგებსთ მის მაგიერსო!
ორსავ გზას წრფელს წინ უდებდი: ჯორციელს და სულიერსო.
ამის სანუფქოდ შენ მათა სიკვდილსა შეგამთხვიესო!
ქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
ქმენ სულგრძელება მათზედა და დასთმე შენ ჩვენთვი ესო,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართული
სიტყვიერებითი
ჟურნალი

2012/1

რედაქტორ-გამომცემელი
სერგი კაკალაშვილი

რედაქტორის მოადგილეები
ბალათერ არაბული
ანდრო ბუაჩიძე
ელზა მეტრეველი

PR მენეჯერი
ქეთევან აკოლაშვილი

მხატვარი
გიორგი წერეთელი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
ნოდარ გრიგალაშვილი

სარედაქციო საბჭო:
ლაშა ბაქრაძე
ანდრო ბედუკაძე
ამირან გომართელი
ლევან თაქთაქიშვილი
თეონა იაშვილი
როსტომ ჩხეიძე
გიორგი ჭანტურია
ედიშერ ჭელიძე

დამკაბადონებელი
თამარ ტყაბლაძე

კორექტორი
ნანი ჭულუხაძე

ფინანსური მენეჯერი
თამარ გიგუაშვილი

97

დაარსებულია 1852 წელს
გამოდის თვეში ერთხელ
იბეჭდება მხოლოდ შეკვეთილი მასალები

© „ცისკარი“, თბილისი, 2011

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1
ტელ.: 98-36-43, 98-47-62
emciskari@gmail.com
www.jurnaliciskari.ge

სარჩევი

პოეზია

უჯრაში ჩაკეტილი ლექსები

კოლაუ ნადირაძე – 25 თებერვალი 1921 წ. 3

პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი

შერმადინ ქალდანი 29

პროზა

უჯრაში ჩაკეტილი რომანი

ავთანდილ კვასხვაძე – სიკვდილ-სიცოცხლის როკვა 56

დებიუტი

ბექა ელბაქიძე – ნაპოლეონი. რომანი 4

თემურ ძიმისტარიშვილი –
მარათონი – მოთხრობა 88

პოეზია

ანზორ აბულაშვილი 37

ნუციკო დეკანოზიშვილი 95

ედუარდ უგულავა 92

მანანა წერეთელი 98

ციური თარგამაძე 41

პოეტური რეტროსპექტივა

ვანო ამირხანაშვილი –
განახლებადი მუდმივი – **ბესიკ ხარანაული** 43

მეცნიერება

დალილა ბედიანიძე – ფოლკლორულ-მითოსური ნაკადი შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში 80

პოეტი შეფიცულთა რაზმიდან

მიხა ხელაშვილი –
მტერიც არ შამხვდა მტრისფერი... 86

„ცისკარი" ბავშვებს

ჯემალ ქირია – მარიამის ზღაპრები 100

ინტერვიუ –ჯარჯი ფხოველთან 114

ნობელიანტები

ტომას ტრანსტრიომერი – 119
ჩემი სიზმრები ჩემი ალმაფრენაა

უჯრაში ჩაკეტილი ლექსები

კოლაუ ნადირაძე

25 თებერვალი 1921 წ.

თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი,
ძილღვიძლად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი –
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა
მხოლოდ ღა თოვლი ცვივოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –
განგმირულ მკერდებს, დალეწილ მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე...
თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინად ელავდენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად, ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად, გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა, და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

2867

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



დეგიუტი

ბიქა ლობაძიძე

ნაპოლეონი
(სიურრეალისტური ნამცხვარი)

ვუძღვნი ჩემს მეგობრებს

●

ნიკუშას სიკვდილმა ნაპოზე განსაკუთრებით იმოქმედა. უფრო გაუმძაფრდა აგრესია გარშემომყოფების მიმართ. წინასწარ გაწერილი გრაფიკივით მიჰყვა ერთმანეთს – პანაშვიდები, მოვალეობის მოხდის მიზნით გათენებული ღამეები და ჰეროინით დანისლულთვალებიანი ვერის საძმაკაცო.

– აფსუუს, ნიკუუშ! – სლოკინებდა ერთ-ერთი.

– მაგრად დაგვაკლდები, ძმაო...

– ვა, რა ბიჭი წავიდა, ტოო...

ძალიან აღიზიანებდა ეს ფრაზები ნაპოს სწორედ იმ ადამიანებისგან, რომელთა დამსახურებაც იყო ნიკუშას ასეთი სიკვდილი. ამ „დავინტული“, გონებაგამოთიშული ბიჭების თავშეყრა კიდევ უფრო უსვამდა ხაზს ადრე დანახულ „წაშლილ მომავალს“.

მერე დაკრძალვა, სასაფლაო, გაციებული ურთიერთობები, დაბნეული მეგობრები, გამშრალი ცრემლი, ღვინოში ჩამხრჩვალი ფიქრები და იასამნები, ნიკუშას ასე ძალიან რომ უყვარდა.

ეს იყო ყველაზე დიდი ტკივილი, რაც შეიძლება ახალგაზრდა კაცმა განიცადოს. ნაპოსთვის ნიკუშა მაინც ყველაზე გამორჩეული იყო სამეგობროში. გარდა იმისა, რომ მთელი ბავშვობა ერთად გაატარეს, ის იყო ადამიანი, ვისი ხუმრობის ქვეშ შეფარული ტკივილები ყველაზე მეტად ესმოდა ნაპოს. აწუხებდა, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ჩაიკეტა და პირადი პრობლემების გადამკიდემ ვეღარ მიაქცია სათანადო ყურადღება. ახსენდებოდა, როგორი ნიჭის პატრონი იყო, რამხელა გეგმები ჰქონდა და... სად დაამუხრუჭა. ნაპო მას ხუმრობით პატარა სალვადორს ეძახდა, ისე დაცურავდა „დამდნარი საათების“

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ № 12, 2011.

ცისკარი

სამყაროში. სულ იწვოდა და ერთ დღესაც ისე გაშალა ფრთები, რომ აფეთქდა. რატომ? – ეს კითხვა განსაკუთრებით აწვალებდა ნაპოს. ვერ დაეჯერებინა, რომ ეს სწორედ იმ ადამიანს დაემართა, ვისაც ყველაზე მეტად უყვარდა სიცოცხლე.

„ძალიან მძიმეა სიკვდილთან შეხება. როცა ამბობენ, გარდაიცვალაო, ანუ საიქიოში გადავიდაო, ჩვეულებრივი მოკვდავისთვის რთულად აღსაქმელია. აღარ არსებობს ის ადამიანი, რომელიც შენს გვერდით ცხოვრობდა, უხაროდა, ტკიოდა, იღიმოდა – ამას დიდხანს ვერ ეგუები ან წლები სჭირდება, რომ შეეგუო. ყოველ შემთხვევაში, იარასავით რჩება, იარას ხომ ყოველდღიურად ეხები ხელით, აღარ გტკივა, მაგრამ გახსოვს. გახსოვს ყველაფერი – სად იტკინე, რამხელა ჭრილობა იყო, რამდენი სისხლი დაკარგე... ასე არიან ის ადამიანებიც, რომლებსაც ვკარგავთ – იტყვიან, საწყალი როგორი ახალგაზრდა მოკვდაო, მაგრამ მე ასე მირჩევნია – რა კარგია, რომ იყო! მოსიარულე მკვდრებმა იკითხონ, თორემ, სანამ გვახსოვს, ის მუდამ ცოცხალია!“

ამ ამბებმა ნაპო ძალიან დაამძიმა, უმუშევრობას შემოქმედებითი კრიზისიც თან დაერთო და თითქმის ყოველ საღამოს სვამდა. მაკოსთან სპონტანურად დაწყებული ურთიერთობაც ბევრს ვერაფერს აძლევდა – ყოველდღე ჩხუბობდნენ, მერე ვითომ დაშორდებოდნენ, ნაპო გამოიქცეოდა, დალევდა, მეორე დღეს კი ისევ ქალის კართან იდგა ყვავილებით ხელში.

– მითხარი, რამე დაგიშავე? – ეკითხებოდა ატირებული მაკო.

– რა დამიშავე? – ნაპო უგონოდ ატრიალებდა თვალებს, საცოდავი ბავშვივით.

– ნუ მიყურებ ასე! – ნერვები ეშლებოდა ქალს.

– აბა, როგორ გიყურო?

– არა, ხომ ვამბობდი, ეს ბიჭი არანორმალურია-მეთქი. რა მინდოდა შენთან, რატომ ავყევი ამ უაზრო ვნებებს...

– მერე, რა გინდოდა?

– აი, მაგ გამოხედვამ დამღუპა და კიდევ სხვა რალაცებმა...

– კიდევ რა იყო, მაკო?

– კიდევ ის, რასაც შენ ვერასოდეს გაიგებ. თავი დამანებე ახლა, წადი! წადი და აღარ მოხვიდე!!! – კატეგორიული ტონით მიმართავდა მაკო.

– აუ, რა დამპალი ვარ თურმე... არა, მაინც არ უნდა დავეცე!!! – ამას უკვე თავის თავს ეუბნებოდა ნაპო.

– რა გინდა, თავი უნდა მოიკლა ამდენი სმით?

– არა უშავს, მოვერევი... კაი, წავედი, – და ნაპო მიდიოდა...

ასე გრძელდებოდა თითქმის ყოველდღე, დეპრესიულად ცხელი ზაფხულის კულმინაცია კი ბინის ამბავი იყო, ნაპომ სრულიად შემთხვევით რომ გაიგო ერთ დილას, როცა ახალგამოფხიზლებულს ბანკის თანამშრომლები წამოადგნენ თავს. „გაკოსტუმებულმა მაცნეებმა“ დაყენებული, ნახევრად ძველბიჭური ტონით მოახსენეს: ერთ კვირაში კრედიტს თუ არ დაფარავთ, ბინას დავაყადაღებთო. ბიჭი ჯერ დაბნეული უსმენდა უცნაურ სტუმრებს, ეგონა, ალბათ, ვერ გამოვფხიზლდი და ჯერ კიდევ სიზმარში ვარო. როცა ჰალსტუხწაჭერილი, კისერგაშეშებული „ბანკირები“ გაისტუმრა, მერე გაახსენდა, რამდენიმე თვის წინათ პავლე ამბობდა, ჯულიასთან ერთად რესტორანს ვაკეთებ და ფული მჭირდებაო. ეს რომ მოაგონდა, ერთიანად გადაჰკრა სიბრაზემ, ცივმა ოფლმა დაასხა და ოთახებში გიჟივით სირბილს მოჰყვა.

„აზრზე ხარ, იმდენად აურია, რომ ბინაც კი ბანკში ჩადო, – ისტერიკულად იმეორებდა. – არა, ალბათ, გამოცდას მიწყობს ეს ცხოვრება, რამდენად ამტანი ვარ... თფუ, შენი დედას შევეცი... გავუძლებ, გამიძლებს... არ გამიძლებს და...“

აკანკალებული ნაპო საწოლთან მივარდა, ძლივს იპოვა გუშინ ღამით დარჩენილი ნახევარი ბოთლი ღვინო და სულმოუთქმელად გამოცალა. ცოტა ხნით ჩამოჯდა, თითქოს დაწყნარდა, მაგრამ ქვედა სართულიდან ატეხილმა კივილმა გამოაფხიზლა – ფანჯარა გამოაღო და ეზოს გადახედა. დიდძუძუებიანი მაცაცო კივილით ჩარბოდა მეორე სართულის აივნიდან ეზოს მიმართულებით. აქეთ-იქით 5 და 7 წლის გოგო-ბიჭი ამოეყენებინა და ლამის მიათრევდა. ბავშვები ტირილით იკლებდნენ ეზოს. ფეხდაფეხ რობერტა მისდევდათ ბანცალ-ბანცალით.

– მივდივარ! ყელში ამოხვედი. გშორდები, შე ტრიკიანო, უქნარავ!!! შენ გამიმწარე ცხოვრება...

– მობრუნდი, მაცი!!! – რობერტას ეტყობოდა, ბევრი დაელია და ენას პირში ვერ იბრუნებდა.

– შენ დალიე ცეცხლი, შე გათახსირებულო, შენა, სმას ხო არ იკლებ და ახლა ბოზებშიც დაიწყე სიარული, ხო?! დამაცადე, შენ თუ შხამად არ ამოგადინო!

– არ წახვიდე, თორემ ყელს გამოგჭრი... – ახალდაკლული ხარივით ხრიალებდა კაცი.

– ყელი გამოჭერი შენს პუტანკებს, შე არამზადა. იმის მაგივრად, რომ შენს შვილებს მოუტანო რამე, იმ პრაშმანდოვკებს ახარჯავ, არა... – ამ ქოთქოთით მაცაცო ეზოში გავარდა, რობერტამ დაინახა თუ არა, ცოლ-შვილი ჭიშკარს უახლოვდებოდა, სალტო გააკეთა და ისე გადაევლო კიბის ხუთ საფეხურს.

– აქ მოდი, შენი დედა უნდა მოვტყნა ახლა! – დაიყვირა და მაცაცოს პირდაპირ წელში მიაყოლა წიხლი. ქალი წაბორძიკდა და ბავშვებს ხელი გაუშვა.

– რა გინდა, შე სატანა, შე ბაყაყის ნაშიერო, შენ უნდა მომიღო ბოლო? – ქალი განწირული

კიოდა. რობერტამ მისკენ შემობრუნებულ ცოლს მუშტი გაუქანა მუცელში. მაცაცო დაეცა, კაცმა ახლა წიხლებით დაუწყო ცემა. ფანჯრებსა და აივნებიდან გადმოფენილი მეზობლები აუღელვებლად ადევნებდნენ თვალს სანახაობას. ნაპომ ველარ მოითმინა და ეზოში გავარდა.

– მიშველეთ, ხალხოოო!!! – კიოდა მაცაცო და მიწაზე ფორთხავდა.

– დედააა!!! – ერთ ხმაში ტიროდნენ ბავშვები.

– მოგიტყანთ დედაა!!! – არ ჩერდებოდა რობერტა.

– ხელი გაუშვი, შე ნაბიჭვარო, მართლა შენი დედა მოვტყან! – ცხოველად ქცეული ნაპო რობერტას მივარდა, ჯერ კისერში წაარტყა მუშტი, მერე წელში მოკეცა და მიწაზე დააგდო. – მაგარი ხარ, არა, შე ნაბოზარო!!! აბა, ადექი! – ნაპოს თვალები გადაუთეთრდა. დაუზოგავად ურტყამდა ტალახში ამოვლებულ მეზობელს. მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა ცემისგან გაბრუებულმა რობერტამ სისხლი გადმოანერწყვა.

– თქვენ რას მიდგახართ, მაგარი სანახაობაა, არა? – ახლა სეირის მაყურებელ სამეზობლოს შეუბრუნდა ბიჭი. – სხვისი ცხოვრების ქექვაში მაგრები ხართ, წაქცეულ ადამიანს რომ დაეხმაროთ, ეს ფეხებზე გკიდიათ. თქვენი დროც მოვა, შეიკეტეთ ახლა სოროებში და იჭორავეთ. თფუ, თქვენი... ადამიანები კი არა, მძორები ხართ! – ღრიალებდა ნაპო. ყველამ უხმოდ შეიკეტა კარი, მხოლოდ რამდენიმე ქალი გამოვიდა და მაცაცო წამოაყენა. ჩხუბითა და ყვირილით დაღლილი ნაპო რობერტას მიუბრუნდა, ფეხზე წამოაყენა და კიბეზე ჩამოსვა.

– თფუ, შე არაკაცო, შენა, რად გინდა შენ ცოლი და შვილები!

– დუუუმმ!! აუუუუფფფ!!! – აბუტბუტდა ნაცემი კაცი.

ნაპომ გადააბიჯა დასისხლიანებულ მეზობელს და სახლისკენ გაემართა. აბაზანაში შევიდა, სახეზე ცივი წყალი შეისხა, მერე სარკეში შეავლო თვალი შეშლილ სახეს და ცოტა ხანს უყურა.

– შენ არ დაეცემი, ნაპოლეონ!!! შენ ამათ დონემდე არ უნდა დახვიდე!!! – ბიჭს უცებ შერცხვა საკუთარი საქციელის, მაგრამ მაინც არ ინანა. აბაზანიდან პირდაპირ საძინებლისკენ ისეთი გამიზნული ნაბიჯით წავიდა, თითქოს რაღაც გადაწყვიტაო. კარადა გამოაღო და სათითაოდ დაიწყო ტანსაცმლის გადმოლაგება. შემდეგ საწოლის ქვემოდან სამგზავრო ჩემოდანი გამოაცურა და თავი მოხსნა.

– ამჯერად საით მიემგზავრები, აქტიორო? – ზურგიდან მოესმა პავლეს ხმა. ნაპო ბრაზისა და სირცხვილისგან სახეზე წამოწითლდა. ეს არ იყო შვილის სირცხვილი მამის წინაშე, ეს კაცური სირცხვილი იყო, უსამართლობის შეგრძნებით გამოწვეული. ბიჭმა ძალა მოიკრიბა და მამისკენ შებრუნდა.

– მივდივარ! – მკაცრად უპასუხა და ჩემოდანში ტანსაცმლის ჩალაგება დაიწყო.

– სად? ამჯერად ვინ მიგიწვია? – პავლემ ისევ ცინიკურად ჩაიცინა.

– მელადავები, არა, მამა? მაგარი სასაცილოდ გაქვს საქმე, როგორც გეტყობა. რაო, ჯულიას რესტორნის ბიზნესმა გაამართლა? – წამიერად აიჭრა ბიჭი.

– გაამართლა! – ცოტა დაიბნა, მაგრამ არ შეიმჩნია პავლემ.

– ისე გაამართლა, რომ ბინაც კი ჩადე ბანკში, არა?

პავლე კიდევ უფრო დაიბნა და სახეზე წამოწითლდა სწორედ ისე, მასტროიანი სტეპების ცეკვის დროს რომ დაეცა „ჯინჯერი და ფრედიში“, მაგრამ ნაპოსთვის ახლა უკვე სამუდამოდ დაინგრა მასტროიანის ლეგენდა მამაზე.

– შენ რა იცი? – იხტიბარი არ გაიტეხა პავლემ.

– მე არაფერი არ ვიცი და არც არაფერი მესაქმება აქ... ერთ კვირაში ბინასაც დაგილუქავენ და მორჩა!

– ერთი მაგათი დედაც მოვტყან!!! – პავლემ შვილს ზურგი აქცია და სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა. არაყის ბოთლს თავი მოხსნა და გადაკრა.

– არა, მაინც, ეს როგორ გააკეთე? – განაგრძო ნაპომ. – მე მასწავლიდი ჭკუას, უაზროდ იქცევიო, არაფრის მაქნისი ხარო...

– მე მინდოდა, დაგხმარებოდი!!! – მაგიდას ხელი დაარტყა კაცმა და ლამის უკანასკნელი ხმით ამოიბღავლა.

– რითი მეხმარები, ქუჩაში რომ მტოვებ?

– მეგონა, ბიზნესი გაამართლებდა, – პავლეს ყელში რაღაც გაეჩხირა და კიდევ მიაყოლა არაყი. – მეგონა, რესტორანი ფულს ამოიღებდა და რამე გვეშველებოდა..

– ბიზნესი ორთაჭალელ ჯულიასთან ერთად! ბინა ჩადე და რესტორანი გახსენი, საღოლ შენ, რა... – ნაპომ ჩემოდანი დახურა და ფეხზე შეაყენა.

– გეყოფა! გეყოფა ნოტაციების კითხვა! შენ რა გამიკეთე, ერთი ლარი შემოგიტანია სახლში? – ისევ აყვირდა კაცი.

– არაფერი! მე ვერაფერი ვერ გავაკეთე, სამწუხაროდ! – თავი დახარა ნაპომ და ჩემოდანი სამზარეულოში გააგორა.

– სად მიდიხარ? – ხმა გაებზარა პავლეს.

– მივდივარ, რა... – ბიჭი კარისკენ დაიძრა.

– სად ბებიაჩემთან მიდიხარ? – პავლემ ისევ მოიყუდა არაყის ბოთლი და სახე საცოდავად დაემანჭა.

– თავს მიხედე! – ნაპომ აღარც კი გამოხედა, ისე მიაძახა და კიბეზე დაეშვა.

– წადი შენი! – თავისთვის ჩაილაპარკა კაცმადა წამოდგომა სცადა, მაგრამ ისეთი შეაქანა, პირდაპირ მაგიდის გვერდით მდგარ დივანზე გაიშხლართა. არაყის ბოთლი მაგიდაზე დაგორდა და იატაკს დაენარცხა. პავლეს უკვე აღარც ჰქონდა წამოდგომის თავი, ისეთი მთვრალი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ივლისის მიწურულს დასჭცხული თბილისის ქუჩები მუდმივი საცობისგან გათავისუფლებულიყო, მხოლოდ რამდენიმე მანქანა დადიოდა. ნახევრად ცარიელ ქუჩებში ისევ ტრიალებდა მტვრისა და ოფლის სუნი. აქა-იქ ვანილმოფრქვეული ფუნთუშების სურნელი თუ გამოერეოდა, გზისპირა საცხობებიდან რომ გამოდიოდა. ტუჩებდაპრუწული მასა ერთმანეთის საპირისპიროდ მოძრაობდა. ვორონცოვის მოედნიდან პირდაპირ ალმაშენებლის გამზირისკენ გორგოლაჭებიან ჩემოდანს მიარახრახებდა ნაპო, თავდახრილი, თითქოს თვალს განგებ არ უსწორებს არავისო, ისე მიდიოდა. განიერი მხრებიც ღამურასავით ჩამოეყარა, ცალ ხელში ლუდის ბოთლი ეჭირა, მეორეში – ჩემოდნის სახელური. ფიქრობდა არაფერზე და სწორედ ეს „არაფერი“ იყო ყველაფერი, რაც აბრაზებდა, ტკიოდა, ხანდახან ახარებდა კიდეც. ეს „არაფერი“ აფორიაქებდა, ტვინს უჭამდა – რატომ? – აწვალებდა სულიერად და ხშირად ფიზიკურ ტკივილშიც გადადიოდა.

უპატრონო მოხუცივით აუყვა ვიწრო ასახვევს და შორიდანვე შენიშნა ერთ-ერთ ეზოსთან გაჩერებული ნაცნობი BMW. გარშემო უბნის ბიჭები შემოხვეოდნენ და რაღაცაზე ხმამაღლა იცინოდნენ. ერთ-ერთი, ყველაზე მაღალი, ავტომობილს გარშემო უტრიალებდა და ხელში მოკეცილი ტილოთი აპრიალებდა. ნაპო მხრებში გაიმართა, თითქოს იმედი მიეცა. ბიჭებს ომახიანად მიესალმა და ჩემოდანი მანქანასთან ააყუდა.

– ვაა, ნაპოლეონ, ეს რა ჩემოდნით მოსულხარ? – სახე გაუნათდა ჯანოს და ტილო გულდასმით შემოატარა საქარე მინებს.

– მალე მორჩები? – საქმიანი გამომეტყველება მიიღო ნაპომ.

– ჰო, რა იყო? – გაუკვირდა ჯანოს.

– წავიდეთ, რა... – ნაპომ სიგარეტი გააბოლა.

– რა გჭირს, შე ჩემა, ზაპოი გაქვს?

– წამო, რა, – ნაპომ სწრაფად ჩააგდო ჩემოდანი საბარგულში და მანქანაში ჩაჯდა. ჯანომ მაშინვე მოისროლა საწმენდი ტილო და საჭეს მიუჯდა.

– თემო, გავედი მე და ჭიშკარი დახურე! – მიაძახა ბიჭებისგან განცალკევებით მდგომს და მანქანა დაქოქა.

– რა დაგემართა, ხო მშვიდობაა? – ახლა ნაპოს მიუბრუნდა, რომელიც მოღუნული იჯდა სავარძელში.

– ცოტა ფული მჭირდება, – ძლივს ამოთქვა ნაპომ.

– სად მიდიხარ?

– სოფელში...

– მე მეგონა, იტალიაში მიფრინავდი უკვე, – გაიხუმრა ჯანომ.

– სად არის, თორე კი...

– გუშინ სად იყავით შენ და სანდრიკა?

– ნინიასთან, დავლიეთ!! – დამნაშავე ბავშვივით უპასუხა ნაპომ.

– ხო, ეგ აღარ მიკვირს უკვე... რა დაგემართა?

– სახლიდან წამოვედი, მაგრად ვიჩხუბე და ისე...

– ოოო, არც ეგ არის ახალი ამბავი რაო გრიგორიჩმა, რა მინდაო?

– სახლი ჩაუდვია ბანკში...

– ნუ გაატრაკე, ტო... რა პონტში?

– იმ თავის პუტანკა ჯულიასთან ერთად ბიზნესი მომინდომა... – ესეც ინერტულად უპასუხა ნაპომ, ისე, რომ პოზა არ შეუცვლია.

– მერე?

– რა მერე, ჰაერში ვარ, შე ჩემა...

– ანუ სოფელში გადადიხარ? – გაეცინა ჯანოს.

– წავალ, ცოტა ხნით ბებიაჩემსა და ბაბუაჩემს ჩავხედავ.

– შენ სულ გაგიჟდი? – ჯანოს სახე შეეცვალა. – ჩემთან გადმოდი, ჩემები მაინც ზღვაზე არიან, – უთხრა ცოტა ხნის პაუზის შემდეგ.

– არა, არ შემიძლია აქ გაჩერება, უნდა წავიდე... – ნაპომ თბილისის ქუჩებს გააყოლა თვალი. კარგა ხანს დუმდა ორივე, სანამ მანქანა სადგურში არ გაჩერდა.

– იქ მაინც აღარ დალიო... – მუდარით სავსე თვალებით შეხედა ჯანომ. ნაპო უთქმელად გადავიდა მანქანიდან, საბარგული გახსნა და ჩემოდანი ამოიღო.

– როდის ჩამოხვალ? – დუმილი ისევ ჯანომ დაარღვია.

– არ ვიცი, – თავი დახარა ბიჭმა. ჯანომ სწრაფად გახსნა საფულე და ასლარიანი ჩაუდო ჯიბეში მეგობარს.

– ჰა ეს, მეტი არა მაქვს.

– მერე შენ? – დარცხვენილად გახედა ნაპომ.

– ასაღები მაქვს რაღაც, არა უშავს...

– კაი...

– მოეშვი ამ დეპრესიობანას, რა... – მხარზე ჩამოჰკრა ხელი ჯანომ.

– კაი!

– ხოდა, ფერმისთვის მიწის ნაკვეთის ფასები გამიგე. – გაეღიმა ბიჭს.

– წავალ და ჩავეხუტები ამ ჩვენს სალ კლდეებს, იქნებ, რამე გამომივიდეს! – ღიმილითვე უპასუხა ნაპომ და სამარშრუტო ტაქსებისკენ დაიძრა.

– თუ რამეა, დარეკე! – მიაძახა ჯანომ. ნაპომ გაულიმა, ხელი დაუქნია და სწრაფი ნაბიჯით გაემართა სადგურის შუაგულისკენ.

●

ძალიან დიდხანს მიჩაქჩაქებდა ძველებური, წითელი ავტობუსი დაკლაკნილ გზებზე. ნერვულობისა და სიცხისგან დაღლილ ნაპოს პერიოდულად ეძინებოდა. მხოლოდ მაშინ შეიფხიზლებდა, როცა ავტობუსი ძველი ასფალტის რომელიმე

ორმოში ჩაარტყამდა საბურავს, ასეთი კი უამრავი იყო სოფლისკენ მიმავალ გზაზე. მოულოდნელი მუხრუჭისგან ძილგატეხილი ბიჭი მერე ისევ გაქონილ ფანჯარას მიუბრუნდებოდა და უყურებდა, როგორ რჩებოდა უკან აყვავებული ტყემლების, შინდებისა და ტირიფების ხეივანი. ნაპოს დეპრესიულ მყუდროებას ყიჟინა და როხროხი ურღვევდა, რომელიც ავტობუსში მთელი გზა არ ჩაწყნარებულა.

– გააჩერეთ, გააჩერეთ, გული ერევა! – ყოველ ათ წუთში კიოდა ფაშფაშა ქალი გვერდითა სავარძლიდან და ხუთიოდე წლის ლოყებდაბრაწულ ბიჭუნას შუბლზე ხელს უჭერდა.

– ისევ მოგვარწყია, ქალბატონო? – ქოთქოთებდა ღიპიანი, ულვაშა მძღოლი, რომელსაც სარკესთან ანჯელა დევისის ეროტიკული ფოტო ჰქონდა გაკრული და წამდაუწუმ იმას შეჰყურებდა.

– ხომ ხედავ, რომ აღებინებს, რაღას ატენი მაგ ხაჭაპურებს! – წიწმატობდა ერთი რიგით წინ მჯდომი წითელთმიანი ქალი.

– ასე ყოველ წუთას თუ გავაჩერებთ, ჩვენ დღეს ვერ ჩავალთ! – გაღიზიანებული ტონით ეხმაურებოდა შლაპიანი მოხუცი, უკანა სავარძლებში გადაფარჩხული სამი მთვრალი კი არაყის ჭიქების ჭახაჭუხს აგრძელებდა უდარდელად.

– ფრიდონი, ჩამოასხი ერთი, ჩვენი სამშობლოს სადღეგრძელოს შემოგაშველებთ, – აქტიურობდა წითურთმიანი, შედარებით მაღალი „პატრიოტი“.

– მაგას შენ ამ პატარა ჭიქაში ვერ ჩაატევ! – სიცილით სკდებოდა წვერგაბურძგნილი მსუქანა.

– ჩაატევს რომელია, მაგის მერე ჭიქას იმტვრევს თავზე, ისე ყლაპავს! – პასუხობდა დიდთავა.

ნაპოს ერთი სული ჰქონდა, როდის გაჩერდებოდა ავტობუსი მშობლიურ სოფელში, რომ ამ აუტანელ აურზაურს გასცლოდა, მაგრამ მძღოლს თითქოს არ ეჩქარებოდა – ალა პუგაჩოვას ჰიტების ფონზე აუღელვებლად, ღიღინ-ღიღინით მიარწევდა ავტობუსს. კიდეც რომ დაეჩქარებინა, ჭირვეული მგზავრების გადამკიდე მაინც ვერაფერს გახდებოდა. გზაც ნაპოს ნერვების მოსაშლელად თითქოს განგებ იწელებოდა.

ბიჭი ისევ არეულმა ფიქრებმა მოიცვა: რა უნდა გააკეთოს, სოფლიდან რომ დაბრუნდება? ან იქნებ, არც დაბრუნდეს... მაგრამ არა, იცის, რომ დიდხანს ვერ გაძლებს ერთსა და იმავე ადგილას! ჰოდა, რომ დაბრუნდეს კიდეც თბილისში, სად უნდა იცხოვროს? როდემდე დაჯდება მეგობრების ხარჯზე, პატარა ბიჭი ხომ ალარ არის? სამსახური რომ იშოვოს? მაგრამ სად? ვის რაში სჭირდება ჯიბეგაფხეკილი მსახიობი? იქნებ, ფერმა გააკეთოს ჯანოსთან ერთად? – ამის გაფიქრებამ ძალიან გააბრაზა ნაპო, წუთით ისევ დაუბრუნდა ძველებური, მხიარული სახე. რა სასაცილო იქნება ქათმების, ძროხებისა და ღორების გარემოცვაში?! არა, ეს მართლა დაცინვაა. ამისთვის ააშენა ოცნებების უზარმაზარი კოშკი, რომ საქონლის ნაკელითა და სოფლის ტალახით შეფუთოს? არა, ამას სიკვდილი ურჩევნია.

„რა სისულელეა, ნაპოლეონ, ამისთვის იბრძოდი ოცდაექვსი წელი, რომ სოფლის ტალახში გაცვალო შენი მიზნები? რაც ძალიან გინდა, ის აუცილებლად გამოგივა. მთავარია, არ მოეშვა!!!“ – ჯიუტად უკიჟინებდა მეორე მე სადღაც გონების კუნჭულიდან.

ფიქრები ავტობუსის გაჩერებამ გაფანტა. ნაპო უაზროდ იყურებოდა გარშემო, ხან სოფლის პეიზაჟებს, ხან მგზავრებს შესცქეროდა, ვერ გამოერკვა, სად იყო. ან რატომ ახტებოდა ეს ხალხი ერთმანეთს, სად ეჩქარებოდათ? ბიჭი მანამდე ვერ მოვიდა გონს, სანამ უკან მჯდომმა ჯმუხმა, შავტუხა მამაკაცმა ტალახში ამოსვრილი ჩანთა არ გაარტყა თავში. ეს კაციც ავტობუსიდან დროულად ჩასვლას ცდილობდა და პროდუქტით გაძეძგილი ჩანთაც სისწრაფეში მოიქნია. ნაპომ რომაული პროფილი დამანჭა და მგზავრს ბოროტად შეუბღვირა, მაგრამ შავტუხას ეს არც კი დაუნახავს.

– გაწიეთ ეს ჩანთა! – აკივლდა წინიდან წითელთმიანი ქალი.

– გაიარეთ, ქალბატონო, თუ ჩადიხართ! – შეუღრინა მელოტმა, რომელიც მის გვერდით იდგა.

– ხომ არ გადავაფრინდები, რა უზნეობაა ეს! – ქალი ისევ გაიქაჩა გასასვლელისკენ.

– ზაირა, დაიჭირე ეს ბავშვი... – ყვიროდა წინიდან ვიღაც.

– ფრიდონი, ჩამოასხი ერთიც, ჩვენი დაშლა-არმოშლისა დავლიოთ! – ისევ აგრძელებდნენ მოქეიფეები უკანა სავარძელზე.

– ხო, ბებო! ჩამოვედი, კი, კი... მალე... ხო, მესმის! – მობილურს ჩაწრიპინებდა გამხდარი გოგო.

ნაპო უღონოდ მიესვენა სავარძელზე, თავი გადადო და თვალები დახუჭა. კარგა ხანს ტრიალებდა დედამიწა, გულისრევის შეგრძნებამაც შეაწუხა უცებ, მერე ისევ გადაუარა და გული აუჩქარდა. სახე დაიზილა დაგრეხილი თითებით, შუბლიდან ცივი ოფლი ჩამოიწმინდა და თვალები დაჭყიტა. ავტობუსი უკვე ცარიელი იყო. ღრმად ამოისუნთქა, მერე სკამის ქვემოდან ჩემოდანი გამოაძვრინა და პატარა ბავშვივით ჩაირბინა კიბეზე.

სვენებ-სვენებით მიუყვებოდა ორლობეებს, თანტურისტივით ათვალიერებდა იმ ადგილებს, სადაც ბავშვობის ბედნიერი წლები გაატარა. ყოველ ზაფხულს ამ მთა-ველებს შეუჩერებლად მოირ-

ბენდა, მინდორში აცეკვებულ ყაყაჩოებს თავებს წააწყვეტდა ხის ჯოხით და, გული რომ ამოუვარდებოდა დაღლილობისგან, ბალახებში გაგორდებოდა. ახლა ძალიან დაპატარავებული ეჩვენა ყველაფერი. ის აკაციებიც გადაეჭრათ, ბავშვობაში მათ კენწეროზე ასვლა რომ ეოცნებებოდა. ძველებური ხის სახლები დიდთოვლიან ზამთარს მოერყია, ზოგი მთლად ცარიელი იყო, ალბათ, ქალაქში გადახვენილი პატრონი კარგა ხანს არ ჩამოსულიყო. გამოჩნდა ღობიდან გადმოტოტილი თხილებიც, ყოველ ზაფხულს რომ ტკაცატკუცს აუტეხავდნენ ხოლმე უბნის ბავშვები. ჩუმად დაკრეფილს მაინც თავისებური გემო ჰქონდა, ამიტომ, შებინდდებოდა თუ არა, ნაპოც დანარჩენებთან ერთად გადაიპარებოდა ბარბარე ბებოს ბაღში და ციყვივით დახტოდა ტოტიდან ტოტზე. ერთხელ მუხლიც კი გადაიგლიჯა ამ „ქურდობანას თამაშისას“.

თხილის ბაღს გასცდა თუ არა, მწვანეში ჩაფლული გორაკი გამოჩნდა. ამ გორაკზე თეთრად შეღებილი, ორნამენტებით გაწყობილი ორსართულიანი სახლი წამოჭიმულიყო, ისე მაღლა, რომ სამაშველო კოშკურასავით უყურებდა მთელ სოფელს. ნაპო გორაკისკენ მიმავალ აღმართს შეუდგა. გული პატარა ბავშვივით უცემდა – სიხარულით თუ მონატრებით. ქვიან და დაბრეცილ გზაზე გორგოლაჭებიან ჩემოდანს გამალებით მიარახრახებდა. ამ წუთში არაფერი ახსოვდა, არც თბილისში დარჩენილი პრობლემები, არც იტალიური ოცნებები და სამომავლო გეგმები. უბრალოდ, ძალიან ბედნიერი იყო, სწორედ ისე, როგორც წლების წინათ, ბავშვობაში.

შესასვლელშივე შემოეგება მაგნოლიებისა და იასამნების თავბრუდამხვევი სურნელი. მთელი ეზო ისე ნაირფრად ყვაოდა, თითქოს ყველა იმპრესიონისტმა გადაუსვა ფუნჯი თავისი პალიტრიდან. თეთრად დაპენტილ ვაშლებსა და ტყემლებს შეწითლებული ალუბლები ეცილებოდნენ პრანჭვაში. ნეტარებით გათიშულმა ნაპომ უაზროდ შეაღო ჭიშკარი და კოპლებიანმა მწევარმაც მაშინვე ატეხა ყეფა.

– კიკო! – გაისმა ქალის მოგუდული ხმა. – კიკო, რა დაგემართა? – ხმა ახლოვდებოდა. ნაპო იქვე, ონკანთან ახლოს, ხის სავარძელზე ჩამოჯდა და ნერვულად დაიწყო ფეხების ბაკუნი.

– კიკუნა! ვინმე მოვიდა? – ხეივნიდან ჩრდილივით გამოძვრა თეთრთმიანი, წელში ოდნავ მოხრილი ქალი. კოჭლობით მომავალი გზადაგზა სათვალეს წმენდდა.

– თქვენ ბრძანდებით ქალბატონი ნათელა? – ხმა დაიბოხა ნაპომ.

– დიახ, რომელი ხარ? – ნათელა ბებომ ვერა და ვერ მოახერხა სათვალის მორგება სიჩქარისა და ნერვულობისგან.

– ნაპოლეონი ვარ, ბონაპარტი, თქვენი ნათესავი შორეული იტალიიდან! – ბიჭმა ხელები გაშალა და ბებიის დასახვედრად მოემზადა.

– ნაპო! – ადგილზე შეჰკივლა ქალმა და ლამის დაავიწყდა ნატკენი ფეხი, ისე გამოიქცა ბიჭისკენ. – შენ გენაცვალოს ბებო, ჩემი დაკარგული ბიჭი... როგორ არ გრცხვენია, ბებიკო? აღარ გახსოვართ ეს ბებერი ხალხი. მამაშენმა ხომ დაგვივიწყა, შენ მაინც რაღა დაგემართა? – არ ჩერდებოდა გახარებული ნათელა.

– აი, ხო მოვედი, ბებო! – პატარა ბავშვივით დაბნეული პასუხობდა ნაპო და თან მონატრებულ ნაოჭებს უკოცნიდა მოხუცს.

სიხარული, ცრემლები, უამრავი კითხვა, ალაგ-ალაგ ისევ საყვედურები, გაუთავებელი მოფერება, მერე ისევ ქალაქური ამბების გარჩევა, შუაცეცხლზე მოხარშული ლობიოს წვნიანი, კეცზე გამომცხვარი მჭადები, დამჟავებული კომბოსტო და კიტრი; მიწისა და ფოთლების სუნი, საღამოს შხაპუნა წვიმა და ნისლიანი პეიზაჟი მწვანეში. საღამოს უკვე დათა პაპაც მოვიდა თავისი განუყრელი ჩიბუხით, თვალები აუწყლიანდა, დიდი ხნის უნახავი შვილიშვილი რომ დახვდა. წითელი ღვინით სავსე ქვევრსაც თავი მოხსნა და ზამთრის შემდეგ გამომქრალი ბუხარიც აანთო. სუფრის თავში იჯდა თეთრწვერა მოხუცი და მთელი საღამო დაკოჟრილი ხელებით ივარცხნიდა თუთუნით შეყვითლებულ ულვაშს. ძალიან ცოტას ეკითხებოდა მონატრებულ შვილიშვილს, ძირითადად უსმენდა და, ალბათ, ყველაზე ამაყი იყო ამქვეყნად.

მოხუცებისა და ბუნებისგან მიღებული მხნეობა ნაპოს დეპრესიის დავიწყებაში დაეხმარა. მეორე დღესვე ნათელა ბებოსთან ერთად შემოიარა მთელი ბაღ-ვენახი, მერე დათა პაპას გაჰყვა სათიბში და საღამომდე მუყაითად იქნევდა პირალესილ ცელს. იქვე, მინდორში, ობლად მოსიარულე თეთრი ფაშატი აღმოაჩინა, რომელიც ზანტად ცოხნიდა ხასხასა ბალახს. სიცოცხლის წყურვილით აღსავსე ბიჭი ჩუმად მიეპარა ცხენს და პირდაპირ ფაფარში სწვდა. გაცხოველებული დარბოდა აღმა-დაღმა, როგორც კენტავრი. გახარებული, თან გაკვირვებული დათა ხის მესერს ჩამოყრდნობოდა და შვილიშვილს თვალს არ აშორებდა. ნაპოც თითქოს განგებ არ ჩერდებოდა, განიერი მხრები საომრად გამზადებული მხედარივით შეეყენებინა და გაოფლილ ცხენს დაუზოგავად უშენდა წიხლებს ფერდებში.

– ძალიან მოგნატრებია აქაობა. – წამოიწყო დათა პაპამ, თან, ეტყობოდა, სიამოვნებდა ამ ფაქტის აღნიშვნა.

– ჰო, მომენატრა, – ნაპომ შარვალი ჩამოიბერტყა და მესერზე შემოჯდა.

– ერთი, ის მაინტერესებს, მამაშენსაც თუ მოენატრება ოდესმე? – დათა პაპამ ჩიბუხი გააბოლა. ნაპომ თავი დახარა, თითქოს მამის მაგივრად შერცხვა.

– რას შვება, როგორ არის? – განაგრძო მოხუცმა.

– რა ვიცი, რა უჭირს... – ნაპომაც სიგარეტს მოუკიდა.

– ისევ ბევრს სვამს, ხო?

– ჰო.

– ბებიაშენი ყოველღამე ტირის – ასეთი რა დავუშავეთ, ერთხელ რომ არ მოგვიკითხავსო. ხანდახან ძალიან ვბრაზდები, მაგრამ მაინც მეცოდება... ვერ წაუვიდა ცხოვრება კარგად...

– ცხოვრებას თვითონ ქმნიან ადამიანები! – მკაცრად თქვა ნაპომ.

– არც ეგრეა, ჩემო ბაბუა. ყველა ძლიერი ვერ არის... მეც არ მეგონა, სამსახურიდან თუ გამათავისუფლებდნენ და ამ მიწის ამარა დავრჩებოდი... – დათამ ღრმად მოქაჩა ჩიბუხში ჩატენილი თამბაქო და დაუნანებლად გაუშვა ფილტვებში.

– მე არ ვაპირებ, დიდხანს შევაჩერდე ამ გამოთაყვანებულ ხალხს... – ნაპომ ველარ მოითმინა და მისდა უნებურად მტკივნეულ თემაზე გადაერთო.

– შენ რა დაგემართა?

– დავიღალე...

– ჰაჰ! რამ დაგღალა ბიჭო? – გაეცინა კაცს. – მაგას მე არ ვამბობ, სამოცდათხუთმეტი წლის ბებერი, და შენ საიდან მოგაფიქრდა?

– არაფერი, ბაბუ, იტალიაში მინდა, უბრალოდ, წასვლა, – ნაპომ პასუხს შეგნებულად აარიდა თავი. – არ გავიცნო სონიას ნათესავები? – სიცილი მოაყოლა ბიჭმა.

– ეჰ, შენ თუ სონიას ნათესავებს იპოვი... – დათამ ჩიბუხი ხის ტოტზე დაბერტყა, – რამდენი წერილი გავგზავნეთ თავის დროზე, მაგრამ არავინ გამოგვხმაურებია.

– ჰოდა, მე ვიპოვი! – მთელი დამაჯერებლობით უთხრა პაპას.

– წავედით სახლში, წავედით! – კაცმა ცელს ხელი მოჰკიდა და მხარზე გადაიდო, – ეს რომ გაიგოს ბებიაშენმა, სულ გაგიჟდება. – თავისთვის ჩაილაპარაკა და შვილიშვილს წინ გაუძღვა.

საღამოს მთელი სამეზობლო და უბნის ბიჭები შეიყარნენ დათასთან. ყველას უნდოდა უკვე გაზრდილი ნაპოს ნახვა. უმრავლესობას ბიჭი მხოლოდ ქართულ-ამერიკულ ფილმში ენახა და აინტერესებდათ, როგორ გამოიყურებოდა სინამდვილეში ახალგაზრდა მსახიობი. ნათელა ბებომ დიდი მაგიდა გაშალა აივანზე და დიდი ხნის მიყრუებული სახლიც ახმაურდა. ნაპო თავიდან პატარა ბავშვივით დარცხვენილი იჯდა, ამდენი თვალი რომ შესციცინებდა. ორი ჭიქის შემდეგ კი ისე გათამამდა, რომ ბაფთიანი გიტარა ხელიდან არ გაუშვია, იმდენი იმღერა. ღვინო მოეკიდა ნაპოს. ძალიან ბედნიერი იყო – თბილისური სევდისგან გათავისუფლებული სოფლელთა ყურადღებით ტკბებოდა. ახლა თვითონ შესციცინებდა ყველას თვალებში და უხაროდა, რომ თურმე კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ერთმანეთისთვის ტკბილ სიტყვას არ იშურებენ. მოსწონდა სუფრის წევრების თბილი გადაძახილები, გულიდან წამოსული სადღეგრძელოები და ცეკვა-თამაში.

– მოდი, მეგობრებო, ჩვენს მიწა-წყალს გაუმარჯოს, იმ ადგილებს, სადაც გავიზარდეთ, სადაც ვცხოვრობთ და ერთმანეთს ვაძლებინებთ! – მორიგი სადღეგრძელოსთვის მოამზადა სუფრის წევრები მაღალმა, სიმპათიურმა კაცმა. ბახუსისგან ნახევრად მოღრეცილი კისრები უეცრად გასწორდა, ქალებმაც შეწყვიტეს ქირქილი და ფუსფუსი. ყველამ ჭიქა შემართა.

– აფერუმ შენს სიტყვა-პასუხს, ჩემო გივი! – წამოიწია ღიპიანი ჭაღარა, რომელიც ისეთი მთვრალი იყო, ცალი ხელი ლობიოს ჯამში ჩაეყო.

– ანზორი, გეყოფა, აღარ გინდა! – მუჯლუგუნი წაჰკრა გვერდით მჯდომმა ფაშფაშა ქალმა და ერთ დროს ბადრიჯნისფრად შეღებილი თმა შეისწორა.

– კაი, ციცო, ათქმევინე, ნუ შეზღუდე ეს კაცი მთელი ცხოვრება! – გადაიხარხარა მათ მოპირდაპირე მხარეს მჯდომმა ნაიარევსახიანმა კაცმა.

– ჩვენ ისეთი ხალხი ვართ, ჩემო ნაპო, კუბოს ფიცრამდე რომ მივყვებით ადამიანს. ერთმანეთის იმედით ვცხოვრობთ და ვაწვებით ასე ამ წუთისოფელს! – წამოიწყო ახლა ნაპოს გვერდით მჯდომმა ორმოცდაათიოდე წლის გრძელცხვირა მამაკაცმა. ბიჭი მთელი საღამო შეწუხებული იყო ამ კაცისგან, რადგან ბევრს ლაპარაკობდა და თან წამდაუწუმ იფურთხებოდა.

– სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი!! – წამოიყვირა ისევ ანზორამ და ღვინის ჭიქა სულმოუთქმელად გამოცალა.

– უი, ისარი მოგხვდა შენ მაგ გასიებულ თავში ადგება მერე და მთელი ღამე არწყევს. აღარ შემიძლია ამდენი ტაშტების ზიდვა, – აქაქანდა ისევ ციცო.

– ამ პატარა სოფელში რამდენიმე სახლი დარჩა, სადაც ღია კარს ნახავ, – აგრძელებდა ნაპოს მეზობელი, გრძელცხვირა კაცი, – ნახევარზე მეტი დაკეტილია, ცოტა ხანში ეს მოხუცებიც მოკვდებიან და დარჩება სოფელი ხუთი კაცის ამარა... აღარავის აქ გაჩერება აღარ უნდა, ყველა ქალაქში გარბის, ვითომ სამსახურს ვიშოვიო... ქალაქი ყოველთვის მთიდან ცოცხლობდა, აქაურობას თუ პატრონი აღარ ეყოლა, დაგვექცევა ქვეყანა...

– ოჰო, გაიხედეთ, ვინ მოდის! – წამოიძახა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელიც ღვინის გრაფინებს ავსებ-

და. ყველა ეზოსკენ შეტრიალდა. ხეივანში წითელკაბიანი, მაღალი ქალი გამოჩნდა. ამაყად მოაქნევდა სავსე თეძოებს, ძუძუებზე აკორდეონის ქამარი გადაეჭირა და რწევა-რწევით მოუძღვებოდა ინსტრუმენტს. ნაპომ მაშინვე ყურები ცქვიტა, რადგან ეუცნაურა ამ მიყრუებულ სოფელში ასეთი მშვენების აღმოჩენა. ქალმა მარჯვენა ხელით გადაიწია შავი კულულები მხარზე და აივნის კართან შეჩერდა.

– ღამე მშვიდობისა! – ამაყად დაიძახა და აკორდეონი ააჟღარუნა.

– ეს ბოზი საიდან მოეთრა?! – გადაუჩურჩულა ციცომ აივნის მოაჯირზე შემომჯდარ ელამ გოგოს.

– რა ვიცი, ალბათ, ნატალიას დღეობა დაიშალა და აქეთ გადმოინაცვლა.

– ო, მადონა, მადონა, ასე რამ მოგანდომა! – ხარხარით შეეგება ნაიარევსახიანი.

– დათიკო ბიძია, გავიგე, შვილიშვილი ჩამოგსვლიათ! – მადონამ ყურადღება არ მიაქცია ნაიარევის უხამს ხუმრობას და დათა პაპას მიადგა.

– ხო, ბიძია; მოდი, გენაცვალე! – დათამ სკამი დაუთმო ქალს; – ეს არის ჩვენი ნაპო, – სიამაყით გადახედა შვილიშვილს.

– ხედავ, მადონა, რა პატივია, კინოდან პირდაპირ სუფრაზე გვესტუმრა ჩვენი ბიჭი! – ხელი გადახვია გრძელცხვირამ ნაპოს და სიამაყით გაიჭიმა.

– აბა, მეგობრებო, სანამ მადონა გვიმღერებს, ერთიც შევავსოთ! – წამოიძახა გივიმ და მორიგი სადღეგრძელოსთვის მოემზადა.

– ფუუ, უნამუსო! შეხედე, როგორ გადმოუყრია ძუძუები! – არ ცხრებოდა ციცო. მას კიდევ რამდენიმე ქალი ეთანხმებოდა, თუმცა მადონა გამოხედავდათ თუ არა, მაშინვე ნაძალადევი ღიმილით იწყებდნენ თავის კანტურს. ნაპო გაკვირვებული შეჰყურებდა ახალმოსულ სტუმარს და ვერ გაეგო, რატომ ლანძღავდნენ სოფლის ქალები ასე დაუნდობლად.

– მოდი, ბატონებო, ჩვენი ქალბატონების სადღეგრძელო ავიტაცოთ, – წამოიწყო თამადა გივიმ, – სულ ცქრიალები, კისკისები და მოუსვენრები იყავით, მარგალიტებო! – კაცი დაჟინებით უცქერდა მადონას ძუძუებს, რომლებიც წითელ კაბაში ისე გამოეხვია პატრონს, იფიქრებდი, სადაც არის, გადმოხტებიანო.

– თქვენს გარეშე ღმერთმა ნუ გვაცოცხლოს, სულ ბედნიერები იყავით! – წამოდგა ერთ-ერთი აყლაყუდა.

– აბა, სულ მაგაზე ფიქრობ, მაგიტომაც ვარ ასეთი ბედნიერი! – გამოეხმაურა მაღალკისერა ქალი, რომელიც, ალბათ, ამ კაცის ცოლი იყო.

– ქალი გაზაფხულივით არისო – უთქვამს ერთ ბრძენკაცს: ხან გიჟივით იწვიმებს და ელჭექს აგიტეხავს, ხან კიდევ ისე დაგატკბობს ყვავილების სუნით, თავი სამოთხეში გეგონებაო, – აგრძელებდა თამადა. – ჰოდა, ჩვენს გაზაფხულებს გაუმარჯოს, ვისზეც ჩვენი მოსავალია დამოკიდებული! – აქ გივიმ ისე ჩააყოლა თვალი მადონას დეკოლტეს, რომ მზერით კაბაც კი შემოახია.

– შეხედე, ქალო, ამ ტუტუცის დანახვაზე გაახსენდა ქალების სადღეგრძელო, მანამდე სად იყო, – გადასძახა ციცოს თმაგაბურძგნილმა ქალმა, რომელიც წამდაუწუმ ცხვირში იქექებოდა.

– კარგი რა, გულნაზი, დაგავიწყდა, მაგ გაიძვერას სახლიდან რამდენჯერ გამოთრეულა უთენია! – აპრეხილი ცხვირი დაემანჭა ციცოს.

– ჯუჯუ ბიძია, ვინ არის ეს მადონა? – ჩაეკითხა ნაპო გვერდით მჯდომ გრძელცხვირა კაცს.

– რა იყო, ბიძია, მოგეწონა? – ჩაყვითლებული კბილები გადმოყარა ჯუჯუმ, ისე გაიკრიჭა.

– არა, ყველა მაგაზე ლაპარაკობს და... – ნაპოს შერცხვა და შეიშმუშნა.

– რა გითხრა, ჩემო ნაპო, ქალებს არ უყვართ იმიტომ, რომ მაგათ ქმრებს მადონას გამო ბევრჯერ უჩხუბიათ...

– რა არის ასეთი ეს მადონა? – გაეცინა ნაპოს და ქალი კიდევ ერთხელ აათვალიერა. მადონა ამ დროს ორ მსუქან კაცს შორის მოქცეულიყო და ჯიხვის რქით ისხამდა პირში დათა პაპას წითელ ღვინოს.

– ოოო, მადონა დიდი აშარი ვინმეა! – თვალი ჩაუკრა ჯუჯუმ ბიჭს და ჭიქა გამოცალა. ამასობაში სახეაწითლებული მადონა ფეხზე წამოხტა და აკორდეონი გადაწელა. ყველა გაჩუმდა. ქალი მთელი გრძნობით კენკავდა საკრავის კლავიშებს, მერე სიმღერა წამოიწყო და სულ გადაირია ნაპო. ისეთი ხმა ამოსდიოდა ამ „სოფლის შეჩვენებულ მშვენებას“, რომ თვითონ ედიტ პიაფსაც შეშურდებოდა. სევდიანი რომანსი „დამაყარეთ ვარდები, როგორც თეთრი მიწა“ თითქოს ამ ქალის ბუნებას გამოხატავდა. მაყვალივით შავ თვალებზე დილის ნამივით ეკიდა ცრემლები. ვნებიან ტუჩებს მელოდიურად აბნევდა ერთმანეთს, სწორედ ისე, როგორც საღამოს ტიტა თავის ფურცლებს. მადონას მომხიბვლელი სახის მიღმა უზარმაზარი ტრაგიზმით სავსე ცხოვრება აღმოაჩინა ნაპომ. მუსიკაში ტკივილები იპოვა და გული აუჩუყდა.

– ჯუჯუ ბიძია, ამ ქალს ქმარი თუ ჰყავს? – ისევ თავის მეზობელს მიუბრუნდა ბიჭი.

– არა, მოკლეს საწყალი ზაქრო! – დანანებით გაიქნია თავი გრძელცხვირამ.

– რატომ? – ჩაეძია ნაპო.

– კარგად ცხოვრობდა და იმიტომ. თავისი ბიზნესი ჰქონდა საწყალს, მეორადი ტანსაცმელი შემოჰქონდა რაიონში... იმდენი იშრომა, რომ სახლიც აიშენა და ლამაზი ცოლიც მოიყვანა...

– მერე?

– მერე, ხო იცი შურიანი ხალხის ამბავი, სახლში მიუვარდნენ ღამე, ვითომ ფულის წართმევა უნდოდათ და შემოაკვდათ... ზაქროს სიკვდილის შემდეგ ეს საწყალიც გალოთდა, ბავშვები შიმშილით ეხოცებოდა... სამსახური რომ ვერ იშოვა, ერთი პურის გულისთვის ხან ვის დაუწვა და ხან ვის...

– საწყალი! – ნაპოს კიდევ უფრო შეეცოდა ქალი.

– ხოდა, ასე გაუბედურდა ეს მართლა საწყალი. – ჯუჯუმ უიმედოდ ჩაიქნია ხელი. მადონა კი ისევ ვარდებზე მღეროდა:

– დამაყარეთ ვარდები, როგორც თეთრი მიწა,
სუფთა თეთრი ვარდები. არც სიცოცხლე მინდა.
მიცავს ჩემი ეკალი, ერთგული და წმინდა,
დავილალე უშენოდ, სიცოცხლე მომწყინდა...

– ო, შენ გენაცვალეე, მადონაა! – სიმღერა არც კი დაამთავრებინა, ისე წამოხტა ფეხზე ღიპიანი ანზორა, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ცალი ხელი ლობიოს ჯამში ჰქონდა ჩაყოფილი, მეორეთი კი ღვინის ჭიქას ებღაუჭებოდა. დანარჩენებმაც ტაში მოაყოლეს.

– შენ გამწარდი მალე! დაეგდე ძირს! – აქოთქოთდა ციცო და თან მზისგან გადახუნებული ბადრიჯნისფერი თმის სწორება დაიწყო.

– მადონააა! – ფეხზე ძლივს იდგა ანზორი. – შენა ხარ ჩემი დედოფალი! – ეს თქვა თუ არა კაცმა, მაშინვე ციცოს გაშლილი მკლავი მოხვდა უკნიდან და ისიც პირქვე დაახტა მაგიდას. ამას მოჰყვა ქალების ქოთქოთი, რომლებიც ჩუმ-ჩუმად ლანძღავდნენ მადონას, და კაცების ხარხარი გალეშილ ანზორაზე. უცებ შეზიზღდა ეს ხალხი ნაპოს, ბოღმითა და ბოროტებით აღსავსე ბრბო. ადამიანები, რომლებიც რამდენიმე საათის წინ სიყვარულს ეფიცებოდნენ ერთმანეთს, ახლა მსხვერპლის დასაგლეჯად გამზადებულ ცხოველებს ჰგავდნენ. ამ პირწავარდნილი „მკვლელების“ გარემოცვაში ძალიან შეეცოდა მადონა, რომელიც ახლა ვიღაც ახალგაზრდა ბიჭს ეჯდა კალთაში და ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. თამადა გივი ისე გამოთვრა, რომ ყველა სადღეგრძელოს მისი მისამართით ამბობდა. იმდენი ათამაშა „აშარმა“ მადონამ წითელ ნაჭერში გამოკეტილი ძუძუები, რომ სუფრის ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომელი დაასწრებდა ხელის წაფათურებას. ბოლოს ისევ თამადამ ივაჟკაცა და ერთ-ერთს ბროლის ჭიქა გადაალეწა თავზე. გაცოფებული წამოვარდა ფეხზე შეურაცხყოფილი ბიჭი, პურის საჭრელ დანას წამოავლო ხელი და გივის მოუღერა. სამმა კაცმა ვერ დააკავა გაცხოველებული აყლაყუდა, ბიჭზე იწევდა, გატეხილი თავიდან სისხლი სდიოდა. ქალებმა წიოკი რომ ატეხეს, მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა ნაპო. პირდაპირ მაგიდას გაადახტა და აფექტში შესულ თავგატეხილს ეცა, ბიჭს უკვე კედელთან აეყუდებინა ბატონი თამადა და ყელის გამოჭრას უპირებდა. ნაპო მხრებში დაეტაკა პოტენციურ მკვლელს და აივნიდან გაადენინა ზღართანი. იქიდან კაცებმა იმარჯვეს და დასისხლიანებული „რაინდი“ ეზოში გაათრიეს. ნაპოსაც მოუნდა, გაყოლოდა, მაგრამ ადგილიდან ვეღარ დაიძრა – ძირს რომ დაეცა, მხოლოდ მაშინ იგრძნო გვერდიდან წამოსული სისხლის სითბო – ბიჭს აქნეული დანა მუცელსა და მკერდს შორის მოხვედროდა.

იისფრად თენდებოდა მწვანეში. აქა-იქ მამლების ყივილი ისმოდა, დაცვარული ხის ტოტებზე ჟივილ-ხივილით ფრთხიალებდნენ ჩიტები. ოდნავ ჩაბნელებულ ოთახში ფოთლების საამო სუნი აღწევდა ღია ფანჯრიდან. ფართო, არაბულ ტახტზე გულაღმა იწვა ნაპო, განთიადის იისფერი შუქი სუსტად ეცემოდა ფერმკრთალ სახეზე. გაქვავებული ბიჭის თავთან მოხუცი ქალი თვლემდა.

– უნდა გაიქცე, თორემ აქ დაიღუპები! – შორიდან ჩაესმოდა ვიღაცის ჩურჩული.

– გაქცევა არასოდეს ყოფილა გამოსავალი! – პასუხობდა მეორე.

– შენ ვერ გაუძლებ ამდენ ტკივილს, წადი! – იმეორებდა პირველი.

ქვის ქანდაკება უცებ შეირხა, თითქოს სული ჩაუდგესო. ნაპომ წამოდგომა დააპირა, მაგრამ საშინელმა ტკივილმა ძალა გამოაცალა და განწირულად შეჰყვირა. ყვირილზე მოხუცს გამოელვიძა, შეშინებული წამოხტა ფეხზე.

– რა დაგემართა, ბებო? – ქალმა დამჭკნარი ხელებით მოსინჯა ბიჭის გაოფლილი შუბლი. – ისევ სიცხემ აგიწია, ალბათ! – მოხუცმა თასში ჩამბალი ტილო გაწურა და ნაპოს შუბლზე დააფარა. მაშინვე გამოფხიზლდა ავადმყოფი – ძმრის მძაფრმა სუნმა – ნესტოები მოუწვა.

– ხელები გაუხმა იმ ავაზაკ გიორგუნას, – ნათელა ბებომ ცრემლი ვერ შეიკავა.

– რა გატირებს, ბებო? – ძლივს ამოიჩურჩულა ნაპომ.

– არაფერი, ბებო, დაიძინე, შენ არ იდარდო, – ქალმა ძალა მოიკრიბა და ცრემლი მოიწმინდა. მერე ისევ თავთან მიუჯდა შვილიშვილს და გახურებულ ღაწვებზე მიეფერა. თაბაშირის ფიგურა ნელ-ნელა უბრუნდებოდა საწყის მდგომარეობას. ქლიავისფერი მთების ქიმზე მზეც ამოიწვერა, ამაყად გადახედა ეზოში გადაწოლილ იასამნებს, რომელთაც მეორედ ყვავილობაც მოესწროთ უკვე. დაცვარული ფოთლების სუნს მალევე შემოუერთდა ამ თავნება ყვავილის სურნელიც და ოთახი მოტკბო ეიფორიაში გაირინდა.

– ნაპო! – სადღაც ტყის შუაგულიდან გაისმა ნაცნობი ხმა. ნაპომ თვალები აატრიალა და ძებნა დაიწყო.

– აქეთ ვარ! – ხეებს შორის ნიკუშა გამოჩნდა, წელს ზემოთ შიშველი იყო და გახეხილი ჯინსები ეცვა, როგორც იმ დღეს, კიკეთის ბაღში.

– ვაა, ნიკუშ, აქ საიდან? – ნაპომ გაოცებისგან პირი დააღო.

– მაგრად მომენატრეთ. სად არიან ბიჭები? რატომ აღარ ამოდიხართ?

– რავი... გუგა რუმინეთშია, სანდრიკა – ბათუმში, ჯანოს კიდევ რაღაც საქმეები აქვს...

– შენ რას შვები? ისევ წასვლა გინდა?

– ხო, აბა, აქ რას ვუყურო? უნდა წავიდე! – ნაპომ დაბნეულად გაიღიმა.

– არ უნდა დაიკარგო! – ნიკუშას უცნაურად გააჟრჟოლა, სწორედ ისე, როგორც „ლომკის“ დროს სჭირდა ხოლმე.

– სად უნდა დავიკარგო?

– აუუ, მაგრად მცივა! – თითქოს განგებ გადაიტანა სიტყვა სხვა თემაზე და პატარა ბავშვივით მოიბუზა. – აქ მაგრად ცივა. ამოდით ხოლმე, რა, ხო იცი, ამ კოცონის დანთება ვერა და ვერ ვისწავლე!!!

– ხოო, – ნაპო ისევ დაიბნა...

– თუ გინდა, უნდა წახვიდე, შენ მაინც გააკეთე... მე ვერ გავქაჩე...

– კარგი, რა, ნიკუშ...

– ჰო, ეგრეა, ეგრე... დედამიწაზე ცოტა დროს გაძლევენ, ყველა წუთი უნდა გამოიყენო თურმე...

– რა ვქნა? – ნაპომ საწყალი თვალებით შეხედა მეგობარს.

– წადი... წადი, ოღონდ არ გადაიკარგო...

– ჰო...

– მე არ დამივიწყო, რა...

– არა...

– როცა ამოხვალთ, იასამნები ამომიტანეთ... ხო იცი, მაგრად მევასება...

– კი, ვიცი! – ნაპოს ცრემლი მოადგა თვალზე. სისუსტე რომ არ შეემჩნია, თვალები დახუჭა. ცრემლებმა გზა იპოვეს და უპის კუთხეებიდან გაიპარნენ. თვალი რომ გაახილა, ნიკუშას ნაცვლად დათა პაპა დაინახა, რომელიც ფანჯარასთან იდგა. მოხუცს დიდრონ თაფლისფერ თვალებში სევდა ჩადგომოდა. ხშირი თეთრი წარბები არწივივით მოეღუშა და თამბაქოს კვამლისგან გაყვითლებულ ულვაშს აწვალებდა. უკვე გათენებულიყო სოფელში. ოთახში დროდადრო ტრიალებდა იასამნის ყვავილის სუნი, რომელიც ზაფხულის ნიავს შემოჰქონდა ბაღიდან.

– როგორც ჩანს, წასვლაზე შენ სერიოზულად ფიქრობ? – მძიმედ წარმოთქვა მოხუცმა. ნაპო მოულოდნელობისგან დადუმდა. – რა დაგემართა, მითხარი?

– არაფერია, ბაბუ... – ნაპომ განგებ აარიდა თვალი დათას გამომცდელ მზერას და ჭერს მიაშტერდა – გაყვითლებულ შპალერზე სიცხისგან შეწუხებული ბუზები თამაშობდნენ.

– შენ რა, გგონია, იქ სონიას ნათესავები დაგხვდებიან და ოქროს სასახლეში მიგიწვევენ?

– არა! – ნაპო ისევ ბუზებს უყურებდა.

– ვიცი, შენც ფიქრობ, რომ, აქედან თუ გაიქცევი, ბედნიერი იქნები... გაგიჭირდება, ბაბუა, ძალიან გაგიჭირდება...

– აქ უფრო მიჭირს! – მკაცრად თქვა ბიჭმა.

– რა გიჭირს, მითხარი? – დათამ განუყრელი ჩიბუხი ისევ გატენა თამბაქოს ფოთლებით და ცეცხლი აუკიდა.

– აქ ჩემი ადგილი ვერ ვიპოვე...

– აბა, იქ იპოვი შენს ადგილს, უცხო ხალხში? ქუჩაში რომ წაიქცე, წამოდგომაში არავინ დაგეხმარება... არა, ბაბუ, ასე ადვილად არ არის, როგორც შორიდან გეჩვენება...

– აბა, რას ვუყურო, როდის შეჭამენ ერთმანეთს ფულისა და ძალაუფლებისთვის? თუ მეც ნაბოზარი უნდა გავხდე, რომ რაღაცას მივაღწიო. როდემდე ველოდო, როდის დამიძახებენ, მოდი, გვჭირდებიო. თავი ინვალიდი მგონია, ვერაფერს ვერ ვაკეთებ... მარტო ჭამა და ძილი ხო არ არის ცხოვრება... – ნაპო ჭრილობამ შეაწუხა და ისევ დაუმანჭა სახე ტკივილმა. დათა პაპა გაჩუმდა, არ მოელოდა შვილიშვილის ასეთ პასუხს.

– მითხარი, რას აპირებ? – იკითხა მცირე პაუზის შემდეგ.

– ერთი ვიცი, რომ აქ აღარ უნდა გავჩერდე...

– ეს გაქცევაა, ნაპო!

– რაც უნდა იყოს, მე აქ ველარ გავძლებ, ბაბუ! არ ვიცი, როდის, მაგრამ მაინც წავალ!

– ასე არ შეიძლება... ყველა თუ გაიქცა, აქ ვინღა დარჩება, – დათამ ღრმა ნაფაზი დაარტყა ჩიბუხიდან – ჩვენს სოფელს გადახედე, სულ დაცარიელდა. გული მტკივა, ამდენ დაკეტილ სახლს რომ ვუყურებ... ცოტა ხანი და ჩვენი სახლიც ასე გამოიკეტება... – მოხუცი ფანჯრისკენ შეტრიალდა და საკუთარი ხელით გაშენებულ ბაღს გადახედა.

– ჭკვიანი ყოფილა ის ხალხი, ვინც წავიდა, – გვერდი იცვალა ნაპომ. – აბა, ამათ ხო არ შეაჩერდებოდნენ – ჯერ სიყვარულს უხსნიან ერთმანეთს, ძმობას ეფიცებიან, მეორე წუთში კი დანით დასდევენ მოსაკლავად. – ბიჭს ტკივილისა და ბრაზისგან ყველა ნაკვთი დაემანჭა.

– ასე არ არის ეს ცხოვრება, ჩემო ბაბუა. მეც ეგრე ვიყავი ახალგაზრდობაში, მეგონა, კლდეს გადავაბრუნებდი... ღმერთმა ქნას, რომ ყველაფერი გამოგივიდეს... – მოხუცს არც კი შეუხედავს შვილიშვილისთვის, ისე გავიდა ოთახიდან.

ნაპო კიდევ ორი კვირა იწვა. ჭრილობა ნელ-ნელა უხორცდებოდა, მაგრამ აივანზე გამოსვლას მაინც ახერხებდა. იჯდა როდენის მოაზროვნის პოზაში, ქლიავისფერ მთებს გაჰყურებდა და იმ ბედნიერ წლებს იგონებდა, ბავშვი რომ იყო. უდარდელი, მხიარული და ონავარი ბავშვი, რომელსაც არაფერი აწუხებდა დედამიწის ზურგზე. ახლა ეს ბედნიერი წლები სადღაც ამ მთების გადაღმა დაკარგულიყო. ახსენდებოდა მარკესი: „ყველაზე მძიმე მაინც სულიერი მარტოობაა“-ო, რომ წერდა და ასეთ მარტოობაში უამრავი ოცნება შენდებოდა და ინგრეოდა. სტკიოდა ის ყველაფერი, რაც მის ქვეყანას აწუხებდა, მაგრამ ბიჭი გმირი არ იყო. მას არ შეეძლო, აეშენებინა ის, რასაც იგივე ქართველები საკუთარი უპირატესობის, ყოყლოჩინობის, ფულისა თუ სკამების გამო წლების განმავლობაში ანგრევდნენ.

„ამ ქვეყნიდან წასვლა რომ მინდა – ეს არ არის მოდა, – თავში უტრიალებდა ნიკუშას სიტყვები, – არც რამის ამბიცია მაქვს. უბრალოდ, ხომ შეიძლება, მეც ვიპოვო საკუთარი თავი. რადგან ეს აქ არ გამომდის, სხვაგან მოვძებნი!“ შეიძლება მართალიც იყო დათა პაპა, როცა ეუბნებოდა – ყველა თუ გაიქცა, აქ ვინღა დარჩებაო, მაგრამ ასეთ დარჩენას წასვლა ჯობდა. ნაპოს არ სჭირდება დაფნის გვირგვინი ან თეთრი ლიმუზინი, არც მილიონებს ელოდება ამისგან. უბრალოდ, უნდა, რომ თავისი საქმე აკეთოს.

ასე ფიქრებში გადიოდა ყოველი დღე, საკუთარ თავთან ბრძოლასა და რაღაცის მტკიცებაში. დათა პაპას იმ დღის შემდეგ თითქმის ხმა არ ამოუღია – ეტყობოდა, ნაწყენი იყო. ნათელა ბებო კი შინაგანად გრძნობდა, რაღაც უჭირდა მის ერთადერთ შვილიშვილს და თავს ევლებოდა. ბიჭიც ყოველ დილით ცხელ რძეს მიირთმევდა და თითქოს ასე მკურნალობდა დეპრესიულ ნარჩენებს. რეალურად ის ახლა გზებს ეძებდა, როგორ უნდა წასულიყო, სად უნდა ეშოვა ფული, იქ როგორ მოეწყობოდა. ამ კითხვების ჭიდილში იყო, ერთ დღესაც გუგას მესიჯი რომ მიიღო: „ორ დღეში თბილისში ჩამოვდივარ, შენთვის მაგარი სიურპრიზი მაქვს. ასე რომ, მოემზადე!“ – ნაპოს თითქოს თვალები გაუნათდა. ათასჯერ მაინც წაიკითხა მეგობრის წერილი და ათას ვერსიაზე დაიწყო ფიქრი. საბოლოო დასკვნა მაინც ასეთი იყო: ალბათ, სადმე საზაფხულო ტურნეში მოუწევს გამგზავრება. ასე იყო წინა წლებში – გუგას მოცეკვავეთა ანსამბლის გასტროლების მეშვეობით ნაპომ ესპანეთი, საფრანგეთი, პოლონეთი და უკრაინა მოიარა. ბიჭს იმედი მიეცა, რომ რამდენიმე კვირით მაინც გამოიცვლიდა ამ დეპრესიულ გარემოს. განწყობა გამოუკეთდა, ჭრილობაც დაავიწყდა, შეშლილივით მოირბინა მთელი ეზო და ბაღები. გაოგნებული შეჰყურებდნენ დათა და ნათელა გადარეულ შვილიშვილს: ჯერ იყო და სევდა-ტკივილით იღვრებოდა ყოველდღე, ახლა კი გიჟივით დარბოდა გახარებული. ბიჭი თითქოს ემშვიდობებოდა ბავშვობის მოგონებებს, იმ წლებს, როდესაც ისეთივე ლაღი იყო, როგორც ახლა.

მეორე დღეს ნაპომ თავისი გორგოლაჭებიანი ჩემოდანი გამოაგორა, ჯერ ტანსაცმელი ჩაალაგა, მერე ბაღში იასამნები დაკრიფა. უნდოდა, აქედან წაღებული იასამანი, თუნდაც დამჭკნარი, აეტანა ნიკუშას საფლავზე. დათა პაპა მოწყენილი იდგა აივანზე და ჩიბუხს აბოლებდა. ენანებოდა შვილიშვილის გაშვება, მაგრამ ამაყად დუმდა. ნათელა ბებო კი საგზალს უმზადებდა ნაპოს, თან ცრემლს ვერ იკავებდა.

– წავა ახლა ეს და კიდევ კარგა ხანს აღარ ჩამოგვხედავს! – განიცდიდა ქალი.

– კარგი, გეყოფა, ნუ დასტირი თავზე! – მკაცრად უთხრა დათამ.

– თავზე კი არ დავტირი, მეტირება, – ცრემლი მოიწმინდა ნათელამ.

ამასობაში ნაპომ ჩემოდანი გამოაგორა და მოხუცების წინ გაჩერდა. არ უყვარდა გამომშვიდობება ბიჭს და ახლაც იგივე განცდა დაეუფლა – გული აუჩუყდა. ეტკინა მათი განცდები, რომელიც მონატრებას, მარტოობას და სიბერეს აერთიანებდა. ზუსტად იცოდა, რომ პავლე აქ არასდროს ჩამოვიდოდა, ამიტომ ერთადერთი იმედი ამ მოხუცებისთვის თავად იყო. გაახსენდა დათა პაპას ნათქვამიც „გული მტკივა ამდენ დაკეტილ სახლს რომ ვუყურებ... ცოტა ხანი და ჩვენი სახლიც ასე გამოიკეტება...“ ბიჭი უფრო მეტად დამძიმდა და მოიღუშა.

– თავს მიხედე, ბებო! ვიცი მე, ჭკვიანი რომ ხარ, მაგრამ ქვეყანაზე ათასი არეული დადის! – ქალი უცებ დაპატარავდა და ნაპოს მკერდზე მიეხუტა.

– ხოდა, მამაშენს უთხარი, სანამ მოვკვდებით, ერთხელ მაინც დაგვენახოს, – ნათელამ თავი ვეღარ შეიკავა და ისევ ატირდა.

– აღარ გინდა ამდენი ტირილი, გეყოფა! – კიდევ ერთხელ შეუბღვირა დათამ ცოლს და შვილიშვილს ჩაეხუტა. – არ დაგვივიწყო, ბაბუა, როცა მოახერხებ, ჩამოდი... ხო იცი, შენი იმედი გვაქვს! – კაცს ხმა აუკანკალდა.

– ხო, ბაბუ, მალე ჩამოვალ! – ნაპოს სიტყვა გაუწყდა, ხმა ვეღარ ამოიღო. თავისი სიტყვების თავადაც არ სჯეროდა. არ იცოდა, კიდევ როდის ჩამოვიდოდა ან ჩამოვიდოდა თუ არა საერთოდ. გული სწყდებოდა უპატრონოდ დარჩენილ მოხუცებზე, სახლზე, რომელიც, ალბათ, სხვა სახლებივით მალე გამოიკეტებოდა. ეზო გადაბალახდებოდა. იასამნები გაველურდებოდნენ. ვაზს აღარავინ გასხლავდა და ალუბლებსაც დაამტვრევდა, ალბათ, ზამთარი.

ბიჭმა სასწრაფოდ გადაკოცნა მოხუცები, ჩემოდანს ხელი ჩაავლო და წავიდა. კი არ მიდიოდა, უფრო მირბოდა – უნდოდა, სწრაფად გასულიყო ორლობეში, რომ მოხუცებს არ დაენახათ – ნაპო ტიროდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

თბილისი ისევ ისეთი ჩანდა, როგორიც დატოვა, მაგრამ ახალდაბრუნებულს მაინც ჰქონდა განცდა, რომ თითქოს რაღაცას გამოაკლდა. ყოველთვის ასე იყო ხოლმე, როცა ქალაქში ბრუნდებოდა. უნდოდა, უფრო დაწვრილებით გაეგო იმის შესახებ, რაც აქ მის არყოფნაში ხდებოდა. ამას ნაპო „თბილისურ ლომკას“ ეძახდა. ისევ იგრძნო ოფლისა და მტვრის სუნი, რომელიც ახალგამომცხვარი ფუნთუშების ოხშივარს ერწყმოდა და ცოტა დამშვიდდა. სადგურში ჯანო დახვდა მანქანით. ბიჭს „როგორა ხარ?“ ნათქვამი არ ჰქონდა, რომ ნაპომ, ვერის სასაფლაოზე ავიდეთო უთხრა. მთელი გზა ხმა არ ამოუღია არც ერთს, იმიტომ კი არა, რომ სალაპარაკო არ ჰქონდათ, არა, ერთი დიდი საერთო ტკივილი აჩუმებდათ. ასევე უხმოდ გაიარეს გრძელი რიგი უმრავლესობა მოუვლელი საფლავებისა და შემაღლებულ ადგილს მიადგნენ. მარმარილოს მოაჯირით შემოფარგლულ საფლავზე უკვე თავი წამოეყო ბალახებს. ჯანომ მაშინვე მათი დაგლეჯა დაიწყო. ნაპომ ნახევრად დამჭკნარი იასამნები მიიტანა და პირდაპირ ქვასთან დააწყო. ყვავილის ტოტებმა ყველა წარწერა დაფარა, მხოლოდ დაბადების თარიღი ჩანდა – 1982.

– როგორც ჩანს, კარგა ხანია, არავინ ამოსულა აქ! – ჯანო მოაჯირზე ჩამოჯდა და მიწით დასვრილი ხელები გაიწმინდა.

– ეტყობა, მაგიტომაც მითხრა, ყველამ დამივიწყეთო! – სიგარეტი გააბოლა ნაპომ.

– ისე, როგორ უყვარდა იასამნები, არა..: – ჯანომ ქვაზე მიწყობილ იასამნებს გადახედა, – გახსოვს, გუგას გაცილებაზე რომ მოვიდა, მთელი ხე რომ ამოეთხარა სადღაც...

– მერე ხო ყველას დაურიგა? – ნაპოს ნიკუშა წარმოუდგა თვალწინ და სევდიანად ჩაეღიმა.

– საცოდაობა იყო მაგის სიკვდილი... – ხელი ჩაიქნია ჯანომ. – კაი, მითხარი, შენ რას შვები? ჭრილობა როგორ გაქვს?

– ხორცდება, რა, ნელ-ნელა...

– ყველა გიჟს შენ როგორ უნდა გადაეყარო. მაგნიტი გაქვს, რა...

– ყველანი გიჟები არ არიან გარშემო? – ნაპოს უაზროდ გაეცინა.

– ისე, შენზე დიდი გიჟი არავინაა!.. – ორივე გაჩუმდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჯანომ წამოიწყო: – რა გადაწყვიტე, ისევ ფიქრობ წასვლაზე?

– ხო, აბა, აქ რა ვაკეთო? უფრო მეტად გავგიჟდე? არ გამომივა, შე ჩემა, ეს ფერმერობა და რა ვქნა?! ვიფიქრე, სოფელში მაინც გავჩერდები ცოტა ხნით-მეთქი, მაგრამ ვერ გავქაჩე...

– დიდი არეული ვინმე ხარ, რა... აი, ჩამოდის ხვალ კიდევ ერთი შენნაირი და ისიც აგყვება...

– ჰო, დამიმესიჯა...

– გუგას რა უჭირს, ცეკვა-ცეკვით მაინც დადის, მაგრამ შენ რა უნდა აკეთო, მაინც ვერ გავიგე...

– რავი, მოვიფიქრებ რამეს, – ნაპო წამოდგა. კიდევ ცოტა ხნით იდგნენ ბიჭები მეგობრის საფლავთან, მერე ისევე უხმოდ გაუყვნენ გარდაცვლილთა ხეივანს, როგორც ამოიარეს, და მანქანაში ჩასხდნენ.

ქალაქმა კვლავ გაქცევის სურვილი გაუმძაფრა ნაპოს. იცოდა, რომ ეს აუცილებლად გამოვიდოდა, მაგრამ როდის, როგორ ან სად? – არადა, სჯეროდა, რომ იქ – საზღვრებს მიღმა უფრო ბედნიერი იქნებოდა. ითამაშებდა თუნდაც მეორეხარისხოვან როლებს, ექნებოდა თავისი პატარა სამყარო დიდ კინოში და, თუ მაინცდამაინც ძალიან მოენატრებოდა საქართველო, წელიწადში ერთხელ ჩამოირბენდა. მერე ველარ ეტყოდა პავლე – ერთი ტრაკგამოხეული, ხუთლარიანი მსახიობი ხარო, მონატრებულ შვილს მაგრად ჩაეხუტებოდა და იქაურ ამბებს დიდი ინტერესით გამოკითხავდა. ამის შემდეგ ნაპო მეგობრებს ჩამოუვლიდა – ჯანოს, ალბათ, უკვე ფერმა ექნებოდა და კმაყოფილი იფუსფუსებდა მამაპაპურ მიწაზე; გუგა კვლავ რომელიღაც გასტროლიდან დაბრუნდებოდა; ნინია, სავარაუდოდ, ვინმე ფულიან ბიჭს გაჰყვებოდა ცოლად, როგორც თავადვე ამბობდა; სანდრიკა და თამრი ევროპული პროექტების განხორციელებას დაიწყებდნენ, ყველანი ერთად შეიკრიბებოდნენ და ნაპოც ქართულ ღვინოში ჩაკლავდა ნოსტალგიას. მოგვიანებით საჩუქრებს დაურიგებდა ძველ „შეყვარებულებს“ და ისევ ისე, გადარეულივით შემოირბენდა თბილისის ქუჩებს.

ყოველ ნაბიჯზე ახალ-ახალი ურნები ჩაედგათ, მაგრამ ნაგავი ისევ ძირს ეყარა. გათელილი იყო გაზონებში ჩარგული ჰოლანდიური ყვავილებიც, ვილაცას მიწისქვეშა გასასვლელების ლაითბოქსებსა და ბილბორდებზე ეყარა ჯავრი. ჩამსხვრეულ მინებში ვარძიის, ზარზმისა და ოშკის ფოტოები ფრიალებდა. იქვე ამოიკითხავდით შემდეგ ტექსტებს „ლელა გლდანის თვალი ხარ!“, „თიკო ჩაარტამ?“, „თავისუფლება კოტეს!!!“, „სიკვდილი ზონდერბრიგადებს“ და ასე შემდეგ. კვლავ არაფერი შეცვლილა ამ ქალაქში. ქუჩის ერთ მხარეს ისევ ყიდდა მზესუმზირას შავოსანი ბებო, მეორე მხარეს კი თავზე ქუდჩამოფხატული მათხოვარი იჯდა წარწერით – „დამეხმარეთ, მჭირდება ოპერაცია“. ამ ყველაფერს ლაიტმოტივად გასდევდა შეძახილები:

– „ცხელი ხაჭაპურები, აბა, ფენოვანიიი..!“

– „ფეხსაცმლის მაზი, კარიჩნი და შავი, ფეხსაცმლის მაზიი“.

– „სერცეგულიანი მაიკებიიი!!!!“

– „ვიყიდი ოქროს სოლიდურ ფასად“.

– „აბა, იასამნებიი... იყიდეთ, ახალგაზრდავ, იასამნები, არ გინდათ? იასამანიიი“, – ჩემი ბიჭი, არ გინდა შენი გოგოსთვის იასამანი? – ნაპოს შავებში ჩაცმული ქალი გამოედევნა.

– არ გინდა იასამანი, ორი კონა სამ ლარში. თუ გინდა, დაგიკლებ...

– ერთი კონა მომეცით, ქალბატონო, – ნაპომ საფულე ამოიღო.

– ერთი რაღაა, ბარემ მეორეც მიაყოლე და მომეცი სამი ლარი. – შეევაჭრა ქალი.

– კარგი, მომეცით მეორეც... – აღარ შეეწინააღმდეგა ბიჭი.

– ღმერთმა შეგაბეროთ ერთმანეთს. გაიხარე, ჩემი ბიჭი... – სიხარულისგან გაიკრიჭა ქალი და ნახევრად ჭიანი კბილები გამოაჩინა.

ნაპო უხმოდ გაეცალა ქალს და ქვაფენილიან ალმართს აუყვა. გზადაგზა ფიქრობდა, ნეტავ, ოდესმე თუ შეიცვლება ეს ყველაფერი. როდის დაუბრუნდებათ ადამიანებს თვალებში სითბო, როდის მიეჩვევიან ერთმანეთის გატანას. კიდევ რამდენი მათხოვარი და ქუჩის გამყიდველი ივლის ასე? მაგრამ არა – ეს ადამიანები არაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ შეცვალონ თავიანთი ცხოვრება, ხურჯინით დატვირთული მხსნელი კი ამ ქუჩებში არასოდეს ჩამოივლის. ამ ფიქრებში იყო გართული ბიჭი, რომ ნაცნობ სადარბაზოს მიადგა. ჯერ შეყოყმანდა, დაფიქრდა, შევიდე თუ არაო, მერე ნახევრად სველ იასამნებს დახედა და კიბე სწრაფად აირბინა. ის იყო, მეხუთე სართულზე ადიოდა, რომ ქალის ნაცნობი ხმა გაიგონა და შეჩერდა.

– საღამოს რომელზე ამთავრებ?

– ალბათ, ცხრაზე მოვრჩები. დაგირეკავ, რა... – ახლა ახალგაზრდა მამაკაცის ხმაც გაისმა. ნაპომ კიდევ ორი საფეხურით ზემოთ აიწია, კიბის ჭრილიდან გამოჩნდა ღია კარში მდგომი ორი სილუეტი. ვარდისფერხალათიანი ქალი ნაზად ეამბორა შავ, მკაცრ კოსტიუმში გამოწყობილ სოლიდურ მამაკაცს და შუბლზე ჩამოყრილი ქოჩორი გადაუწია.

– მე, ალბათ, გოგოებთან ვიქნები, თუ გინდა, იქ გამოიარე! – შესთავაზა ქალმა. შავპიჯაკიანი კიბეზე დაეშვა, ნაპოს ქარბორბალასავით ჩაურბინა გვერდით და მხარი გაჰკრა. ბიჭი ცოტა ხანს იდგა წარბშეკრული და დაბნეული, მერე თითქოს სიამაყე გადალახა და გიჟივით ავარდა მეექვსე სართულზე. ნერვულად დარეკა ზარი სამჯერ, ბოლოს კაკუნზე გადავიდა. ვარდისფერხალათიანი ქალი თითქოს განგებ არ აღებდა კარს, ნაპო კი შეუჩერებლად რეკავდა და აბრახუნებდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ შიგნიდან ფეხის ხმა გაისმა.

– გამარჯობა, მაკო! – კარის გაღებისთანავე შეაგება ბიჭმა. ქალი დაიბნა და სახე წამოუწითლდა.

– ნაპო?

– ჰო, ვიცი, არ მელოდი, – ნაპოს არც უკითხავს, შეიძლება თუ არაო, ისე შევარდა ოთახში. ხელში ჩაბღუჯული იასამნები მაგიდაზე დაყარა და არეულ საწოლს ნერვული მზერა მოავლო.

– როდის ჩამოხვედი? – დამნაშავესავით იკითხა მაკომ.

– დღეს! – ნაპო ლოგინზე ჩამოჯდა. – ბიზნესმენია?

– ვინ? – ქალი კიდევ უფრო დაიბნა.

– მითხარი, მაკო, ეჭვიანობის სცენებს არ გიმართავ!

– რა მნიშვნელობა აქვს...

– არა, უბრალოდ, მაინტერესებდა...

– შენ კიდევ რამე გაინტერესებს ჩემზე? – მაკომ სიგარეტს მოუკიდა.

– საინტერესო თეორიაა, „ბიოლოგიური პროდუქტების ჩანაცვლება ერთ თვეში!“ – დაახლოებით ისეთივე ინტონაციით წარმოთქვა ნაპომ, როგორც სცენაზე ამბობდა ხოლმე ტექსტებს.

– არ არის საჭირო ეს ცინიზმი! მე სათამაშო არა ვარ, როცა მოგინდება, გაერთობი და მერე, რომ მოგბეზრდება, გადააგდებ. მეც დანარჩენებივით მომექეცი...

– ეგ რა შუაშია?

– იცი, რას მეუბნებოდნენ შენზე? ეგ ბიჭი არასერიოზულია, მალე მობეზრდები და მიგატოვებსო, ყველა ქალს სათამაშოსავით ექცევაო...

– აუუფ, არ გამომიყვანეს კაზანოვა... მერე, მერე? კიდევ რაო? – ნაპოს სიბრაზისგან თვალები ჩაუწითლდა.

– სულ თამაშობ, რაღაც არარეალურ როლებს თამაშობ... – მაკოს ცრემლები წამოუვიდა.

– რაო, ისეთი კარგი მსახიობი ვარ, რომ გეტირება კიდეც?.. რა სამწუხაროა, რომ ასე ცუდად გამიცანი...

– მეგონა, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელდებოდა...

– მაგრამ გამოჩნდა შავკოსტიუმიანი ბიზნესმენი და დედოფალს თავგზა აუბნია...

– მე შენ მიმატოვე...

– ჰო, მიგატოვე, – ნაპომ თავზე ხელები შემოიწყო და მუხლებს დაეყრდნო. – აზრი არა აქვს რამის ახსნას, შენ ხომ სხვადასხვა ჭორბიუროს მიხედვით აკეთებ დასკვნებს...

– შეურაცხყოფილი ხარ, არა? – ქალში თითქოს გველმა გაიღვიძა, ისე წაუსისინა ეს ფრაზა, – არ გეგონა, რომ შენ გარდა კიდევ ვინმე მომაქცევდა ყურადღებას... დარწმუნებული იყავი, რომ შენს ლოთობას, უაზრო ახირებებს კიდევ დიდხანს ავიტანდი. როცა გინდოდა, წახვიდოდი და მოხვიდოდი...

– აღარ შეგაწუხებთ, ბოდიშს ვიხდი ყველაფრისთვის. – ნაპომ ხელები აწია და წამოდგა. – რა უცნაურია ეს ცხოვრება...

– გაგიკვირდა, არა? ქალმა დაგასწრო... – მაკომ სიამაყისგან კისერი შემართა.

– უკვე აღარაფერი მიკვირს... კარგი... – ბიჭმა ნერვები მოთოკა და ძალით გაიღიმა, – მოკლედ, ფინიტა ლა კომედია.

– ალბათ, ამის შემდეგ მიხვდები, რომ ასე არ უნდა მოექცე ქალებს... – მთელი სერიოზულობით უპასუხა მაკომ.

– ქალები მუზებს უნდა ემსახურონ – ირონიულად ჩაეღიმა ნაპოს.

– გიჟი ხარ! – მაკოსაც გაეღიმა, – და ცუდია, რომ ასეთი გიჟი შემიყვარდა...

– სამწუხაროა, რომ თქვენ ამ გიჟის მხოლოდ ცუდი მხარეები დაინახეთ, მაგრამ ყველა ხომ თავისებურად აღიქვამს მოდილიანის სახედაგრძელებულ პორტრეტებსაც...

– რა სასაცილოა ეს მაღალფარდოვანი დიალოგები...

– კარგი, წავედი! – უცებ მოიღუშა ნაპო. მაკოსაც სახე შეეცვალა.

– იმედია, იპოვი შენს ჟანა ებიუტერნს...

– არა, ჟანა უკვე მოკვდა... მოდილიანიც! თქვენი კავალერი ამიერიდან პიკასო იქნება... – ნაპომ გიჟივით ატეხა სიცილი და ასე წავიდა კარისკენ. მაკოს ისევ აუცრემლდა თვალები.

– თავს მიხედე! – მხოლოდ ამის თქმა მოასწრო ქალმა, ნაპომ კარი ცხვირწინ ისე მოუხურა, რომ უკანაც არ მოუხედავს.

შეურაცხყოფილი და მარტოსული კაცი იჯდა ახლა ნაპოს სხეულში. ეს პერსონაჟი ეზიზღებოდა ბიჭს ისევე, როგორც უსარგებლოდ მოძრავი მამა. პავლე მთელი მისი ცხოვრების კომპლექსი იყო და ახლაც, როცა მიატოვეს, ისევ მამა დაუდგა თვალწინ. რატომ ხდება ასე? ნუთუ ყველა დამნაშავეა მის გარშემო? – ახლა უკვე საკუთარ თავში დაიწყო პასუხების ძებნა.

– „მე მთელს დედამიწას დუელში ვიწვევ!!!“ – წამოიძახა ვიღაცამ.

– „არა, ასე მხოლოდ გალაკტიონს შეეძლო ეთქვა!“ – გამოეხმაურა მეორე.

– „ეგოისტი ხარ! მთელს სამყაროს ებრძვი, დაიღუპები, იცოდე!“

– „შენ გგონია, ამ გზით იპოვი შენს თავს? ცდები, ნაპოლეონ!“

– „აბა, რომელი გზით წავიდე?“ – ნაპომ ხმამაღლა იკითხა და თვითონაც გაუკვირდა, რადგან აღმოაჩინა, რომ მარტო იყო ქუჩაში. უცებ შეეშინდა ბიჭს, შეეშინდა არა სიბნელის, რომელიც მშიერი მგელივით წამოსდგომოდა თავზე ქალაქს, არამედ მარტოობის. ამ უსიამოვნო შეგრძნებამ კიდევ უფრო ააჩქარა – ძუნძულით გარბოდა ვიწრო ქუჩებში. ეს საკუთარი თავიდან გაქცევას ჰგავდა.

შუაგზაზე გაახსენდა, რომ გუგასთან უნდა ასულიყო და დაპირებულმა „სიურპრიზმა“ ცოტა გაახალისა. გზად წამოსწრებულმა წვიმამ კიდევ უფრო გამოაფხიზლა.

გუგასთან დიდი აურზაური იყო. ქაოსმა კიდევ უფრო დააბნია ნაპო. ბევრმა ხალხმა დათრგუნა და მაშინვე სასმელს მიეძალა. გიჟივით ზედიზედ გამოცალა სამი ჭიქა ვისკი. დაძაბული სხეული მალევე მოთენთა იმ დოზამ, რომელიც აქამდე მხოლოდ განწყობის შესაქმნელად თუ ჰყოფნიდა.

– სად მოასწარი გამოთრობა?

– რაღაც გამხდარი ხარ, ნაპო...

– ჭრილობა როგორ გაქვს?

– ვაა, რა დაგემართა, ეეე?

ერთმანეთში ირეოდა სხვადასხვა შეკითხვა, უცნობი და ნაცნობი ადამიანები. მერე მეგობრები გაყინული, ცივი სახეებით. გაუცხოებული სულების მეჯლისს ჰგავდა ეს შეკრება. ამან უფრო გააღიზიანა ბიჭი, თვალწინ წარმოუდგა ნიკუშას გარდაცვალების დღეები, გამშრალი ცრემლები და მოვალეობის მოხდის მიზნით დაყენებული სახეები. იმ დღეებში ყველა აქტიური იყო, მაგრამ დაკრძალეს თუ არა, აღარავის გახსენებია.

– ნაპო, რატომ დაგვეკარგე? – გამოაფხიზლა ნინიას ხმამ. ბიჭმა მაშინვე სიყალბე დაიჭირა გოგოს ხმაში.

– მერე დაგერეკათ ერთი! – ნაპო თითქოს ახლა მოეგო გონს.

– რავი, ველარ მოვახერხე... – დაიბნა ნინია.

– სამაგიეროდ შენმა დაქალმა მოახერხა ბევრი რამე... – ბიჭი უნებურად შეეხო ჯერ კიდევ მტკივნეულ თემას.

– რა მოახერხა?

– კარგი, რა, ნინია, თავს რატომ იდებილებ. შენ ხომ ჩემზე კარგად იცი მაკოს ამბები. ყველაფერი კარგად იცოდი მაშინაც და ახლაც იცი, რა ხდება!.. – ნაპომ სწრაფად გამოცალა კიდევ ერთი ჭიქა ვისკი.

– მე რა შუაში ვარ თქვენს ურთიერთობაში? – აწიწმატდა გოგო.

– არაფერი, დაიკიდე, არაფერ შუაში არ ხარ... – ნაპო ნერვულობისა და ალკოჰოლის ზემოქმედებისგან ერთდროულად წამოწითლდა. – აბა, რა უნდოდა ფროილაინ ჯანაშიას ვინმე არასერიოზულ არამზადასთან...

– რომელ არამზადაზე ლაპარაკობთ? – მოსაუბრეებს თავზე წამოადგა სანდრიკა, ბოთლიდან ღვინო მოწრუპა და გაიჯგიმა.

– ჩემზე, სანდრიკ, ვერ მიცანი? მე ხომ ყველაზე დიდი ჩათლახი ვარ ქალაქში... – თავი დახარა ნაპომ.

– კარგი, ბიჭო, რა გჭირს შენ, სულ გააფრინე, ხო? რას აყოლიხარ ამ დედააჭორავებულებს... დაიკიდე, რა! – ხელი აიქნია სანდრომ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

– ეს დაკიდება მაგრად იცით! – ნაპო ფეხზე წამოხტა, – შეგაფურთხებენ – დაიკიდე, დაგენძრევა – დაიკიდე, მოკვდება ვინმე – დაიკიდე... რა მარტივია, არა, ცხოვრება? ისე, სად გეტევათ ამდენი რამე, მეც მასწავლეთ, რა, იქნებ, მეც ჩამოვიკიდო...

– სულ გადაირიე, შე ჩემა? რა მოგივიდა? – სანდრო გაშტერებული შეჰყურებდა მეგობარს.

– რა რა მომივიდა, სანდრიკ? მაგას როგორ მეკითხები? რა უნდა მომსვლოდა შენი აზრით? მილიონები გამეყინა შვეიცარიის ბანკში და მაგას განვიცდი; ჰაიტიზე ვილა დამენგრა მიწისძვრის დროს და ჩემი ნაშა ჩემივე პორშეთი ამოყირავდა გორის გზატკეცილზე.

– აურიე, ხო? – ველარ მოითმინა ნინიამ.

– ხო, გავგიჟდი, მეგობრებო... სულ გავაფრინე... – ნაპომ გიჟივით აატრიალა თვალები, – ოო, როგორი გიჟი ვააარ! – მერე ყვირილი დაიწყო. – რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის, გიჟი ვარ თუ შიზოიდი, სულ ფეხებზე არ გკიდიათ? ორი თვის დამარხული მეგობარი დაგავიწყდათ და ცოცხალს მიკითხავთ?!

– კაი, დაწყნარდი, ნაპო, რა გჭირს? სირცხვილია! – ჩაერია თამრი, რომელიც ხმაურზე მოვიდა.

– ხო, დავწყნარდები... რა აზრი აქვს... – ნაპომ ხელი აიქნია და აივნისკენ წავიდა. მეგობრები გაოგნებულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ხმა არავის ამოუღია.

ბიჭი კარგა ხანს იდგა სიბნელეში და ჩუმად სვამდა. ნერვული შეტევისგან ხელები უკანკალებდა. დაუზოგავად ისხამდა ალკოჰოლის დიდ დოზას სისხლში, მაგრამ არ თვრებოდა. მერე აივანს მიუახლოვდა, მოაჯირს ხელი ჩაავლო და ქუჩას გადახედა. ცივმა რკინამ სასიამოვნოდ გააჟრჟოლა. თვალი აუჭრელა ქაოტური ქუჩის ნათებამ, გულისრევის შეგრძნება დაეუფლა, თუმცა მაინც გადაწვა მოაჯირზე. თავი დახარა თუ არა, მაშინვე ატრიალდა ცა და მიწა. ერთმანეთში აირია ლამპიონების ყვითელი შუქი, შეუჩერებლად მოძრავი მანქანები, მაფიოზთა შეკრებასავით ჩაწყობილი ჭადრები. დროდადრო მანქანის გაბმული სიგნალი თუ გამოაფხიზლებდა, თორემ სადღაც შორს დაფრინავდა სახიფათო პოზაში მდგომი. ალბათ, ტრაგიკულად დამთავრდებოდა ეს თამაში, რომ არა ძლიერი მკლავები, რომელიც ნაპოს უკნიდან სწვდა და აივნის შიგნით გადაათრია.

– რა გჭირს, ბიჭო, რას აკეთებ, ეე? – ნაპომ ძლივს გაუსწორა თვალი მაღალ, კუნთმაგარ ბიჭს, რომელიც თავზე წამოდგომოდა.

– ვაა, გუგაა... – სულელივით გაიკრიჭა და თვალები აატრიალა.

– რას აპირებდი, გადახტომა გინდოდა თუ ახალი თამაშია რამე? – გუგამ სასწრაფოდ მოუკიდა სიგარეტს.

– არაფერია! – ნაპომ ხელი აიქნია, – მომაწევინე, რაა...

– მაგარი შეცვლილი ხარ, შე ჩემა. რამე ხდება და მიმალავ? – გუგამ სიგარეტი გაუწოდა მეგობარს.

– გემი ჩაიძირა, გუგაჯან, გემიიიი...

– გემი ჩაიძირა კი არადა, აზრზე მოდი, თუ არა, მაგრად გცემ, იცოდე! – გაბრაზდა ბიჭი.

– მასწავლე, რა, როგორ მოვიდე აზრზე. მეც მაგრად მინდა... – ნაპომ სულელური სიცილი ატეხა.

– არა, რა, შენი აქ გაჩერება არ შეიძლება. ცოტა ხნით თუ არ გახვედი, ასათიანზე ასაყვანი იქნები, როგორც გატყობ...

– მერე?

– მერე და სექტემბრის ბოლოს გაგიყოლებ თან, იქნებ, ცოტა გამოფხიზლდე...

– სად მიგყავარ? – ნაპომ სიგარეტი მოისროლა და ფეხზე წამოდგა.

– გითხრა უკვე? – ეშმაკურად ჩაეცინა გუგას.

– რავი, თუ გინდა, გზაში მითხარი...

– იქ, სადაც ყველა გზა მიდის... – თქვა გუგამ და ნაპოს რეაქციას დაელოდა. ბიჭი ჯერ წამოწითლდა, მერე თვალები გაუნათდა და ბოლოს ისევ გუგას მიუჯდა გვერდით.

– მართლა, ტოო? – ძლივს გახსნა მოულოდნელობისგან შეკრული კრიჭა ნაპომ.

– მართლა, ხო. ერთი კვირა რომში ვიქნებით, მერე ფლორენციასა და პერუჯაში გვაქვს კონცერტები და ბოლოს სიცილიაში ჩავალთ, პალერმოს ფესტივალზე. მოკლედ, მაგარი ამბები გველის, რა... – სიამაყით წარმოთქვა გუგამ და ნაპოს გადახედა. ბიჭი გაშტერებული იჯდა, თავი ცისკენ აეტრიალებინა და არ იძროდა.

– იტალია? – ენაბლუსავით ჩაიბუტბუტა ნაპომ.

– უბრალოდ, ეგ ტეხავს, რომ ავტობუსით მოგვიწევს ჯანჯღარი... მაგრამ ამისთვის ღირს, რა...

– ფეხებზე მკიდია ავტობუსი, მთავარია, მანდ ჩავიდე და... – ნაპოს სახე გაუნათდა, უცებ გამოფხიზლდა და ის ბედნიერი ნაპერწკლები დაუბრუნდა, ადრე რომ უთამაშებდა თვალებში.

– ჰა, გამომივიდა სიურპრიზი? – გახარებული იყო გუგაც.

– სიურპრიზი კი არადა, ყველაფერი გამოგივიდა! – გადაეხვია ნაპო მეგობარს.

– ჰოდა, აღარ დაგინახო ასე გადათიშული მეორედ, თორემ მაგრად გცემ, იცოდე! – მხარზე შემოკრა ხელი გუგამ.

– არის, ამხანაგო მაიორო! – მხედრულ პოზაში გაიჭიმა ნაპო, თან საფეთქელთან მარცხენა ხელის მტევანი აიფარა.

ამ დღემ და გუგასთან დიალოგმა ძალიან გამოცვალა ნაპო. თითქოს მეორედ დაიბადა, ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი იყო. ამ ბედნიერებას უბინაოდ დარჩენამაც ვერაფერი დააკლო: მთაწმინდის სახლი ბანკმა დააყადაღა, პავლე ჯულიასთან გადავიდა ორთაჭალაში საცხოვრებლად, ბიჭი კი ხან ჯანოსთან რჩებოდა და ხანაც გუგასთან. უკვე ჩამოყალიბებული გეგმები ჰქონდა ბებია სონიას ქვეყანასთან დაკავშირებით, თუმცა ამაზე ხმამაღლა არ ლაპარაკობდა. პირველი, რაც გააკეთა, გუგას მეგობარ გოგოს, თინანოს, რომელიც იტალიურის სპეციალისტი იყო, კერძო გაკვეთილებზე ესწრებოდა. მერე წიგნები გამოართვა და კითხულობდა.

– შენ უნდა ნახო, როგორი აქცენტით ლაპარაკობს? – გაოგნებული უყვებოდა თინანო გუგას, – ისეთი გამოთქმა აქვს, გეგონება, რომში დაიბადაო.

– ფესვები, ფესვები მაინც რას შვება, ა? – იცინოდა გუგა.

– ცოტა ხანი დამაცადეთ თქვენ და სიცილიურ აქცენტსაც ავითვისებ! – იჯგიმებოდა ნაპო. სულ იძახდა:

„ეს ჩემი ენაა, თავს ყველაზე კომფორტულად ვგრძნობ! სონიას რა ვუთხარი, ქართულ მიწაზე რომ დარჩა, თორემ ხომ მექნებოდა ახლა ერთი ვილა ტაორმინაში!“

იტალიურის პარალელურად კიდევ ერთი სიახლე შემოვიდა ნაპოს ცხოვრებაში: ისევ კინო, ამჯერად ქართული და თანაც – გადაღებები ბათუმში. გუგასაც თავისუფალი დღეები გამოუჩნდა და ყველანი ერთად შავი ზღვისპირა ქალაქში გადაბარგდნენ. ფილმის გადაღებებს ლამის მთელი დღე მიჰქონდა, მიუხედავად დაღლილობისა, სახლში დაბრუნებული ნაპო იტალიურში მეცადინეობას მაინც ახერხებდა. თანაც თავში სულ ის ფრაზა უტრიალებდა: „რაც გინდა, ის აუცილებლად გამოგივა“. ამაში დარწმუნებული ხანდახან თავის თავს ეწინააღმდეგებოდა – „ილუზიას ჰგავს, ისწავლე იტალიური და ორი-სამი კვირით იმოგზაურე სხვადასხვა ქალაქში, მერე რა უნდა მოხდეს?“ ეს „რა“ ახლა ყველაფერი იყო მისთვის – გამოცანაც და ამოცანაც, სტიმული, ინტერესი, ახალი გეგმები თუ სარისკო გადაწყვეტილება. ეჭვებს ისევ უსაზღვრო ფანტაზიები უპირისპირდებოდა და ნაპო იტალიის ბორცვების თავზე ფრთაგაშლილი დაფრინავდა. იმედიანი მომავალი კი ბუნდოვანი მიზნების განხორციელების სურვილს ამძაფრებდა.

– ყურადღება, ვიწყებთ! – დაიძახებდა რეჟისორი და ასე, ერთი ხელმოსმით ირღვეოდა ნაპოს უსაზღვრო ფანტაზიებით შეთითხნილი სამყარო. აპენინებზე მოგზაური, მეოცნებე ბიჭი კი ისევ ნარკომანი გურიკა ხდებოდა.

– ნაპო, წამოდი, თემო! მოემზადე! – ისმოდა რუპორში რეჟისორის როხროხა ხმა. ნაპოც კამერას დაინახავდა თუ არა, მაშინვე ყველაფერი ავიწყდებოდა და იწყებოდა თამაში. ამ ბანალურ სცენარშიც, რომელიც ორი ნარკომანი მეგობრის ტრაგიკულ დღეებს აღწერდა, ბედნიერად გრძნობდა თავს ნაპო. დროდადრო რწმუნდებოდა იმაში, რომ მისი მოწოდება კინო იყო და არა თეატრი. ამ შეგრძნებამ უფრო დაანახვა წასვლის აუცილებლობა და ბიჭიც მეტი სტიმულით ასრულებდა როლს.

– ყოჩაღ, ნაპო! დროულად გამოგისწრია თეატრიდან, თორე ორი წელიც და ისე დაიშტამპებოდი, რომ ახლა ნარკამანი ჰამლეტას პონტში იქნებოდი, – ამაყობდა რეჟისორი ნაპოს ოსტატობით. – აბა, ჩვენი მსახიობები უნდა ნახო შენ, ისეთი პათეტიკით მიკეთებენ უბრალო ქუჩის ბიჭს, ჭკუიდან გადავყავარ!

დაახლოებით ასეთი, თეატრიდან მოსული იყო ლიზაც, რომელიც ფილმში ნაპოს შეყვარებულს თამაშობდა. გოგონას უკვე მოესწრო ხუთიოდე როლის თამაში თეატრში, თუმცა გადასაღებ მოედანზე დაბნეული იდგა. უხერხულად აცეცებდა მონაცრისფრო თვალებს და ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა: როცა შენიშვნას მისცემდნენ, მაშინვე წითლდებოდა, სიწითლის დასაფარად კი წითურ თმას ჩამოიყრიდა და ასე მალავდა სახეს. ნაპო სულ ეხუმრებოდა – კატრინ დენევს ჰგავხარ მარკო ფერერის ფილმიდან „ლიზა“, ისეთივე ცივი და მიმზიდველი ხარო, ლიზა კი ამ ყველაფერს არ იმჩნევდა და დიდი ტრაგიზმით განაგრძობდა დაზეპირებული ტექსტების რახარუხს.

– არ მინდა, გოგო, ეს თეატრალური ტრაგიზმი, დაივიწყე თეატრი და დრამადრუცუნები! – ყვიროდა გაბრაზებული ბატონი სოსო. – მაჩვენე შენი ტკივილი, შენი ემოცია წამოიღე!

ლიზა ისევ თმაჩამოყრილი იდგა კამერის წინ და არ იძროდა, მერე ამ ყველაფერზე სულელივით ატეხდა სიცილს და ორივე ლოყაზე პატარა ღრმულები უჩნდებოდა.

– აბა, როგორ გინდა, რამე უთხრა; შეხედე, რა ლამაზია ეს შობელძაღლი! – ულვაშზე ხელს ისვამდა ბატონი სოსო და თვითონაც ეცინებოდა. ნაპოსაც თავიდანვე თვალში მოხვდა ლიზას უჩვეულო გარეგნობა და წითური ეშხი, მაგრამ სულ ტყუილად – გოგონას შეყვარებული ჰყავდა, ჯმუხი და შავტუხა მამუკა. გადამღებმა ჯგუფმა მას ხუმრობით „მუგუზალა“ შეარქვა და ზურგს უკან ყველა დასცინოდა.

– შეხედე, ბიჭო, ვისთან დადის ეს ანგელოზივით გოგო. ერთი, ცოლი არ მყავდეს, მაგ მუგუზალას მაგარს ავკენწლავდი! – ეუბნებოდა ნაპოს მისი პარტნიორი თემო.

– ეტყობა, უყვარს, თორემ, აბა, რა გააჩერებდა ამ ჩემისასთან?! – სიცილით პასუხობდა ბიჭი და

რეალურად არც კი ფიქრობდა ლიზას შებმაზე, რადგან არცთუ ისე დიდი ხანი იყო გასული, რაც მაკოს დაშორდა. ნაპოს დღემდე ახსოვდა ის ტკივილი, რაც ამ ურთიერთობის დასრულებამ მოუტანა. შეურაცხყოფილი და მიტოვებული კაცის პოზიცია კი მარტოობისკენ უფრო უბიძგებდა, ვიდრე ახალი ურთიერთობისკენ. მაკოს „ყველა ქალის სახელით“ აღებული რევანში კიდევ ერთხელ არწმუნებდა იმაში, რომ ასეთი ყოველთვიური გატაცებები კარგს არაფერს მოუტანდა.

– ალარ შემიძლია ამ ქართველი ქალების ატანა, წავალ და მოვიყვან იტალიელ ცოლს! – ხუმრობით უთხრა ერთხელ ჯანოს.

– შენ ისე აფრენ, ვერც იტალიელი გაგიძლებს. კაცი ვერ გაიგებს, რა დროს რა გინდა! – უპასუხა მეგობარმა.

იტალიურ ოცნებამდე სულ რაღაც ორი თვე რჩებოდა. ასე რომ, ნაპოს აზრადაც არ მოსვლია ახალი სასიყვარულო ურთიერთობის წამოწყება, თუმცა ფილმის ერთ-ერთმა ეროტიკულმა სცენამ ყველაფერი შეცვალა.

ეპიზოდმა, რომელშიც ნაპოს პერსონაჟი გურიკა ძალით ამყარებს სექსუალურ კონტაქტს თავის შეყვარებულთან, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. შეზარხოშებული მამუკა სწორედ იმ დროს მოვიდა გადასაღებ მოედანზე, როდესაც ნაპო ლიზას პერანგს ახევდა. მუგუზალამ ჯერ თავი შეიკავა, მაგრამ, როცა გოგოს ვარდისფერი ძუძუები გამოუჩნდა, თავი ველარ მოთოკა და სახეალეწილი მივარდა თავის შეყვარებულს. ამას მოჰყვა რუპორში ბატონი სოსოს შეძახილი, „უცხო პირებმა დატოვეთ გადაღების ადგილი!“ რამაც სულ გადარია მამუკა და ლიზას თმაში სწვდა. შეშინებულმა გოგომ ხმის ამოღებაც კი ვერ მოასწრო, ისე მოხვდა მარჯვენა თვალში მუგუზალას კოტიტა თითებით შეკრული მუშტი. აქ უკვე ნაპომ ველარ მოითმინა და ტარზანივით გადაუხტა თვალებგათეთრებულ შავტუხას. ოპერატორმა ბიჭებმა ძლივს გამოაცალეს ხელიდან დასისხლიანებული მამუკა. დალურჯებული და წარბგახეთქილი მუგუზალა ისეთი შეშინებული იყო, რომ უკანაც არ მოუხედავს, სულ ძუნძულით დატოვა პავილიონი.

იმ დღეს გადაღება ჩაიშალა, ატირებული ლიზა კი ნაპომ წაიყვანა სასტუმროში.

– მითხარი, რა გინდოდა იმ მუგუზალასთან? – დაიწყო ნაპომ. ლიზა ჩუმად იჯდა დივანზე და ჩალურჯებულ თვალზე საფენს ისწორებდა.

– არის რალაცა, რაზეც პასუხები არ არსებობს... – გოგოს კიდევ უფრო შერცხვა, ნაპო კი ჩაფიქრდა.

– არ მითხრა ახლა, მიყვარდაო, – ირონიული გახდა ბიჭი.

– რატომ, სიყვარული რამეს ცვლის?

– არა, არაფერს და, საერთოდაც, მე არ მჯერა მაგ გრძნობის.

– დავიჯერო, არასოდეს გყვარებია? – აქ უეცრად ბანალური გახდა ლიზა.

– მეუბნებიან, შენ სიყვარული არ იციო... – ნაპო აზარტში შევიდა.

– ხო, სიყვარულსაც ცოდნა უნდა. ყველას არა აქვს ამის ნიჭი, – გათამამდა ლიზა.

– აბა, მითხარი, რა არის ეს „სიყვარული?“ – ნაპომ პირდაპირ დაიჭირა გოგოს ნაცრისფერი, ოდნავ შეშინებული თვალები და ალმაცერად გაეთამაშა. ლიზა დაიბნა, პასუხის ძებნა დაიწყო.

– „სიყვარული თავად ღმერთია“, – ღიმილით წამოიძახა ბოლოს.

– სიყვარული ღმერთია და თავად ღმერთიდან მოდის, მაგრამ შენ ჩვეულებრივ მოკვდავს უკავშირდები ამ გრძნობით... – ფილოსოფიურ განწყობაზე დამდგარმა ნაპომ სიგარეტი გააბოლა – ეს მავნე ჩვევა ხშირად შველოდა, როცა რაიმე საკითხს განიხილავდა ან კამათობდა. – მაგრამ ავიღოთ ურთიერთობის ფორმები: მოწონება, ვნება, გატაცება – ეს სიურრეალიზმის ნაწილია, ბედნიერება ნეტარებაა, ტკივილი – ცრემლი, ჯანმრთელობა – საჭირო! – ნაპომ აქ სიცილი ველარ შეიკავა.

– რას ნიშნავს სიურრეალიზმი? – ხმა დაიყენა და სრული სერიოზულობით ჰკითხა ლიზამ.

– დალი გიყვარს? სალვადორი, რა თქმა უნდა? – ისევ გაიცინა ნაპომ, მაგრამ გოგოს ეს სახელი არ ეცნო და თავი დახარა. – სიურრეალიზმი სიოა, რომელიც მიწაზე არ დადის და სულ ზემოთ ფრენა უყვარს – აი, ასე დაფარფატებს, რა, – ნაპომ ხელები აიქნია და რამდენიმე მოძრაობა გააკეთა მტევნებით. გოგო ისევ გაოგნებული უყურებდა. – ნეტა, მეც გამაგებინა, რას ეძახიან ამ სიყვარულს, ვერ ამოვხსენი, რა!.. – თითქოს თავისთვის განაგრძო ბიჭმა.

– ტანჯვას! – მთელი სერიოზულობით უპასუხა გოგომ.

– არა, ეგ უკვე დრამაა, რა... შენ რა გგონია, რომეოს და ჯულიეტას თავი რომ არ მოეკლათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ეგ ყველაფერი? – ნაპომ ხშირი წარბები შეათამაშა. – არ დაიჯერო! ადამიანებს საკუთარი თავი მოსწონთ ერთმანეთის გვერდით და მერე რაღაცებს იგონებენ, სანამ არ მობეზრდებათ. ეგეც თამაშია, რა...

– ბაბუაჩემივით ლაპარაკობ! – დაცინვა სცადა ლიზამ.

– ვაა, ბაბუაშენიც ასე ფიქრობდა? საღოლ! – ნაპომ ირონიას ირონია მიაგება.

– მართლა არავინ გყვარებია? – ისევ დასერიოზულდა გოგო.

– ჯერ კიდევ ძიებაში ვარ! – ნაპომ კვლავ ხუმრობაში გადაიტანა პასუხი.

ეგრეთ წოდებული ძიება მალე მგზნებარე რომანში გადაიზარდა. ამ დღის შემდეგ აღარ ყოფილა არც ერთი შეკითხვა. ორივე ინსტინქტურად მიჰყვებოდა ზაფხულის კინოსცენარს. ბიჭმა წინასწარ იცოდა, რომ ეს მორიგი ხანმოკლე ვნება იყო, გოგოსთვის კი ახალდამთავრებული ურთიერთობის ფონზე – ჩვეულებრივი საკურორტო რომანი. მხოლოდ ერთი, უცნაური და აქამდე უცხო შეგრძნება ჰქონდა ნაპოს – სულ ლიზასთან ყოფნა უნდოდა. ყოველ საღამოს კაფე-ბარები, რესტორნები, ბუნგალოები, ღამის კლუბები, მერე საჩუქრები – მოკლედ, ნაპო მთელ თავის ჰონორარებს ლიზას ახარჯავდა.

– „აი, თურმე რატომ სჭირდებოდა ჯმუხი და შავტუხა მამუკა – როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა“, – ეცინებოდა თავისთვის ბიჭს.

ლიზა პირველ დღეებში თავშეკავებული იყო. სიამის კატასავით იჯდა ნაპოს მკერდზე თავმიდებული და მოფერებისას კრუტუნებდა. მერე უკვე ღამის კლუბებში სმა დაიწყო, გამომწვევ ცეკვებზე გადავიდა და ბოლოს ღამის უცნობებს ეკიდებოდა კისერზე. რამდენიმე ასეთი შემთხვევა ჩხუბით დასრულდა – ხან უცნობები წაეკიდებოდნენ ერთმანეთს, ხანაც ნაპო ამტვრევდა თავ-პირს ქალის მიერ გადარეულ „ვიგინდარებს“.

– ნუთუ ეს ის პატარა გოგოა, შეშინებული ბავშვივით რომ იჯდა იმ დღეს გადაღებაზე, მერე თვალებჩალურჯებული მგზნებარედ რომ საუბრობდა სიყვარულზე? არა, რაღაც შეგეშალა, ნაპოლეონ! – თავის თავს ეუბნებოდა დაბნეული ბიჭი.

ყოველდღიურად ინგრეოდა „უმანკო გოგოს“ მითი ნაპოს წარმოდგენაში, მაგრამ მაგნიტივით მიმზიდველ წითურთმიანს თავს ვერ ანებებდა. ერთ საღამოს, მორიგი სკანდალის შემდეგ, ნაპომ ლამის ხელით წამოიყვანა ლიზა სახლში. გოგო იმდენად მთვრალი იყო, რომ გზადაგზა იხდიდა, კაცებს უსტვენდა და შიშველ მკერდს აჩვენებდა.

– გეყოფა, ლიზა! შეწყვიტე ეს ბოზივით ლაქუცი! – აღრიალდა ბიჭი.

– გაგაღიზიანე?

– გაჩერდი! – ბიჭმა თავი ვეღარ შეიკავა და გაშლილი ხელი დაუმიზნა სახეში, მაგრამ უცებ მიხვდა, რასაც აკეთებდა, და მუშტი კედელს შემოსცხო.

– ჩემი ცემა გინდა, არა? მიდი, დამარტყი! – ქალმა უაზრო სიცილი ატეხა.

– გაჩუმდი!

– შეგეშინდა? ჰა-ჰა-ჰ-ჰაა, რატომ არ მირტყამ, შეგეშინდა, არა, შე არაკაცო! – ლიზამ ისევ გადაიკისკისა და გამომწვევი მოძრაობით, ბარბაცით აიარა სასტუმროს კიბე. ნაპო მიხვდა, რომ წონასწორობას კარგავდა, მაგრამ არ შეეძლო, არ აჰყოლოდა. გაოფლილი და სახეალეწილი აედევნა უკან.

– აბა, მოდი, გამჟიმე! – კისკისებდა გადარეული ლიზა. – მოდი, მოდი, მცემე, შენ ხომ მაგარი ბიჭი ხარ!

ნაპომ კართან მიიმწყვდია ნახევრად გახდილი გოგო.

– შენც ჩმორი ყოფილხარ სხვა კაცებივით, არ მეგონა!

– მოკეტე! – დაიღრიალა ნაპომ და ლიზა შესასვლელიდან პირდაპირ საწოლთან ისროლა. გოგო მუხლებზე დაეცა, ნახევრად სველი წითური თმა შუბლსა და მკერდზე ჩამოეყარა. შემოხეული კაბის გულისპირიდან ცალი ძუძუ ამოვარდნოდა, წითელი პომადით მოთხვრილ ტუჩებს კი ცოფიანი ხარივით იჭამდა.

– ეს კარგი იყო, მაგრამ შენ მაინც იმათნაირი ნაბიჭვარი ხარ! – ამოიკივლა კატასავით გაკაპასებულმა.

– ხმა არ ამოიღო, შენი!.. – ბიჭმა პირდაპირ ცხვირწინ დაურტყა ფეხი. ამასობაში კედლის სარკეში მოჰკრა თავის თავს თვალი. სარკიდან ვიღაც გიჟი იყურებოდა შეშლილი თვალებითა და მთლად დამანჭული რომაული პროფილით. სულ სველი იყო ნაპო. ის იყო, ხელი უნდა გადაესვა გაოფლილ სახეზე, რომ არაადამიანური კივილით ფეხზე წამომხტარი ლიზა ყურის ბიბილოზე ეცა. საშინელმა ტკივილმა გამოაფხიზლა გამოთიშული, მერე თბილი, ბლანტი სითხე ჩაეღვარა კისერში და შეშინებული გვერდზე გახტა. სისხლის დანახვამ სულ გადარია ნაპო, კედელთან ატუზულ ლიზას დაეტაკა და ჯანჯღარი დაუწყო.

– რა გინდა, თავი უნდა მომაკვლევინო? რაც ცხოვრებაში არ გამიკეთებია, ის ვქნა? რამ გაგაგიჟა, მითხარი, რა გინდა?

– გამიშვი! – ლიზამ შეჰკივლა და გრძელი ფრჩხილებით ნაპოს ლოყაზე რამდენიმე წრე მოხაზა. ბიჭმა აქ უკვე ველარ მოზომა და პირდაპირ სახეში გაარტყა გაშლილი ხელი.

– დამარტყი? – ლიზა საწოლზე დაეცა და ტირილი აუვარდა, ცხვირიდან შადრევანივით ასხამდა სისხლი.

– ეს რა გამიკეთე? შენ მართლა ავადმყოფი ხარ! – ნაპო დამნაშავესავით იდგა, თვითონაც გასისხლიანებული, და უმწეოდ შეჰყურებდა ატირებულ გოგოს. მერე აბაზანაში შევარდა, ხელსახოცები გამოარბენინა, ერთი თვითონ მოიხვია კისერზე, მეორეთი კი ლიზას სისხლიანი სახის მოწმენდა დაიწყო.

– რა უბედური ვარ! სიკვდილი მინდა! – სლუკუნებდა გოგო.

– რატომ? ვერ ვხვდები, რატომ? რატომ იქცევი ასე? – იმეორებდა ნაპო და თან იმაზე ფიქრობდა,

როგორ დაკარგა თავი – ცხოვრებაში პირველად ქალს ხელი დაარტყა. აქამდე ხომ ხმამაღალი სიტყვაც კი არ უთქვამს.

„თფუ, ამის დედას შევეცი, რობერტას დავემსგავსე, ტოო“, თავისთვის იმეორებდა და საკუთარი თავი ყველაზე მეტად ეზიზღებოდა ახლა.

„ესღა გაკლდა, ნაპო, ნამდვილი ღორი ხარ!“ ქირქილებდა ვიღაც.

„ხედავ, სადამდე მიხვედი? თავი ვინ გგონია?“ საიდანღაც სისინებდა მეორე.

„ასე ვერ წახვალ წინ, ნაძირალასავით თუ იცხოვრე!“

ამ ბოლო ხმამ ძალიან გააღიზიანა ნაპო, რადგან მამამისის ტემბრს მიამსგავსა.

„შენ ყველაფერთან ერთად არაკაციც ყოფილხარ!“ ისევ გამეორდა ხმა.

– შემეშვიიიიიიი! – ნაპო ყვირილით წამოხტა ფეხზე. აღმოჩნდა, რომ ოთახში არავინ იყო, საწოლზე საცოდავად ეძინა სისხლით მოთხუპნილ ლიზას. ნაპომ აღმოაჩინა, რომ ისევ სარკესთან იდგა, რომელიც საწოლის მოპირდაპირე კედელზე ეკიდა. ცალი მხარე მასაც სისხლიანი ჰქონდა. ყურის ქვეშ უკვე გამხმარი სისხლი შავად პრიალებდა. ბიჭი აბაზანაში შევიდა და კარგა ხანს იდგა ონკანის ქვეშ თავდახრილი. ცივმა წყალმა ცოტა გამოაფხიზლა. დაბნეული იყო, ალბათ, სისხლის კვალი რომ არა, ესეც სიზმარი ეგონებოდა. ფანჯარა გამოაღო და სიგარეტს მოუკიდა. ზღვის ნესტიანი ჰავა თამბაქოსთან ერთად შეიჭრა ფილტვებში, თითქოს ტკივილი გააყუჩა, მაგრამ მალევე ამოახველა.

ნაპომ მძინარე ლიზას გადახედა. „ნუთუ ამდენი შეუძლია ამ გაწრიპულს? – საკუთარ თავს შეეწინააღმდეგა: – რატომ? გიჟია? არადა, გიჟს არ ჰგავს! იქნებ, რამე პრობლემები აქვს? მე ხომ მას კარგად არც კი ვიცნობ? მაგრამ, რაც არ უნდა პრობლემა ჰქონდეს, ასე რატომ იქცევა? ძალიან ბევრი დალია!“ – ამას საკუთარ თავთან არჩევდა და თან გოგოს სხეულს თვალს არ აცილებდა.

●

ბათუმის ნახევრად სველი დღეები ერთფეროვნებით იყო სავსე. ყოველდღიური გადაღება, ინსტინქტური თამაში, უინტერესო დიალოგები, ცარიელი საფულე და არეული ფიქრები მომავალზე. ნაპოს ახალი სენი შეეყარა – მას ლიზა ერქვა. გოგო ბოლო პერიოდში გადაღებაზე იშვიათად შემოივლიდა, რადგან ძალიან ცოტა ეპიზოდი ჰქონდა ფილმის მეორე ნაწილში. ღამღამობით სადღაც იკარგებოდა, მერე მთვრალი ბრუნდებოდა ან საერთოდ არ მოდიოდა. ნაპო კი ხან უფულობის, ხან პრინციპის გამო ფეხს არ უწყობდა გოგოს ღამეულ ცხოვრებას. ბიჭი ხვდებოდა, რომ ეს დიდი ვნებით დაწყებული ურთიერთობა კარგად არ დამთავრდებოდა, ლიზას კი ან ფეხებზე ეკიდა, ან ამაზე მეტი არც უნდოდა, რომ მიეღო.

„კინოა, რა, – ეცინებოდა ნაპოს თავის მაზოხისტურ მონაპოვარზე. – მაგრამ ყველაზე სასაცილო ის არის, რომ თავსაც არ ვანებებ; მგონი, მეც მაგრად ავურიე!“

ბოლო დროს აღარც ჩხუბობდნენ: ის სისხლიანი საღამო იარასავით დარჩა ნაპოს მეხსიერებაში. ალბათ, დანა რომ დაერტყათ, ტკივილისგან არც კი დაიყვირებდა. სასჯელივით მოსულმა ურთიერთობამ იტალიურის სწავლაზეც ააღებინა ხელი – გულს ვეღარ უდებდა. არც მეგობრების ნახვის სურვილი ჰქონდა – გადაღება დამთავრდებოდა თუ არა, მაშინვე ნომერს მიაშურებდა და საწოლზე მიეგდებოდა.

ერთ დილას ადრე გაეღვიძა ნაპოს, საათს დახედა – რვა სრულდებოდა. გადაღებამდე კიდევ სამი საათი იყო დარჩენილი. გვერდი შეიცვალა და ძილის შებრუნება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. ცოტა ხანს იწრიალა, მერე საწოლზე წამოჯდა თუ არა, ლიზას მძინარე სხეულს გადააწყდა. დაახლოებით ათი წუთი იმავე პოზაში იჯდა და გოგოს აკვირდებოდა. წითური თმა მზის სხივებივით ეფინა მხრებზე; წინა დღეს წასმული წითელი პომადა მხოლოდ ტუჩის კუთხეებში შერჩენოდა; ბავშვივით მოკუნტული იწვა ლიზა, ისეთი უმანკო და მშვენიერი, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, როგორი თავქარიანი იყო ცხოვრებაში. ბიჭმა მზრუნველობით გადაუსვა ხელი ძილისგან ოდნავ შესიებულ სახეს, შემდეგ აკოცა და მიეხუტა. მჟავე, ალკოჰოლის სუნი ასდიოდა გოგოს, რაც ფხიზელ კაცზე გამაღიზიანებლად მოქმედებს ხშირ შემთხვევაში. სახე რომ დაუკოცნა, ისევ ძველ პოზას დაუბრუნდა და თვალთვალი განაგრძო.

„როდესაც დილით გაიღვიძებ და შენ გვერდით მყოფ ქალს ყოველგვარი მაკიაჟისა და ზიზილ-პიპილოების გარეშე იმავე თვალით შეხედავ, როგორიც იყო გუშინ საღამოს, ყველაზე მომხიბვლელი პარფიუმერიისა და მოდის დახმარებით, ესე იგი, ნამდვილად გიყვარს“ – გაახსენდა ნაპოს საიდანღაც ამოკითხული ფრაზა.

– სიყვარული არა, კიტრი!!! – მკაცრად წარმოთქვა ნაპომ, თან ისე ხმამაღლა, რომ ლიზასაც გამოელვიძა.

– წვენი დამალევინე, რა, პირი მიშრება! – ამოიჩურჩულა გოგომ. ნაპო უსიტყვოდ წამოდგა და მაცივრიდან ბანანის წვენი ჩამოასხა.

– არ გინდა, ოდესმე რომ დამელაპარაკო? – წამოიწყო ბიჭმა.

– რაზე?

– როგორ მუშაობენ ბილ გეითსის ჭაბურღილები ქუვეითში? ძალიან მაინტერესებს, ლიზა! – ნაპო ფანჯარაზე შემოჯდა.

– მაგრად ხუმრობ, რა...

– არ მოგბეზრდა ბოზი ქალივით ყოველღამე აქეთ-იქით წანწალი? ხომ ხედავ, აღარაფერს გეუბნები... სვამ, მთვრალი მოდიხარ შუაღამისას, ფეხებზე გკიდივარ – ესეც არაფერი... გინდა, დავიშალოთ?

– რა გინდა, ისევ უნდა მეჩხუბო? – გოგომ ბანანის წვენი გამოცალა და უკვე გამოფხიზლებული ლოგინზე წამოჯდა.

– არა, ჩხუბს არ ვაპირებ, მაინტერესებს, რატომ იქცევი ასე?

– არ მინდა ამაზე ლაპარაკი!

– აბა, რა გინდა? ყოველ საღამოს ჩმორივით გელოდო, როდის მოხვალ ან, თუ არ მოხვალ, იმაზე ვიფიქრო, ამ ღამეს ვისთან გაატარებ?

– ხო იცი, დღეს ფული ყველაზე მნიშვნელოვანია! – ლიზა თითქოს გუნებაზე მოვიდა.

– ეგ რას ნიშნავს?

– თხუთმეტი წელი რა ნაგავშიც ვიცხოვრე, ისიც მეყოფა. ყველა ადამიანს აქვს უფლება, კარგი ცხოვრება ჰქონდეს!

– შენ ცხოვრების აწყობას ეგრე აპირებ? – ნაპო გაოგნებული შეჰყურებდა ლიზას.

– დედაჩემი მეუბნებოდა, სანამ შენი სხეული ფორმაშია, უნდა გამოიყენოო, ოთახის საწმენდი ტრიაპკა არავის სჭირდება!

– სიყვარული არ არსებობს; ფული იხარჯება; სხეული ბერდება და კვდება!

– ფეხებზე მკიდია ყველაფერი! – ისტერიკულ ყვირილზე გადავიდა გოგო.

– ეს შენი არჩევანია! – ნაპომ ჩაცმა დაიწყო. – აღარ მინდა, ვიცხოვრო იდიოტი პერსონაჟივით. კინოშიც მეყოფა, რა...

– წადი! – ლიზა ტიროდა.

– ჩათვალე, რომ უკვე წავედი! – ბიჭს თითქოს არ უნდოდა ამის თქმა, უნებურად წამოსცდა. კიდევ ელოდა ლიზასგან რაიმეს თქმას, მაგრამ ამაოდ. გოგო გადაბრუნდა და ბალიში დაიფარა თავზე. ნაპოს ფეხი უკან რჩებოდა, მაგრამ მაინც გავიდა ოთახიდან. ძალიან უნდოდა, ოთახში შებრუნებულიყო, მაგრად ჩახუტებოდა ლიზას და ცრემლიანი თვალები დაეკოცნა, თუმცა ახლა მისი ღირსება ყოველგვარ გძნობებზე უფრო მაღლა იდგა.

თითებს მაჭრიან მარმარილოს
მხრები და მკერდი
და კლეოპატრას კიბეს მაგონებს
შენი ფეხები...
ბალიშს ასწორებს სასთუმალზე
ჩემი ბოკაჩო
და ნოტებს კერავს საბნის პირზე
ჯუზეპე ვერდი...

მხოლოდ ეს სტრიქონები ახსოვდა ნაპოს ერთერთი ბოლო ლექსიდან და ახლა ზღვის ტალღებს უკითხავდა, მანქანის ფანჯრიდან რომ მოჩანდა – ამღვრეული, შეშლილი და ქაფიანი. სექტემბრის პირველ რიცხვებს ითვლიდა ძალაგამოლეული მზე და თითქოს გაბუტული შავი ზღვის კალთებში თამაშობდა. უკან რჩებოდა პალმების ხეივანი და პორტი, მუდამ აჭარული ხაჭაპურის სუნი რომ ტრიალებს. აგვისტოს კინოც დამთავრდა. ახლა ნაპო თბილისისკენ მიემგზავრებოდა.

რკინიგზის სადგური; არეული ხალხი; ქაოსი; უაზრო გადაძახილები. ოფლისა და მტვრის სუნი; ნიკოტინით გაჟღენთილი ნესტიანი ჰაერი. ქერათმიანი გამცილებლები წითელ უნიფორმებში. დამტვერილი კუპე; არყის ბოთლი და ერთჯერადი ჭიქები – მოკლე მეტრაჟივით ჩაირბინა თვალწინ, მერე მატარებელი დაიძრა და გულის გამაწვრილებელმა კივილმა გამოაფხიზლა ბიჭი.

– რას ფიქრობ, კარგი გამოვიდა ფილმი? – სიჩუმე დაარღვია ჯანომ.

– რავი, რა უნდა გამოვიდეს, ერთი ჩამპალი ნარკომანის ცხოვრებაა, რა... – გულგრილად უპასუხა ნაპომ.

– ამ კინოშნიკებს ხო მეტი თემა არა აქვთ, რა... შეიძლება ყველა ფილმს ნარკომანზე და ძველ ბიჭზე იღებდნენ? – გაბრაზდა ჯანო.

– მეტი არ მოსდით თავში და რა ქნან? – ნაპომ არაყიანი ჭიქა მოამზადა, – გაგვიმარჯოს! – სწრაფად გამოცალა და ფანჯარას გახედა.

– სად წაიყვანე ის გოგო? – ახალი თემა წამოჭრა ჯანომ. ნაპოს არ ესიამოვნა შეკითხვა და თავი დახარა.

– რა იყო, რამე სერიოზულია? – არ მოეშვა მეგობარი.

– არაფერია, დაიკიდე. შენ რატომ წამოხვედი სამსახურიდან? – თემა შეგნებულად შეცვალა ბიჭმა.

– რავი, ვიღაც ნაბოზარი შემომისვეს ოთახში, მერე თურმე მისმენდა, ბიჭო, ეს გამოსირებული და რალაც ენების მიტან-მოტანა დაიწყო. გურამას აგიჟებდა, ფულს ტეხავსო და აღრიცხვა გამიკეთეს...

– ჰაა, ხო არ მიქარე რამე? – ჩაეღიმა ნაპოს.

– არა, რა უნდა მიმექარა, გიჟი ხო არ ხარ; პამპერსების ჭამას ხო არ დავიწყებდი. ისე მაგრად იჩალიჩა იმ ახვარმა, რომ ჩემს ადგილას ზის ახლა...

– და გურამამ რაო?

– არაფერი... ეს ნაბიჭვარი შეფის მოყვანილია და მაგის გაშვება არ იქნება, თუ გინდა, სადისტრიბუციოში გადაგიყვანო და წამოვედი, რა...

– ისე, მანდაც მაგარს ჭამენ, არა?..

– ჭამენ კი არადა, ყველა მეორეს ვალი აქვს... ვალები მინდოდა ახლა მე? ავდექი და დავუჯექი ისევ ჩემს გამხმარ სალებავებს... – ხელი ჩაიქნია ჯანომ.

– ისე სანდრიკამ გვაჯობა ყველას, რა; როგორ გაძვრა ამ საფრანგეთში, მაგრად მიკვირს...

– თამრის მამიკოს ფულები რომ არა, ჩემს ფეხებს გაძვრებოდა... თან იქ ვილაც ნათესავი ჰყოლია თამრის, ბინა მაგათ არ გაუჭირდებათ და საჭმელი...

– ერთი ეგეთი ნათესავი მეც მინდა, რა... – გაეცინა ნაპოს.

– ვერ იპოვე, ხო, სონიჩკას ნათესავები? – სიცილი აუვარდა ჯანოს.

– დედას ვუტირებ, მაინც ამოვთხრი; დამაცადე, ჩავიდე! – ნაპომ ჭიქები შეავსო. ამ დროს კუპე გაიხსნა და სქელტრაკა, თმაგაწეწილი ქალი ძლივს შემოეტენა კარში. წითლად აღაჟღაჟებულ ლოყებზე ოფლი ასხამდა, შავი ფანქრით შეღებილ თვალებს უხერხულად ათამაშებდა და დამუწუკებულ გულისპირზე იბრახუნებდა კოტიტა თითებს.

– ვაიმე, როგორ ცხელა; რას ჩაგიკეტავთ ეს კარი, ბიჭებო? – ქოთქოთებდა ახალშემოსული. ჯანო და ნაპო უხერხულად შეიშმუშნენ.

– თბილისში მიდიხართ? კაი გაძლება მოგცათ ღმერთმა! მე ზესტაფონში ჩამოვხტები, თქვენ იკითხეთ, თორემ! – ქალი შეძლებისდაგვარად ხუმრობდა, თან ცდილობდა, იმერული აქცენტი გამოესწორებინა და დახვეწილი ქართულით ესაუბრა.

– მომეცით, ერთი, მეც გადავკრა. ხო შეიძლება? – ქალი ნაპოს გვერდით მოკალათდა. – თუ არ დავლიე, არ დამეძინება ამ რახარუხში! – ბიჭებმა უსიტყვოდ ჩამოუსხეს, ქალმა მაშინვე სულმოუთქმელად გამოცალა ჭიქა.

– ახლა გავიცნოთ ერთმანეთი, მანანა მქვია მე. შვილისტოლა ბიჭები ხართ და ნურაფრის მოგერიდებათ, – გაიბადრა ქალი.

– გაგიმარჯოთ, ქალბატონო მანანა! – ჭიქა ასწია ჯანომ, თან ულვაშებში ეცინებოდა.

– გისურვებთ, ბედნიერ საქართველოში გეცხოვროთ! – დაამატა ნაპომ.

– რა ვიცი, შვილო, დადგება ეგ დღე ოდესმე? ჩვენ თვითონა ვართ გაფუჭებული ხალხი, არ ვუფრთხილდებით არაფერს. აბა, რუსი და ამერიკელი რას გაგიკეთებს! – მანანამ კიდევ ერთი ჭიქა გამოცალა.

– მაგაში გეთანხმებით, ამხელა შესაძლებლობები აქვს ჩვენს ქვეყანას და არ ვიყენებთ! – დასერიოზულდა ჯანო.

– არა, რას გამოვიყენებთ, მაგას ერთმანეთის ჭამა არ გვირჩევნია? – ჩაიცინა ნაპომ.

– ეეეჰ, ძალიან გული მწყდება... თქვენ მუშაობთ, ბიჭებო?

– არა, ქალბატონო მანანა, თქვენ წინ უმუშევარი მხატვარი და მსახიობი სხედან, – სიცილით უპასუხა ნაპომ და ჯანოს გადახედა.

– აფსუს, რა ბიჭები ხართ; ამ ხალხს ჭკუა რომ ქონდეს, თქვენისთანა ბიჭებს უმუშევარს დავტოვებდი? – განაწყენდა ქალი.

– რას იზამთ, ხანდახან ასეც ხდება... რამე გამოჩნდება, ეგ არაფერი! – ომახიანად შემოსძახა ჯანომ.

– ეეეჰ, რა ვიცი, შვილო, გამოჩნდება რამე? – მანანამ მუწუკიან გულისპირზე ხელი დაიბრახუნა და მთელი ტანით ამოიხვნეშა. – ორი დიპლომი მიყრია სახლში, მაგრამ რა თავში სახლელად მინდა?! ყოველ კვირას მეორად ტანსაცმელს დავათრევ თურქეთიდან და ეგ არის ჩემი შემოსავალი... ჩემი გასიებული ქმარი კი სახლში გდია და პირდაღებული მელოდება...

– ოოო, ეგ ცუდია! – მოიღუშა ჯანო.

– რა ვიცი, რა ვიცი, ლუკმა პურის ფული ხო მაინც არის. ზოგი სულ მშიერი გდია ქუჩაში. – მანანამ კიდევ შეივსო ჭიქა. – ყველა გაჭირვებულს გაუმარჯოს, ჩემო კარგებო!

– გაუმარჯოს! – ნაპოს ხასიათი გაუფუჭდა.

– მანდ არა, გვერდითა კუპეში უნდა შეხვიდეთ, ბატონო; მეშვიდე, მეშვიდე! – კართან მოისმა გამცილებელი ქალის წივანა ხმა.

– ო, გენაცვალე, ო... ო, აქ არის, ხო? – კარი ჭაღარათმიანმა, დაბალი ტანის კაცმა შემოაღო. ეტყობოდა, მთვრალი იყო – ფეხზე ძლივს იდგა. ცალი ხელით კარს ებღაუჭებოდა, ცალში კი მატარებლის ბილეთი ეჭირა.

– მეშვიდე კუპეა, გენაცვალე? – თვალები აატრიალა მთვრალმა და ბილეთს დაუწყო ყურება.

– მეშვიდეა-მეთქი, ხომ გითხარით. მიბრძანდით დროულად, გასასველს ნუ კეტავთ! – აწიწინდა გამცილებელი ქალი, თან ყვითლად შეღებილ თმას წამდაუწუმ ისწორებდა.

– გამარჯობაათ! – გაიბადრა კაცი, არაყის ბოთლი რომ დაინახა.

– აი, აქეთ მობრძანდით! – ჯანო ფეხზე წამოდგა და თავისი ადგილი დაუთმო.

– ვა, შენ გენაცვალე! – კაცი ძლივს ჩაეტენა სკამზე, თან ზურგზე მოკიდებულ ჩანთას არ იხსნიდა.

– ვაი შე საწყალო, რამდენი დაგილევია! – აქოთქოთდა მანანა.

– ჩამომისხით ერთი, რაა! – კაცმა ხელი წაავლო ერთჯერად ჭიქას. ნაპომ უსიტყვოდ დაუსხა არაყი.

– იმყოფინე, გენაცვალე, იმყოფინე, აღარ დაამატო! – ისევ აქოთქოთდა ქალი.

– ვა, შენ გენაცვალე, სვეტა, რა... ბიჭებოოო, მოდი დავლიოთ! – წამოიყვირა მთვრალმა.

– სვეტა კი არა, მანანა მქვია მე და თუ შეიძლება ნუ შეაწუხებ ამ ბიჭებს, ისედაც დაღლილები არიან!

– რა დაგიშავეთ, ქალბატონო, დალევას ვითხოვ, ხომ არ ვჩხუბობ! – ცოტა დაიმორცხვა კაცმა.

– მთვრალი ხართ უკვე, ბატონო, და დაიძინეთ! – მანანა ფეხზე წამოდგა და თავისი ჩანთების ჩამოკიდება დაიწყო.

– ლოთი განა ჭრელია, – ისევ წამოიყვირა კაცმა, – რა არ მოგეწონა?

– თქვენი სახელი, ბატონო? – მანანას ადგილას ჩამოჯდა ჯანო.

– შმაგი! – კბილებში გამოცრა კაცმა.

– ხოდა, ჩემო შმაგი, ჩვენს მგზავრობას გაუმარჯოს! – ჭიქა მიუჭახუნა ჯანომ.

– ვა, შენ გენაცვალე! – გაიკრიჭა შმაგი.

– დაგლოცავთ, იმედიანად გვემგზავროს ყველგან! – ძალიან სერიოზული სახით შეხედა ნაპომ მოპირდაპირე სკამზე მჯდომს.

– ჯიგრები ხართ, ბიჭებოოოო! – ისევ დაიყვირა შმაგიმ. – შენც გაგიმარჯოს, ჩემო მარინა!

– მარინა არა, მანანა მქვია და ნუ შეგვაწუხე თუ შეიძლება. დალიე თუ სვამ! – თავი გამოიდო ქალმა.

– ვა, თქვენ გენაცვალეთ! – კაცმა სწრაფად გამოცალა არაყის ჭიქა და მაგიდაზე პირქვე დაემხო.

– ჯან, წამო, მოვწიოთ, არ გინდა? – წამოდგა ნაპო.

– ჰო, გავედით; თქვენც მოისვენეთ, ქალბატონო მანანა, ჩვენ მაინც არ ვაპირებთ დაძინებას! – მიმართა ჯანომ კუთხეში მიკუჭულ ქალს.

– რას ლაპარაკობ, აბა, მთელი ღამე ტუალეტთან ხომ არ გაატარებთ? – შეწუხდა ქალი.

– არა უშავს, მოთავსდით და ჩვენ მერე შემოვალთ! – თბილად უპასუხა ჯანომ და ნაპოს უკან გაჰყვა.

მატარებელი ნელა მიდანდგარებდა ხეივანში. ზღვის ჰაერი გურიის სურნელოვან ჰავას შეეცვალა, თუმცა კუპეებიდან მაინც აღწევდა ოფლისა და დაუბანელი ფეხის სუნი. ლურჯი ღამე იჭყიტებოდა ფანჯრებში. ბიჭები უხმოდ იდგნენ ვაგონის ბოლოში და ზანტად აბოლებდნენ.

„ნეტავ, ეს მატარებელი იტალიისკენ მიდიოდეს...“ – ოცნებობდა ნაპო, ჯანო კი ზურგშექცევით იდგა და გურიის მთა-ველებს აყოლებდა თვალს. ის, ალბათ, კვლავ ფერმაზე და უკეთეს გაზაფხულზე ფიქრობდა. რომელიღაც კუპეში დოლი და აკორდეონი გაეხურებინათ, ვიღაც ტაშს აყოლებდა, ვიღაცა – სიმღერას. საიდანღაც ბავშვების ტირილი ისმოდა, მატარებელი კი მიჩახჩახებდა აუღელვებლად და მდორედ. ეს რკინის ჭია ყველაზე უდარდელი იყო თავის მგზავრთა შორის. ალბათ, ყველაზე ბედნიერიც, რადგან, რისთვისაც შექმნეს, სწორედ იმ მოვალეობას ასრულებდა.

– როდის მიდიხართ იტალიაში? – დუმილი დაარღვია ჯანომ.

– რავი, გუგამ თქვა ამ თვის ბოლოსო...

– რაღაც დიდ სიხარულს ვერ გატყობ?! – თვალები მოჭუტა ბიჭმა და ნაპოს გამომცდელად დააკვირდა.

– არა, რატომ? მიხარია! – ეშმაკურად ჩაეცინა ნაპოს.

– ჰო, სისულელეები არ გინდა!!

– რა სისულელეები?

– მე ვიცი შენი ამბავი, რაღაც მაიმუნობები გიტრიალებს თავში... – წარბები შეკრა ჯანომ.

– კარგი რა, – ხელი აუქნია ნაპომ და ახლა თვითონ ჩამოეკიდა ფანჯარას.

– იცოდე, ძალიან ცუდად წაგივა საქმე; დარჩენაზე არც იფიქრო! – ჯანოს ხმაში მზრუნველი ტონი გაისმა.

– არა, რა დარჩენაზე. სად უნდა დავრჩე?

– შენ სად გადაგიტრიალდება, ვინ იცის?!

– არც ეგრეა, ჩემო ჯანიკო! – გაეცინა ნაპოს. ახლა ბიჭის სახეზე ის ძველებური სილაღე დაბრუნდა, წლების წინათ რომ ჰქონდა, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა.

– კარგი, წავედი მე, ცოტას წავუძინებ. ბევრი არ იფიქრო! – მხარზე ხელი დაადო ჯანომ მეგობარს და ვიწრო გასასვლელით მეშვიდე კუპისკენ გაემართა.

ნაპო აღარ ფიქრობდა, უბრალოდ, ღამის პეიზაჟებით ტკბებოდა. სიამოვნებდა ფანჯრიდან შემოჭრილი ცივი ნიავი, რომელიც სახეზე ეთამაშებოდა. უკან რჩებოდა დასავლეთის ტყეები და სოფლები, ზაფხულში ახმაურებული სახლები, ცოტა ხანში ისევ რომ დაცარიელდებოდა. ღამეში მიძინებული ქართული ტკივილები, ყველაზე მიმზიდველი მიწის სუნი და ბავშვობა – სადღაც, ამ მთებს გადაღმა რომ დაკარგულიყო. ამ უცნაურ განცდას – რაღაცით ნოსტალგიას რომ ჰგავდა, – ვეღარ გაექცა ნაპო. ამასობაში მატარებელმაც დაიკივლა და სადგურში გაჩერდა. ნაპომ მორიგი სიგარეტი მოისროლა ფანჯრიდან და კუპის მიმართულებით დაიძრა. მედოლეებს უკვე ჩასძინებოდათ. აღარც ბავშვების ტირილი ისმოდა, რამდენიმე ადამიანი ბორიალებდა გასასვლელში.

– ზესტაფონი, ჩამსვლელები ჩავედით! – აწიწინდა გამცილებელი ქალი. ნაპომ კუპე გახსნა თუ არა, მანანა შეეფეთა წინ.

– შენ არ გძინავს კიდე? – ნამძინარევი სახე მოიქექა ქალმა.

– არა, ვეწეოდი. უკვე ჩაბრძანდებით? – მოკრძალებულად ჰკითხა ნაპომ.

– ხო, ჩავდივარ, კეთილი მგზავრობა, აბა; კარგი ბიჭი ხარ შენ და ეგ ნაღვლიანი თვალები გამოაცოცხლე ცოტა! – მანანამ ბიჭს დედასავით შემოუსვა ხელი ლოყაზე.

– დიდი მადლობა, ბედნიერად! – გამოემშვიდობა ნაპო. ქალმა გაულიმა, დანანებით გადაიქნია თავი და ორი ჩანთა აიკიდა მხარზე. ბიჭი კუპეში შევიდა. შმაგის ფეხზე გაეხადა და ლუარსაბივით გადაფარჩხულიყო სკამზე. ოფლისა და შმორის სუნი ტრიალებდა მატარებლის ვიწრო ოთახში.

– აუ, ღია დატოვე, რა, ეგ კარი, თორე გავიგუდე, ამის დედას შევეცი! – გულიანად შეიგინა ჯანომ საწოლის მეორე სართულიდან.

– რაო, აგაქოთათ ბიძამ? – სიცილი აუვარდა ნაპოს.

– აბა, დაწექი აქ და, როგორ დროს გაატარებ, გნახავ! – ჩამოსძახა ჯანომ და გვერდი იცვალა. ნაპომ პატარა კიბე ჩამოშალა და მოპირდაპირე საწოლზე აძვრა. კარგა ხანს იწვა თვალგახელილი, მტვრისგან გაშავებულ ჭერს შეჰყურებდა, მერე მატარებლის ჩაქჩაქს მიაყურადა და ფიქრებისგან დაღლილს მალევე ჩაეძინა.

●

თბილისში დაბრუნებისთანავე ნაპომ საბუთების შეგროვება დაიწყო ვიზისთვის. განაახლა იტალიურის გაკვეთილები. ყოველ დილით ვარჯიშობდა და ცდილობდა, აღარ დაელია. ხშირად ფიქრობდა ლიზასთან ურთიერთობაზე, ვნებიდან სისხლამდე მისულ ღამეებზე. ხანდახან ზარსაც კი ელოდა – გოგო დაურეკავდა და რაიმეს ეტყოდა, თუნდაც სისულელეს.

„ნეტავ, თვითონ რას ფიქრობს? ალბათ, ფეხებზე ჰკიდია, თორემ აქამდე დარეკავდა...“ – და ნაპოს თავისი ძველი ურთიერთობები გაახსენდა. ალბათ, რამდენი გოგო ელოდა ასე მის ზარს, თვითონ კი ამ დროს ახალი რომანით ერთობოდა. მაგრამ დამნაშავე არ იყო ნაპო – ეს ხომ მისი უცნაური და დაუმორჩილებელი ხასიათის გამო ხდებოდა.

„კაცები ყოველთვის მარტივ ურთიერთობებს ეძებენ, სადაც ვალდებულებები არ არსებობს“ – ეუბნებოდა ხოლმე ზანდა. მთლად ასეთი მარტივი ურთიერთობები არ უნდოდა ბიჭს, მაგრამ ვალდებულებები კი ნამდვილად ღლიდა. ამიტომაც კარგა ხნით გადაიწია დაოჯახების თემამ.

„სადამდე გაგრძელდება ეს თამაში? ძიება რაღაც არარეალურის. რა არის ჩვენი მისია? იქნებ, ჯერ ადრეა საკუთარი თავის პოვნა ან მერე რას იზამ, ამ შენს თავს რომ იპოვნი? მერე ხომ ცხოვრება აზრს დაკარგავს? რა გინდა, ნაპო?“ – ბოლო სიტყვები უკვე ხმამაღლა წარმოთქვა და უეცრად გამოფხიზლდა.

მერე ისევ ქუჩა, ხალხი, სხვისი და საკუთარი ოფლის სუნი. აჩქარებული გულისცემა, ჩაწითლებული თვალები, ნერვულად აკანკალებული ფეხები. ქუჩაში მოდიოდა და სახე უხურდა სირცხვილისგან. თითქოს ვიღაც სხვა იჯდა მის სხეულში, გაურკვეველი წარმოშობისა და უცნაური სურვილების მქონე უცხო ადამიანი. არ მოეწონა, საკუთარი თავი დამნაშავე ბავშვივით რომ გამოიჭირა. არც გაქცევა შეეძლო, არც ამ ყველაფერთან შეგუება და, მით უმეტეს, არც რამის გამოსწორება.

„გიყვარს? რა სისულელეა, ნაპო? ისინი არ გიყვარდა, ვინც ყველაფერი მოგცა? – ეწინააღმდეგებოდა მეორე პირველს. – მათგან გამორბოდი, როგორც კი მსგავს რამეს იგრძნობდი, არ ინდობდი მათ ტკივილებსა და ცრემლებს, ფეხებზე გეკიდა მათი გრძნობები, ახლა რა დაგემართა? შენ ხომ არ იცი, რას ნიშნავს „სიყვარული“, უფრო მეტიც, დასცინი მას... ახლა რა მოხდა, ერთ თვეში გაცნობილი გაურკვეველი გოგო შეგიყვარდა? რა სასაცილოა, ნაპოლეონ“, და მეორე მემ ლიზას ხმით გადაიკისკისა. შემზარავმა, ცინიკურმა სიცილმა უფრო გააღიზიანა ბიჭი.

„რა საცოდავია თქვენი ვითომ სიურრეალისტური სამყარო, ნაპოლეონ, ჰა ჰა ჰა ჰა ჰა“, განმეორდა ხმა. ნაპომ ფეხს აუჩქარა, თითქოს ეს ვიღაც უკან მოჰყვებოდა.

„გაქცევა! ეჰ, გაქცევა რომ გამოსავალი ყოფილიყო, აქამდე კარგა ხნის გაქცეული ვიქნებოდი შენგან. ასე ვერაფერს უშველი... ჩვენ ასეთები გავჩნდით...“ თითქოს მოიწყინა აქამდე ცინიკურმა ხმამ.

– მე ვუშველი, დამაცადე ცოტა ხანი და შენც გათავისუფლდები! – ეს სიტყვები უკვე ხმამაღლა თქვა ბიჭმა და ტაქსის ხელი აუქნია.

„დღეს ისედაც მძიმე დღე მაქვს, ამიტომ სჯობს, აღარ გადავდო“ გაიფიქრა.

– ორთაჭალაში, თუ შეიძლება! – უთხრა ტაქსისტს და სავარძელზე მოკალათდა.

ტრადიციული საცობები, მტკვრის სანაპირო, მოაჯირზე შემომსხდარი მეთევზეები, იქვე შემწვარი თევზი და ჩამოსასხმელი ლუდი. ისე უმისამართოდ ირეოდა ეს გაუპარსავი, უსაქმური მასა, როგორც განავალს შემოხვეული მოლურჯო ბუზების კლანი. მერე მაღალფეხება ქალები გამოჩნდნენ, ისინიც მტკვრის ჩაყოლებაზე, ყვითლად შეღებილ დალალებს სექსუალურად რომ იხვევენ თითზე. მათ გვერდით სქელტრაკა, ძუძუებამოყრილი ქალებიც ჩამომდგარიყვნენ, ვეფხვისტყაოსნებივით კოპლებიანი მინიკაბებით.

„ერთი გონდოლები აკლიათ ამათ და სუფთა ვენეციელი კურტიზანები არიან“, ჩაეცინა ნაპოს.

– ვა, თქვენ გენაცვალეთ მაგ წიგროვი ბაყვებში! – შემოსძახა ტაქსის მძღოლმა და „ასტრას“ მაგვარი, რაღაც აყროლებული თამბაქოს ქულა ბურთებად გამოუშვა გაყვითლებული ტუჩებიდან.

– თქვენი სახელი, ძია კაცო? – ნაპომ გართობა გადაწყვიტა და ცოტა განწყობა გამოუკეთდა.

– რობა! – ისე უპასუხა კაცმა, მტკვრის სირინოზებისთვის თვალი არ მოუშორებია.

– რობა ბატონო, შენ გეცოდინება, რა ღირს ეს ქალები?

– რავი, თუ კარგად დაებაზრები, თხუთმეტადაც იძლევიან, – გაიკრიჭა რობა და ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა.

– ვაა, საღოლ! იაფია, არა? – გაეცინა ნაპოს.

– რას ამბობ, ბიჭო, იაფი როგორ არის, თხუთმეტ ლარს, მგონი, მთელი დღე ვერ ვაკეთებ, იმდენი ტაქსი დადის უკვე! – დაიბღვირა მძღოლმა.

– ლუიზას გაუმარჯოს! – რობამ ოდნავ შეანელა მანქანა მოაჯირთან და თავი გადაყო.

– პრივეეეტ! – გაინაზა მსუქანა და წითელი პომადით მოთხუპნილი ტუჩები დაპრუწა.

– არის მუშაობა, გოგო? – ისევ გაიკრიჭა რობა.

– რავი, ცოტა ცხელა და... – ვეფხვისებურ კაბაში გამოტკეცილი უკანალი გააქნია ლუიზამ.

– გამოგივლით საღამოს! – ხელი აუქნია კაცმა და სიჩქარეს მოუმატა.

– ვაა, აქეთ ნახე, რა გოგოები ჩამომდგარან! – ნაპომ მოაჯირზე შემომჯდარ ორ გოგოს გააყოლა თვალი. მოკლეკაბიანები მაღალ კანჭებს აქანავებდნენ და საღეჭი რეზინით იქცევდნენ თავს.

– ჯერ სადა ხარ, რომ დაბნელდება, მერე უნდა ნახო შენ! – გაიჯგიმა რობა.

– იციან მაინც რამის კეთება! – ისევ გაეცინა ნაპოს და მძღოლს გამომცდელად გადახედა.

– ჟონეტი მოაჯირზე, კარალევსკი უკანა სიდენიაზე, ფანტანჩიკი ხიდის ქვეშ... მაგრები არიან, რა! – მძღოლი ამაზრზენად გაიკრიჭა და ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა.

– ისე, ესენი ყველაზე პატიოსანი ბოზები არიან თბილისში, არავის არაფერს უშავებენ, თავისთვის დგანან და ვაჭრობენ... – უცებ დასერიოზულდა ნაპო.

– ჰო, ეგრეა, ძმაო, შეგვჭამეს ამ სულით ბოზებმა, რა! – დაეთანხმა რობა.

– ასეა, ჩემო რობიზონ, ეს ქვეყანა მოწყობილი!

ნაპო სავარძელზე გადაწვა და ქუჩისკენ გადაწია თავი. გაყინული, ცხვირაწეული სახეები ბორიალებდა ქუჩაში. გაბოროტებული ან ინდეფერენტული მზერით ისხდნენ ავტოებში ან ფეხით ტკეპნიდნენ მზისგან გამხმარ მიწას. ბიჭი ნელ-ნელა უახლოვდებოდა მისამართს და ნერვული შემოტევები უმძაფრდებოდა. სინამდვილეში მისვლა არ უნდოდა, არც მოვალეობის მოხდის გამო მიდიოდა, არც უბრალოდ გამომშვიდობებისთვის. სწრაფად აირბინა ქვაფენილიანი აღმართი და კერძო სახლს მიადგა. ჭიშკრიდან გაჭიმული ვაზის ტალავერი მთელ ეზოს ფარავდა და პატარა სახლის აივანს ებმოდა. კარი შეალო თუ არა ბიჭმა, მაშინვე დაბალტანიანი, უჯიშო ძაღლი გამოენთო. ხმაურზე ქალი გამოვიდა აივანზე, დაახლოებით ისეთი, ათიოდე წუთის წინ სანაპიროზე რომ ნახა ნაპომ – ყვითელი თმით, წვრილად გამოქნილი წარბებით, ვარდისფერი პომადითა და ყვავილებიანი თეთრი კაბით. ქალი ჭიშკრისკენ წამოვიდა, ოღონდ ჯერ ძუძუები მოდიოდა და მერე დანარჩენი სხეული.

– კტო ტამ? – რუსულ-სომხური აქცენტით დაიძახა ქალმა.

– პავლე სახლშია? – ეს ორი სიტყვაც ძალით თქვა ნაპომ.

– ვინ კითხულობ? – ქალი ტალავრიდან გამოძვრა და თვალები მოჭუტა. – აააა, შენ ჩვენი ბიჩი კოფილხარ; პოლიკა, არა?

– პოლიკა არა; ნაპო. სად არის პავლე? – ბიჭი უფრო დაიძაბა.

– ცამოდი, სახლში ცამოდი. შიგნიდან არი ჩემი პაველ. დვა დნია ნაზად გალეცილი პიანი მოვიდა და გალავა გლიცა, ისე მომასხა, ისე მომასხა, სულ ნაპორებით უშვებდა... – აქოთქოთდა ქალი.

– ვერ გავიგე, რა მოხდა? – დაიბნა ნაპო.

– ცამოდი, შენი თვალებში ნახე, კაკ ონ, გრიაზნი უბლიუდაკ, – ქალი წინ გაუძღვა, ნაპო ლამის აკანკალებული შეჰყვა უკან. ბიჭი ცდილობდა, თავი დაეჭირა და რამე ცუდი არ ეთქვა.

– პავლიკ, პავლიკ, – აივნიდანვე ატეხა ყვირილი ქალმა.

– რა გინდა, შენი დედა მოვტყან, რას მალვიძებ, – გინებად იქცა კაცი.

– ტამ ტვოი სინ! ტვაიუ მამუ ტოჟე, სუკინ სინ! – ქალმა შუქი აანთო ჭრელ-ჭრელი ხალიჩებით მორთულ ოთახში. პავლე დიდ ტახტრევანზე იწვა, თავი გადახვეული ჰქონდა, ორივე თვალი ჩალურჯებული და დასიებული, შუბლის მხარეს კი თეთრ ნაჭერში სისხლს გამოეჟონა. კაცს შვილის დანახვისთანავე ცრემლები მოადგა თვალზე, მაგრამ დასიებული თითებით მაშინვე მოიწმინდა.

– ნაპო! – აკანკალებული ხმით შესძახა პავლემ და წამოდგომა დააპირა.

– ლაჟის, ლაჟის! – ქალი მაშინვე მხრებში ეცა, – რა გინდა, უფრო მოკვდე?

– ხელი გამიშვი! – პავლემ შეუღრინა და თავისით მიწვა ბალიშზე. ნაპო უხმოდ ჩამოჯდა მამის საწოლთან.

– რა დაგემართა?

– ჯულიამ მცემა; არა, ჯული? – ხუმრობა სცადა პავლემ.

– დავაი რა, ბრადიაგა! – ხელი აიქნია ჯულიამ და ოთახიდან გავიდა.

– ეს მაგარი ნაშა დაგითრევია! – კბილებში გამოცრა ნაპომ.

– კარგი ახლა, ნუ დაიწყებ; მომაწევინე ერთი სიგარეტი! – დასიებული ხელი გამოუწოდა კაცმა. ნაპომ მაშინვე მიაწოდა. პავლემ გემრიელად გააბოლა და მცირე პაუზის შემდეგ ისევ ჰკითხა, – შენ რას შვები?

– ისევ ისე ვარ, როგორც დამტოვე!

– ნაპო, ვიცი, რომ ვერ გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა... კაროჩე, ჩვენ მაგრად დაგვენძრა, რა... ახლა თქვენი დროა... – პავლეს სახე დაემანჭა ტკივილისგან, მძიმედ ამოისუნთქა და ბალიში აიმაღლა. – მინდა, რომ შენ მაინც აგეწყოს ცხოვრება... მოინდომე, რა. ჩემი დრო წავიდა უკვე!

– ყველა ეგრე ამბობთ, რა... ყველაფერმა თქვენს თავზე გადაიარა! თქვენ დაკარგული თაობა ხართ! ჩვენ რაღა ვართ, ერთი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რაო, აგაქოთათ ბიძამ? – სიცილი აუვარდა ნაპოს.

– აბა, დაწექი აქ და, როგორ დროს გაატარებ, გნახავ! – ჩამოსძახა ჯანომ და გვერდი იცვალა. ნაპომ პატარა კიბე ჩამოშალა და მოპირდაპირე საწოლზე აძვრა. კარგა ხანს იწვა თვალგახელილი, მტვრისგან გაშავებულ ჭერს შეჰყურებდა, მერე მატარებლის ჩაქჩაქს მიაყურადა და ფიქრებისგან დაღლილს მალევე ჩაეძინა.

●

თბილისში დაბრუნებისთანავე ნაპომ საბუთების შეგროვება დაიწყო ვიზისთვის. განაახლა იტალიურის გაკვეთილები. ყოველ დილით ვარჯიშობდა და ცდილობდა, აღარ დაელია. ხშირად ფიქრობდა ლიზასთან ურთიერთობაზე, ვნებიდან სისხლამდე მისულ ღამეებზე. ხანდახან ზარსაც კი ელოდა – გოგო დაურეკავდა და რაიმეს ეტყოდა, თუნდაც სისულელეს.

„ნეტავ, თვითონ რას ფიქრობს? ალბათ, ფეხებზე ჰკიდია, თორემ აქამდე დარეკავდა...“ – და ნაპოს თავისი ძველი ურთიერთობები გაახსენდა. ალბათ, რამდენი გოგო ელოდა ასე მის ზარს, თვითონ კი ამ დროს ახალი რომანით ერთობოდა. მაგრამ დამნაშავე არ იყო ნაპო – ეს ხომ მისი უცნაური და დაუმორჩილებელი ხასიათის გამო ხდებოდა.

„კაცები ყოველთვის მარტივ ურთიერთობებს ეძებენ, სადაც ვალდებულებები არ არსებობს“ – ეუბნებოდა ხოლმე ზანდა. მთლად ასეთი მარტივი ურთიერთობები არ უნდოდა ბიჭს, მაგრამ ვალდებულებები კი ნამდვილად ღლიდა. ამიტომაც კარგა ხნით გადაიწია დაოჯახების თემამ.

„სადამდე გაგრძელდება ეს თამაში? ძიება რაღაც არარეალურის. რა არის ჩვენი მისია? იქნებ, ჯერ ადრეა საკუთარი თავის პოვნა ან მერე რას იზამ, ამ შენს თავს რომ იპოვნი? მერე ხომ ცხოვრება აზრს დაკარგავს? რა გინდა, ნაპო?“ – ბოლო სიტყვები უკვე ხმამაღლა წარმოთქვა და უეცრად გამოფხიზლდა.

მერე ისევ ქუჩა, ხალხი, სხვისი და საკუთარი ოფლის სუნი. აჩქარებული გულისცემა, ჩაწითლებული თვალები, ნერვულად აკანკალებული ფეხები. ქუჩაში მოდიოდა და სახე უხურდა სირცხვილისგან. თითქოს ვილაც სხვა იჯდა მის სხეულში, გაურკვეველი წარმოშობისა და უცნაური სურვილების მქონე უცხო ადამიანი. არ მოეწონა, საკუთარი თავი დამნაშავე ბავშვივით რომ გამოიჭირა. არც გაქცევა შეეძლო, არც ამ ყველაფერთან შეგუება და, მით უმეტეს, არც რამის გამოსწორება.

„გიყვარს? რა სისულელეა, ნაპო? ისინი არ გიყვარდა, ვინც ყველაფერი მოგცა? – ეწინააღმდეგებოდა მეორე პირველს. – მათგან გამორბოდი, როგორც კი მსგავს რამეს იგრძნობდი, არ ინდობდი მათ ტკივილებსა და ცრემლებს, ფეხებზე გეკიდა მათი გრძნობები, ახლა რა დაგემართა? შენ ხომ არ იცი, რას ნიშნავს „სიყვარული“, უფრო მეტიც, დასცინი მას... ახლა რა მოხდა, ერთ თვეში გაცნობილი გაურკვეველი გოგო შეგიყვარდა? რა სასაცილოა, ნაპოლეონ“, და მეორე მემ ლიზას ხმით გადაიკისკისა. შემზარავმა, ცინიკურმა სიცილმა უფრო გააღიზიანა ბიჭი.

„რა საცოდავია თქვენი ვითომ სიურრეალისტური სამყარო, ნაპოლეონ, ჰა ჰა ჰა ჰა ჰა“, განმეორდა ხმა. ნაპომ ფეხს აუჩქარა, თითქოს ეს ვილაც უკან მოჰყვებოდა.

„გაქცევა! ეჰ, გაქცევა რომ გამოსავალი ყოფილიყო, აქამდე კარგა ხნის გაქცეული ვიქნებოდი შენგან. ასე ვერაფერს უშველი... ჩვენ ასეთები გავჩნდით...“ თითქოს მოიწყინა აქამდე ცინიკურმა ხმამ.

– მე ვუშველი, დამაცადე ცოტა ხანი და შენც გათავისუფლდები! – ეს სიტყვები უკვე ხმამაღლა თქვა ბიჭმა და ტაქსის ხელი აუქნია.

„დღეს ისედაც მძიმე დღე მაქვს, ამიტომ სჯობს, აღარ გადავდო“ გაიფიქრა.

– ორთაჭალაში, თუ შეიძლება! – უთხრა ტაქსისტს და სავარძელზე მოკალათდა.

ტრადიციული საცობები, მტკვრის სანაპირო, მოაჯირზე შემომსხდარი მეთევზეები, იქვე შემწვარი თევზი და ჩამოსასხმელი ლუდი. ისე უმისამართოდ ირეოდა ეს გაუპარსავი, უსაქმური მასა, რომ განავალს შემოხვეული მოლურჯო ბუზების კლანი. მერე მაღალფეხება ქალები გამოჩნდნენ, ისინიც მტკვრის ჩაყოლებაზე, ყვითლად შეღებილ დალალებს სექსუალურად რომ იხვევენ თითზე. მათ გვერდით სქელტრაკა, ძუძუებამოყრილი ქალებიც ჩამომდგარიყვნენ, ვეფხვისტყაოსნებივით კოპლებიანი მინიკაბებით.

„ერთი გონდოლები აკლიათ ამათ და სუფთა ვენეციელი კურტიზანები არიან“, ჩაეცინა ნაპოს.

– ვა, თქვენ გენაცვალეთ მაგ წიგროვი ბაყვებში! – შემოსძახა ტაქსის მძღოლმა და „ასტრას“ მაგვარი, რაღაც აყროლებული თამბაქოს ქულა ბურთებად გამოუშვა გაყვითლებული ტუჩებიდან.

– თქვენი სახელი, ძია კაცო? – ნაპომ გართობა გადაწყვიტა და ცოტა განწყობა გამოუკეთდა.

– რობა! – ისე უპასუხა კაცმა, მტკვრის სირინოზებისთვის თვალი არ მოუშორებია.

– რობა ბატონო, შენ გეცოდინება, რა ღირს ეს ქალები?

– რავი, თუ კარგად დაებაზრები, თხუთმეტადაც იძლევიან, – გაიკრიჭა რობა და ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა.

– ვაა, საღოლ! იაფია, არა? – გაეცინა ნაპოს.

– რას ამბობ, ბიჭო, იაფი როგორ არის, თხუთმეტ ლარს, მგონი, მთელი დღე ვერ ვაკეთებ, იმდენი ტაქსი დადის უკვე! – დაიბღვირა მძღოლმა.

– ლუიზას გაუმარჯოს! – რობამ ოდნავ შეანელა მანქანა მოაჯირთან და თავი გადაყო.

– პრივეეეტ! – გაინაზა მსუქანა და წითელი პომადით მოთხუპნილი ტუჩები დაპრუწა.

– არის მუშაობა, გოგო? – ისევ გაიკრიჭა რობა.

– რავი, ცოტა ცხელა და... – ვეფხვისებურ კაბაში გამოტკეცილი უკანალი გააქნია ლუიზამ.

– გამოგივლით საღამოს! – ხელი აუქნია კაცმა და სიჩქარეს მოუმატა.

– ვაა, აქეთ ნახე, რა გოგოები ჩამომდგარან! – ნაპომ მოაჯირზე შემომჯდარ ორ გოგოს გააყოლა თვალი. მოკლეკაბიანები მაღალ კანჭებს აქანავებდნენ და საღეჭი რეზინით იქცევდნენ თავს.

– ჯერ სადა ხარ, რომ დაბნელდება, მერე უნდა ნახო შენ! – გაიჯგიმა რობა.

– იციან მაინც რამის კეთება! – ისევ გაეცინა ნაპოს და მძღოლს გამომცდელად გადახედა.

– ჟონეტი მოაჯირზე, კარალევსკი უკანა სიდენიაზე, ფანტანჩიკი ხიდის ქვეშ... მაგრები არიან, რა! – მძღოლი ამაზრზენად გაიკრიჭა და ჩაყვითლებული კბილები გამოაჩინა.

– ისე, ესენი ყველაზე პატიოსანი ბოზები არიან თბილისში, არავის არაფერს უშავებენ, თავისთვის დგანან და ვაჭრობენ... – უცებ დასერიოზულდა ნაპო.

– ჰო, ეგრეა, ძმაო, შეგვჭამეს ამ სულით ბოზებმა, რა! – დაეთანხმა რობა.

– ასეა, ჩემო რობიზონ, ეს ქვეყანა მოწყობილი!

ნაპო სავარძელზე გადაწვა და ქუჩისკენ გადაწია თავი. გაყინული, ცხვირაწეული სახეები ბორიალებდა ქუჩაში. გაბოროტებული ან ინდეფერენტული მზერით ისხდნენ ავტოებში ან ფეხით ტკეპნიდნენ მზისგან გამხმარ მიწას. ბიჭი ნელ-ნელა უახლოვდებოდა მისამართს და ნერვული შემოტევები უმძაფრდებოდა. სინამდვილეში მისვლა არ უნდოდა, არც მოვალეობის მოხდის გამო მიდიოდა, არც უბრალოდ გამომშვიდობებისთვის. სწრაფად აირბინა ქვაფენილიანი აღმართი და კერძო სახლს მიადგა. ჭიშკრიდან გაჭიმული ვაზის ტალავერი მთელ ეზოს ფარავდა და პატარა სახლის აივანს ებმოდა. კარი შეაღო თუ არა ბიჭმა, მაშინვე დაბალტანიანი, უჯიშო ძაღლი გამოენთო. ხმაურზე ქალი გამოვიდა აივანზე, დაახლოებით ისეთი, ათიოდე წუთის წინ სანაპიროზე რომ ნახა ნაპომ – ყვითელი თმით, წვრილად გამოქნილი წარბებით, ვარდისფერი პომადითა და ყვავილებიანი თეთრი კაბით. ქალი ჭიშკრისკენ წამოვიდა, ოღონდ ჯერ ძუძუები მოდიოდა და მერე დანარჩენი სხეული.

– კტო ტამ? – რუსულ-სომხური აქცენტით დაიძახა ქალმა.

– პავლე სახლშია? – ეს ორი სიტყვაც ძალით თქვა ნაპომ.

– ვინ კითხულობ? – ქალი ტალავრიდან გამოძვრა და თვალები მოჭუტა. – აააა, შენ ჩვენი ბიჩი კოფილხარ; პოლიკა, არა?

– პოლიკა არა; ნაპო. სად არის პავლე? – ბიჭი უფრო დაიძაბა.

– ცამოდი, სახლში ცამოდი. შიგნიდან არი ჩემი პაველ. დვა დნია ნაზად გალეცილი პიანი მოვიდა და გალავა გლიცა, ისე მომასხა, ისე მომასხა, სულ ნაპორებით უშვებდა... – აქოთქოთდა ქალი.

– ვერ გავიგე, რა მოხდა? – დაიბნა ნაპო.

– ცამოდი, შენი თვალებში ნახე, კაკ ონ, გრიაზნი უბლიუდაკ, – ქალი წინ გაუძღვა, ნაპო ლამის აკანკალებული შეჰყვა უკან. ბიჭი ცდილობდა, თავი დაეჭირა და რამე ცუდი არ ეთქვა.

– პავლიკ, პავლიკ, – აივნიდანვე ატეხა ყვირილი ქალმა.

– რა გინდა, შენი დედა მოვტყან, რას მაღვიძებ, – გინებად იქცა კაცი.

– ტამ ტვოი სინ! ტვაიუ მამუ ტოჟე, სუკინ სინ! – ქალმა შუქი აანთო ჭრელ-ჭრელი ხალიჩებით მორთულ ოთახში. პავლე დიდ ტახტრევანზე იწვა, თავი გადახვეული ჰქონდა, ორივე თვალი ჩალურჯებული და დასიებული, შუბლის მხარეს კი თეთრ ნაჭერში სისხლს გამოეჟონა. კაცს შვილის დანახვისთანავე ცრემლები მოადგა თვალზე, მაგრამ დასიებული თითებით მაშინვე მოიწმინდა.

– ნაპო! – აკანკალებული ხმით შესძახა პავლემ და წამოდგომა დააპირა.

– ლაჟის, ლაჟის! – ქალი მაშინვე მხრებში ეცა, – რა გინდა, უფრო მოკვდე?

– ხელი გამიშვი! – პავლემ შეულრინა და თავისით მიწვა ბალიშზე. ნაპო უხმოდ ჩამოჯდა მამის საწოლთან.

– რა დაგემართა?

– ჯულიამ მცემა; არა, ჯული? – ხუმრობა სცადა პავლემ.

– დავაი რა, ბრადიაგა! – ხელი აიქნია ჯულიამ და ოთახიდან გავიდა.

– ეს მაგარი ნაშა დაგითრევია! – კბილებში გამოცრა ნაპომ.

– კარგი ახლა, ნუ დაიწყებ; მომაწევინე ერთი სიგარეტი! – დასიებული ხელი გამოუწოდა კაცმა. ნაპომ მაშინვე მიაწოდა. პავლემ გემრიელად გააბოლა და მცირე პაუზის შემდეგ ისევ ჰკითხა, – შენ რას შვები?

– ისევ ისე ვარ, როგორც დამტოვე!

– ნაპო, ვიცი, რომ ვერ გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა... კაროჩე, ჩვენ მაგრად დაგვენძრა, რა... ახლა თქვენი დროა... – პავლეს სახე დაემანჭა ტკივილისგან, მძიმედ ამოისუნთქა და ბალიში აიმაღლა. – მინდა, რომ შენ მაინც აგეწყოს ცხოვრება... მოინდომე, რა. ჩემი დრო წავიდა უკვე!

– ყველა ეგრე ამბობთ, რა... ყველაფერმა თქვენს თავზე გადაიარა! თქვენ დაკარგული თაობა ხართ! ჩვენ რაღა ვართ, ერთი?

– თქვენ უფრო მეტის საშუალება გაქვთ. – პავლეს ხველა აუვარდა, სახეზე წამოწითლდა, მაგრამ იქვე მდგარი გრაფინიდან წყალი მოიყუდა, მალევე დაწყნარდა. – არ გაჩერდე და ყველაფერი გამოვა!

– შენ როგორ ფიქრობ, მამა, მე არ მინდა?

– ვიცი, რომ გინდა, ვიცი, მაგრამ რამე სხვა უნდა მოიფიქრო...

– სხვა უკვე მოვიფიქრე... იტალიაში მივდივარ ამ თვის ბოლოს.

– რაო, სონიას მემკვიდრეობა გინდა აღმოაჩინო, იქნებ, ტაორმინაში იმ ჩემისას რამე წილი ეკუთვნოდა, ჰა? – უაზროდ გაიცინა პავლემ. ნაპომ თავი დახარა, ხუმრობაში არ აჰყვა. – რამდენი ხნით მიდიხარ? – დასერიოზულდა კაცი.

– სულ, სამუდამოდ...

– ეგ როგორ? იქ რა, გგონია, მართლა ბებიაშენის ნათესავები დაგხვდებიან? სულ გააფრინე, ხო?

– კიდევ მე გავაფრინე? აქ რა ვაკეთო, მითხარი, რა? იმას ველოდო, წელიწადში ერთხელ რამე ფილმი თუ გამოჩნდება და დამიძახებენ თუ არა? რა ვქნა, შენ მითხარი, რა? – ნაპო გაბრაზებული წამოხტა. – ან როდემდე ვიცხოვრო ასე, მეგობრების ხარჯზე? თუ მეც ჯულიასთან გადმოვიდე საცხოვრებლად?

– კარგი, ხო, გეყოფა!

– წავალ და რაღაც გამოჩნდება, – ნაპო თავის ადგილს დაუბრუნდა.

– როდემდე აპირებ ამ ოცნებებით ცხოვრებას...

– არ ვიცი, სადამდეც გამიძლებს... – ხელი ჩაიქნია ნაპომ.

– ასე ყველაფრის ფეხებზე დაკიდება არ შეიძლება, შვილო...

– ამას მე ნუ მეტყვი, მამა; ერთხელ მაინც ჩადი სოფელში და მოხუცები ნახე. ლამის ტირიან, ისე ენატრები... ამ ერთ რამეს გთხოვ, რა – მიხედე დათას და ნათელას... – ნაპო წამოდგა.

– უკვე მიდიხარ?

– ჰო, წასვლის წინ კიდევ გამოგივლი...

– ნაპო! – პავლე ფეხზე წამოდგომას შეეცადა.

– არ ადგე, არ შეიძლება... და თავს მიხედე კიდევ...

– მაპატიე, შვილო, – პავლეს ხმა აუკანკალდა, – მინდოდა, რამეში დაგხმარებოდი, მაგრამ ვერ გავქაჩე...

– კარგი, არა უშავს...

– მიაწექი, რა, რქებით მიაწექი, არ მოეშვა... არასდროს არ მოეშვა! – აყვირდა პავლე.

– პავლიკ, შტო სტაბოი? – კაცის ღრიალზე ჯულია შემოვარდა. – ნი ნადა, ნი ნადა. როგორ იქცევა... ბიჩი, დავაი, დაცექი მამაშენი...

– იდი ნახუი, ბლიად... შენღა მაკლდი ახლა, რა...

– კარგი, ხო, დაწყნარდი, დაუჯერე ამ ქალს, სწორს გეუბნება... – შეუტია ნაპომ.

– ჩტო ტი გავარიშ, უბლიუდაკ? – გაკაპასდა ჯულია. – მოკვდება, რა, ჩემი ტავი ამის ხელებში, მოკვდება... – შესჩივლა ნაპოს.

– კარგი, ჰო, დაწყნარდით... წავედი მე, გამოგივლი ამ კვირის ბოლოს... – ნაპომ ჩქარი ნაბიჯით გადაკვეთა აივანი და ეზოში გავარდა. უკნიდან ისევ ესმოდა ჯულიას წიწინი და პავლეს გინება.

– დავარდები და მოგივლის ვინ. „ია სმატრიუ დალშე... ბრაძიაგა ვოტ ნასტაიაშიი...“

– სუჩკა ესესერსკაია... ოჰ, შენი დამპალი ნაცია მოვტყან!

მანამდე თუ დრო იწელებოდა, ახლა ბოლო დღეები მატარებლის ვაგონებივით ჩამწკრივდნენ და ელვის სისწრაფით გარბოდნენ. არ ჰყოფნიდა არც ერთი თბილისის ღამე, რადგან ტანით გრძნობდა, რომ აქ კიდევ დიდხანს აღარ დაბრუნდებოდა, მით უმეტეს, თუ თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანდა. ყოველი ქუჩა ფეხით მოიარა, ყველა შენობას ეფერებოდა თავისებურად; დასჩემდა ერთი უცნაურობაც – ძველი უბნის სახლის სახურავებზე დაძვრებოდა ყოველდღე, განსაკუთრებით მთაწმინდაზე, იქ, სადაც ბავშვობა გაატარა. მოწყენილი აუვლიდა ხოლმე თავის სახლს, რომელშიც მთელი ოცდაექვსი წელი იცხოვრა, ახლა კი ასე ეწერა: „იყიდება“. სახურავიდან ადევნებდა თვალ-ყურს ეზოს ამბებს, ჭორიკანა მეზობლები ისევ აივნიდან აივანზე არჩევდნენ ქვეყნის ამბებს, ისევ ქოთქოთებდა ფუმფულა მაცაცო მეორე სართულის აივანზე, ბავშვებს წყევლიდა რობერტას მაგივრად, რადგან თვითონ რობერტა გვიან ღამით მოვიდოდა, ალბათ, ისევ მთვრალი, და ოჯახური დრამაც ძველებურად გამძაფრდებოდა.

დაჟანგულ სახურავებზე ნებივრობა რომ მობეზრდებოდა ბიჭს, მერე ქვაფენილიან დაღმართზე დაეშვებოდა და რუსთაველზე ბოდიალს აგრძელებდა. საღამოს იტალიურის გაკვეთილები და ბოლოს ისევ მეგობრები, რომლებიც ზაფხულის შემდეგ ნელ-ნელა გროვდებოდნენ ქალაქში.

დასასრული იქნება

პოეტის თორმეტი რჩეული ლექსი

შერმადინ ქალდანი

1952 წელს ჩემი ოჯახი მესტიის რაიონის სოფ. ჰადიშიდან ქალაქ ზუგდიდში ჩამოსახლებულა, სადაც იმავე წლის 7 ნოემბერს დავბადებულვარ. მომდევნო წლის ადრიან გაზაფხულზე მთელი ოჯახი უკან აბრუნებულა.

ადრეულ ბავშვობიდან მახსოვს, მიყვარდა ცეცხლის ყურება და ვერ დამაძინებდნენ, სანამ ცეცხლი არ ჩაქრებოდა. ამის გამო უნებურად ბევრჯერ მქონია გახურებულ ღუმელთან „კონტაქტი“, რომელიც ჩემთვის სავალალოდ მთავრდებოდა, მაგრამ კარგა ხანს ეს სიჯიუტე ვერ მომაშლევინეს.

ბურთობა, ჭიდაობა, ცხენების დევნა იალაღებიდან მოზაყზაყე ხაროვანის ჩამორეკა, ზამთარში ციგაობა და თხილამურებით სრიალი, ეს იყო სოფლის ბავშვების ძირითადი სპორტი და გართობა. გვიხაროდა ხვნა-თესვის, თიბვის, კალოობის დაწყება, რადგან ყოველივეს წინ თავისებური რიტუალი უძღოდა. ბავშვებისთვის აგრეთვე გართობა იყო ის მრავალი დღესასწაული, რომელიც ზამთარ-ზაფხული იმართებოდა სოფელში.

რამდენადაც მახსოვს, ლექსების წერა მესამე კლასში დავიწყე. რატომ? არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ „ვეჯიბრებოდი“ ილიას, აკაკის, ვაჟას და დღეში ხანდახან ორ-სამ ლექსსაც ვწერდი. „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვის შემდეგ, ეტყობა, ყველაზე მეტად ტარიელისგან ლომ-ვეფხის დახოცვა მომეწონა და „ხრმალი გავტყორცე, გადვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა...“ – მთელი სტროფი ფანქრით სახლის მე-2 სართულის კედელზე მიმიწერია.

მერვე კლასიდან ქუთაისის რკინიგზის №11 საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, რომელიც 1969 წელს დავამთავრე. „ქუთაისური შემოქმედება“ ჩემ დას უჩუმრად წაულია პიონერთა სასახლეში, ლიტერატურული წრის ხელმძღვანელებთან, ბ-ნ სიმონ არველაძესთან და ქ-ნ მარი ხვედელიძესთან. როდის-როდის მეც მივედი იმ წრის შეკრებაზე...

მერე დაიწყო ყველაზე საინტერესო ხანა – სტუდენტობა.

ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. იყო ლექსი, ღვინო, მოგზაურობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და ციხე-ტაძართა მონახულება ღამეთა თევით.

იმდროინდელ თბილისში და საქართველოში პოეზია რალაც სხვაგვარად უყვარდათ, სხვაგვარად ფასდებოდა. პოეზია იყო ყველგან: ურთიერთობებში, ოჯახებში, სასწავლებლებში, სუფრებზე... თუ რომელიმე ჟურნალ-გაზეთში მხატვრულად ღირებული ლექსი დაიბეჭდებოდა, მეორე დღეს თითქმის ყველამ იცოდა; დღეს კი, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის; ალბათ, დროებით – „ჩოთქი“ და კალკულატორი ვერ წალეკავს პოეზიას.

მაინც რა არის პოეზია? არისტოტელედან დღემდე ამის ზუსტი განმარტება არ არსებობს და, ალბათ, არც იარსებებს. ეს იგივე იქნება, ზუსტად შეგეძლოს ახსნა – რატომ გიყვარს?

– რატომ გვიყვარს?

– რატომ ვწერთ?

ჩვენდა სასიხარულოდ, პოეზიაში დიდი წინაპრები გვყავს და მათ თამამად უსწორებს მხარს ჩვენი ხალხური პოეზია. ამათი წაკითხვა ხანდახან „გაჩერებს“ კაცს, მაგრამ გამჩენი მაინც არ „გაყენებს“ და წერ.

უნდა ვთქვა, რომ ჩემი ლექსებისთვის დიდად არასდროს მიპატრონებია; წიგნიც მხოლოდ ახლახან გამოიცა.

„ცისკრის“ რუბრიკა – „პოეტის თორმეტი ლექსი“, ორიგინალურიც არის და სარისკოც, ე მანდ, თორმეტიდან ერთი „გამცემი“ არ გამოერიოს.

როგორც ბატონი ოთარ ჭილაძე იტყვის, არასოდეს მიცდია „სამშობლოსგან გათავისუფლება“.

ასე მგონია, უკეთესი ლექსის დაბადების განცდა ჯერ კიდევ წინაა...

ვნახოთ, ალდგომა და ხვალეო...

ცისკარი

ᲩᲐᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲐᲒᲝᲜᲘᲐ

ტ. ტაბიძეს

ნათება მოჰყვება დაბინდულ ალმართებს,
მთვარე თანდათან ცრემლივით შრება.
– მცხეთასთან ჩალისფერი დროშები ალმართეთ, –
ვილაც ამაო ძახილით შვრება.
მზე მოდის, მობრძანდა,
დახედა მურყვამთა,
ისრუტავს წარსული ხავსიან კედლებით.
ეს მთები, ეს მთები, ვაჟას რომ უყვარდა,
ამბობენ: ვბერდებით, ვბერდებით.
ჟანგი სჭამს „ლემსა“ და გორდას სალს,
წარსულს კი თავხედი სპარსელი.
მარჯვენა დაღლია გორგასალს,
ვის ველი, რას ველი.
რა სველი ჰქონია თვალები მარიამს –
სიზმარი უნახავს ავი.
ამღვრეულ ქარებმა ქართლის ცა არიეს,
სინანულს უგალობს მეფეი დავით.
და ვით დაიჩრდილა ფერი ჩალისა,
მახვილი მესიისა დალბა.
ერთ კონად შეკრულ ისრების ძალაზე
ორბელიანი მოყვება საბა.
– აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო, –
ამბობს ირაკლი კრწანისის მერე.
– მეფევ, ვინ მოგცა ამის უფლება, –
მეფე მეფეა, ვის დაუჯერებს.
აგერ, დაისმა წითლად შეღება მთები.
ოქროცურვილი მზე გორი-გორ რა ნელა ჩადის.
ბებრის ციხეზე მე შენს ლანდთან ულმერთოდ ვთვრები.
აწეწილია ყველაფერი, ვით ნინოს თმები
და მეჩვენება, ბნელ ღამესაც ფერი აქვს ჩალის.

●

როგორც ჭლექიან ფილტვებს ჟანგბადი
ანდა გარიყულ კალმახს წყლის წვეთი, –
ისე მწყურია მე შენით სუნთქვა,
ისე მსურს შენი თმების სურნელი.

რა უცნაურად გაქრა ზაფხული,
როგორ უეცრად მოდგა ზამთარი.
ველარ გითხარი სიტყვა აქამდე,
როგორც ბალახი ცამდე მართალი.

ვიცი, რომ ძლიერ მომენატრები,
მომენატრები – ბოლო სასჯელი,
როგორც უდაბნოს წვიმებით თრობა
ანდა მეზღვაურს მიწის ნაგლეჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე მთებს შემოვრჩი.
შენი სახლის ვიწრო სარკმლიდან
არ ჩანან მთები.
არცა გწვავს ცეცხლი,
უშენობით გულს რომ მდებია.
მარტო ხარ ისევ
ჩაძირული მოგონებებში...
... სადღაც მთებია
და მარტოობით მოზეიმე უცხოდ ირთვები.
მე მხოლოდმყოფი მოწყალებას არვისას ვუცდი,
არც შემხვეწე ვარ ბედის მდევარის.
ვიხსენებ თბილისს, გაელვებას სახის მაცდურის,
გზებს რომ მინათებს, ვით მსუბუქი თოვლის მტევანი.
მიაჩხრიალებს ყინვის მარხილს მთებში ზამთარი
და მიმაქანებს უცხო მხარეს შავი მეხრითა.
მოვალ შენამდე, ჩემი გზა თუ აქ არ დამთავრდა,
მოვალ შენამდე უთვალავი ფიფქის ქვეყნიდან.
შენ, მოზეიმე მარტოობის ცივ ხავერდებით,
კვლავ აენთები ცეცხლით, შენგან გულს რომ მდებია.
მოვალ შენამდე ჩემი მთებით, ჩემი ქედებით
და შენ არ იტყვი: „რა დროს მთებია“.

●

აქ ნუ დამეძებთ,
მე აქ არა ვარ,
ადრე გავყევი შორეულ ქარებს;
როს ღამის ჩრდილი ცისკარს მალავდა
და სარეცელზე ესვენა მთვარე,
როცა სიყვარულს ღიმით კრძალავდნენ –
ბნელი ახშობდა სამოთხის კარებს.

თქვენ ჩემში ჭვრეტდით მხოლოდ ბარაბას,
ვერ დაინახეთ მზიანი ღამე.
დაე, ღვთის კალთა დაგიფარავდეთ,
აგიყვავილოთ ნანატრი მხარე.

ნუღარ დამეძებთ,
მე აქ არა ვარ.
ადრე გავყევი არეულ ქარებს.

ცისკარი

წარწერა წიგნზე „მთვარე და ექვსპენიანი“

ტ. ც-ს

საღამო იდუმალ ლანდებით მოსული,
ბნელ ფრთების შრიალით მოიყვანს ტაიტელს.
მოწყენით მოყოლილ ნაღვლიან წარსულის
სიწრფელე მომავლის სიზმრებსაც დაიტევს.

ის არის ძვირფასი, ვით თასით ღვინოთა
შესმა და ღვიძება გრძნობათა აულის.
შავია, შავია და მაინც მინათებს
უფალი სევდისა და სიმხიარულის.

მან იცის, ნამქერი ყვავილთა თოვისა
ვით ცდილობს ულმობლად ღრმა სულში ძინებას, –
ჩემს ზართა გუგუნს და მუსიკას გლოვისას
რად ერთვის ელვარე სხივების დინება.

და დღეთა რბოლაში ის არის ზიარი
მომავლის წყვდიადთან უმკაცრეს ბრძოლების.
მშვიდ ფერთა ღამებას ის ამზიანებს,
შეუცნობ მხარეთა ქარების ქროლებით.

აწმყოვ და წარსულო, წყევლიან ამინდით
მომავლის მირაჟებს რა მალე ბარდებით.
დღეებო, ამღვრეულ ღიმილით დამინდეთ,
ღამეო, კვლავ მოდი ერთგული ლანდებით.

შუაღამისას, ანუ თოჯინა ვიტრინაში

როგორ ბრძანდებით, დედოფალო
დიდი მინდვრების,
როგორ ბრძანდებით.
ხომ არ მოიწყენს სასახლე თქვენი
ამ შებინდებით, ან შეღამებით,
როგორ ბრძანდებით, დედოფალო
დიდი მინდვრების.

თქვენს საუფლოში სიხარულის
და მწუხარების
ტახტსა ვინ ჰგიებს?
ხომ არ წარსტაცეს ჟინი მზის და გარდაცვალების
თქვენს საბრძანისში ვარდებს და იებს?
როგორ ბრძანდებით, დედოფალო
დიდი მინდვრების.

ხომ არ დაკარგეთ ნიჭი ცრემლის და აღტაცების,
მე მახსოვს, ადრე ვით გამკობდათ ცრემლი ობოლი.
ხომ არ მოდიან შუაღამით რინდი კაცები,
ხომ არ გკადრებენ რამეს უღვთოს, რამეს მოგონილს.
როგორ ბრძანდებით, დედოფალო
დიდი მინდვრების.

...თქვენს სასახლეში ხვალ იმღერებს ზეცის ორკესტრი,
მოგრთავენ, ალბათ, ალმასით და იაგუნდებით,
თქვით, დედოფალო, გაგართოთ თუ უკვე მოგბეზრდით,
თქვით, დედოფალო, და არასდროს არ მოვბრუნდები...

ნახვამდის, დიდო ქალბატონო დიდი ველების,
ნუღარ მოიწყენთ, ხვალ გიმღერებთ ზეცის ორკესტრი.

დალაი

მღიმარე უმზერი მზეს,
გინდა, სულ მღეროდე და რაა;
ერთ უმშვენიერეს დღეს –
ალმართზე გეტყვიან: „დალაი“.

ვიღაცა ჩაიცვამს შავებს,
ვიღაცას წუხილი შეშლის.
შერისხავს სიკვდილის ქავებს,
მსუბუქი სიკვდილი შენი.

დაგრჩება უმთვარო ღამე,
დაჭკნება გზის პირად ლელი.
ინატრებს დაგესლილ წამებს,
ვინც წასულს ამაოდ ელის.

რა ძლიერ ეტრფოდი მზეს,
გინდოდა, გემღერა და რაა;
ერთ უმშვენიერეს დღეს –
ალმართზე მოგძახეს „დალაი“.

ტიციან ტაბიძის მონოლოგი

მემატიანე გვერდს ვერ აუვლის;
გულშიც ბალღამი აღარ ნელდება.
ვიცი, დროება ისევ აურევს,
და ვიცი, ისევ ჩამობნელდება.

დარღვეულ სულზე გადაივლის მტერი ქართლისა,
დავილეწები, ალბათ სადმე ძვალ-ხორციანად.
არ მეშინია სისხლიან დროს სიტყვის მართლისა,
მამულის ზეცას მე მივანდე გული მთლიანად.

იუდას ამბორს ველარა გრძნობს დროება თალხი,
აღზევდა ძალა და სიცრუე და რა ხანია,
უვაცო ფარას დაემსგავსა ძირძველი ხალხი,
ჩემი სამშობლო დაწყევლილი ბალაგანია.

მემატიანე გვერდს არ აუვლის,
ჭეშმარიტი და ბევრის მხილველი,
თუ სისხლიანი დღესასწაულის
ვინ დაარისხა დროშა პირველი.

დალეწილ სულზე გადაივლის მტერი ქართლისა,
რისი გაღუნვა, ზიარებაც ალბათ ადრეა.
ქონდრისკაცებო, გეშინოდეთ თქვენ სიმართლისა,
ნისლიან ჯვართან დამიტირებს ჩემი ქალდეა.

1988 წელი

საქართველოს ბოლო დედოფლის – მარიამის მინაწერი „ქართლის ცხოვრებაზე“

დიდთა მეფეთა დიდი ზრახვა წარმოაჩინებს,
მცირეთა – მცირე. – ასე ამბობს მემატიანე.
ვიხსენებ დიდგორს,
სიხარულის ცრემლი იწვიმებს,
კრწანისი ისევ მე მატიალებს.

დავხურავ წიგნს და საქართველოს კვლავაც არბევენ
(მზე ჩასულა და მე მზეს ველოდი).
რამდენის სისხლიც შეხმობია ციხის ნანგრევებს,
იმდენი ძეგლი მინდა იდგეს საქართველოში.

არვინ წასულა წინაპართაგან, ყველა აქ არი,
მაინც ახლოა თავდავიწყება.
მე დამიტოვეს სამშობლო – ქარი
და გაძარცული ხატების წყება.

ჩამქრალა შუქი ჩემეული დასტანაგების,
გამქრალან სპანი თმათა ჩემთა უფრო მრავალი.
დაიქცენ ბჭენი მამულისა ტურფად ნაგები
და ვრჩები მარტოდ მრუმე ღამით უგზოდ მავალი.

ჰეი, სადა ხარ, უნდობელო მგზავრო სულეთის,
მოვედ, წარიღე ცარიელი სულის ხმაური.

●

ვერ დავუშალე სიტყვებს სიურჩე,
ველარ შევალე ზეცის კარები.
ვით შემოდგომით მთების სილურჯე,
სიცოცხლე ისე მიიპარება.

ველარ დავძარი სიტყვის ლაშქარი,
ზოგს ვუორგულე, მსწრაფლ გამეცალა.
ზოგი ქარს გაჰყვა, როგორც აშარი,
ზოგმა სულისთქმაც არ დამაცალა.

ვერა ვთქვი ლექსი ცისკრის კარედის,
რომ ზანზარებდნენ ზეცის დირენი.
ავდევნებივარ ქარს ტრამალების,
ვითარ ვაგლახად მენადირენი.

ოქროს ყანები ვერ დავიუნჯე,
ველარ შევაღე ზეცის კარები.
არადა, როგორც მთების სილურჯეს,
სიცოცხლეს ისე მიეჩქარება.

●

არ შედგა პოეტი! – წარმოთქვამს მავანი, –
მოლიტერატორო, მომწერლო კრიტიკანი.
არაფერია აქ შემზარავი,
თუ არ მომიხსენებს პოეტად ტიპიკონი.
ქოსა მექისეთა ჟამი დგას გორსალური,
ზრიალებს, წრიალებს ცბიერთა კარუსელი.
საქართველოში მოთოვა ნიჭმა,
მოდი და „ვარსკვლავთა“ ცვენას გაუძელი.
კამეჩის ქედი მარწუხებს არ ჰგუობს,
მეწამულ ღრუბლებზეც ვერ შევძელ სიარული.
ევქსინის პონტი კვლავ ელის „არგოებს“,
ვინ გვიშლის, ვიყოთ ჩვენც მუდამჟამ მხიარული.
მე ვერ გამოვდგები მსოფლიო მოენედ,
რადგანაც არ ვიცი „word-ებ-cartrig-ები“.

ისედაც ვაწუხებ ქალაქის მოედნებს,
პროვინციული მძიმე ნაბიჯებით.
არვინ დაგვიამებს წარსულის ნახმლევებს
და არც არავინ გვიზომავს ფესვებს.
მეც ვერ ვაერთებ გარდასული დროის ნამსხვრევებს,
ვერც ლუდხანებში დაჩეხილ ლექსებს.
ნუ მეპატიჟებით ლირიკის პანაშვიდზე.
ქაჯობად ნუ ჩამითვლით წარსულზე აგონიებს.
თქვენსავით მეც ერთი ფიქრი დამამშვიდებს;
ღმერთო, ამ ბნელში სამშობლო მაპოვნინე.

25 ნოემბერი
2002 წ.

●

ცირკის ლომივით დავყევ სხვის ნებას,
ხელს ამიქნევენ, წადი, მოდი შენ!
ცხოვრება რთული როგორ მექნება,
როცა ადვილად წავიბოდიშებ.
ვინც აქ არ არის ან მიმატოვა
ქალმა, ლექსი რომ ცვალა ბორკილში, –
განუზომელად ვინაც მიყვარხარ,
სიყვარულისთვის დიდი ბოდიში.
არავინ იცის, ტირის, იცინის,
ვინც ზის „ჰამერში“ ანდა „ბოინგში“,
ალბათ, გულგრილად მთვლიან ისინიც –
გულგრილობისთვის დიდი ბოდიში.
ვინაც დარდობდა, ნუ დარდობს ახლა,
ძილს ნუ გაიკრთობს ჩემს მოლოდინში.
დიდი ბოდიში, სიონის გლახავ,
ბეჩავ იერემო, დიდი ბოდიში.
წლებმა ცხოვრება როგორ გაჯოხა,
ვინ ზეცად კვდება, ვინ კი ლოგინში.
ჩემგან კი, ალბათ, ამის თქმა სჯობდა,
თუ ვსვამ – ბოდიში. ვსუნთქავ? – ბოდიში.
გული საგულით ამოსვლას ლამობს,
თუ ეშველება, – სრულ გამოთიშვით.
რა მოგივიდა, ბებერო ლომო,
როგორ ხშირ-ხშირად ამბობ: ბოდიში.
აქ ირონია არაფერს ახლავს
და მაინც უნდა მეთქვა ბოლოში:
თუ კვლავ გაწუხებთ ჩემი დანახვა –
არსებობისთვის დიდი ბოდიში.

პოეზია



ანზორ აბულაშვილი

კვლავ ძველი ბილიკით

ისიც უფსკრულეთს დაინთქა,
ლოცვით რომ ირგვლივ გვიარა,
რაც გითქვამს,
არც ის არ გითქვამს,
რადგან არ გამიგია რა.
ვარდმა ეკალი იახლა,
თუ ვარდი ეკალ-ნარებმა,
მე არც ის ვარდი მინახავს,
არც მისი ჩამოჭკნარება...
და ახლა სიმწრით თანა მდევს
სიმთვრალის მიეთ-მოეთი,
როცა ძველ ბილიკს დავადექ –
ამ ჩემი სიმარტოვეთი.

წასვლის ჟამი

მე ფიქრისთვის ახლაც ვიცლი,
თუმც აზრს ველარაფრით ვიცვლი:
რაც არ ვიცი, ისიც ვიცი,
და, რაც ვიცი, არც ის ვიცი,
აჰა, ვეთხოვები ამ ცას
მე – მარადი მკვიდრი იმ ცის...
უსიამო ჟამმა გამცრა
მტვრადქცეულმა ჩემივ ფიცის.

კავკასიური პარადოქსი

მყინვარის შესამკობარი
თოვლ-ყინვის თეთრი ოლარი
ახლო როა და შორს არი,
მგონია – ჩემი რო არი.
ამ მთების იქით – მთავარი –
ვინ ჰპოვოს ზნე და მორალი,
ხომ ვიცით – მისი არ არი,
ნამდვილად ვისიც რომ არი.

●

გული მტკიოდა უწამლობით თუ საწამლავით,
უნუგეშობას, მკვნესარებას მარად ჩვეული,
მედგა უწყვეტად რუხი კვამლით სავსე კარავი,
დღე-ღამის ნიშნით არც არაფრით გამორჩეული.
სული მტკიოდა თუ ვტკიოდი სულს აბრეშუმის,
რაც ხვედრი შავი არავის რომ არ გამოარჩევს,
მომავლად ვითარ მობრუნდება ჟამი წარსული
და თვალახელის გვემისაგან ვერადღა გვარჩენს.
მზე-ვარსკვლავ-მთვარე ტრაგედიას თამაშობს ცაში,
სამივე, თითქოს მარადისი პუდრით დამტვერილს,
სპექტაკლს თანა სდევს ხმამდუმარე შეშლილი ტაში,
მთლად შეუმშრალი ცრემლ-მდინარი ხვედრი პარტერის.

●

თუმც ეს სიცოცხლე კვლავ გამიმწარეს,
მაინც ყოველთა მომთმენი მე ვარ.
მოლონივრებულ ბალახზე ვწევარ,
აბიბინებულ ვყნოსავ სიმწვანეს,
სიბრძნეს ვპოვებდი, მჯერა, მე ძველთა,
რაიც ზეციურ ნათელს შემძენდა,
იგი იპოვის დაკარგულ მამულს,
ძილშიც სამშობლოს ვინც დაეძებდა.

დაუმთავრებელი გლოვა

სამსხვერპლოდ მყავ სიკეთის – ყოვლის შესაწირი მე,
ღმერთო ერთო, მაღალო, ღმერთო, შენი ჭირიმე.
რა უნდა ვთქვა ნეტავი სხვისი გასაკვირი მე,
თუმც ამ ნათქვამს მხნედ ჰყოფს თვისივ გასაჭირივე.
რა ვქნა თუკი მებოძა სიტყვა ასე მწირი მე,
ყველას შემწე და მაინც ყველას გასაწირივე...
ამ ბნელეთში მეკუთვნა სხვაზე დიდი წილი მე,
მოვკვდები და გავხდები ჩემივ დასატირივე.
.....
ამ გლოვის ჟამს აქამდე არ დაესვა წერტილი,
მწვანედ დღეს ვინ შემოსავს ორთაჭალის ბაღნარებს,
ორასი წლის წინანდელ ცრემლით კვლავაც მე ვტირი,
თანაც სისხლიც იმ დროის კვლავ თავიდან დავლვარე...
მზის ამოსვლას ჭეშმარიტს თუკი ვინმე მახარებს,
ფრთაშესხმულს ვით გამიწევს მერე გული სხვა მხარეს.
ღმერთო, შენ დამაყრუე, ვიდრე ამ ყურს მომწვდება,
თუკი ახლა ეშმაკის ირონია ხარხარებს.

●

გზა სადაა... მითუმეტეს – რის ტაძარი,
რა ტაძარი...
ჯვრის წერაშიც ვერ დავლანდე
ვერსად ნეფე-პატარძალი.
ზეიმები დავაქუხეთ, რა „გრადები“,
რა ტანკები...
პენსიებად იმედს ვიღებთ
უიმედო ღატაკები.

შუმერის გამოცხადება

ზურაბ ქაფიანიძის ხსოვნას

ათას წლებს მიღმა დრო-ჟამმა დანთქა
გონ-სიბრძნე-ძალით სავსე შუმერი,
დღეს კვლავ ვიხილე,
მეტი რომ არ ვთქვა,
გულ-ხელგაშლილი და უშურველი.
მოხაზა ანი, ბანი და განი
და უძლურება იგრძნო სატანამ,
იმ ხაზებს აღარ დასჭირდათ ხანი
ქვეყნად ბნელეთის გასაფანტავად...
და მოხველ ქვეყნად –
დღისა და ღამის
შეუცნობელის განსჯა-განკითხვად
იმ ამოუხსნელ – მილმიერ ჟამის
წაუკითხველის წასაკითხავად.

ანდერძი შვილებისადმი

წერად ვზი ანდერძისადა,
ფიქრის მორევში ვიძირე,
მაგრამ სათქვენოდ ნუგეშის
სიტყვაც კი ვერ მოვიძიე.
ყავარი წვიმას ვერ იჭერს,
ნატვრად მქცევია კრამიტი.
რამდენს ებოძა განძი რამ,
უზღვავი თვალმარგალიტი.
მე კი დღეს საანდერძებლად
არაფრისა მსრესს სიმძიმე
და ერთი სიტყვაც იმედის
ვაი რომ ვერ მოვიძიე.

ციცრი თარგამაძე

•

(ხალხურ მოტივზე)

კლდის ქიმზე იდგა ყაყაჩო,
ფეხქვეშ ფიქალი შლილიყო,
ხახადაღებულ უფსკრულთან
უძლევად დარჩენილიყო.
ქარში, დელგამში, წვიმაში
მღეროდა სასიმღეროსა,
ვფიქრობდი, როგორ იმაგრებს
ამ სიფრიფანა ღეროსა?!

•

კეთილს და ნათელს ჩრდილები ახლავს,
ოღონდ ანათებს ის, რაც იწვება,
ტკივილი მუდამ დაბადებს ახალს,
ტკივილით მუდამ რაღაც იწყება...
ლექსები ჰქვია სახელად, ალბათ,
ტკივილებს, ტანჯვას, თავდავიწყებას...

●

დამიმახსოვრეთ, ვიდრე მიხდება
ფერი ცისფრის და ფერი მაისის...
ჩასაფრებული გზად დამიხვდება
ვიდრე სიბერის სიდარბაისლე...
ვიდრე აპრილი შველის ტკივილებს,
მზე მიალერსებს ოქროცურვილი,
ვიდრე სივრცეებს გადვიყივილებ
დაჭრილი ფრთების გაშლის სურვილით.
ვიდრე ვაგროვებ სითბოს მზეების,
სიკეთეს ვმარცვლავ მზის წყურვილამდე,
დამიმახსოვრეთ ლამაზ დღეების
და შემოდგომის მიწურვილამდე.

●

ია შეჭამა ყინვამ და ძეძვმა,
ჩრდილის მიზეზი ტყე და კუნძია,
რად მინდა ლექსი, სულს თუ შეძრავს,
გული, რომელსაც თუ არ უგრძნია..
ლექსი, რომლითაც ვერვის დავათრობ,
იყოს დღემოკლე, იყოს დღემცირე,
რად მინდა სიტყვა, თუ არ გაგათბო,
სიცოცხლე ერთგულს თუ არ შევწირე.
რად მინდა თვალი, თუ არ ატირდა,
ენა – გულისას თუ არ იტყოდეს,
გული – ვინმესთვის თუ არ ამტკივდა,
სული – სიყვარულს თუ არ ითხოვდეს!..

პოეტური რეტროსპექტივა

ვანო ამირხანაშვილი

განახლებადი მუდმივი

სუნთქვა ისმის მისი სტრიქონებიდან, მიწის სუნთქვა. აზრიც ისეთივეა, როგორიც სუნთქვა: დასაწყისიც იქვეა, სადაც დასასრული. სადაც იწყება, იქვე მთავრდება ფიქრი, აზრი, დრო, სივრცე, არსებობა. რიტმი თანაბარია, უცვლელია მოძრაობის ხასიათი: თავისი თავიდან გამოსვლა და თავის თავში დაბრუნება. სამყარო ტექსტში წრიულ პანორამად შემოდის.

მისთვის უცხოა პოზა და სტილიზება, რადგან, რასაც წერს, გულიდან მოდის და მოდის ისეთად, როგორც იწერება.

კანით გრძნობს სამყაროს, ადამიანს, მის ხასიათს, საქციელს, სულს. გიკვირს, როგორ ხედავს მოვლენებს, როგორ გამოარჩევს საგნის განმასხვავებელ ნიშნებს; როგორ ჩადის მოვლენის ზედაფენებიდან მისი ხასიათის არქეოლოგიურ სილრმეებში. მუშაითივით თავზეხელაღებულს რატომ არ ღალატობს გრძნობები, შეგრძნებები და ინტუიცია; როგორ ახერხებს, ყოველ ნაწარმოებში იყოს განსხვავებული და დარჩეს იმად, რაც არის.

განახლებადი მუდმივი – ბესიკ ხარანაული.

ბოლო დროს ორი რომანი გამოსცა: „ეპიგრაფები დავიწყებულ სიზმრებისათვის“ (2005) და „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდი ანუ წიგნი ჰიპერბოლებისა და მეტაფორებისა“ (2010).

„ეპიგრაფები“ ფრაგმენტების წიგნია. ნაწყვეტებად არის გადმოცემული მთხრობელის მეხსიერებაში თავმოყრილი ამბები. ეს ის დეტალებია, რომლებიც ლექსებს „გამორჩა“. ნაწარმოები ეგრეთ წოდებული „ახალი რომანის“ სტილს მოგვაგონებს. ეს ის სტილია, ყველაზე მეტად ალენ რობ-გრიეს რომანებში რომ იკვეთება. არ არის ფაბულა, სიუჟეტი, ინტრიგა, არ არიან პერსონაჟები, არ ჩანს ხასიათები. ყველაფერი ტექსტის შინაგან კანონებს ემორჩილება. რალაცით შეიძლება სიმბოლისტურ პროზასაც უახლოვდებოდეს. თუ ძალიან სტრუქტურალისტური ნათქვამი არ გამომივა, ეს არის გონებისა და გამოცდილების დიალოგი.

აქ არის მეტაფიზიკა, მაგრამ არის ფიზიკაც; არის დრო და არ არის დრო; არის ავტორი და არ არის ავტორი. რაც სრულიად გარკვეულია, ეს არის მოძრაობა, გამუდმებული მოძრაობა. მოძრაობს სიტყვა, მოძრაობს საგანი, ფიგურა, მეტაფორა. აზრი პლასტიკურ მეტამორფოზებს განიცდის, განზომილებებს იცვლის, თავისი სივრცული მოცულობა პლანიმეტრიიდან სტერეომეტრიაში გადააქვს.

წიგნი, რა თქმა უნდა, ავტობიოგრაფიულია. ავტობიოგრაფიულია ფანტაზიაც და გამონაგონიც კი. აქ მოისმის ავტორის სულის ბგერა, რომელიც ფილოსოფიას პოეტურ ენაზე ახმოვანებს. ეს არის ფილოსოფია პირველყოფილი სახით, მინარევების გარეშე.

ს. ს.

ბესიკ ხარანაულის პოეტური სამშობლო – ვერლიბრივით უბრალო და ღრმა – ივრის ჭალები, ხაწირის მთა, თეთრახევის ტყეები, მტვრიანი შარაგზები, პურივით უბრალო ადამიანები, რეალურის გარდა, რაღაც ირეალურს, იდუმალს, ენიგმურს მალავდა. მის ყოველდღიურ ყოფას ავსებდა ტოლ-მეგობრების ჟრიამული, ჩიტების ჭიკჭიკი, ბოჩოლების ბლავილი, თხების კიკინი, ცხენების ჭიხვინი. მთელი ზაფხული ფეხშიშველი დარბოდა წყალ-ჭალებსა და მინდორ-ველებში, სექტემბერში ძლივს აცმევდნენ ფეხსაცმელს. „მაუგლის“ ეძახდნენ. ბუნების შვილად გრძნობდა თავს და იმასაც ხვდებოდა, რომ ყოფიერების მილმა არსებობდა ან თვითონ ამ ყოფიერებაში იყო რაღაც, რომელსაც გამოცანა მხოლოდ მაშინ დაარქვა, როცა სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდის დანახვაზე შეშინდა.

წესით, სამოცი რაინდი „ეპიგრაფებში“ უნდა გამოჩენილიყო, რადგან ეს წიგნი სწორედ ბავშვობის ხილვების გადმოცემაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამას სხვა იმპულსი სჭირდებოდა, სხვა სილრმეების ძიებას უნდა ამოჰყოლოდა.

საკუთარი თავის, საკუთარი ფესვების ძიება ეთნოგრაფიულ სილრმეებში – ეს არის „სამოცი ჯორზე ამხედრებული რაინდის“ მთავარი მოტივი. თუმცა, სხვა მხრივ, პოლიფონიური წიგნია. აქ წარმოდგენილია ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული, მითოლოგიური და ყოფითი პანოპტიკუმი, აჩრდილებად ქცეული მთა – ენაში განსხეულებული, გასაგნებული, გაამბებული. რამდენადაც რეალურია ალწერილი გარემო, იმდენად ირეალურია სამოცი რაინდის გამოჩენა. არ ვიცით, ვინ არიან, საიდან მოდიან, სად მიდიან. მგონი, ესეც მეტაფორაა, წარსულის პოეტური ანარეკლი.

ფიქრი პარადოქსების ზღვარზე მოძრაობს. აზრს ანტინომიები წარმოშობს. აზრობრივი კონსტრუქციების რღვევას, აზრის, ასე ვთქვათ, გადაბრუნებას შედეგად მოჰყვება აზრის გამდიდრება. ისე, როგორც ნიადაგის გადაბრუნება იწვევს მოსავლის გამდიდრებას. „წერისთვის არც სიბრძნე ვარგა და არც სისულელე; ამ საქმეში სჯობს ორივე ისე შეირწყას, რომ შობონ შვილი: არა დედის და მამის მსგავსი, არამედ თვითონ – ახალი გიჟი!“ – წერს ბესიკ ხარანაული. ეს ის სიგიჟეა, რომელიც სადღაც, რომელილაც წერტილში ცასა და მიწას აერთებს თავისუფლად, ძალდაუტანებლად, როგორც ტროლეიბუსის გამოცდილი მძღოლი აერთებდა ხოლმე ხაზიდან ამოვარდნილ ბიგელებს.

ფშავ-ხევსურეთის წარსული ბესიკ ხარანაულის სტილის ბიოლოგიური საფუძველია. იქ არის, იქ იმყოფება მთელი არსებით და თითქოს კი არ წერს, არამედ წარსული გადმოაქვს, ხელშესახებ სივრცედ გადმოაკეთებს.

ეს არის ტექსტი, რომელთან დიალოგი შესაძლებელია, ოღონდ ინტერპრეტაციის ობიექტად არ „წამოგყვება“, წინასწარ შემუშავებულ სქემაზე არ დაგილაგდება, რადგან სხვა სილრმეებიდან მოდის, ეს ავტორის შინაგანი ცხოვრების ტრანსკრიფციაა.

ორივე წიგნი, „ეპიგრაფებიც“ და „სამოცი რაინდიც“, რეტროსპექტული ნაწარმოებია. არის მათში რაღაც, რაც ძველისა და ძალიან ნაცნობის განცდას იწვევს. თუ არ ვცდები, ეს არის მსოფლმხედველობა, რომელიც ბესიკ ხარანაულის შემოქმედების თავისებურებას განსაზღვრავს. გარდა ამისა, აღსანიშავია თემა, ბავშვობის თემა, რომელიც პოეტის მსოფლაღქმის საფუძველია.

გინდ-არ გინდა, მკითხველის გუმანი გიბიძგებს, ავტორის შემოქმედებაში ეძებო ამ წიგნების პოეტური სათავე, მიზეზი, პირველსაწყისი. მკითხველებს გვაქვს თანაშემოქმედების სუვერენული უფლება და ზოგჯერ ეს უფლება უნდა გამოვიყენოთ.

გამოქვეყნებული ტექსტი, კაცმა რომ თქვას, ავტორს აღარ ეკუთვნის. ის მკითხველისაა და მას შეუძლია (თუ მართლა შეუძლია), მწერლის ტექსტებისგან ახალი ნაწარმოები შეადგინოს – „უავტორო“ ნაწარმოები.

ბესიკ ხარანაული ერთგან წერს: „ყველა წიგნისგან უკეთესი ის არის, რომელსაც არ სჭირდება ავტორი“.

მის ადრინდელ ნაწარმოებებში მოიძებნება ოთხი ტექსტი, რომელთა შეერთებით შეგვიძლია მივილოთ ახალი, „უავტორო“ ნაწარმოები. ესენია: 1. ფრაგმენტი პოემისა „წიგნი ამბა ბესარიონისა“, რომელსაც სათაურად „რძის ფოსტას“ დავარქმევდი; 2. „კარტოფილის ამოღება“; 3. „კნუტები“; 4. „სიტყვების უქონლობის გამო“.

ამას მეცნიერები რეტროსპექტულ დისკურსს ან ყოფით ნარატივს უწოდებენ. ჩვენ უავტორო ნაწარმოები ვუწოდოთ. ან რა მნიშვნელობა აქვს, რას დავარქმევთ. მთავარია, რომ ჩვენ წინაშეა მოულოდნელი ბესიკ ხარანაული – ოთხნაწილიანი მთელი, განახლებადი მუდმივი.

ივანე ამირხანაშვილი



ბესიკ ხარანაული

რძის ფოსტა

– აჰა, მიიღე, ჩემო ბავშვობავ,
გიგზავნი ამ ცხელი რძის ყლუპებს!
სხვითი რითი გადაგიხადო,
(მე შენ გეტყვი და, მოგწვდები და,
შეგიმშრალებ ცრემლიან უპეს)
ჩემო ერთადერთფოტოიანო,
თაფლიანო, კარაქიანო,
(ან ყინულებში გამლხვალ რუზე გადაგასკუპებ),
კომშის, მაყვლის, შინდის,
კაკლის მურაბიანო,
ეჭვიანო, ფრთხილო, მზიანო,
ფეხშიშველაო...
ნუ გეშინია,
გარყვნასა და ბებერ ტვინს მე არ ვმორჩილდები,
ისევ მას ვმონებ,
რასაც შენში ღმერთი მმონებდა
(გაზრდამ ნეტავ რა გვიშველაო),
ცხელ რძესა ვსვამ, ყლუპ-ყლუპებით, ამ წუთებშიაც,
მაყვლის მურაბით,
კარაქიან თონის პურითა,
წესს გიყენებ შენ, ამგვარად,
ჩემის ჭკვა-ფიქრით,
სამხვეწროს გწირავ,
ვით წინაპარს და გმირ მოყმესა
(ბებოჩვენი რომ ხატის ყორეს ჩოქვით უვლიდა)...
ჩემო გუდავ ტყუილებისა, მსახიობო შარა-გზისაო,
გაქცეულო, მობრუნებულო,
შენზე დამტვრეულ ჯოხებს ახლა დაფნებად ვიმკი
და სულ ვცდილობ, უტყუილო წიგნად განვავრცო,
მზით გამშრალო, ქარით ნავარცხნო,
დედის მეხრევ, მოტრიალევ დღედაღამე სახლის დარაჯად,
ოხერო ბიჭო, ვის დასტყუე ჯარისკაცის გრძელი ფარაჯა,

ბესო-ბესიკ-ბესარიონო!
მკვდარს სამარეში იგულებენ,
ბავშვობას კი მოგონებებში,
შენ სადა ხარ, სად გინახულო,
შენც მკვდარი ხარ დედაჩემივით –
ერთად ხართ და კალთას უზიხარ,
თუ სადმე ჩემს გულში, ტვინში,
ანდა უჯრედში
ანთიხარ და მემეგზურები?
ვეჭვ, რადგან ერთი თმის ღერითაც
კი არა მგავხარ.
ჩემო ჭკვიანო,
მზის ამომსვენ-ჩამსვენებელო,
ჩემო ამბა-ბესარიონო,
ნუ მიყურებ ეგრე თვალებჩაციებული –
რომ არ უნდა შეგარცხვინო,
რომ მაგრა ვიყო,
შავო, შავო, თეთრ-მარცვალა კბილებითა სახემცინარო!
ხიჭვთა, ეკალთა უშიშარო,
კოჭ-ლამაზო, ტერფ-აზრიანო,
უბნის გამრიგევ,
არა ჩქარო, არა გვიანო,
ლაზღანდარაო...
სადმე რომ შეგხვდე, ღმერთო, როგორ გავიყინები!
ჩემო ჩვილო და მაგარო,
ასსახიანო,
ავანტიურა, რომელიც ჩვენ წამოვიწყეთ,
ცხოვრება აღმოჩნდა.

კარტოფილის ამოღება

– ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ! –
მითხარი შენ
და საწოლისკენ სკამი მიიწიე,
რომელზეც შემდეგ,
შუქს რომ ჩააქრობდი,
ტანსაცმელი უნდა დაგეწყო.
მე კედლისაკენ გადავბრუნდი.
ამით ისიც გაგრძნობინე,
რომ გავიგე შენი ნათქვამი
და ისიც გითხარ, რომ ხვალინდელ დღეს
სულ სხვა რამეებს ვაპირებდი:
– მე თხუთმეტი წლისა ვიყავი,
ხვალ კვირა იყო
და მე მქონდა ჩემი გეგმები.
მაგრამ შენ თქვი, რომ
ხვალე კარტოფილი უნდა ამოვიღოთ...

შენ მოეწყე დასაძინებლად,
კედლისაკენ გადაბრუნდი
და ჩემს დასარწმუნებლად
სიტყვა გააგრძელე:

– სხვაც ათასი საქმეებია,
ამინდებს უნდა დავეშუროთ,
წვიმები რომ დაიწყოს, მიწაში ჩაგვილპება
და ძილის წინ კოცნის მსგავსად
და თმაზე ხელის გადასმასავით
ხმადაბლა მითხარ,
– ზამთარში ხომ კარგია ხოლმე
ნაცარში გახუხული!
შენ ალბათ კიდევ ბევრის თქმა გსურდა,
შენ მოფერებაც გინდოდა ჩემი,
ასე კი არა,
კედლისაკენ გადაბრუნებულს
პატარა ბავშვივით რომ გამეხუმრე...
მაგრამ ჩვენ ჩუმად შევთანხმდით ყველაფერზე.
ეს დიდი ხნის წინათ იყო,
თიანეთში,
სწორედ ამ დროს,
შუა ოქტომბერში.
ეს ამბავი მე ახლა გამახსენდა
ჩემს ლოგინში, თბილისში,
შუაღამისას,
როდესაც შუქი ჩავაქრე და
კედლისაკენ გადავბრუნდი.
მე ძალიან მჭირდებოდა,
რომ ამ ღამით დროზე დამეძინა,
მაგრამ როგორც კი ამის შესახებ
ჩემს თავს ვუთხარი –
ძილი გამიტყდა,
როგორც ყოველთვის მემართება ხოლმე საერთოდ,
როცა დილით სამგზავრო ვარ,
ანდა რაიმე საქმისათვის ადრე ასადგომი.
ვერა და ვერ დავიმახსოვრე,
რომ ძილს თავი უნდა შეატყუო...
და ახლა ვწერ კალმით,
რომელიც ჩემმა თხუთმეტი წლის ბიჭმა მაჩუქა
ჩემს არშემდგარ დაბადების დღეს.
ხვალ ისიც ადრე უნდა ადგეს,
თუმც რა ადგომაა,
უღელი ხარი თუ გამოიყვანს მას დილის ძილიდან
და ისიც მაშინ, თუკი იმ ხარებს
ჩემნაირი ოხერი მეხრე ეყოლებათ.

ჩვენი ეზო სულ თერთმეტი მეასედია,
მაშინ ნახევარზე კარტოფილს ვთესავდით.
გვეთესა ლობიოც, სიმინდიც...
და მხოლოდ სახლის წინ
ერთი ბეწო მოლიღა იყო დატოვილი,
რომ ნახირიდან მობრუნებულ საქონელს
გომურისაკენ მიმავალი ბილიკი ჰქონოდა.
ო, როგორი თვალებით უყურებდნენ ხოლმე ისინი
თავის გაწვდენაზე მომდგარ სიმინდებს,
რომელთა წინაც მე და დედაჩემი,

მკაცრი დარაჯები,
დღეში ორჯერ ჩავატარებდით.
ომის შემდეგ კარტოფილის ფართობმა იკლო,
მაშინ ხომ პურის ცომშიც კი ვურევდით
და დედაჩემი მარწმუნებდა – ლელვივით არისო.
მაშინაც და მერეც,
მერეც კარგა ხანს
კახელებს ვუცვლიდით ხახვში ან ატამში,
ახლა კი, მაინც ეს ბოლო წლები
ისე ცოტას ვთესთ,
რომ ერთ ბოთლ არყად
დედაჩემი ვისაც უნდა იმას დააბარინებს.
მაგრამ სულ სხვაა ამოღება –
შედეგი, ძიება და სიხარული.
შრომა, რა თქმა უნდა, დიდი არ უნდა,
მით უმეტეს, როცა ორნი იღებენ ხოლმე.
ერთი რომ ბარით კარტოფილს ამოჰყრის –
მეორე აჰკრეფს.
როცა დედაჩემი მიწას აცლის კარტოფილს, ანდა
სადმე დამალულს ეძებს თავის გრძნეულ თითებით,
მე, ბარის ტარს დაყუდებული
ვუყვები რამეს,
ხოლო როდესაც
ახალ ორმოს თხრას შევუდგები,
ის მეტყვის რამეს...
და ასე ვართ ოთხ-ხუთ საათს,
მზის ქვეშ ჩვენ ვართ ორნი ხოლმე
და სხვა არავინ,
საჩოთიროს არაფერს ვიტყვით,
რომ გუნება არ გავიფუჭოთ.
რომ დავტკბეთ ასე,
ვილივლივოთ მზეში, ჰაერში,
ამოვთხაროთ ჩვენი წარსული,
ამოვყაროთ ოქროები,
პირი ვუჩინოთ,
ოთხ-ხუთ საათს მოვიწყინოთ, გული დავიტკბოთ
და მერე ისევ გაისამდე მიწაში ჩავფლათ.

მაგრამ არის ხოლმე კრიტიკული მომენტებიც,
როდესაც,
მაგალითად,
დედაჩემის წერილს მივიღებ,
რომელშიც იგი,
ჭეშმარიტი პედაგოგის ურყევი ტონით
მწერს ჩამოდიო!
მე კი ამ დროს
სულ სხვა საქმეები მაქვს გამოჩენილი,
ანდა უბრალოდ,

სხვაგან წასვლა მირჩევნია –
ხომ არის ქვეყნად სხვა საქართველოც,
ვენახებით, ლელვისა და წაბლის ტყეებით...
მე კი... კარტოფილი უნდა ამოვიღო!
ამ დროს მე ვანჩხლდები, ვაპროტესტებ, ბრალს ვდებ:
რა არის ასეთი,
განა რა გახდა ბოლოს და ბოლოს,
ორი ტომარა მთელ წელსა გვყოფნის,
განა ღირს იმად, რომ ამდენს ვწვალობთ!
გაზაფხულზე იწერები – უნდა დავთესოთო,
შემოდგომაზე – ამოვიღოთო!
მაგრამ ბოლოს ჩემი ამბოხი,
როგორც წესი, იმით მთავრდება,
რომ ავიკრავ გუდა-ნაბადს
და მივდივარ თიანეთისკენ.
შარშან შემოდგომაზე მე და ჩემი ბიჭი ჩავედი
ეს მისი პირველი საქმიანი წამოსვლა იყო.
დედაჩემი გაბედნიერდა: –
სახლს და ეზოს პატრონები ჩამოუვიდნენ!
და ისეთი უსუსური იყო იგი ამ სიხარულში,
როგორც არასდროს არც ერთ გასაჭირში არა ყოფილა.
როგორ უმიზნოდ არბოდა და ჩამორბოდა კიბეები
სიტყვამრავლობდა,
ლამის ანც გოგოს დაემსგავსა,
ლამის დაავიწყდა,
რომ ჩვენ კარტოფილი უნდა ამოგველო.

სულ ასიოდე ძირიღა გვითესია,
მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს!
ნახევარ საათში
ჩემი ბიჭი უკვე გაიტყუეს იქაურმა ამხანაგებმა.
ვიდრე ეზოდან გავიდოდა – შემოგვხედა, –
– რა ვქნა, წავიდეო?!
ჩვენ იგი გავუშვით... თხუთმეტი წლისაა,
ისიც კარგია,
რომ სინდისმა შეაწუხა და ყოყმანი დაეტყო.

როცა საქმეს მოვრჩებით
და კარტოფილს დავაბინავებთ,
როცა ხელებს დავიბანთ
და ტანსაცმელს ჩამოვიბერტყავთ,
როცა დედაჩემი სამზარეულოს მიაშურებს,
როცა დასაღამოვდება და აგრილდება,
მე წამოვისხამ თბილს რაიმეს და სახლის წინ,
დიდი ვაშლის ძირში დავჯდები.
აქედან კარგად იხედება ჩვენი მიჯნები
და მე ვფიქრობ ჩვენს ეზოზე,

რომელიც ერთ დროს
მშობელივით თავშეწირვით,
უშურველად გვკვებავდა
და, რომელმაც ახლა
მხოლოდ და მხოლოდ უნდა გაგვართოს
ის ერთი-ორი არასრული თვე,
როდესაც თბილისიდან თიანეთში ჩამოვდივართ.
მე ვფიქრობდი ჩვენი ვაშლის ხეებზე,
მათ წარსულზე,
მათ ცხოვრებაზე...
ჯერ კიდევ ჰკიდია ყუნწს ფოთოლი,
მაგრამ ქარი უკვე გზაშია.
და მე ვფიქრობდი ქარზე,
რომელმაც ფოთოლივით წამილო.
ამ წუთებში მთელმა სამყარომ
ჩვენი ეზოს ჭიშკარი შემოაღო,
ჩვენს ღობეებში შემოიმწყვდა
და აქაური სამოსი მოირგო
და მე დიდხანს, დიდხანს ვთამაშობდი მათთან
ვმსჯელობდი, ვკამათობდი,
ვიდრე ჭიშკრის იქიდან
ჩემი ბიჭის მხნე და მხიარული
ძახილი არ გაისმა.
ლანდები დაფრთხნენ.

ვახშამი ამჯერადაც სენტიმენტალური გვქონდა.
– „კარგი ვქენით, რომ ამოვიღეთ და არ გადავდეთ,
წვიმები რომ დაიწყოს... მერე ასეთ დროს...
განიჟება იცის ხოლმე
და მიწაში ჩაგვილპებოდა“.
მე დავლიე ერთი-ორი ჭიქა ჩვენი არყისა
და დედაჩემს ვუმტკიცებდი,
რომ ყველაფერი კარგად მიმდის,
რომ გაზაფხულზე ჩამოვალ და კარტოფილს დავთესთ.
ის, ასეთი პატარა და თითქმის მოხუცი
მისმენდა მე, ჩემს ალთაბალთას,
რაღაცის თქმაც დააპირა – დიდი რაღაცის,
მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა,
ის რაღაცა ნერწყვს ჩააყოლა...
არ შეუძლია მას იოლი ლაპარაკი არც მიწაზე,
არც ცხოვრებაზე,
არც ზამთარზე და არც გაზაფხულზე,
არც პურზე და არც კარტოფილზე,
ყველაფერი ძალზე რთულია,
ძალზე რთულია და ძალზე ძნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კნუტები

მე ყოველთვის იმას ვამბობდი,
რომ ეს ჩვენი საბძელი უნდა დაინგრას,
ჯერ ერთი იმიტომ,
რომ დამპალი აქვს ჭერიცა და სახურავიც,
საცოდავად არის გვერდზე გადაფერდილი
და ზამთრის თოვლიც წლითიწლობით უფრო აშინებს:
დაიდებს ხოლმე უშველებელს და ელოდება,
ელოდება – გავატან თუ ვერ გავატანო...

მეორეც, ჩვენ ის არაფერში აღარ გვარგია,
სავსე არის უსარგებლო ათასი ნაგვით
და ქარის მეტს იქ არაფერს არ უხარია.

მაგრამ საბძელი გაზაფხულებს ისევ ხვდებოდა,
კვლავ ივსებოდა უსარგებლო რაღაცეებით,
გადასაგდები რომ არის და ვერ შელევიხარ.
ეს ოთხი კნუტი, ჩვენს საბძელში, ვიღაც უცხო კატამ დაბადა,
დედაჩემმა ნახა პირველმა:
გამოეყვანა იმ ოხერს და მზეზე აშრობდა.
ო, რა გულწრფელად შევიცხადეთ!
კატების ყოლა
არასოდეს გვიოცნებია.
უცებ ვიგრძენით
იმ ძველისძველი საბძლისადმი დანაშაულიც –
ბედოვლათობაც ჩვენი, როგორც შთამომავლების
და ცხოვრების უცვლელი წესი:
რომ იგი, ვიდრე სინამდვილედ გადიქცეოდეს,
ჯერ მეტაფორად ევლინება ადამიანებს
და თუ შენ შენსას არ მოუვლი, სხვა მიიკუთვნებს.
ჩვენ კატების მოძულენი ვართ,
მაგრამ მაინც კი ვაღიარეთ,
რომ ლამაზი კნუტები იყვნენ.
გამოჰფენდა დედამისი ჭრელჭრულებივით
და შორიდან გვევაჭრებოდა:
– ესენიც ღვთის შვილებია, აბა რა ვქნაო,
ამათ გაჩენა გ̇ანა მე კი მიხაროდაო,
სასმელ-საჭმელს არ იკითხავთო, მალვა-პარვასო?
თან ისეთი მუზობლები გყავთ,
კოჭის ძაფიც რომ დაკარგონ, მე მბრალდებაო,
სამჯერ მესროლა ბერიკიანთ ლოთმა თოფიო...
მაგრამ, ნახეთ, რა ლამაზი კნუტებიაო,
ეს სამი როა – შავ-თეთრები – მე დამემსგავსნენ,
მეოთხე კიდევ – ცეცხლისფერი – მამამისსაო.

ასე იცოდნენ ბოშებმა ხოლმე –
გაჭირვებიდან თამაშის შექმნა.
ღვთის ანაბარად ყოფნა, პარვა და მოტყუება
ხელოვნებად გადაექციათ...
თან რომ გპარავდნენ, თან თვალებში რომ გიყურებდნენ,

რაღაც ძალებით სახლის კართან რომ მიგიმწყვდევდნენ,
მთელ ეზოს რომ მოედებოდნენ და უპოვნელს გაპოვნინებდნენ,
სისულელედ რომ მიგაჩნდა სუყველაფერი,
მაგრამ მაინც რომ ასეთ რიტმში ჯერ არ გესუნთქა,
ამდენ რამეს დარაჯად რომ არა სდგომიხარ
და წვრილმანი დანაკარგის გემოც რომ არ გაგისინჯია.

კნუტები კი იზრდებოდნენ, მუხლს იმაგრებდნენ,
წვიმასა და ქარს ან საბძელში გადიკარებდნენ
ან ჟოლოს ჩრდილში.
თუ საბძლის წინ იყვნენ ხოლმე და გაივლიდი,
მდინარის მიერ შეხვრეპილი ტალღასავით შეცვივდებოდნენ,
საერთოდ კი ეზოს ბოლო ჰქონდათ სადგომად.
იმათ დაჭერა ან დახოცვა
არასოდეს მოგვსვლია თავში,
ვერც ვერავის გავატანეთ მდინარის გაღმა,
რომ იქ გაეშვათ და სახლამდის ვერ გამოეგნოთ.
ასე შემოგვრჩნენ, შეუმჩნევლად,
ჩვენი თვალებიც არა მარტო შეეჩვივნენ მათ არსებობას,
არამედ ხშირად დაეძებდნენ კიდევაც ხოლმე –
ეზოს ბოლოში გახშირებულ ჟოლოს ბუჩქებს შეფარებულნი
ცნობისმოყვარედ სულ ოდნავ რომ თავებსა ჰყოფდნენ.
მერე და მერე სითამამე შეემატათ და ნაბიჯ-ნაბიჯ
და მტკაველ-მტკაველ იწყეს ეზოს დაპატრონება.
იმათ დედა კი,
სულ საშოვარზე მონანწალე და მოარული,
სამუდამოდ დარჩა სადღაცა
და ოთხი კნუტის სიობლითაც დამძიმდა მიწა.
ვეგეტარიანელებად იზრდებოდნენ ჩვენი კნუტები.
ამის ეჭვი იქიდან ამყვა,
რომ დედაჩემი ქათმების საჭმელს საბძლის კართან ტოვებდა ხოლმე,
ისე, ვითომ ავიწყდებოდა,
ან უბრალოდ, მიბრუნება ეზარებოდა
და – ჯანაბასო – დაუდევრად ხელს ჩაიქნევდა.
მერე მეც ვნახე ერთი კნუტი – მეთონესავით
ღრმა ქვაბში რომ ჩაკიდულიყო
და ქატოში აფშრუკულ მხალს შეექცეოდა.
დრო გადიოდა და კნუტები უფრო მეტად ლამაზდებოდნენ,
უფრო მეტ ადგილს იუფლებდნენ ეზოშიაც და ჩვენს ჩვევებშიც,
იმათაც ჰყავდათ – უფრო მხდალი, უფრო მამაცი –
აივნამდე ვინც მოდიოდა
და იმათაც ჰქონდათ სურვილი, გრძნობები რომ გამოეხატათ:
როცა ვინმე ჩვენთაგანი (სხვების მალულად)
მსუყეს რასმეს უნაწილებდა.
აი, მაშინ კი მიხვდებოდით, რა ძალა აქვს კაცისთვის ჭამას –
გამაძღრები ყირაზე რომ გადადიოდნენ
და მუხლში ძალამიცემულნი ხის ტოტებს რომ ააჭრელებდნენ.

ზაფხული და შემოდგომა ასე გავიდა
და კნუტები ახლა უკვე აივნის კარს უტრიალებდნენ,
მაგრამ უნებართვოდ იყვნენ რაკი გაჩენილები,

და დედაჩემსაც თავის თავის მოვლაც უჭირდა
და ერთხელაც რომ შეეშვა – თუნდ გასათბობად,
მერე წესად დაიყენებდნენ –
დაე, იცხოვრონ როგორც სხვებმა,
გარეულმა კატებმა, მგლებმა,
ჩვენ ისევე გვეკუთვნიან, როგორც სამყაროს...
მე ერთ სიტყვასაც ვერ ვპოულობდი იმ კნუტების გასამართლებლად:

მართალია, კატას ვერ აუკრძალავ
სხვის საბძელში კნუტების დაყრას,
მაგრამ ადამიანსაც ვერ უბრძანებ,
დამატებითი საზრუნავი გაიჩინეო.
გარდა ამისა,
როცა მარტოკა ებრძვის კაცი ცხოვრებასა და სიმარტოვეს,
დაფასებაც უნდა იცოდეს:
რა შუაშია კატა, ძაღლი და ბუხრის ცეცხლი.

შუა ზამთარში, როდის-როდის მომიწია სოფელში ჩასვლა,
როცა აივანზე ავედი და მხრებიდან თოვლის ჩამოყრა ვიწყე
და იატაკზე ჩემი სქელძირა ფეხსაცმელი ავაბრახუნე,
როცა თავი ავწიე და მივაჩერდი დაორთქლილ მინებს,
ყველაფერს მივხვდი.
როცა დაზამთრდა და დედაჩემმა საბოლოოდ გადიწყვიტა ჩემი იმედი,
როცა ზამთრის გრძელ ღამეებს შეეჭიდა თავის საქსოვით,
მაშინ გაუღო კნუტებს კარი და შინ შეუშვა...

და ახლა ყველა იმ ფანჯრიდან შემომცქერიან,
შეხმატკბილებულ და ერთმანეთს შებერებულ მოხუცებივით.

ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲣᲭᲛᲝᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..
ჩემთვის ისე ძნელი არის თავის აწევა,
ტელეფონთან მისვლა,
შენი ხმის გაგონება...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..

რას გვშველის ჩვენ ეს საუბრები,
ძველი ფურცლები...
შეგონებები, დაწერილი ლამაზი ხელით,
წარსულის მითი
და ოდესღაც ნათქვამი ფიცი...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..

განა ჩიტს უკან უბრუნდება
თვისი სიმღერა?!
მე ავადა ვარ, სისულელით, ჩემი ზნისაგან,
რადგან, ყოველთვის, როგორც ოქრო, მეზოგებოდა
ჩემი თავი – ჩემივ თავისთვის...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..

მე არა ვჩქარობ
დავეთხოვო ჩემს სისუსტეებს,
რადგან სანაცვლოდ
არვინ მომცემს უკეთესს, ვიცი,
და სიზმარსაც არა ვცვლი ცხადში...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!

მე მომესაჯა სიცოცხლე და
მეც მშვიდად ვიხდი,
ზრუნვა და წყენა
კარის ზღურბლთან მელოდებიან
და მეც ვაპურებ,
მაგრამ განა მშვიდად ვარ მართლა?!
ცხოვრება ჩემი საქმე არ არის.

შენ ის დრო გახსოვს,
როს ისეთი ოცნება მქონდა,
ასრულება და ახდენა რომ არ სჭირდებოდა.
განა ვუნდივარ
კვლავ გუბის წყლებს და ხეკაკუნებს?..
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..
ეს შენა გსურდა,
რომ პოეტი ვყოფილიყავი,
ეს შენ დამბადე მე პოეტად
და რომ იცოდე,
როგორი ძნელი რამ ყოფილა რომ იქცე იმად,
რისთვისაც გაჩნდი,
რისთვისაც ხარ ამ ქვეყანაზე!..
შენ ის დრო გახსოვს,
როცა შენი გულის საამოდ
ვუწერდი ლექსებს
ჩვენი ფანჯრის მეწამულ მთვარეს,
მაგრამ მე განა ის ლექსები გულს მიფონებდა?

მე ხომ ლექსი კი არ მინდოდა –
რამე ისეთი,
რომელიც ყველას ნუგეშსა და შვებას მოჰგვრიდა,
შურს იძიებდა კაცი რითაც ამ ცხოვრებაზე,

რითაც დაკარგულს შეივსებდა
და ცრემლს დაცლიდა...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..

მე ვწერ მშიერი ფურცლისათვის.
გინახავს განა,
რომ ეჭვი ახლდეს
სარეცხ ფხვნილის სრულქმნილ რეკლამას?
ჩემი საქმე კი ეჭვთან არის დაწყვილებული...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..

იმას ვცოტაობ, რომ ნერვები გამშიშვლებია,
და იმას ვნატრობ, რომ საერთოდ არ მქონდეს კანი,
რომ უფრო მძაფრად ვიგრძნო ქვეყნის ყველა წვრილმანი,
ყველა ნემსი, ყველა წამწამი...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..

განა პოეტი არ შეჭამეს თვისმა ლექსებმა?
რა მკვლელი უნდა იმას, მითხარ, რა მოშურნალი,
როს ლუკმა-ლუკმა
მიაქვთ ლექსებს მისი გულ-ღვიძლი...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..

შენს დედურ სიბრძნეს დაჰკარგვია ერთი ფურცელი
და ვერ მპასუხობ, თუ ვინ მიმცა ოთხივ სტიქიას
და ლექსის წერა დამაკისრა მკაცრი პირობით:
რომ მწვანეზე არა ვთქვა – „მწვანე“...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!..

მე დავიკარგე მთელი ქვეყნის
ყველა სახლისთვის,
ყველა გულისთვის,
ყველა მყუდრო ბალიშისათვის,
მე დავიკარგე და შორიდან ვხედავ ჩემს პერანგს,
უპატრონოდ ქარში დარჩენილს...

და ნუ დამეძებ, ნუღარ მანჯღრევ, მე ავადა ვარ,
ერთი დღე, ერთი წელიწადი, ერთი სიცოცხლე
ცოტა არიან იმისათვის, რომ სხვაგან ვიყო,
მე შენთანა ვარ, შენთან ვიყავ,
შენთან ვიქნები...
ნუ დამირეკავ, დედი,
დედი, ნუ დამირეკავ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ კვასხვაძე

სიკვდილ-სიცოცხლის როკვა

რომანი

ნაწილი მესამე

I

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა როგორც ერის, ისე ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფებისა და პიროვნებათა ცხოვრებაში.

ხალხი დამშვიდდა და პოლიციურ რეჟიმს ერთგვარად შეეჩვია. პური და ყველიც საკმარისი იყო. მართალია, სული დაკნინდა და ჩაკვდა, მაგრამ მიწას ბარაქა მოემატა და რკინას ჟანგი შემოეცალა. აქ, ზემო ავჭალაში, ქართულმა მიწამ ჰიდროელექტროსადგურის გახსნა იზეიმა, იქ კი, ციმბირმა – ქართველთა ძვლებით გაპოხიერება. დროშები გამრავლდა, სიხარულმა იკლო. საზეიმო ცერემონიალის მიღმა მიწა ცრემლმა დატბორა. ახალგაზრდობა ტრიბუნას და თანამდებობას მიეტანა, უსაქმურებს ბურთი და მოედანი დარჩათ. სიტყვა და პატიოსნება გაუფასურდა; გაიძვერობამ, გაქნილობამ, დაბეზღებამ და ჯაშუშობამ პატივი და დიდება დაიმკვიდრა. პატრიოტობა საძრახისად იქცა, ეროვნული ღვაწლი – საქილიკოდ. კომკავშირი თავით ფეხებამდის შეაიარაღეს, მსუბუქ კავალერიად აქციეს და უფროსებს კბილდაკრეჭილი ქოფაკებივით მიუსიეს. ძველი ღმერთი ზეციდან დაითრიეს და ახალი ღვთაებისათვის ტაძრის აგება ვერ შეძლეს. ენა შეეშალათ, ერთმანეთს დაერივნენ და კვალში ჩაუდგნენ სამარის გასათხრელად. ქართველ ინტელიგენციას პირში ლაგამი ამოსდეს, ერთმანეთს გადაჰკიდეს, გათიშეს, ზურგზე კეხი შეადგეს და უაზრობის ტრამალებში ჭენებით სული ამოხადეს.

ქართული მეცნიერებისა და ერის სინდისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი მოხსნეს, ლექციების კითხვა აუკრძალეს და შინაპატიმრად აქციეს. ხალხის სინდისს უსინდისობაში დასდეს ბრალი, პატიოსანს უპატიოსნობა დასწამეს, უანგარო მოღვაწე ახალგაზრდობის გამხრწნელად მონათლეს, ეროვნული წინსვლის დაუცხრომელ მებრძოლს რეაქციონერი შეარქვეს. ბურჟუაზიის ინტერესების დამცველად გამოცხადებული ლაფში ამოსვარეს, გოლგოთაზე აიყვანეს, ყეფით სხვებიც დაღალეს და თავადაც დაიღალნენ, მაგრამ იალბუზის ჭაობში ჩამოტანა მაინც ვერ შეძლეს.

გაგრძელება. დასაწყისი „ცისკარი“ №7-8 –12, 2011.

უჯრაში ჩაკეტილი რომანი

ბონდო კვიციანის ლამაზმა მეუღლემ დიდხანს იჩალიჩა, თავისი ახალგაზრდობის წლებიც რამდენიმეჯერ მოაგონა საქართველოს ჩეკას უფროსს. ბოლოს საწადელსაც მიაღწია: ქმარი თბილისში გადმოაყვანინა და, ახლად განთავისუფლებული, კადრების განყოფილების უფროსად დაინიშნა. ეს ისეთი დაწინაურება იყო მისთვის, რომ მსგავს განდიდებაზე ფიქრიც კი არ შეეძლო.

ბერიამაც დაიახლოვა კვიციანი. უიმისოდ არც ერთ მნიშვნელოვან საკითხს არ წყვეტდა. ყორლანოვის ქუჩაზე ახლად აგებულ სამოთახიან ბინაშიც ჩაასახლა და ხშირ სტუმრობასაც არ აკლებდა. თავს ბედნიერად თვლიდა ბონდო.

ქმრის სამსახურში წასვლის შემდეგ, ყოველ ორშაბათ დილით, სახლიდან გადიოდა კვიციანის თვალჟუჟუნა, ლამაზი მეუღლე თავის ახლად წამოჩიტულ ქალიშვილთან ერთად, ჟორესის ქუჩის დასაწყისში გაკრიალებულ ემადინში ჯდებოდა და კრწანისის სასახლეში მიდიოდა, სადაც შუადღემდე რჩებოდა და სხვებისთვის წარმოუდგენელ და მიუწვდომელ დროსაც ატარებდა.

ლანჩხუთელი ჩეკისტის ბედნიერებას მხოლოდ მაშინ მოელო ბოლო, როდესაც კვიციანის თხუთმეტი წლის გოგონა მტკვარში გადაეშვა. გამოცდილმა მცურავებმა ვერაფერი გააწყვეს და დამხრჩვალი ამოიტანეს მდინარიდან.

კიწი ურიდიასაც გაუღიმა ბედმა: კვიციანის წარდგინებითა და რჩევით ბერიამ ლანჩხუთის ჩეკას უფროსად დანიშნა ბონდოს ყოფილი მოადგილე.

გაიბერა და გაიბღინძა ახალი უფროსი. ცა ქუდად დაიხურა და სისასტიკის ცეცხლი დაანთო გურიაში. ბევრი დამნაშავე და უდანაშაულო გაისტუმრა სიკვდილის დილეგებში. ახალი ძმაკაცებიც ამოიყენა გვერდში და საეჭვო გარიგებებით ხელი მოითბო. ხალხი ყველაფერს ხედავდა, მაგრამ შიშით გასუსული იყო და დუმდა.

შავი ნაღველი არსად არ სცილდებოდა გურის. რაც თავს მოესწრო, მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ხელჩართული ბრძოლა და გაბმული ტანჯვა იყო. ასეთი შეგრძნება ჰქონდა: ქობანში მგლის ხროვის თავდასხმა არ შეწყვეტილა, გრძელდება, დამშეულ ნადირთა კბილთა ღრჭენა თვალწინ უდგას, ყორნები თავს დასჩხავიან, მაგრამ, სასწაულებრივად გადარჩენილი, მიარღვევს სისხლის გუბეს, გლეჯს ნარ-ეკალს და ამომავალი მზის შესაგებებლად წინ მიისწრაფვის.

`თუ არა ბიძია ელიზბარი, არჩილი, ბიბი, რას შეძლებდა ამ უკიდეგანო ოკეანეში უიალქნოდ ნავს შერჩენილი ერთი ტლუ და უპატრონო ბიჭი?!

„სხვები ჩემს გადარჩენას ნიჭს უმადლიან. რა შუაშია ნიჭი და გამძლეობა?! რამდენი გენიოსი ქრება და იკარგება უკვალოდ?! არა, მეგობრებმა და სასწაულმა გადამარჩინა. მაგრამ გავაღწევ კი ბოლომდის?“ – ფიქრობდა ხშირად გური ხალვაში და ახალ-ახალი ბრძოლებისათვის ძალებს იკრებდა.

კიდევ ორიოდე წელი და სიკეთეს ქვეყანას სიკეთით გადავუხდი! არ დავიძინებ, არ მოვისვენებ და სხვებს – ძილს, მოსვენებასა და მშვიდობას მონატრებული, იმედს ჩავუთესავ გულში, მხარში ამოვუდგები, ტკივილს დავუამებ, სიცოცხლეს შევაყვარებ და რწმენას აღვუდგენ!

ღირს, ნამდვილად ღირს სიცოცხლე, თუგინდ მარტო იმისათვის, რომ ბოროტს ბოროტება არ შეარჩინო და ადამის მოდგმას ადამიანობა არ დააკიწყო. და... ქვეყნის სადარდელისა და ტკივილების დაყუჩების ფიქრთა აჩრდილი თან დასდევდა გური ხალვაშს, სადაც უნდა ყოფილიყო და რა მდგომარეობაშიც უნდა ამოეყო თავი.

●

გათენდა ხუთი ოქტომბერი, შაბათი დილა. შავი ღრუბლები მხრებზე დასწოლოდა თბილისს. მახათა და მამადავითიც კი არ ჩანდა. წვიმდა. ამ დროისათვის მოულოდნელმა სიცივემ დაჰკრა დედაქალაქს. ღარიბთა უბნებში ნავთქურები ხრჩოლავდა. შეძლებულებსა და ბობოლებს შეშა მომარაგებული აღმოაჩნდათ და ღუმელები გააჩაღეს.

გური ხალვაშს არც ერთი გააჩნდა და არც მეორე. გამოძვრა თუ არა საწოლიდან, ხელ-პირი სასწრაფოდ დაიბანა და ელიზბართან გავიდა. იქ შედარებით თბილოდა. ცხელი ჩაი და ახლად გამომცხვარი ქართული პურის ყუა მიართვეს. დანაყრდა. დიასახლისს მადლობა გადაუხადა, პალტო ჩაიცვა და უნივერსიტეტისაკენ გაეშურა. იქ მუხაძის ლექცია უნდა მოესმინა, პირველი საათიდან კი მერვე საავადმყოფოს უროლოგიურ განყოფილებაში მორიგედ იყო დანიშნული და შინ·სალამოს შვიდ საათამდის ვერ დაბრუნდებოდა.

რექტორის დავალებით ფაკულტეტის დეკანმა შუა ლექციიდან გამოიყვანა გური ხალვაში.

– უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი და საიდუმლო განყოფილება გიბარებთ, – გააფრთხილა გური დეკანმა, – საიდუმლო განყოფილებაში გელოდებიან!

– რაშია საქმე, რა უნდათ?! – გაუკვირდა გურის.

– რაც ვიცოდი, გითხარი, დანარჩენს იქ გაიგებ! – ჩაულაპარაკა დეკანმა და თავის საქმეზე წავიდა.

საიდუმლო განყოფილების რკინისკარებიან და რკინისგისოსებიან მისაღებ პატარა ოთახში უკანასკნელი კურსის ოთხი სტუდენტი დაუხვდა ხალვაშს, ორი – იურიდიული ფაკულტეტიდან, ერთი მათემატიკოსი და ერთიც – ფილოლოგი.

არც ერთმა არ იცოდა, თუ რა საქმეზე იყო დაბარებული.

ჩეკაში სამუშაოდ თავიდან საეჭვო და შეუმოწმებელი ადამიანები მოვიდნენ: ყოფილი გადასახლებულები და კატორღელები, პატიმრობამისჯილები, ნაყაჩაღრები, ქურდები და ბანდიტები, მკვლელები და უსაქმურები, დროის ამყოლნი, თავზეხელაღებულები, უწიგნურები და მსუბუქი ყოფაქცევისანი. ყველა ამათ ერთ ჭერქვეშ მოუყარეს თავი და ქვეყნის ბედილბალი ჩააბარეს, რევოლუციას დარაჯად დაუყენეს, ჭკვიან ადამიანებს ჭკუის მასწავლებლად დაუნიშნეს, წესიერებისა და კანონიერების დამცველებად აქციეს, უფლება და რევოლვერები ხელთ მისცეს და ქვეყანას აშვებული ქოფაკებივით მიუსიეს.

პირველ ხანებში, როცა არეულობის კოჭობი ყველგან ერთნაირად დუღდა და ფოფინობდა, ასეთი სურნელით შეზავებული საკაზმი მოსათმენი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცხოვრება შედარებით ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდა, ქვეყნის მართვა-გაძღოლას განათლებული, ჭკვიანი და ხალხის თვალში ამაღლებული ადამიანები სჭირდებოდა. სინამდვილეში არაფერი არ იცვლებოდა, მაგრამ თვალის ასახვევად ახლად გახედნილ ულაყს ახალი და ვერცხლით მოსევადებული უნაგირი უფრო მოუხდებოდა – ბრიყვების კიდევ უფრო დასაბრიყვებლად და გასაბრიყვებლად. ახლად დაკრეფილი ყურძნის დასაწურად ახალი საწნახელის გათლას და ახალი ქვევრების გამოწვას შეუდგნენ. ასეა ყოველთვის: ქორსა და ღლაპს ერთნაირად იზიდავს სატყუარა. თვალს სიახლე ატყუებს, ბრბოს – იაფი საკენკი და სანახაობა. ფხიზელი ადვილად არ ამჩატდება, ყველაფერს არჩევს, მთვრალი კი განურჩევლად ედება ღობე-ყორეს, სასაცილოდ ჯიუტობს და ასევე სასაცილოდ დამყოლია.

ჩეკისტთა შემადგენლობის შეცვლა-გადახალისება მდგომარეობამ უკარნახა რესპუბლიკის ჩეკას უფროსს; თვით ჩეკასაც შეუცვალეს სახელი. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო შეარქვეს და რუსულად შემოკლებული აბრა გაუკეთეს: გეპეუ; შინაარსი კი იგივე დაუტოვეს, საქმეც – ბნელი და ძველი.

მოქმედება სიფრთხილით დაიწყო ბერიამ. პირველად მხოლოდ რამდენიმე თანამშრომლის აყვანა გადაწყვიტა და ისიც – მოწინავე სტუდენტთა შემადგენლობიდან. ამ საქმის მოგვარება კადრების განყოფილების უფროსს – ბონდო კვიციანს დაავალა.

ბონდომ ჩეკაში დაიბარა უნივერსიტეტის საიდუმლო განყოფილების გამგე. კანდიდატები შეარჩიეს, ათასნაირად შეამოწმეს, გაცხრილეს და საბოლოოდ მოსალაპარაკებლად სიაში ხუთი ახალგაზრდის გვარი დატოვეს. უნივერსიტეტის რექტორი და პარტორგანიზაციის მდივანი საქმის კურსში ჩააყენეს.

სწორედ ამ საქმეზე მოვიდა უნივერსიტეტში კვიციანი, რომ პირადად შეხვედროდა შერჩეულ სტუდენტებს და საბოლოოდ ყველა წვრილმანზე მოლაპარაკებოდა.

ბონდო კვიციანს ახსოვდა გური ხალვაში და, როდესაც საიდუმლო განყოფილებამ სხვებთან ერთად მისი კანდიდატურა წარმოადგინა, კმაყოფილი დარჩა, მოიწონა და საიდუმლო განყოფილების გამგეს დაკვირვებულობა შეუქო.

სტუდენტები ცალ-ცალკე შეჰყავდათ კაბინეტში; გულჩათხრობილნი, სახეზე ნაღველგადასხმულნი გამოდიოდნენ მისაღებ ოთახში და ამხანაგების კითხვებს უპასუხოდ ტოვებდნენ.

უკანასკნელი გური ხალვაში შევიდა საიდუმლო განყოფილების გამგის ფარდებდაშვებულ და შუქმიბნედილ კაბინეტში. კვიციანმა პირველად ვერ იცნო. სრულიად არ მოელოდა, გაუკვირდა, – არც კი იცოდა, რომ თბილისში იყო გადმოსული სამუშაოდ.

ჯერ შეკრთა გური, უკან დაიხია. ტანში გასცრა. თვალწინ გაუელვა ლევანა დალაქისა და აცანელი ტყისმჭრელის ღიად დარჩენილმა თვალებმა, ქარიშხლიანმა და წვიმიანმა ღამემ, კვიციანთან და ურიდიასთან შეხვედრამ, მოხრანგულის სასიმინდეში უმწეოდ მიტოვებულმა და სასიკვდილოდ განწირულმა მამამ.

რა უნდა ექნა? ტანმა უგრძნო, რომ კარგს არაფერს უქადდა ამ ძველ და` გამოცდილ ჩეკისტთან შეხვედრა! ხაფანგში თავისი ფეხით იყო შესული და შედეგისთვის უნდა დაეცადა.

გაურკვევლობიდან ისევ კვიციანმა გამოიყვანა, წამოდგა, შუა ოთახში შეეგება. ძველი და დიდი ხნის უნახავი მეგობარივით მოიკითხა. სავარძელი შესთავაზა და გვერდით მიუჯდა.

– მსიამოვნებს, ყმაწვილო, შენი ესოდენ დიდი წარმატება. მახარებს, რომ იმედი არ გამიმტყუნე. მახსოვს, საყვედურიც მივიღე შენი მფარველობისა და რეკომენდაციისათვის. რომ ყველაფერი ასე გამიმართლე, პირადად დიდი მადლობელი ვარ. ახლა ხომ დარწმუნდნენ, თუ რაოდენ უტყუარია ჩეკისტის ალღო?!

– ერთი უბრალო სტუდენტი ვარ, ვსწავლობ და ეს არის! – მწარე ჩაღიმებით გაეპასუხა გური, უცნაური შეხვედრით გამოწვეული უხერხულობამ თანდათან გაუარა.

– იცი, პალადი, – მიუბრუნდა კვიციანი მაგიდასთან მჯდომ მამაკაცს, – ეს ის ყმაწვილია, ამას წინათ რომ გელაპარაკე. ჩვენ ძველი ნაცნობები ვართ. მართალი და პრინციპული ახალგაზრდაა. რევოლუციის გამარჯვების გულისთვის არავის არ ინდობს. საკუთარ მამასაც არ დაუთმო და გაიმეტა. ბუნებით ჩეკისტად არის დაბადებული. ჩვენი ბრალია, რომ ვერ მოვუარეთ!

– სასიამოვნოა! – ყრუდ ჩაილაპარაკა პალადიმ, საიდუმლო განყოფილების გამგემ, მაგრამ ძნელად

გაარჩევდი, თუ რა იყო სასიამოვნო: ბუნებით ჩეკისტის აღმოჩენა თუ მამის გამეტება და დაუნდობლობა.

– ვერ წარმოიდგენ, როგორ გაუხარდება ლავრენტი პავლეს ძეს, სწორედ ასეთი ახალგაზრდები მოსწონს! – აღტაცებით წარმოთქვა ბონდო კვიციანმა, წამოდგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და ისევ ძველ ადგილს დაუბრუნდა.

– უნივერსიტეტისათვის დიდი დანაკლისი იქნება სწავლისგან ამ მოწინავე სტუდენტის გამოთიშვა, მაგრამ, როცა სახელმწიფო საქმე მოითხოვს... რას ვიზამთ... ყველაფერი უნდა დავთმოთ!..

– რაშია საქმე, რას მიპირებთ, ჩემდა უნებურად რამე ხომ არ დამიშავებია?! – ველარ მოითმინა ხალვაშმა და ანთებული თვალებით მიაშტერდა ჩეკას კადრების უფროსს.

– რომ იცოდე, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, რა თავბრუდამხვევი კარიერა გელოდება! ვერც კი წარმოიდგენ, რა ბედნიერებაა ლავრენტი პავლოვიჩთან სიახლოვე, მასთან თანამშრომლობა! თუ სათანადო ფხას გამოიჩენ, სულ ვარდებით მოფენილ გზაზე ივლი. მომავალში, როცა დიდი კაცი გახდები, მეც უნდა გამიხსენო და არ დამივიწყო!

და... ბონდო კვიციანმა დაწვრილებით გააცნო ხალვაშს „გეპეუს“ უფროსის გეგმა ახალგაზრდობის ჩეკაში დასაქმების თაობაზე; ბოლოს კი დასძინა: ასიათასთა შორის ჯერჯერობით და პირველად თქვენ ხუთს გაგიღიმათ ბედმა. მართალია, სწავლაში ცოტა შეგეშლებათ ხელი, მაგრამ უფროსი წინასწარ დამპირდა, რომ თავის მხრივ დახმარებას და ყურადღებას არ მოგაკლებთ. ბოლოს და ბოლოს ჩეკასაც ხომ უნდა ჰყავდეს თანამშრომლებად უმაღლესი განათლების ადამიანები! – კვიციანმა მოცისფრო, სახელმწიფო გერბით დამშვენებული ტყავის საქაღალდე გადაშალა, წითელი ქაღალდი ამოიღო და გურის გაუწოდა:

– გამომართვი, ჩეკას საშვებია. სამშაბათს ამას წარუდგენ მორიგეს და ჩემთან შემოგიყვანენ. არ დაიგვიანო, ბერია ხუთ საათზე მიგვიღებს. მაგრამ გახსოვდეს, თუ მოგიწონათ, ალბათ კითხვებს მოგცემთ და თქვენს პასუხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. სიტყვა არ შეუბრუნოთ. მადლობა და პატივისცემა უსიტყვოდ გამოხატეთ. დანარჩენს, თუ როგორ უნდა მოიქცე ამ ღმერთის ტოლ კაცთან, იქ გეტყვი. ახლა წადი. გახსოვდეს, რომ ჩემთან არავითარი შეხვედრა არ გქონია. ჩეკისტს სიტყვამ წინ არ უნდა გაუსწროს.

გური თავბრუდახვეული გამოვიდა საიდუმლო განყოფილების გამგის კაბინეტიდან. ჯერ კიდევ სიზმარში ეგონა თავი და ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა ან რას უპირებდნენ, ანდა საიდან გამოტყვრა ეს ბონდო კვიციანი! „რა უნდა ქნას ახლა?! ეს რა მახე დაუგეს?! შეძლებს კი თავის დაღწევას? არა, ნამდვილად დავიღუპე და ეს არის!“ – ფიქრობდა გური, ებრძოდა და ეკამათებოდა თავის თავს და ისე გამოვიდა უნივერსიტეტიდან, არც კი გაუგია. როცა ცივმა ნიავმა დაჰკრა და სუსხი აგრძნობინა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა. ასე ეგონა, ქვეყანა ერთბაშად დაყრუვდა და შეიცვალა. ნაცნობებსაც არ მისალმებია, ყველას მომდურავივით გვერდს უვლიდა და სინათლედაკარგულივით ბორძიკით მიიწევდა ქუჩისაკენ. ისიც დაავიწყდა, რომ დღეს მორიგედ იყო საავადმყოფოში. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ გური ხალვაშმა მოვალეობას უღალატა და სახლში წავიდა. „რა დროს მორიგეობაა, – განაგრძობდა ფიქრს, – რალაც უნდა ვიღონო, თორემ მტკვრის მეტი არაფერი მიშველის. ეს რა უბედურებაა, არავის არაფერი არ უნდა უთხრაო! როგორ? მართლაც ჩეკისტად მიპირებენ გახდომას?! ნამდვილად შევიშლები და ეს არის! ნახავენ, გიჟი როგორ ჩეკისტობას გასწევს! რომ გამოვიქეცი, რომელიმე გულითად პროფესორს მაინც შევთათბირებოდი! ვინ რას მიშველის, მაგრამ რჩევას ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. არა, კარგი ვქენი, რომ არავის არაფერი ვკითხე. შეიძლება ვინმე შარში გავხვიო. ერის მოამაგე ივანე ჯავახიშვილი არ დაინდეს, სახლში ჩაკეტეს, პირზე ბოქლომი დაადეს და ჩვენ ვინღა ვართ, რომ თავზე ხელი გადაგვისვან?! ყველაფერს სჯობია, ჯერ ბიძია ელიზბარს გავანდო ჩემი უბედურება. ის გამოცდილი კაცია, მისმა რჩევამ შეიძლება მიშველოს და გზაზე დამაყენოს“.

●

ელიზბარი შინ მარტო დაუხვდა. თავის ოთახში გაიყვანა და კარები შიგნიდან მაგრად ჩაკეტა. დარაბაც მიხურა. ელნათურა აანთო.

– რა მოხდა, გური? რალაც დიდ თადარიგს იჭერ. რაიმე ხომ არ გიპოვია? – ხუმრობით ჰკითხა მასპინძელმა.

– უნდა მოგელაპარაკო, ბატონო ელიზბარ, დიდი განსაცდელში ვარ ჩავარდნილი. ვიღუპები და ეს არის!

– რა მოხდა, აღარ იტყვი?

გური ხალვაშმა დაიწყო თუ არა სათქმელი, კარებზე ვილაცამ მოაკაკუნა, თან ხმაც გაისმა:

– არჩილი ვარ, ბროძელი. სად დაიკარგე, რომ შენი ნახვა არ მოხერხდა? – არჩილი მიესალმა ელიზბარს; ბროძელმა მათ გაოგნებულ სახეებს რომ შეხედა, იკითხა: – ხომ მშვიდობაა?

– კარგი ქენი, რომ შემოიარე, სულ ერთია, დღესვე აუცილებლად უნდა მენახე. დაჯექი და მომისმინე, – და დაწყებული საუბარი განაგრძო ხალვაშმა.

მთელი საიდუმლო წვრილად უამბო მეგობრებს, არც არაფერი გამოუტოვებია და არც რამ დაუმატებია, ერთი ზედმეტი სიტყვაც კი.

ელიზბარმა და არჩილმა თავი ხელებში ჩარგეს და ძნელად გასაგნებ ფიქრების ტევრს შეერივნენ. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ჩეკას უნდა შეჰბმოდნენ. გური დუმდა და ხან ერთს გაუსწორებდა თვალს და ხან – მეორეს. ეგონა, დამამშვიდებელ პასუხს მიიღებდა, მაგრამ არც ერთი თავს მაღლა არ სწევდა, ხმას არ იღებდა.

– ბოლოს და ბოლოს, ხმა ამოიღეთ! მითხარით რამე!

– ხმის გაღება რომ კმაროდეს, ამას ვინ დაგამადლის, – თავაუღებლად ჩაილაპარაკა ელიზბარმა.

– მართლაც და რა უნდა ვიღონოთ? რაღაც გზას ხომ უნდა დავადგეთ! – ჩაურთო თავის მხრივ არჩილმა.

– დაფიქრება-გადაწყვეტილების მიღებისათვის ძალზე ცოტა დრო მრჩება. სამშაბათს ჩემი საბოლოო პასუხი უნდა მოვახსენო უფროსს.

– გური, ახლავე წავიდეთ სევერიან ინწკირველთან. ის ყოველმხრივ სანდო კაცია, ჭკვიანი, გამოცდილი, დარბაისელი. ამაღამ ორ ჩემს ძველ ახლო მეგობარსაც ვინახულებ, მათ აზრსაც მოვისმენ. საბოლოო გადაწყვეტილება შემდეგ აქ მივიღოთ. ახლა ისეთი თავსამტვრევი საქმე გაგვიჩნდა, რომ ჩვენი შესაძლებლობით ვერაფერს გავხდებით, – გამოთქვა თავისი აზრი ელიზბარმა.

– ერთი კაცი მეც მეგულება, ჩემთან საკმაოდ დაახლოებულია, ამჟამად ჩვენთან მუშაობს, ძველი რევოლუციონერია; თუ არ ვცდები, სამოქალაქო ომის დროს რუსეთის ჩეკაში უნდა იყოს ნამუშევარი. ვფიქრობ, მისი აზრი ანგარიშგასაწევი იქნება. რას იტყვით? – სახე გაეხსნა არჩილს, ეგონა, ცხრაკლიტულის გასაღებს საბოლოოდ მიაგნო.

– არა, მეგობრებო, ცასა და ქვეყანას საიდუმლოს ვერ მოვდებთ! სასტიკად გაფრთხილებული ვარ. მხოლოდ ისე, სხვათა შორის თუ ვიკითხავთ, ასე და ასე რომ მოხდეს, რა შედეგი მოჰყვება, ან ჩეკას წინადადებაზე უარი რას გამოიწვევს-თქო. შემდეგ ვნახოთ, ნახულს და მოსმენილს ჩვენი სასწორი მივუყენოთ. ჩემი მხრივ კი პროფესორი სიმონ გოგიტიძე აუცილებლად უნდა ვნახო. ის დიდი დაკვირვებული და გამოცდილი სწავლულია და არა მარტო სწავლული, არამედ თანადროულობაში ღრმად ჩახედული, უტყუარი და სანდო. ისე არაფერს იტყვის, ხუთი-ათი წლით მაინც წინ არ გაიხედოს. ის ისეთი კაცია, რასაც ვეტყვი და მეტყვის, იქვე გაცივდება და გაქვავდება. სხვებთანაც მიმესვლება, მაგრამ ასე შორს ვერ გავიწევ. ალბათ მეთვალყურენი მოჩენილი მეყოლება და ჩემს დასაკლავ დანას სხვების ყელს ვერ შევთავაზებ.

გადაწყდა: ელიზბარი, არჩილი და გური დამოუკიდებლად იმოქმედებენ, ორშაბათ საღამოს აქვე შეიკრიბებიან და შეთანხმებულ გზას დაადგებიან.

როცა არჩილი წავიდა, ელიზბარი შებრუნდა გურისთან და უთხრა: – არ შეიძლება, მეც რომ წამოვიდე შენთან ერთად პროფესორ გოგიტიძესთან? იქნებ მეც დამირჩეს რაიმე სათქმელი, ზოგი რამ ჩემს გამოცდილებასაც უნდა ეკითხოს.

გური ცოტა ხანს შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ დათანხმდა.

პროფესორი შინ არ დაუხვდათ: სიონში წასულიყო საღამოს წირვაზე. გოგიტიძე მორწმუნე კაცი იყო. მასთან აუგად ვერც ღმერთს ახსენებდი და ვერც ქრისტეს, მღვდელს და ეპისკოპოსს დიდ პატივს სცემდა, ხოლო კათალიკოსი წმინდანად მიაჩნდა. კვირაში ხუთ დღეს საერო საქმეს ემსახურებოდა, ლექციებს კითხულობდა, ლაბორატორიაში მიკროსკოპს ჩაჰკირკიტებდა, საავადმყოფოში ბავშვებს მკურნალობდა. ოჯახებში სრულიად უსასყიდლოდ პატარა პაციენტებთან დადიოდა, როცა საჭირო და აუცილებელი იყო, გამოუძახებლადაც კი. წამლებსაც თავისი ფულით ყიდულობდა. ხანდახან, თავად მშიერი, ღარიბთა ქოხმახებში დამშეულ ავადმყოფ მოზარდებს პურსა და შაქარს უწილადებდა. რამდენი დავრდომილი აუყენებია ფეხზე, რამდენი გადაურჩენია, მწუხარება დაუფრენია და სიხარული უმრავლებია.

მდიდრები და ღარიბები ერთნაირად პატივს სცემდნენ პროფესორს, რადგან ის ყოველთვის იქ იყო, სადაც გაჭირვება მოუხმობდა, სადაც დედის ცრემლი და მამის ოხვრა ეძახდა, სადაც სიკვდილი დააბიჯებდა.

ღვთის მორწმუნე პროფესორი ცით მიწაზე ჩამოსულ ღმერთად წარმოედგინა ხალხს და ამიტომ მოთმინებით იტანდნენ გოგიტიძეს თვით იუდას მემკვიდრენიც კი.

ამქვეყნიური ზრუნვით დაღლილი პროფესორი ორ დღეს, შაბათსა და კვირას, საეკლესიო და ზეციური საქმის გარიგებას ანდომებდა. შაბათს აუცილებლად სიონში ისმენდა წირვა-ლოცვას, კვირას მცხეთაში მიდიოდა და სვეტიცხოველში ესწრებოდა ღვთის სადიდებელ პარაკლისს.

სიონში წირვის შემდეგ, როგორც წესი, კათალიკოსის სტუმარი იყო და მასთან საუბარში ატარებდა დროს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ გადამწყვეტი იერიში მიიტანა ეკლესია-მონასტრებზე, ტაძრების გუმბათები მოანგრიეს და ჯვრები ჯართად აქციეს, მღვდლებს წვერი დაჰპარსეს, ხოლო მოურჯულებლები ციმბირში გაგზავნეს მიწაზე ჩამოყვანილი და გაუპატიურებული ღმერთის სალოცავად, გოგიტიძეს ბუზიც ვერ აუფრინეს, ვერაფერი შეჰკადრეს, როცა სხვები, მორწმუნენი, დაწესებულებებიდან გარეთ გამოყარეს, საარსებო საშუალება წაართვეს და მსუბუქი კავალერიის სათრევად გახადეს.

სხვა გამოსავალი არ იყო. გოგიტიძე შაბათს ან კვირას უნდა ენახა გურის. შაბათს ელიზბართან ერთად სიონისკენ გაემართა.

წირვა დამთავრებული დაუხვდათ.

მლოცველები გასცლოდნენ ეკლესიას, მნათე სანთლებს აქრობდა. თაფლის სანთლისა და საკმევლის სურნელება ტაძარს ერთიანად მოსდებოდა და ადამიანს სიკეთისკენ მოუხმობდა.

სიონის კანდელაკს გაესაუბრა ელიზბარი. პროფესორი გოგიტიძე იკითხა.

– კათალიკოსთან არის სტუმრად, – მიიღო პასუხი.

გური და ელიზბარი ეკლესიის ეზოში გავიდნენ. კათალიკოსის სახლთან შეჩერდნენ, ვერ გადაეწყვიტათ, რა გზას დასდგომოდნენ: შეეწუხებინათ ამ დროს პროფესორი და კათალიკოსი, თუ შინ დაბრუნებულიყვნენ და სხვა დროისათვის გადაედოთ გოგიტიძის ნახვა.

– აუცილებლად ვნახავ, სხვა გამოსავალი არა მაქვს. ახლა თუ არ მიმიღებს, სხვა დროს მაინც დამინიშნავს. მე კი ვფიქრობ, აუცილებლად მიმიღებს და მომისმენს, – დაიჟინა გურიმ.

– რაკი ასეა, შენი საქმისა შენ იცი, – მიუგო ელიზბარმა.

კათალიკოსი და პროფესორი მარტონი აღმოჩნდნენ ოთახში. გაღვივებულ ბუხართან ისხდნენ და ხილით სავსე ლარნაკი ედგათ წინ. ატენური ყურძნის მტევნები ეჭირათ ხელში, თან აუჩქარებლად მიირთმევდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ.

კარები თვით კათალიკოსმა გაუღო და, როდესაც გურიმ უდროოდ მისვლის მიზეზი აუხსნა, სტუმრები სახლში შეიპატიჟა.

სიმონ გოგიტიძე ფეხზე წამოუდგა მოსულებს, სკამები შესთავაზა და ბუხართან მიიწვია.

ერთხანს ყველანი დუმდნენ. კათალიკოსმა ერთი ბოთლი წითელი ღვინო გამოიღო კარადიდან და ჭიქებთან ერთად მაგიდაზე დადო.

მყუდროება ისევ პროფესორმა დაარღვია:

– რა გაჭირვება დაგდგომიათ ასეთი, რომ შაბათი დღეც არ დამითმეთ?! მსუბუქმა კავალერიამ ხომ არ მოგაგზავნათ წმინდა ადგილის დასარბევად?!

– დიდმა განსაცდელმა მაიძულა, ბატონო პროფესორო, თორემ ასეთ უდროო დროს არ შეგაწუხებდით, ყოვლად წმინდა კათალიკოსთანაც უნდა მომხადოთ ბოდიში. როცა ჩემს გასაჭირს გაიგებთ, ვიცი, რომ მაპატიებთ და შემინდობთ!

კათალიკოსმა პირჯვარი გადასწერა მოსულებს. ელიზბარი კალთაზე ემთხვია მოხუცს, გურის უნდოდა მიებაძა ელიზბარ ჟღენტისათვის, მაგრამ მასპინძელმა შეაჩერა და სტუმრები მაგიდასთან მიიპატიჟა, ღვინით ჭიქები შეავსო, ღმერთისა და ხალხთა შორის მშვიდობის სადიდებელი შესვა და პროფესორს, გურისა და ელიზბარს ხელმეორედ გადასახა პირჯვარი.

– ქრისტე ღმერთი გმფარველობდეთ, შვილებო, ჯვარი გიძღოდეთ წინ და გამცემი იუდა უფალმა გაშოროთ! ახლა მოახსენეთ პროფესორს თქვენი გასაჭირი!

გური ფეხზე წამოდგა, ჯერ ელიზბარს გადახედა, შემდეგ – კათალიკოსს და თავისი გასაჭირი გაუმუქებლად, ზედმეტი სამკაულების გარეშე მოახსენა გოგიტიძეს.

პროფესორი გაშრა, დაიბნა, კათალიკოსს მიაშტერდა. მისი თვალები შეშფოთებასაც გამოხატავდა, ვედრებასაც, შემწეობის თხოვნასაც და უმწეობით გამოწვეულ შიშსაც.

მართლაც და რა რჩევა უნდა მიეცა საყვარელი და დიდი მომავლის მქონე სტუდენტისათვის?! რა პასუხი გასცეს ჩეკას მოთხოვნას? მას საამისოდ არავითარი გამოცდილება არ გააჩნია. დახმარების მაგივრად რჩევამ შეიძლება მრუდე გზაზე დააყენოს ახალგაზრდა და კლდეზე გადაჩეხოს! გური ხალვაშის უნივერსიტეტს მოწყვეტა ხომ მაინც გზის საბოლოოდ გამრუდებას და დაღუპვას ნიშნავს!!! არადა, შეთავაზებულ წინადადებაზე უარის თქმამ ხომ შეიძლება გაუთვალისწინებელი და უარესი შედეგი გამოიღოს?! რა უნდა ქნას? ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში არასოდეს უგრძნია თავი. სისხლი საფეთქლებში მოაწვა, აზრი დაეფანტა. წამოდგა და ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო. ხელს წამდაუწუმ მოშვებულ თმასა და წვერზე ისვამდა. ფიქრს ვერ ეწეოდა; არ იცოდა, რა ელონა, საიდან დაეწყო, მაგრამ მასთან რჩევის საკითხავად მოვიდნენ და ხომ უნდა ეთქვა რამე!

– ბატონო პროფესორო! –დაიწყო ელიზბარმა, – საკითხი რომ შედარებით ადვილი გადასაწყვეტი ყოფილიყო, არ შეგაწუხებდით. თქვენს აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის. თუ საქმე გაჭირდა, ყოვლად წმინდა კათალიკოსიც შეგვაწევს ღვთით ჩაგონებულ აზრს.

კათალიკოსის ხსენებაზე სახე გაეხსნა გოგიტიძეს, არჩევანის მორევში ფორჩხს ხელი წაატანა და საშველად მასპინძელს მიაპყრო თვალები.

– წმინდაო მწყემსო, იქნებ თქვენ მოგვეშველოთ, მე ვერაფერი მოვიგონე სანუგეშო. თქვენ ღმერთი ყოველგვარ კეთილს ჩაგაგონებთ, – საშველად მოუხმო კათალიკოსს პროფესორმა.

ბუხარში ცეცხლი მინელდა. ოთახში ფეხაკრეფით, ქურდულად შემოიპარა სიცივე, მაგრამ ცეცხლისთვის შეშის შემატება აზრად არავის მოსვლია.

ბოლოს ისევ კათალიკოსმა გატეხა ნავსი.

– მე ვფიქრობ, მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია – ჩეკას ნებას უნდა დავყვეთ: უარის თქმას შეიძლება რეპრესია მოჰყვეს. შედეგი კი, ყველას მოგეხსენებათ, რაც იქნება. ახლა მთავარია სიკვდილის დათრგუნვა. ცოცხლად დარჩენილი კაცის გზა არ წყდება, გრძელდება, – დაასკვნა კათალიკოსმა.

დიდხანს იმსჯელეს, იკამათეს, ყველაფერი მისხლობით აწონეს, არც ერთი ხვრელი და საძრომი დაუზვერავი არ დაუტოვებიათ, ბნელს ნათელი ამოუყენეს გვერდით, აწმყოს – მომავალი, კეთილს – ბოროტი, და საბოლოოდ პროფესორი და კათალიკოსი შეთანხმდნენ, რომ გურისთვის ერჩიათ, ჩეკას წინადადება მიეღო. მომავლის საქმეს კი თვით მომავალი გააკეთებდა.

ელიზბარი შინ აღარ გამოჰყოლია გურის. პირდაპირ სევერიან ინწკირველს მიადგა. იქაც დიდხანს ითავტეხეს, იდავიდარაბეს და ბოლოს კათალიკოსის მოსაზრება უკეთეს გამოსავლად მიიჩნიეს.

გვიან ღამით ისევ ბიძია ელიზბართან შეგროვდნენ. არჩილმაც კათალიკოსისა და პროფესორ გოგიტიძის მსგავსი რჩევა მოიტანა, უფრო მეტიც, საწინააღმდეგო არაფერი გაბედოსო, შემოეთვალა ყოფილ კატორღელს.

ბიბი ბუთხუზმა არაფერი იცოდა იმ დღით დატრიალებული ქარიშხლის შესახებ, შემთხვევით შემოიარა გურისთან და, როდესაც საქმის ვითარებას გაეცნო, გულს შემოეყარა, განცალკევებით კუთხეში დაჯდა, თავი ხელს დააყრდნო და თათბირის დაშლამდის ხმა არ გაუღია.

საბოლოოდ კათალიკოსის არჩეულ გზას დაადგნენ. სხვა უკეთეს და მისაღებ გამოსავალს ვერ მიაგნეს, თუმცა არც ერთ მათგანს არ აკმაყოფილებდა, განსაკუთრებით – გური ხალვაშს. მას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ სადამდე მიიყვანდა ჩეკაში მუშაობა, და თავისი მომავალი უცრემლოდ გამოიტირა. მეცნიერებაში შესასვლელი კარი საბოლოოდ გადაირაზა. გონების თვალით შორს გახედა გასავლელ გზას და დაინახა, თუ როგორ თანდათან შორდებოდა ნაცნობ-მეგობრებს, გზას უთმობდნენ, შორიდან უვლიდნენ, ერიდებოდნენ და ეშინოდათ. ძველების ადგილზე ახლები წამოიმართნენ: გულჩათხრობილნი, თავითავში ჩაკეტილნი, კაცთმოძულენი და ადამიანის ხორცის მჭამელნი, დაუნდობელნი და მგლებივით ერთმანეთის სისხლის მწყურვალნი.

გური და ჩეკისტი?! ოდესმე ამ დაცემულ და ჩირქწაცხებულ სახელს რა აღადგენს?!

– თუ რამე არ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში, ღირს კი სიცოცხლე?! – მთელი ღამე ფიქრობდა გური და ძილი ახლოსაც არ მიჰკარებია. თეთრად გაათენა.

გური გამოკეტილ ოთახში ველარ დაეტია, სული შეეხუთა და ძალიან მოუნდა განმარტოება. ელვისას და მამის ფეხის საფლავის ნახვა მოუნდა. ბოდიშს მაინც მოუხდის დამიწებულ სიყვარულს, ქვას დაემხობა, მიწას და ბალახს ხელს გადაუსვამს, რჩევას ჰკითხავს, მოუსმენს!

და... გულმა ვერის სასაფლაოსკენ გაუწია. აგერ ოთხი თვე გავიდა და სასაფლაოს ერთხელაც ვერ მიაკითხა. სიღნაღში ყოფნის დროს რომ ვერ მოვინახულე, მეპატიება, მაგრამ ქალაქში ჩამობრძანებულს გული როგორღა დამიდგა?! – ებრძოდა საკუთარ თავსა და ფიქრს ხალვაში, გზაჯვარედინი გადაჭრა და სასაფლაოსკენ შეუხვია.

მაგრამ... ჰოი, საოცრებავ! ალბათ გზა ამებნა, სხვა ადგილას მოვხვდი! წმინდა ნიკოლოზის ეკლესია სადღა გაქრა, რომ არსად მოჩანს?! ან სასაფლაო სად წაიღეს, რომ აქ მაღალი კედელი აღუმართავთ?!

გურიმ ხის კედელში ასევე მაღალი ხის ალაყაფის კარები შენიშნა, სადაც სატვირთო მანქანები შედიოდნენ და გამოდიოდნენ, ყველგან ფუსფუსებდნენ.

გური ხალვაში თავგზააბნეული შეიჭრა კარებში, პირველ შემხვედრს აღელვებული გამოელაპარაკა:

– რა ხდება აქ?

– ვერა ხედავ, რაც ხდება? შენ რა, თბილისში პირველად ჩამოხვედი?!

– არა, პირველად არა, მაგრამ ოთხი თვეა, აქ არ გამომივლია.

– ჰოდა, ღმერთს სახლი დავუნგრიეთ, მოედანი გავამზადეთ, ახლა ბაღის გაშენებას ვიწყებთ.

– საფლავები? მათე პაპას სენაკი?

– რა დროს მათე პაპა და საფლავებია! ხომ ხედავ, ყველაფერი ამოვაბრუნეთ და გავასწორეთ!

– ეს როგორ? ადამიანთა საფლავები?! ღმერთო ჩემო!

– როგორც გვიბრძანეს, ისე მოვიქეცით. თქვენ რა, არაფერი გაგიგიათ? ამ სამი თუ ოთხი თვის წინ გაზეთში გამოაცხადეს. ზოგიერთებმა თავიანთი მკვდრები ახალ ვერის სასაფლაოზე გადაიტანეს, აი, იქ, მთაზე, ვარდისუბნის ბოლოში რომ არის. მგონი, მოხუცი მესაფლავეც იქ გადაბარგდა.

გური ყოფილი სასაფლაოს სიღრმეში შეიჭრა. ზოგან ქვა და ღორღი ეყარა, ზოგან მოედანს ასწორებდნენ, სასაფლაოს ლოდებს ერთ ადგილზე აგროვებდნენ, დარჩენილ მოაჯირებს ხსნიდნენ, ხეებს რგავდნენ, ბილიკები გაჰყავდათ და აგურის ფხვნილს აყრიდნენ.

ხალვაშმა ვერაფერი გაარჩია, მიახლოებითაც კი ვერ მიაგნო, სად იდგა ეკლესია და სად უნდა ყოფილიყო ელვისას და მამის ფეხის საფლავი.

ვინ რა იცოდა, ვინ რას ეტყოდა?!

ერთხანს ქუჩაში იბორიალა. შემდეგ პირველ შემხვედრ ტრამვაიში ჩაჯდა და უმისამართო მიმართულებით წავიდა.

– ღმერთო ჩემო, რა უბედურებაა: ორად ორი საფლავი მეგულებოდა ქვეყნად და ისიც დამეკარგა. ახლა ყოველმხრივ ეული ვარ. არც ცოცხალი შემრჩა სისხლით ნათესავი და აღარც საფლავი! იმასაც ბედნიერებად ვთვლიდი, რომ მიწას ამოფარებულ ძვლებს ვუზიარებდი ხანდახან ჩემს დარდსა და ნაღველს. ახლა?! ახლა ისიც დავკარგე!

ფიქრობდა, ფიქრობდა ზღვარდაუდებლად გური

ხალვაში. ტრამვაი კი, ვინ იცის, მერამდენედ კრავდა რკალს! ბოლოს დაღლილ-დაქანცულს სულით და ხორცით, გზადაკარგულსა და უძინარს, ჩაეძინა...

II

პირველი შეხვედრისას ბერია მოეწონა გური ხალვაშს. არც ისე კაცის მჭამელი და ძაღლთაპირი ყოფილაო, – გაიფიქრა. მაღალ იდეალებზე, ხალხის ინტერესების დაცვაზე, კომუნიზმის თავდადებაზე, მავნებლებისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაზე, პირადის დათმობასა და კაცთმოყვარეობაზე ესაუბრა მომავალ თანამშრომლებს.

– ეს უნდა გახსოვდეთ სიკვდილამდე: ჩეკისტი სიმართლისთვის მებრძოლი უნდა იყოს, რასაკვირველია, მუშურ-გლეხური სიმართლისა და არა საერთოდ განყენებული და განურჩეველი სიმართლისა. პრინციპული და უდრეკიც უნდა იყოს. მტერს შიშის ზარს სცემდეს და მოყვარეს მალამოდ ედებოდეს. მტერმა კარგად და მოხერხებულად იცის შენიღბვა. არ უნდა მოტყუვდეთ, გამოცნობაც უნდა შეგეძლოთ და მახვილის პირველი დარტყმაც. მავნებლები და რევოლუციის მტრები ყველგან არიან შემძვრალნი – პარტიაშიც და მთავრობაშიც, ზედაფენებშიც, უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოებშიც. შეიძლება ასეთები ჩვენს შორისაც იყოს და გველის პერანგის გამოცვლას განგებ აგვიანებდეს, არა საერთო, არამედ პირადი გაზაფხულის დადგომას უცდიდეს. ჩეკისტის ალღო ყველაფერს უნდა მისწვდეს, რომ ამოუცნობი და გაუგებარი არაფერი დარჩეს. უკან არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიხიოს.

ასეთია ჩვენი პროფესია – სახიფათოც და საინტერესოც. არ უნდა დაივიწყოთ, რომ თქვენი ცხოვრება ყოველთვის ბეწვზე ეკიდება, მუდამ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის იქანავებთ, მტერთა გარემოცვაში იქნებით. უნდა იცოდეთ: ვინც ხშირად გიცინის, ფეხქვეშ გეგება, გაქებს და ტაშს გიკრავს, მეგობრობას გეფიცება, მზე და მთვარე შენზე ამოსდის, ის ყველაზე საშიში პიროვნებაა. არ მოტყუვდეთ, დაუკვირდით, ამოიცანით, განაიარაღეთ და მოსპეთ. განა ცუდი ხელოვნებაა ადამიანის სულში ჩაძირვა, ბნელ უფსკრულებში ხეტიალი და სრული გამარჯვების მიღწევა?! თქვენს პირად ცხოვრებაში, ადამიანებთან დამოკიდებულებაში, ძიებასა და აღმოჩენაში ყოველდღიური მსახიობური გარდასახვა მოგიხდებათ, ამასაც მაღალი ნიჭი, გამბედაობა, წვდომა და სიკვდილ-სიცოცხლეს შორის გაჭრილ ხვრელში ძრომა დასჭირდება. ამას ყველა ვერ შეძლებს, თქვენ უნდა მოახერხოთ. ჩვენთან ყოფილი ყაჩაღები, ქურდები, ბანდიტები, მძარცველები და, საერთოდ, ყველა ჯურის თავზეხელაღებული ადამიანები თანამშრომლობენ. ჩვენ მათი გამბედაობა და ცხოვრებისეული ცოდნა გვჭირდება. ისინი ქოფაკებივით მივუსიეთ ქვეყანას და თავის საქმეს აკეთებენ. თუ ზედმეტად გადაამლაშებენ, ავშარა ხელთ გვიპყრია და დავიურვებთ. თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა, თავიდან მოვიშორებთ და გავაქრობთ. ავისა და კარგის დაფასება ერთნაირად ვიცით. ეს თქვენც უნდა გახსოვდეთ და საერთოდ ყველას, ვინც ჩვენთან მოისურვებს თანამშრომლობას. თქვენზე დიდ იმედს ვამყარებთ, ჩეკას განათლებული და მომზადებული ხალხი აკლია და ეს ხარვეზი უნდა შევავსოთ. ჩვენი ორგანიზაციის ღირსების ამაღლება თქვენგან იწყება და დარწმუნებული ვარ, გამიმართლებთ! – დაამთავრა თავისი სიტყვა უფროსმა და კვიციანს მიუბრუნდა:

– თქვენ ხომ არ დაუმატებთ რამეს?

– ყველაფერი დიდებულად ბრძანეთ, ლავრენტი პავლეს ძევ! ამ მარგალიტის მძივებივით ასხმულ აზრს რა უნდა შევმატო?!

– თქვენ რას იტყვით? – ახლა ახალბედებს მიმართა ბერიამ.

– მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს, – დაიწყო იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა, – და ალბათ ჩემი ამხანაგების სურვილსაც გამოვხატავ; ყველანი, რომლებიც აქ ვართ წარმოდგენილი, დამამთავრებელ კურსზე ვირიცხებით, მხოლოდ ხალვაში უნდა იყოს გამონაკლისი. თუ შეიძლება და ჩვენი მხრივ კადნიერება არ იქნება, გვიშუამდგომლეთ შესაბამის კადრებთან, ხელი შეგვიწყონ საგნების ჩაბარებაში და სამსახურებრივი დაბრკოლებები საპატიოდ ჩაგვითვალონ.

– სხვები რას იტყვიან? – ისევ იკითხა ბერიამ.

– ჩვენი სათქმელი უკვე მოგახსენათ ამხანაგმა, – თითქმის ერთდროულად გაიმეორეს.

– ვიცოდი, რომ ეს კითხვა იქნებოდა! ჩვენ წინასწარ მივიღეთ საჭირო ზომები. განათლების კომისარს და უნივერსიტეტის რექტორს მოველაპარაკეთ, მათ ჩვენი წინადადებები მოიწონეს და მიიღეს. საგნებს როცა მოამზადებთ, დაუბრკოლებლად ჩააბარებთ, სესიებს არ დაუცდით. დღეიდან ძველ სტუდენტ ამხანაგებთან ურთიერთობას შეწყვეტთ. არ უნდა გაითქვიფოთ. უნივერსიტეტს ჩვეულებრივ დაამთავრებთ. ხელშეწყობას და ყურადღებას არ მოგაკლებთ, – მერე კვიციანს მიმართა, – გაიყვანე ახალგაზრდები და, როგორც შევთანხმდით, გაანაწილე. თხუთმეტი დღე პრაქტიკა ეყოფათ, შემდეგ უკვე დამოუკიდებელი სამუშაო მიუჩინე. თუ რაიმე გაუგებრობა ან სიძნელე წარმოიშვას, შემატყობინე.

გური ხალვაშს ერთხანს გაუძნელდა ჩეკისტის ფორმის ტანზე მორგება, ხალხში გამოჩენა, მაგრამ შემდეგში თანდათან შეეჩვია, აღარ აწუხებდა; ორი წლის შემდეგ კი სამოქალაქო ტანსაცმელი აგდებდა უხერხულ მდგომარეობაში.

გურიმ დიდი ფხა და უნარი გამოამჟღავნა მუშაობაში. გონიერებით, ალღოთი, დაკვირვებულობით, საქმის ერთგულებით თავიდანვე მიიქცია ყურადღება, რაც ბერიას მხედველობიდან არ გამოჰპარვია. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კვიციანიც მოახსენებდა უფროსს, საერთოდ, ახლად აყვანილი თანამშრომლებისა და, კერძოდ, გურის შესახებ, რასაც შედეგად მოჰყვა ხალვაშის მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანინაურება. ბერიამ პირადად იხმო გური ხალვაში, კვიციანთან ერთად, შეუქო ერთგულება და მინდობილი საქმეების ყოვლისმომცველად შესრულება. ალერსი და ღიმილიც არ მოაკლო ახალგაზრდა ჩეკისტს, რასაც იშვიათად აღირსებდა ვინმეს და შესთავაზა ახლად განთავისუფლებული თანამდებობა – საგანგებო საქმეთა გამომძიებლობა. ამ თანამდებობაზე მყოფ ძველ მუშაკს ბრალი დასდო მიწათმოქმედების კომისრის საქმის მიკერძოებით გამოძიებაში, უფლება და ღირსება აჰყარა, ჩეკადან დაითხოვა და რომელიღაც სამოქალაქო დაწესებულებაში დაბალ თანამდებობაზე გაგზავნა, მაგრამ იქამდე აღარ მიუღწევია, აღარც სახლში მისულა, სადღაც გზაში აორთქლდა და გაქრა.

გური ხალვაშს ახალი ბინაც მისცა სოლოლაკში.

გური დიდი მადლობით გამოეთხოვა ელიზბარის ოჯახს, თავის პატარა, მყუდრო ოთახს, რომელთანაც სტუდენტობის წლების მოგონება აკავშირებდა, და სოლოლაკში, ლერმონტოვის ქუჩაზე, მეორე სართულზე, მდიდრულად მორთულ, ჭერმაღალ ბინაში ჩასახლდა. მარტო კედლის ვენეციური სარკეები და ჭაღები იყიდდა ბიძია ელიზბარის სახლსა და მის ღარიბულ მორთულობას. გურის მოეწონა ახალი სადგომი, სიმდიდრე და ფუფუნება, მარმარილოს კიბე და უცნობ მხატვართა მოხატული კედლები, მაგრამ გულში მაინც ის ერჩია – ის, პატარა ოთახი წყნეთის ქუჩაზე, ელიზბარის კეთილი გული და ოჯახი, სტუდენტური სიღარიბე, ხშირად მონატრებული გამხმარი პურის ყუა და თავისუფლება. ახლა კი მაღალი თანამდებობა ეჭირა, მაგრამ პატიმარს უფრო ჰგავდა. ისე უნდა ეფიქრა და ეაზროვნა, როგორც სხვებს უნდოდათ, ისე ჩაეცვა, დაეხურა, გაევლო და გამოევლო, ემსახიობა და ემაიმუნა, როგორც უფროსებს ესიამოვნებოდათ, მაგრამ რა ექნა?! უნდოდა თუ არ უნდოდა, რაკი ასეთ გარემოში მოხვდა, ქუდიც სხვების მოსაწონად უნდა მოერგო და დაეხურა.

გური ხალვაშს ახალთახალი ემადინიც მიართვეს თავისი მძღოლით. ფეხით იშვიათად დადიოდა ქალაქში. თეატრშიც მთავრობის ლოჟაში თუ მოჰკრავდით ხანდახან თვალს კომისრის ოჯახებსა და გეპეუს მაღალი თანამდებობის პირთა შორის, უნივერსიტეტში იშვიათ შემთხვევაში შეასწრებდით თვალს.

ძველი მეგობრები თითქმის მთლიანად ჩამოშორდნენ. ბიძია ელიზბართან წელიწადში ორჯერ თუ შეივლიდა და ისიც – რამდენიმე წუთით. განსაკუთრებით გაუჭირდა და ვერ შეურიგდა არჩილ ბროძელისა და ბიბი ბუთხუზის ჩამოშორებას.

ბიბის დაშორებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ბინა გამოიცვალა, ქალაქის შორეულ უბანში, ნაძალადევის ბოლოში გადასახლდა. ცოლის შერთვის შემდეგ ჟორესის ქუჩის პატარა ოთახი ახლად შექმნილი ოჯახისათვის ვიწროც იყო და მოუხერხებელიც. გარეუბანში კი ორი ოთახი დაიქირავა და შედარებით იაფადაც.

ბედნიერები იყვნენ ბიბი და მეტია/მედეა ინწკირველი. მათ ერთმანეთი უყვარდათ.

არჩილ ბროძელი თვითონ გაურბოდა ძველ მეგობარს. მათ შორის საერთოც გაქრა. პირველი ორი შეხვედრის დროს საუბარსაც ვერ მოაბეს თავი. გურიმ იცოდა, სადაც უნდა ყოფილიყო, მას აუცილებლად უცხო თვალი არ შორდებოდა და ეჭვი ფეხდაფეხ დასდევდა.

თვალთვალში საბოლოოდ მაშინ დარწმუნდა, როდესაც ერთხელ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: დღის სამ საათზე გური ხალვაში თავისი ახალი ემადინით რუსთაველის გამზირზე მიდიოდა. ხალხით გაჭედილი ტრამვაი საოპერო თეატრის წინ იდგა. ბაქანზე ხალხი ირეოდა და ასასვლელს აწყდებოდა. მოძრაობის წესის თანახმად, მძღოლმა მანქანა შეაჩერა და ტრამვაის დაძვრას დაელოდა.

ტრამვაიზე ამსვლელთა შორის გურიმ შეამჩნია უნივერსიტეტის პროფესორები: აბაკელია, ახვლედიანი და ბერიტაშვილი, რომლებსაც მოხულიგნო ახალგაზრდები ტრამვაიზე ასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ტრამვაი დაიძრა და წავიდა. სხვებთან ერთად პროფესორებიც ბაქანზე დარჩნენ. ეტყობოდათ, ეჩქარებოდათ, წუხდნენ. გურიმ მძღოლს მანქანა შეაჩერებინა, თავად ემადინიდან გადმოვიდა და პროფესორებს სთხოვა მანქანაში ჩამსხდარიყვნენ. აბაკელიამ და ბერიტაშვილმა იცნეს ყოფილი სტუდენტი, მადლობა გადაუხადეს და ემადინში ჩასხდნენ. გურიმ მძღოლს უთხრა, თუ სად დალოდებოდა, თვითონ კი ფეხით გაუყვა გამზირს.

ხუთ საათზე დაბრუნდა გური ხალვაში ჩეკაში. დაკეტილი კაბინეტი გააღო, მაგიდასთან მივიდა და დაჯდომა ვერც კი მოასწრო, ელსმენის ზარის წკრიალი გაისმა. ყურმილში ბერიას ხმა გაიგონა, სასწრაფოდ იბარებდა. გური ჯერ კვიციანთან შევიდა, გამოძახების მიზეზი ჰკითხა, მაგრამ ბონდომ არაფერი იცოდა, მხრები აიჩეჩა: ალბათ საგანგებო საქმე აქვს და ახალი დავალება გელისო.

ბერიას სამუშაო კაბინეტი სწორკუთხედის ფორმის საკმაოდ მოზრდილ ოთახს წარმოადგენდა. დიდი ფანჯრები მხოლოდ ჩრდილოეთის მხრივ იყო

ჩამწკრივებული და ოთახში დამამშვიდებელი, ბინდდაკრული სინათლე ეშვებოდა. სამუშაო მაგიდა კაბინეტის ბოლოში იდგა, წინ კი გრძელი სწორკუთხა გაპრიალებული მაგიდა იყო მიდგმული, შავტყავგადაკრული სავარძლებით შემომწკრივებული.

ბერიას თავი მაღლა არ აუწევია, რაღაცას წერდა. გური კი კარებთან შეჩერდა და მოხმობას დაელოდა.

ერთი წუთის შემდეგ უფროსი წერას მორჩა, კარებს გახედა და, თითქოს ახლა შეამჩნიაო კაბინეტში შემოსული ხალვაში, დაუძახა:

– რას დგახარ კარებთან, ახლოს მოდი!

გური მივიდა, მაგრამ არ დამჯდარა.

– დაჯექი, – მიმართა ბერიამ.

გური ყოყმანით დაჯდა.

– უნივერსიტეტის დამთავრებას გილოცავ, ხალვაშო!

– გმადლობთ, ლავრენტი პავლეს ძევ!

– მხოლოდ მოლოცვისათვის არ დამირეკავს შენთვის. მინდა ზოგი რამ დავაზუსტო. დღეს სამ საათზე სად იყავი?

– სად ვიყავი? სამ საათზე ალბათ რუსთაველის გამზირზე ვიქნებოდი.

– მართალია, სამ საათზე საოპერო თეატრის წინ იდექი. ტრამვაის დაძვრას ელოდებოდი, გზა რომ გაგეგრძელებინა.

– სწორია, ლავრენტი პავლეს ძევ! „დასწყევლოს ღმერთმა!“ – გაივლო გულში.

– პროფესორები შეგცოდებია, საგანგებო საქმეთა გამომძიებელო, მანქანა დაგითმია, შენ კი ფეხით გაგიგრძელებია გზა!

––ესეც მართალია, უფროსო! ეჩქარებოდათ, მოხუცი ბიჭები ტრამვაიდან აგდებდნენ, ასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. გულმა არ მომითმინა, მანქანა დავუთმე და უნივერსიტეტისაკენ გავისტუმრე! – ამაყად და კმაყოფილად მიუგო გურიმ. გულში კი გაუელვა: „საიდან?! ვის მიაქვს ყველაფერი ასე დაწვრილებით?! ალბათ ამ დემონთა დემონმა ისიც კი იცის, რას ვფიქრობთ, რა სიზმარს ვნახულობთ. უცნაურია, სასწაულია“.

– თავმდაბლობას და დემოკრატობანას თამაშს თავი დაანებე. ეს გაკრიალებული და საათივით აწყობილი მანქანა იმიტომ კი არ გადმოგეცით პირად განკარგულებაში, რომ ვილაც-ვილაცები ატარო, მოიმადლიერო, შენ კი საქმეს მოსცდე. გახსოვდეს, შემდეგში ეს აღარ განმეორდება!

– დიახ, ლავრენტი პავლეს ძევ!

– ეს ძველი ინტელიგენცია ერთ ნაბიჯზედაც კი არ არის სანდო. შემთხვევას უცდიან, დანა გულში ჩაგვცენ! ცოტა გვაცალონ, ანგარიშს გავუსწორებთ!

– როგორ წარმოვიდგენდი!

– შენ დაკვირვებული და ნიჭიერი ახალგაზრდა ხარ, ხალვაშო, მაგრამ ჯერ კიდევ გაკლია ჩვენს ქვაბში გამოხარშვა, ჩვენს თოკსა და მზეზე გაშრობა.

გურიმ თავი ჩაღუნა და პასუხი არ გაუცია. თავისთვის კი ფიქრობდა: „ეს რა შარში ჩავვარდი! მაშ, ფეხი ვეღარ გადამიდგამს, ენა ვეღარ დამიძრავს და ეს არის, ცოცხალ ლეშად ვქცეულვარ. სანამ უნდა გაგრძელდეს ასე?! ღმერთო, შენ მიშველე!“

გურის ამ ფიქრებს კიდევ მთელი პეშვი შხამი დაუმატა ბერიამ და სასმისი პირთამდე შეუვსო:

– ჩეკაში სამუშაოდ მისულმა უნდა დაივიწყოს, რომ მას გული აქვს. მადლი და სიკეთე არ უნდა იცოდეს, რა არის. დემოკრატია მხოლოდ სიტყვისთვის არის საჭირო და არა ცხოვრებაში გასატარებლად. შეცოდება ლექსიკონიდან ამოვაგდოთ. წყლის მაგივრად სისხლის სმა უნდა შეგვეძლოს და პურის მაგივრად კაცის ხორცით დანაყრება. შენ ექიმი ხარ და გონების დანით ნერვების ოპერაცია ისე უნდა გააკეთო, რომ ხელები არასოდეს აგითრთოლდეს. ახლა წადი და შენს საქმეს მიხედე!

გურიმ მოკრძალებით თავი დაუკრა, შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით კაბინეტი დატოვა.

დერეფანი ისე გაიარა, გვერდზე არც კი მიუხედავს, არც შეჩერებულა, არც არავის დალაპარაკებია. ყველამ შეატყო, აღელვებული და ხასიათშეცვლილი იყო საგანგებო საქმეთა გამომძიებელი.

თავის ოთახს მიაშურა. პასუხსაგები საქმეები ელოდა, მაგრამ საწერი მაგიდისაკენ არც კი მიუხედავს. ფარდები დაუშვა. მიბნედილი სინათლე მოეფინა კედლებს. ერთგვარი მყუდროება იგრძნო, მაგრამ სულში ჩაბუდებული ქარისა და კორიანტელის დაოკება ვერ შეძლო. არ დამჯდარა. დაჭრილი ფოცხვერივით ოთახში დადიოდა, საკუთარ გულს ასკდებოდა ფიქრებში ჩაძირული, ვილაცას ედავებოდა, მუშტებს კუმშავდა, თვალებს ხუჭავდა და ახელდა, გალიად ქცეული კაბინეტის კედლებს ეხეთქებოდა. სხეულის ყოველ ნაკვთში მოძალებულ ენერგიას გრძნობდა, მაგრამ მაინც უძლური იყო.

ხედავდა, ხელშესახებად ხედავდა, რომ საკუთარი თავი მას არ ეკუთვნოდა, ვილაცა უხილავი ძალა შესდგომოდა მხრებში და თავის ნებაზე ატარებდა. ტიკინად ქცეულიყო, ძაფები სხვას ეჭირა ხელში და ხელ-ფეხს მის სურვილზე ამოძრავებდა, თავსაც, ენასაც. სხვა ლაპარაკობდა მის მაგივრად, თვითონ კი, უსიცოცხლო ჩვრად ქცეული, სრულ არარაობას წარმოადგენდა.

– სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე, სანამდე?! ყველა და ყველაფერი დავკარგე ამქვეყნად და ნუთუ ამისათვის?! არა, ასე არ შეიძლება გაგრძელდეს!!! – ამ დროს ვილაცამ ფრთხილად დააკაკუნა. გური შედგა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. ისევ განმეორდა კაკუნი. მეტი მოთმენა აღარ შეიძლებოდა: ჩანდა, ვილაც საქმეზე იყო მოსული. გურის კი უნდოდა – დიდხანს, რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყო მარტო, სხვასთან საუბარს საკუთარ თავთან დარჩენა და ფიქრებთან ჭიდილი ერჩივნა.

შიგნიდან ჩარაზული კარი გააღო. ოთახში ბონდო კვიციანი შემოვიდა. აღელვება შეატყო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს. გაიფიქრა: რაღაც საიდუმლო საქმე გახსნილაო რომელიმე კომისარიატში. შეათვალიერა, მის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა, გარდა მრისხანე, შავი ნაღველისა. ერთხანს ჩუმად იყო. ფეხზე იდგა, არც გურის გახსენებია, სავარძელი შეეთავაზებინა კადრების განყოფილების უფროსისათვის. ბოლოს მოთმინება არ ეყო ბონდოს და ჰკითხა:

– რაო, რა ახალი ამბავი დატრიალებულა რესპუბლიკაში?! რაზე გიხმო შეფმა?

– ძალიან დიდი, წარმოუდგენელი დიდი ამბები ხდება. ჯერ კიდევ სადა ვართ?!!

– მაინც?!

– მაინც ის, რომ თურმე უხილავი აღმრიცხველები გვითვალთვალებენ. ჩვენს გულისცემას ითვლიან, ნაბიჯებს ზომავენ. ყოველ ლუკმას წონიან. ერთი სიტყვით, რა არ ხდება ჩვენს ირგვლივ, ჩვენ კი ჭურში ვზივართ და გვგონია, კაცნი ვართ!

– ვერაფერი გავიგე! როგორ არა, გავიგე! მაგრამ თავი აღარ მუშაობს, რომ ქარაგმები ასე ერთბაშად გავხსნა. ღვთის გულისათვის, გამაგებინე, რა ხდება ჩვენს ირგვლივ, საიდან არის დაძრული ქარი და გრიგალი!

ხალვაშმა და კვიციანმა სავარძლები ფანჯარასთან მისწიეს. დასხდნენ და ერთმანეთს თვალებში მიაშტერდნენ, თითქოს ზომავდნენ და წონიდნენ, ენდობოდნენ კიდეც და უნდობლობასაც უცხადებდნენ. ბოლოს გურიმ ხელი ჩაიქნია და ბონდოს ყველაფერი უამბო. ასე რომ არ მოქცეულიყო, ძარღვები დაუსკდებოდა და სხეულის ყოველი ნაწილიდან სისხლის შადრევანი გადმოინთხეოდა.

– ასე აღარ შემიძლია, ბონდო, სული შემეხუთება, დავიხრჩობი! თითოეული ჩვენგანი სიკვდილმისჯილ ადამიანს ვგავართ, რომელსაც თაგვის გაფაჩუნებაში ჯალათის ნაბიჯები ელანდება. შენ ღმერთმა შეგაძლებინოს და მე კი ასე დიდხანს ვერ გავძლებ!

– დამშვიდდი, გური, ცოტა კიდევ და, ყველაფერს შეეჩვევი. როდესაც საკუთარ გულს ამოგაცლიან და გასისხლიანებულს წინ დაგიდებენ, ისე მოეშვები და დაწყნარდები, რომ გაკვირვება-გაოცების უნარსაც დაკარგავ. დღევანდელ სიფიცხეს მოიგონებ და გაგეცინება, – და... კვიციანმა ერთი მეტად საინტერესო მსგავსი თავგადასავალი უამბო: სოხუმში მივლინებიდან ჩამოსვლის შემდეგ მისი ყოველი გადადგმული ნაბიჯის რუკა დაახვედრეს დახატული, ყოველი სიტყვა აღრიცხული და შეხვედრები – ზუსტად აზომილი. – და ყოველივე ამის შემდეგ ვიცი, როგორ ვიმოქმედო. შენც ამას გირჩევ. ეს შენობა, სადაც ახლა ჩვენა ვართ და ვმუშაობთ, ისეთი ხაფანგია, საიდანაც თავის დაღწევა უკვე არავის არ შეგვიძლია. შენ გგონია, გარეგნულად ასე დამშვიდებულს რომ მიყურებ, სინამდვილეში მართლა ასეა? არა, გური! ახლა მხოლოდ შენ ერთს გეუბნები გულახდილად. მე ოჯახი აღარ მაქვს: რაც თბილისში გადმოვედი, ის იმ დღიდანვე დაინგრა. შენ გამგები ყმაწვილი ხარ და ყველაფერს მიხვდები, ძალიან გთხოვ, ფრჩხილებს ნუ გამახსნევინებ. ჩემმა ერთადერთმა ქალიშვილმა თავი დაიხრჩო მტკვარში. ძვირად დამიჯდა თბილისში გადმოსვლა, გური, ძალიან ძვირად. ალბათ ჩემი ჩადენილი ცოდვები მაზღვევინეს. ახლა ყველაფერი გვიანაა. ჩვენ ყველანი ლანდებად გვაქციეს, მაგრამ არა მოყვასისათვის ჯვარცმული ღვთაების, არამედ ისეთი ღმერთისა, რომელსაც თავად აჰყავს გოლგოთაზე სხვები ჯვარსაცმელად!

– მაშ, შენ ამბობ, რომ ჩვენ აქ ყველანი ანკესზე ვართ წამოგებული და დღენიადაგ ვფართხალებთ სხვებისთვის შეუმჩნევლად?!

– ნუ გაიკვირვებ, საგანგებო საქმეთა გამომძიებელო, და სწორედ ასე არის: აქ, კედლებიდან უხილავი თვალი გვიყურებს და ყური გვისმენს. ტვინსა და სულში გვიძვრებიან და ჩვენს აზრს კითხულობენ, ჩვენ კი არაფერი ვიცით: გვძინავს და ცხრა ანგელოზის მაგივრად ცხრა ეშმაკი გვადგას თავზე. როცა გავიღვიძებთ, ყველა გზა მოჭრილი დაგვხვდება.

– ეს რა ჯოჯოხეთში მოვხვდი: გველ-მორიელების სოროში ამომაყოფინეს თავი! – უმწეოდ და ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ხალვაშმა.

– უნდა მაპატიო, გური, შენს აქ მოყვანაში მე მიმიძღვის ბრალი, მაგრამ რა მექნა, ვინმე ხომ უნდა შემერჩია! არ მეგონა, თუ ასე ღრმად ჩასწვდებოდი ყველაფერს, ასე მწვავედ განიცდიდი!

– ბონდო! შენ რას იტყვი, უნდა ვთხოვო გეპეუს უფროსს, გამათავისუფლოს, დამითხოვოს სამსახურიდან. მე არ ვარ მოწოდებული აქ სამუშაოდ, არ გამოვდგები ჩეკისტად. აი, უკვე სამი წელია, ვცოდვილობ და არაფერი გამომდის. წავალ, ჩემს საქმეს მივხედავ, ავადმყოფს ტკივილს დავუყუჩებ და მოვისვენებ.

– არა, ასეთ რჩევას ვერ მოგცემ, გადაწყვეტილებას ვერ მოგიწონებ. ხომ გითხარი, ამ ხაფანგში მოხვედრილი კაცი თავს ადვილად ვერ დააღწევ. ერთადერთი გზა მეგულება, გულის ამოგლეჯა და ყველაფრის დავიწყება. ვთქვათ, სასწაული მოგევლინა და შენი თხოვნა დააკმაყოფილეს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა უფროსი დარწმუნდება, რომ ჩეკისტად აღარ ვარგიხარ. გაგიშვებენ, ღიმილით გაგისტუმრებენ, მაგრამ შინ მისვლამდე გზაში აგაორთქლებენ და ისე გაგაქრობენ, რომ ამქვეყნად შენი არსებობის კვალი ვერავინ მოძებნოს.

საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ყველაფერი გასაგები და ნათელი იყო გური ხალვაშისათვის: ან უნდა შეჰგუებოდა მდგომარეობას, ან: წინ წყალი, უკან მეწყერი!

მთელი ნახევარი საათი ჩუმად ისხდნენ საგანგებო საქმეთა გამომძიებელი და კადრების განყოფილების უფროსი. გური საკუთარი დარდისა და ფიქრის დახურული საკნიდან არ გამოდიოდა. ბონდომ კი სხვა თემაზე საუბრის გადასატანი კვანძი ვერ იქნა და ვერ მოძებნა. ბოლოს ადგა და, კარებთან მისულმა, ერთი სიტყვა დაუგდო ხალვაშს:

– კარგად იფიქრე, ადვილად არ მოტყუვდე. ტყვე და პატიმარი ერთ რამეში ემსგავსებიან ერთმანეთს: ორთავეს თავისუფლება დაკარგული აქვთ და იმედით ცოცხლობენ. ასევე ერთი რამით განსხვავდებიან: ტყვის გზა ყოველთვის შემთხვევის ხიდზე გადის, პატიმრისა კი – აუცილებლობისა. გადაწყვეტილების მიღების დროს არ აჩქარდე: წინდაუხედავ აჩქარებას ადამიანი არასოდეს მიუყვანია სასიკეთო შედეგამდის, – ბონდომ ერთი კი მოხედა სავარძელში გაუნძრევლად და თავჩაკიდვით მჯდომარე გურის, კარი ნელა მიხურა და უხმაუროდ გავიდა საგანგებო გამომძიებლის კაბინეტიდან.

დიდხანს იჯდა გური ხალვაში. თვალები დაეხუჭა, ვერ გაარჩევდი, თვლემდა, ეძინა თუ ფიქრთა ლეგიონის მოგერიების შემდეგ ისვენებდა. შემდეგ, საკმაოდ გვიან, ზანტად წამოდგა. მაგიდიდან ქაღალდები აკრიფა, სხვადასხვა უჯრაში შეალაგა, საიმედოდ ჩაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო, სამუშაო დღის დამთავრებას არ დაუცადა, სახლისკენ ფეხით გაუყვა.

III

ყველაფერი მოძრაობს ამქვეყნად, ყველაფერი იცვლება, მაგრამ გარემოს შეჩვეული და შეგუებული ადამიანი დიდ ყურადღებას არ უთმობს ახალი საგნებისა და მოვლენების წარმოშობა-გაქრობას, როგორც არ ამჩნევს გულის. ძგერას, სუნთქვას, ასაკში შესვლას. სამყაროს მოძრაობა შეუცნობელია ადამიანისათვის, გონებით საწვდომ სივრცეში შეიძლება უდიდესი კატასტროფა ხდებოდეს ყოველდღე, ყოველ საათში, ახალი სამყაროს წარმოშობის და ძველის დაღუპვის მომსწრე ვიყოთ, მაგრამ რა! ყველაფერი ეს ჩვენს მიღმა ხდება და ჩვენამდე არ აღწევს. დედამიწის მოძრაობა უფრო მახლობელია ჩვენთვის, ჩვენზე უდიდეს გავლენას ახდენს და ჩვენი არსებობით მასში ჩართული და მასზე დამოკიდებული ვართ, მაგრამ დასაბამიდან ყველაფერი ისე ერთფეროვნად და რიტმულად მიმდინარეობს, რომ უჩვეულო რამეს არ განვიცდით; ვიცით, რომ გაზაფხული ზაფხულმა უნდა შეცვალოს, შემოდგომა – ზამთარმა, დღე – ღამემ, მზის ჩასვლა – მთვარის ამოსვლამ, დაღამდება და – ცა ვარსკვლავებით უნდა მოიჭედოს. ადამიანთა და, საერთოდ, ცოცხალ არსებათა მოდგმა თავიდანვე შეეჩვია ამ ღვთაებრივ სასწაულს და არაფერი უკვირს, ყველაფერს ისე იღებს, თითქოს სამყაროს შექმნასა და წესრიგში მას უდევს წილი.

სამაგიეროდ, სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი საზოგადოებათა და ადამიანთა ურთიერთობაში, აქ მომხდარ ოდნავ ცვლილებებს მწვავედ განვიცდით, მასში უშუალოდ ვართ ჩართულნი და საერთო ცვალებადობის მდინარე ხან ალმა მიგვათრევს, ხან კი – დალმა. ხან ფსკერზე დაგვლექავს და ხან ნაპირზე გაგვრიყავს. ბევრიც რომ მოვინდომოთ, განზე ვერ განვდგებით, საერთო დულილში, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენც უნდა მოვიხარშოთ.

ცხოვრების კარები გაბედულად შეაღო ხალვაშმა, დროს თვალი გაუსწორა, ტოლებში ამაღლდა, სიყვარულის სიტკბოც გამოსცადა და საშინელი სიმწარეც, მეგობრებიც საკმაო გაიჩინა, ნათელი მომავლისაკენ თითქოს გზაც გაიწალდა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მირაჟად ექცა. ყოველგან და ყველაფერში ხელმოცარული აღმოჩნდა. უკანასკნელად მეგობრებიც შემოეფანტა და გეპეუს კედლებში უმიზნოდ, უპერსპექტივოდ გამოკეტილი აღმოჩნდა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩიხში შემწყვდეულ, დასაურვებელ ულაყს მოსდის ხოლმე.

ბიბი ბუთხუზმა თბილისი დატოვა და სტეფანწმინდაში წავიდა საავადმყოფოს მთავარ ექიმად, მეტიაც იქვე მოეწყო პედიატრად. ქალ-ვაჟიც გაუჩნდათ და ცხოვრობდნენ ბედნიერად. მათ სიცოცხლეს აზრიც მიეცა და მიზანიც. არც ცას უწვდენდნენ ხელს დედამიწაზე ვარსკვლავების ჩამოსატანად და არც დიდკაცობა უნატრიათ ოდესმე. ხალხს უყვარდა მათი მშველელი და პატივისცემას არ იშურებდა თავადაც. გურის მოსდიოდა ასეთი ცნობები და ბოლმა ახრჩობდა არა შურით აღძრული, არამედ თავისი ცხოვრების ბორბლის უკუღმა მობრუნების გამო.

არჩილ ბროძელმა ერთი წლით გვიან დაამთავრა უნივერსიტეტი. მანაც დატოვა თბილისი, ახალგორში გადავიდა სამუშაოდ და საცხოვრებლად. იკორთელი მასწავლებელი ქალი მზევინარ ერისთავი შეირთო ცოლად. ქსნის ნაპირას პატარა სახლი აიშენა და ცხოვრობდა მყუდროდ. მზევინარმა სამი შვილი შესძინა ოჯახს.

ძველი მეგობრის სამახსოვროდ და პატივსაცემად ბიბიმ და არჩილმა თავიანთ პირმშოებს გური დაარქვეს. ეს იცოდა ხალვაშმა, მაგრამ თავისი პატარა სეხნიების ნახვა ვერა და ვერ მოახერხა.

ელიზბარ ჟღენტი კი ცხოვრობდა ძველებურად, ცოლ-შვილს ღარიბულად ინახავდა. ფუფუნება სხვისი ეჯავრებოდა, ყველი და პური საკმარისი ჰქონდა, ტკბილი სიტყვა და სიყვარული კი – საკმაოზე მეტიც. დღენიადაგ სიკეთეს თესდა და იმკიდა, სულ გურის იგონებდა და სინანულით ამოიოხრებდა, როცა მისი ცხოვრების გამრუდებულ გზას გადაავლებდა თვალს.

გურის ყოფილი პატარა ოთახი არც ახლა იყო ცარიელი. ელიზბარმა ამ ოთახში გურიიდან ახლად ჩამოსული სტუდენტი გოგონა ჩაასახლა და მასაც თავზე ისე ევლებოდა, უვლიდა და მშობლიურ სიყვარულს არ აკლებდა, როგორც თავის დროზე გური ხალვაშს.

ყველა მახლობელსა და მეგობარს ახსოვდა გური ხალვაში, ზოგი დანანებით იგონებდა მისთვის შეუფერებელ გზაზე დადგომას, ზოგი კი, რომლებიც ნაკლებად ერკვეოდნენ ავ-კარგში, ადამიანის ადამიანურ თვისებათა ბუნებაში, აღტაცებას ვერ მალავდნენ ხალვაშის მაღალ საზოგადოებაში გზის გაკვლევით.

პროფესორებსაც დაავიწყდათ გური ხალვაში. ბევრ მათგანს ეგონა, რომ ანგარების ყალბ გზას გაჰყვა თავის დროზე იმედის მომცემი სტუდენტი და საბოლოოდ ჩადნა და ჩაიკარგა ჩეკას გაუვალ ჯუნგლებში.

მხოლოდ ერთმა სიმონ გოგიტიძემ იცოდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ, სანამ საიქიოს გზას არ გაუდგებოდა, პირში წყალი ჰქონდა ჩაგუბებული და დუმდა. – თქვენ რა იცითო, – ხშირად უსაყვედურებდა კოლეგებს, – ხალვაშს არასოდეს იზიდავდა შინაარსს გამოცლილი განდიდება, დროის მსხვერპლი გახდა და უნდა გეცოდებოდეთო.

ხანი გადიოდა. დრო და ჟამი თავის საქმეს აკეთებდა, მკიდა და ცელავდა. ხან ბულულებს დგამდა და ხან კი ქარსა და ქარიშხალს ატანდა, ფანტავდა და ანიავებდა.

გური ხალვაში პირისპირ შერჩა გეპეუს უფროსს, თანამდებობის ბობოლებს და უმცროს თანამშრომლებს.

ჩეკას შენობის ბნელ და გულჩათხრობილ ტალანებში მოხვედრილი ადამიანი სულ სხვა სამყაროში გრძნობდა თავს. აქ კაცსაც სხვა განზომილება ჰქონდა და ყოველგვარი ადამიანური ფასეულობანიც სულ სხვაგვარად იყო გადაფასებული. ბუნების მრავალფეროვნებას, სილამაზეს და სიხარულს აქ ერთნაირად ჰქონდა დადებული რუხ-ბნელი, მოსაწყენი ფერი.

ყველგან სიკვდილი დააბიჯებდა თავაწეული და წელგამართული, კედლებზეც კი ჩონჩხების ლანდები დაფათურებდნენ, გაკრიალებულ იატაკზე ქვეწარმავალთა ცივ და გალიპულ თვალებს გაარჩევდა დაკვირვებული თვალი. ჭაღებიდან ელნათურების მაგივრად შხამიან გველთა თვალები ანათებდნენ. ფანჯრებზე დღედაღამ დაშვებული ფარდებიდან ოთახებში არც მზისა და მთვარის ნათელი აღწევდა და არც სიცოცხლის ჟრიამული.

ჩაბნელებული და ჩაჟანგებული სარდაფებიდან ნესტის, მიწაში შეზელილი სისხლისა და სიკვდილის სუნი ჟონავდა დღენიადაგ. აქ მოდიოდა გური ხალვაში ყოველდღიურად და გეპეუს უფროსის ახალ-ახალ განკარგულებებს იღებდა. სინათლის ჩამკვდარ დარბაზებში ყოველდღე იწერებოდა საგზურები ამქვეყნიდან ასაბარგებელ მგზავრთათვის, რომლებიც ბოლო დროს საკმაოდ მომრავლდნენ. საიქიოს გასაწვევთა შორის ვის არ ნახავდით: ცენტრალური კომიტეტისა და რაიკომების ყოფილ მდივნებს, კომისრებსა და პროფესორებს, სტუდენტებსა და ფეხშიშველ, ხელებდაკოჟრილ, შრომაში ცხოვრებაჩალამებულ მუშებსა და გლეხებს, მოზარდებსა და ხანშიშესულებს, ბავშვიან ქალებსა და ქალიშვილებს.

ყოველდღე ახალი და ახალი მსხვერპლი. გაუთავებელი რევოლუცია ასევე გაუთავებელ და უსასრულო მსხვერპლს თხოულობდა. ბრუნავდა სიკვდილის ბორბალი და ათასობით სიცოცხლე მოუსავლეთში გადაჰქონდა.

რატომ? რისთვის? – არავინ იცოდა. ყრუდ დასმულ კითხვებს დაყრუებული სივრცე უპასუხოდ ტოვებდა. შავ ყორანს შავი ფრთები გაეშალა საქართველოს ცაზე და ადამიანთა სისხლით და ხორცით შემზადებულ საუზმეს შემზარავი ყრანტალით დაჰხაროდა.

ტერორმა ისეთი მკაცრი, ყოვლისმომცველი და ადამიანური ბუნებისათვის წარმოუდგენელი ხასიათი მიიღო, რომ თვით მურვან ყრუს, ლანგ თემურისა და შაჰ აბასის დროც სანატრელი გახდა.

რატომ? რისთვის? – გამოუთქმელად ისმოდა კითხვები და ჩაბნელებული სივრცე ასევე უსიტყვოდ პასუხობდა. – შორეული მომავლისათვის! შეუცნობელი მომავლისათვის! ქვეყანა მტრებითა და მავნებლებით გაივსო. ყველას განურჩევლად დაუნდობელი ბრძოლა!

სისხლი!.. სისხლი!.. სისხლი!..

სიკვდილი!.. სიკვდილი!.. სიკვდილი!..

შიშმა და ძრწოლამ, შურმა და მტრობამ დაფარა ქვეყანა.

კარები და ფანჯრები ერთნაირად ჩაირაზა.

სიმღერა ჩაკვდა და ყრუ მოთქმა გამრავლდა.

დედებს რძე გაუშრათ და ადამიანებს აზრი დაეშრიტათ.

ქვეყანა ერთიან დილეგად იქცა.

თუ აქამდე სიცოცხლე იწვევდა სიკვდილს საცეკვაოდ, ახლა სიკვდილი დარჩა მოედანზე, სიცოცხლე კოჭლობით იწყებდა როკვას.

არავინ იცოდა, მზე ხელმეორედ გაანათებდა თუ არა დედამიწას. მთელი ღამის განმავლობაში სიკვდილი დაძრწოდა საქართველოში. მშვიდობით გათენებას ულოცავდნენ მეზობლები ერთმანეთს.

ადამიანები ავტომატებად იქცნენ.

აზრმა და ნიჭმა ყოველგვარი ფასი დაკარგა; ვინც ეს გაიგო, გადარჩა. გადარჩა, ვინც ცოცხალი მკვდარს დაემსგავსა.

ვისაც ლამაზი ცოლი ან ქალიშვილი ჰყავდა, ან კარგი ბინა და სარგებლიანი თანამდებობა, შურისა და მტრობის მსხვერპლად იქცა.

ნიჭიერი ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მიზიდვამ ვერ გაუმართლა იმედი საქართველოს

გეპეუს უფროსს. გაძლიერებულ ტერორს თავზეხელაღებული ადამიანები სჭირდებოდა და ჩეკაც ასეთი თანამშრომლებით აივსო.

გური ხალვაში სხვებზე მეტად დაიახლოვა საქართველოს გეპეუს უფროსმა, რომელიც საგანგებო საქმეთა გამომძიებლის ჭკუასაც აფასებდა და გამჭრიახობასაც, ამავე დროს მიუდგომელი და დაუნდობელი იყო მაღალი თანამდებობის პირთა მიმართ.

ერთადერთი გამონაკლისი გური ხალვაში იყო მთელ დაწესებულებაში, რომელსაც ხშირად ეთათბირებოდა და მის მოსაზრებას ანგარიშსაც უწევდა. მხოლოდ ერთი რამ აცვიფრებდა ბერიას: ეს ახალგაზრდა კაცი დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა დაწინაურებას, თანამდებობრივ საფეხურებზე ზეაღსვლას, განდიდებას. არც ფუფუნება და კარგად მოწყობილი ბინა იზიდავდა. ყველაზე მეტად კი ის აკვირვებდა, რომ ქალებთან ურთიერთობაში მეტად თავშეკავებული იყო, მაშინაც, როცა შეეძლო უმშვენიერეს ბანოვანთა აუზში თავისუფლად ეცურავა.

გური კმაყოფილი იყო ოროთახიანი ბინითაც და მარტივი – თავშეკავებული ცხოვრებითაც.

ბერია თავს იმტვრევდა, მაგრამ ვერ გაიგო, ვერ ჩასწვდა საიდუმლოს, თუ საიდან მომდინარეობდა საგანგებო საქმეთა გამომძიებლის ესოდენ მაღალი და სხვებისაგან განსხვავებული ტაქტი.

განდიდების გზაზე შემდგარ საქართველოს გეპეუს უფროსს ამჟამად სწორედ ასეთი კაცი სჭირდებოდა და ამიტომ მაგრად ჩასჭიდა ხელი.

●

გეპეუს მრისხანე უფროსი არა მარტო ყოველგვარი კეთილის, თვით ხალხის მტერს და რისხვას წარმოადგენდა. მისი სახელი ერთნაირად შიშსა და ძრწოლას ჰგვრიდა მის თანატოლებს, უმაღლესი ელიტის საზოგადოებას, რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. მას ვერავინ გაუბედავდა თითის დაქნევას, კონტროლის გაწევას, რადგან ცენტრი, საკავშირო გეპეუ უჭერდა მხარს და ამ უმტკიცესი ბარიერის გადალახვა ადგილობრივ არავის შეეძლო.

უგვირგვინო მეფედ ქცეული ბერია განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა. ამიტომ დიდი და პატარა, უფროსი და უმცროსი ერთნაირად იყო გართხმული მის წინაშე, მის მზეს ლოცულობდა, დაშინებული ტაშს უკრავდა, ერის საამაყო შვილს უწოდებდა. პოეტები, სახალხო მთქმელები ლექსებს თხზავდნენ, მომღერლები სიმღერებით ამკობდნენ და ადიდებდნენ.

ზნეობასა და უზნეობას შორის ყოველგვარი ზღვარი წაიშალა. მლიქვნელობამ და მლიქვნელებმა მზეც დაჩრდილეს და მთვარეც.

მაგრამ... ერთი რამ აწუხებდა საქართველოს გეპეუს უფროსს, მისი დიდება ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული უზენაესი ღვთაების – სტალინის ყურადღებით. ამიტომ მისი ტახტი, მართალია, ოქროს ქვიშაზე, მაგრამ მაინც ქვიშაზე იდგა და ყოველთვის შეეძლო მოულოდნელად მოვარდნილ გრიგალსა და მეწყერს დაემხო და წაელეკა.

არავის არ უყვარდა ბერია, მაგრამ ეშინოდათ მისი. მან იცოდა, რომ ვერავინ ცუდს ვერაფერს შეჰბედავდა და შეჰკადრებდა, მაგრამ საქართველოში ორახელაშვილისა და ცენტრში ორჯონიკიძისათვის უნდა მოეხერხებინა რამე, რადგან ორივენი ფარულად მტრობდნენ და ამ მტრობას გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეეძლო.

საქართველოს გეპეუს უფროსმა ისიც გაიგო, რომ სტალინთან საუბრის დროს ორჯონიკიძესა და ორახელაშვილს სიტყვა ჩამოუგდიათ ბერიაზე და ისე, სხვათა შორის, გაკვრით უთქვამთ: აჭარბებს უფლებებს, არავის ანგარიშს არ უწევს და ქვეყანა ტერორის ქვეშ დააყენაო. სტალინს შუბლი შეუკრავს, ყალიონი გაუბოლებია და ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უთქვამს: მაგარი ხელი გვჭირდებაო, ხალხს შიში მოარჯულებს და მტრებს – ტყვიაო, ათასობით დახვრეტილის სანაცვლოდ მილიონობით მორჩილი და მოთვინიერებული ჩადგებაო ჩვენს სამსახურში.

საქართველოს გეპეუს უფროსი მთელი წელი იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ და რა გზით გადმოებირებინა საბოლოოდ სტალინი თავის მხარეზე, განწყობილება განემტკიცებინა და მოწყალე თვალით გადმოეხედა.

ბერიამ კარგად იცოდა, რომ ორჯონიკიძესთან ბრძოლაში ვერაფერს გახდებოდა და დამარცხდებოდა. გადაწყვიტა, გარკვეულ დრომდე ხელი აეღო ამ უსარგებლო და სახიფათო წამოწყებაზე, თვინიერი ძაღლივით ფეხქვეშ გასწოლოდა, ფეხსაცმელები ელოკა და მეგობრობა-ერთგულებაში დაერწმუნებინა, ხოლო საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ხელისუფალთა წინააღმდეგ აშკარა და ფარული ბრძოლა ბოლომდე მიეყვანა, ამისათვის მოეშველიებინა ვერაგობის ყოველგვარი საშუალება.

თავისი მიზნის მისაღწევად კი, პირველ რიგში, სტალინთან კიდევ უფრო დაახლოება და ნდობის მოპოვება იყო საჭირო, მაგრამ, სისხლის მსმელი ღმერთი საკმაოდ შორს იყო, მეცხრე ცაზე იჯდა და როგორ მიეწვდინა ხმა თბილისიდან?!

სტალინი კრემლიდან არ გამოდიოდა, ქვეყანას წარლვნით ემუქრებოდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა და პირიდან – შხამს. თვალუწვდენელი მხარე შიშისა და სისხლის მორევში იყო ჩაძირული. სიკვდილის ბანაკები ყოველწლიურად ივსებოდა და ცარიელდებოდა, გაუვალი ჭაობები, ხრიოკი უდაბნოები და უსასრულო ციმბირის ტყეები რუსი და ქართველი, უკრაინელი და უზბეკი, სომეხი და

აზერბაიჯანელი, და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი ეროვნების უდანაშაულო ადამიანთა ძვლებით დაიფარა, უძლებ ვეშაპს ხახა დაელო და მილიონებს ერთ ჯერზე ნთქავდა.

ასეთ მდგომარეობაში როგორ უნდა მიახლოებოდა ადამიანთა სისხლზე დახარბებულ ბომონს საქართველოს გეპეუს უფროსი და, ისიც – ისე, რომ მისი რწმენა და ნდობა გულით მიეღო?!

ბერიამ გამოცდილი ნადირივით ყველაფერი უმალვე დაყნოსა.

– არის საამისო პირობები და საშუალებები, – ღრმა ფიქრებიდან გამორკვევის შემდეგ ხმამაღლა წამოიძახა ლავრენტი პავლეს ძემ. ღილაკს ხელი დააჭირა და მდივან ქალს დაავალა, სასწრაფოდ ეხმო საგანგებო საქმეთა გამომძიებელი გური ხალვაში.

ხალვაშსაც არ დაუყოვნებია. ეახლა უფროსს.

ბერიამ მდივან ქალს განკარგულება მისცა, მასთან არავინ შეეშვა, ვინ რა საქმეზედაც უნდა ყოფილიყო მოსული.

გეპეუს უფროსთან მთელი საათის თათბირის შემდეგ გური ხალვაში დაფიქრებული და დაღონებული გამოვიდა კაბინეტიდან. ბერიას კი რაღაც ახლის მიგნებისა და აღმოჩენის შედეგად სახეზე ღიმილი არ შორდებოდა.

ყველა ატყობდა, რომ რაღაც ახალი და საინტერესო ხდებოდა, მაგრამ არავინ იცოდა, თუ რა!

ბერია მეორე დღესვე მოულოდნელად გაემგზავრა მოსკოვში და თავის შეფს, საკავშირო გეპეუს უფროსს შეუთანხმა საკითხი, რომ აგვისტოში, სტალინის გაგრაში დასვენების პერიოდში, ბელადის დაცვასა და უშიშროებას უზრუნველყოფდა საქართველოს ჩეკა და პირადად ბერია.

სტალინის მგზავრობის უშიშროების უზრუნველყოფა საქართველოს გეპეუს უფროსმა დაავალა: ხალვაშს, ქობულოვსა და კალატოზოვს. ბერია კი პირადად სოჭში შეეგებებოდა ამალას და დასასვენებელ სახლამდე მიაცილებდა.

ამ გზით ბერია ცდილობდა, პირადი კონტაქტი დაემყარებინა სტალინთან, დაახლოებოდა მას და ის სანუკვარი ნდობაც დაემსახურებინა, რაზედაც ასე ოცნებობდა საქართველოს ჩეკას უფროსად გახდომის შემდეგ.

ბერიამ იცოდა, რომ ყველაფერი ეს არც ისე ადვილად მისაღწევი იყო, მაგრამ გეპეუს უფროსს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი ყველაფერი, რაც უნდა გაეკეთებინა და რაც ხალვაშს გაუზიარა ერთსაათიანი თათბირის დროს.

გაგრაში დასვენების დროს სტალინმა პირადი დაცვის გენერალზე მეტად დაიახლოვა ლავრენტი პავლეს ძე, ხშირად იწვევდა სადილზე, მასთან ერთად სეირნობდა, საუბრობდა, პლაჟზე მხოლოდ მასთან ერთად ჩადიოდა. უზიარებდა მოსაზრებებს საშინაო და საგარეო-საერთაშორისო საკითხებზე, დაზვერვასა და სახელმწიფოს უშიშროებაზე.

კრემლში სტალინის ცხოვრება პატიმრის მდგომარეობას წააგავდა. მისი ყოველი წუთი და ნაბიჯი გამოთვლილი და გაანგარიშებული იყო. ყოველდღიურად უნდა ამდგარიყო, გაესეირნა, ესუნთქა და დაწოლილიყო პირადი ექიმის კარნახით, უნდა ეჭამა ის, რაც სხვას უნდოდა და არა – რაც მას სურდა. მუდამ გარსშემორტყმული იყო თვალდაკაჟული მცველებით, მცველების თანხლების გარეშე თვით საპირფარეშოშიც ვერ გავიდოდა. განუსაზღვრელი უფლებების დიქტატორი საშინლად განსაზღვრული იყო მოქმედებაში. იჯდა კრემლში ვეებერთელა საპყრობილის უფროსი და საკუთარი ხელით ჩარაზული პატარა ციხიდან სისხლით დაწერილ განკარგულებებს აწვდიდა დილეგად ქცეულ სახელმწიფოს ყოველ კუთხეს.

გაგრაში ეს არტახები თითქმის ერთბაშად შეხსნეს. ამოისუნთქა. უმძიმესი ტვირთი მოიხსნა. მშობლიურ კერძებს დაეწაფა. ნატურალურმა ქინძმარაულმა, ატენურმა და ჩხავერმა ძარღვებში სისხლი აუჩქროლა.

სისხლგაყინული ნადირის სარეცელს არც ულამაზესი ქალები დააკლო ბერიამ და ერთბაშად იგრძნო სტალინმა უკუნში გაჭრილი პატარა სარკმელი, საიდანაც ცხოვრების მაცოცხლებელმა მზის სხივმა შემოანათა.

ბედნიერი წუთის მადლში ბერიას ამაგი განჭვრიტა უსასტიკესმა დიქტატორმა. სულიერი ნათესაობა იგრძნო მასთან, დაუახლოვდა, დაენდო და გაჰყვა.

ერთ დღეს, სადილის შემდეგ, ბაღში სეირნობის დროს, ბერიამ სიტყვა ჩამოუგდო საქართველოს ზღვისპირეთის მშვენიერებაზე, სოხუმზე, ბიჭვინთაზე, ახალ ათონზე, კავკასიის მთებში შეყუჟულ სასწაულზე – რიწაზე, და შეაპარა: ხომ არ გავისეირნოთო კიდევ ერთხელ.

სტალინი მოწონებით შეხვდა ბერიას წინადადებას.

და... აქედან დაიწყო ბევრი საინტერესო რამ და საქართველოს გეპეუს უფროსის თავბრუდამხვევი ზეასვლა.

●

ქობულოვი ბოლო დროს ახალ საქმეებზე დაგეშა ბერიამ, საეჭვო პირების მაძებრად აქცია. ბახჩოც მოხერხებულად აბამდა ქსელს მსხვერპლთა მახეში გასაბმელად, და ყოველთვის იქ აღმოჩნდებოდა მოხერხებულად და სხვებისათვის შეუმჩნევლად, სადაც მას არავინ მოელოდა. მტრად მიჩნეულ პიროვნებას ქვესკნელში ჩაჰყვებოდა, სიცოცხლეს სასწორზე შეაგდებდა, ნემსის ყუნწში გაძვრებოდა, ეშმაკთან დაამყარებდა კავშირს და დავალებას შეუსრულებლად არ დატოვებდა. ამიტომ იყო, რომ

შეფი გვერდიდან არ იცილებდა ბახჩოს და გულის დიდ მესაიდუმლედ თვლიდა.

როცა სტალინმა აფხაზეთის ზღვის სანაპიროზე და მთებში გასეირნების სურვილი გამოთქვა, საქართველოს გეპეუს უფროსმა საკმარისად არ მიიჩნია ქობულოვისა და კალატოზოვის თანადგომა და თბილისიდან სასწრაფოდ გამოიწვია გური ხალვაში თხუთმეტ თავზეხელაღებულ ჩეკისტთან ერთად.

გური დეპეშის მიღებისთანავე გამოემგზავრა დედაქალაქიდან და მეორე დილით შეფს წარუდგა.

ბერიამ სტალინის პირადი დაცვის გაძლიერება ბრძანა და შემადგენლობა თავისი ერთგული ჩეკისტებით შეავსო.

იმავე დილით სოხუმიდან აფხაზეთის გეპეუს უფროსი გივი მიქელაძე, მისი მოადგილე ანტი ნადირაძე, რომელიც ორი წლის წინ გადმოიყვანეს ოზურგეთიდან და ზესტაფონის ჩეკას უფროსი გრანიტ ჩიქოვანი იხმო ბერიამ. ხუთ აგვისტოს, სალამოს, ყველანი ადგილზე იყვნენ. საქართველოს გეპეუს უფროსმა დაცვისათვის გამოყოფილ სახლში მოათავსა თითოეული მათგანი და ცალ-ცალკე ოთახი გამოუყო მოსასვენებლად.

ვახშმის შემდეგ ყველანი ერთად შეკრიბა ბერიამ და გააცნო ბელადის გაგრაში ყოფნასთან დაკავშირებული ვითარება, მტრების გააქტიურება და აფხაზეთში მათი გამოჩენა, სტალინის გასეირნებასთან დაკავშირებული სიძნელენი, დაცვის შევსების აუცილებლობა, სიფხიზლის გაძლიერება. იქვე დასძინა: თუ თითოეულ მათგანს რომელი უბნის მეთვალყურეობა და რა სახის სამუშაოს შესრულება დაეკისრება, ცალ-ცალკე მოგეთათბირებითო.

ჩეკისტებმა ერთმანეთს გადახედეს, მათთვის ყველაფერი გასაგები იყო, მაგრამ ვერ გაიგეს, თუ რა აუცილებელი იყო ამ საქმეზე გრანიტ ჩიქოვანის მოწვევა.

თითოეული მათგანისათვის გასაგები იყო, თუ რა უნდა ეკეთებინა მიქელაძესა და ნადირაძეს, ან ცენტრიდან ჩამოსულ ჩეკისტებს, მაგრამ ჩიქოვანი?! რაღა მაინცდამაინც ის მოიწვიეს და არა ზუგდიდის, ფოთის, აჭარის, ქუთაისის გეპეუს უფროსები? ვითომ გრანიტი სხვაზე უკეთესია და მეტად სანდო?! ის რატომ უნდა იყოს სხვებისაგან გამორჩეული?! ბოლოს დაასკვნეს: არ ღირს თავის მტვრევა, უფროსის აზრის საიდუმლო გვიან გაიხსნებაო. მიქელაძეს და ნადირაძეს უფრო ის აწუხებდათ, ხომ არ უპირებს ბერია ჩვენს ადგილზე გადმოყვანას, ჩვენით უკმაყოფილო ხომ არ არისო. მიქელაძემ და ნადირაძემ ბერიასთან ურთიერთობა თავიდან ბოლომდე მოჩხრიკეს, მაგრამ ხელწამოსაკრავს ვერაფერს მიაგნეს.

ჩეკისტებთან მცირე თათბირის შემდეგ ბერიამ საკუთარ აგარაკზე იხმო ხალვაში. მთელ სახლში მარტო იყო. ეზოს ჩეკისტები გულდაგულ იცავდნენ. ყვავსაც კი არ შეეძლო უნებართვოდ ეზოზე გადაფრენა.

ხალვაში და ბერია აივნის ერთ კუთხეში სელის სავარძლებში მოთავსდნენ.

– მთელ გეპეუში მხოლოდ შენ ერთი გამოგარჩიე, ხალვაშო, შენ გენდობი და ამ უდიდეს საიდუმლოს მხოლოდ შენ ერთს გიზიარებ! – დაიწყო ლავრენტი ბერიამ ძალზე ხმადაბლა. თითქოს უფროსს გულის ნადები გაუგოო, ბაღში ბულბულმა გალობა შეწყვიტა და დადუმდა. მხოლოდ შორს, ტყეში, სერს გაღმა, ჭოტი არ ცხრებოდა და გულსაკლავად გაჰკიოდა. შეიძლება, დაკარგულ გულის ტოლს უხმობდა, მარტოდ შთენილი დარდსა და ნაღველს შეეპყრო.

– გისმენთ, ლავრენტი პავლეს ძევ!

ბერიამ მთელი მოქმედების გეგმა გადაუშალა საგანგებო საქმეთა გამომძიებელს. ჩანდა, საქართველოს გეპეუს უფროსი ძალზე შორს უმიზნებდა. გურიმ თავისი მოსაზრება გამოთქვა, რამდენიმე შენიშვნა და შესწორება შეიტანა. ბერიასაც მოეწონა დაკვირვებული მოსაზრება, შესწორებაც უსიტყვოდ მიიღო. საბოლოოდ წვრილმანებში შეთანხმდნენ, გეგმა საბოლოოდ დააზუსტეს და მიიღეს.

– აი, სწორედ ამიტომ გიხმე, ხალვაშო! შენი დაკვირვებული აზრი და რჩევა ბევრს ნიშნავს. სხვებს ამ მხრივ არც ჭკუა ჰყოფნით და არც აზრი. ისე კი, თუ უბრძანებ, ყულფში თავს გაყოფენ:

– რას ბრძანებთ, ლავრენტი პავლეს ძევ! სხვებისაგან რა გამოსარჩევი ვარ, – მოკრძალებით უთხრა გური ხალვაშმა.

– ახლა შენ აქ მეტი არაფერი გესაქმება. თბილისში ამაღამვე წახვალ. შენთან ერთად ჩიქოვანიც გამოემგზავრება. მხოლოდ აი, რა: რვა აგვისტოს, დილით, პირადად შენთან მოვა გრანიტ ჩიქოვანი. დანარჩენი შენ იცი!

– ყველაფერი გასაგებია, ლავრენტი პავლეს ძევ! – ყოველგვარი შენიშვნისა და დამატებითი კითხვის გარეშე გაეპასუხა ხალვაში. გურიმ იცოდა შეფის ხასიათი. ბერიას არ უყვარდა მიუხვედრელნი და გონებავიწრონი, რომლებიც დავალების მიღების დროს ტვინს უღრძობდნენ სხვადასხვა კითხვებით.

– ახლა ნახვამდის! სტალინი ოცდახუთ აგვისტოს დატოვებს გაგრას და მეც აღარ დავაყოვნებ თბილისში დაბრუნებას, თუ სტალინმა არ ინება ჩემი მოსკოვამდე თანხლება.

ბერიას მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ღამის სამი საათი იყო, როცა მიქელაძე გააღვიძეს და ბერიასთან წაიყვანეს. რესპუბლიკის გეპეუს უფროსი თავისი აგარაკის აივანზე ფეხმოუცვლელად იჯდა და იქ იბარებდა დავალებების მისაღებად

საგანგებოდ გამოწვეულ პირებს. დაწვრილებით აცნობდა პირად სამოქმედო გეგმას, აფრთხილებდა – ზუსტად გაეტარებინა ყველა წვრილმანი და საიდუმლოება ჩეკისტურად დაეცვა.

ჩიქოვანს შედარებით მარტივი, ადვილად შესასრულებელი დავალება მიეცა, მაგრამ მისი მოქმედება დიდ სიზუსტეს, აუჩქარებლობას, ნერვების მოთოკვას და ვაჟკაცურ თავშეკავებას მოითხოვდა. საიდუმლოების დაცვა-შენახვა ყველას ერთნაირად ევალებოდა. ამ მხრივ თითოეული მათგანი პირადად ბერიას წინაშე აგებდა პასუხს და ყველამ კარგად იცოდა, თუ რას გამოიწვევდა ეს პასუხისმგებლობა. ოდნავი ფეხის მოცდენა, საქმეში აჩქარება ან დაგვიანება სახრჩობელაზე აყვანას და ოჯახის ამოძირკვას ნიშნავდა.

გივი მიქელაძესთან ყველაზე დიდხანს ისაუბრა ჩეკისტთა შეფმა. საკმაო სიძნელესაც წააწყდა, დაბრკოლებაც ბევრი აღმოჩნდა, რადგანაც ბერიას მიერ შეთავაზებული გეგმა საკმაოდ ბევრი მასზე დაქვემდებარებული პირის საქმეში ჩაბმას მოითხოვდა, მათ შორის, სახელმწიფო უშიშროების ჯარის ნაწილების საცეცხლე პოზიციაზე განლაგებას და პოლკოვნიკ ვორობიოვის დარწმუნება-დაჯერებას, რომ ზარბაზნებიდან ცეცხლი ზუსტად, შეთანხმებულად და დათქმულ დროზე გაეხსნა.

მიქელაძის მდგომარეობა ყველაზე რთული და ძნელი იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მან კარგად იცოდა, რომ ბერიასთან ხუმრობა არ შეიძლებოდა. უბრალო შეკამათებაც კი კარიერის დამთავრებას ნიშნავდა და ერთი ხელის დაკვრით ცოლ-შვილიანად გაქრობა-აორთქლებასაც. საამისო მაგალითი არა ერთი და ორი იცოდა გივი მიქელაძემ; ყველაფერი გაითვალისწინა აფხაზეთის ჩეკას უფროსმა, ყველაფერი წინასწარ აწონ-დაწონა და, როცა ჩიხიდან გამოსავალი ვერსად ნახა, დავალების უცვლელად და ზუსტად შესრულება აღუთქვა.

ღამის ხუთ საათზე, როცა ცისკრის ვარსკვლავებმა ზღვის ტალღებიდან ამოხეთქა და ცაზე დაეკიდა, ბერიასთან ანტი ნადირაძე გამოცხადდა.

ანტის თავისი საქმე გააცნო ჩეკას უფროსთა უფროსმა. ყველაფერს წარმოიდგენდა ნადირაძე, მაგრამ არა ასეთ ვერაგობას. შეშფოთდა, ყოყმანი დაეტყო, სიტყვა ყელში გაეჩხირა, მოიკრუნჩხა, დაპატარავდა, სახე ჩაეფერფლა, სავარძელში უსიცოცხლოდ ჩაიმალა და ძლივს გასაგონად ჩაილულლულა:

– ეს როგორ, ლავრენტი პავლოვიჩ?! არაფერი მესმის!

– თუ დავალების მიღება არ შეგიძლია, გარკვევით თქვი!!! – მკაცრად მიმართა ბერიამ.

– სხვაგვარად არ გამიგოთ, ლავრენტი პავლეს ძევ! პირადად თქვენთვის და სახელმწიფოს ინტერესებისათვის, თუ აუცილებელი გახდა, ცეცხლშიც ჩავდგები, მაგრამ ეს როგორ?! უფროსის ხელყოფა... ცოტა მაცალე, სული მოვითქვა.

– კარგი, დაფიქრდი! მაგრამ გადაწყვეტილ საქმეს დაფიქრება არ სჭირდება... დავალების შესრულება თუ არ შეგიძლია... დროზე თქვი და სხვას გამოვძებნი. ჭკუა არ წააგო, ანტი! – გამომცდელად გააფრთხილა ბერიამ მასზე სიკვდილ-სიცოცხლით დამოკიდებული უმცროსი.

როგორც ხაფანგში გაბმულ თაგვს არჩევანი არა აქვს, არც ანტი ნადირაძეს ჰქონდა სხვა გამოსავალი. დავალება უნდა მიეღო და უსიტყვოდ შეესრულებინა უფროსის სურვილი, ან ამ დაბურული ეზოს რომელიმე ბნელ კუთხეში გაუთხრიდნენ საფლავს და მისი კვალი უსახელოდ გაქრებოდა ამ ქვეყნიდან.

– კარგი, ლავრენტი პავლეს ძევ! ყველაფერი ისე იქნება, როგორც ბრძანეთ, ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!..

– ღმერთს და ხატს მოეშვი. საიდუმლომ რომ გაჟონოს, ხომ იცი?! – შეპარული მუქარით ჩაილაპარაკა ჩეკისტთა ჩეკისტმა, – გახსოვდეს, ჩემს წინაშე მთელი შენი გვარით აგებ პასუხს.

– მესმის, ლავრენტი პავლეს ძევ! შვიდში ღამით ისე ავაორთქლებ, რომ თვით ეშმაკმაც ვერ გაიგოს, რა და როგორ მოხდა!

– ახლა კი ნამდვილი ჩეკისტი ხარ!.. – გამარჯვებულის ტონით წამოიძახა ბერიამ და ტაში შემოკრა. მორიგე ჩეკისტმა თვალის დახამხამებაში ამოირბინა კიბეზე და უფროსს გაეჭიმა.

– კალატოზოვს დამიძახეთ!

რამდენიმე წუთის შემდეგ ბრძანების მისაღებად კალატოზოვიც გამოცხადდა, – წაიყვანეთ და მოასვენეთ, – თვალით ანიშნა ანტი ნადირაძეზე.

ანტი წელმოტეხილივით წამოდგა. თავის დაკვრით დაემშვიდობა ბერიას და ლასლასით უკან გაჰყვა წინ ამაყად მიმავალ კალატოზოვს.

კალატოზოვმა მოსასვენებელი ოთახის კარებამდის მიაცილა საპატიო სტუმარი, გამოემშვიდობა და აღუთქვა დროზე მოაკითხავდა და გააცილებდა სოხუმისაკენ მიმავალს.

ჯერ კიდევ ბნელოდა. მზის სხივების ბადეში გაბმულ ცისკრის ვარსკვლავს სახე გაჰფითრებოდა და უკუნგაცლილ სილაჟვარდეში იძირებოდა. ფრინველებს ჯერ კიდევ ეძინათ. ტყით შეფენილი სერიდან ტურების კივილი ისმოდა. ლურჯ ფარდაახდილ დასავლეთით შავი ზღვა ნელ ტალღებს მიაგორებდა და პირზე ქაფმოდებული გაგრის მთელ სანაპიროს გაბრაზებული ეხლებოდა. ზღვა ბორგავდა. ხმაურობდა, ჯავრობდა.

ანტი ნადირაძე მთვრალივით შებორიალდა ფარდებდაშვებულ ოთახში. სინათლე ჩართო. ყურადღება არ მიუქცევია განათებული ოთახის კედ-

ლებისა და საგნებისათვის, თვალები არ ჰქონდა დახუჭული, მაგრამ ფიქრების ტევრში ჩაკარგული თითქმის ვერაფერს ხედავდა.

ტანთ გასახდელად ლოგინზე ჩამოჯდა. უცნობის სუნთქვამ შეაკრთო. თვალს არ დაუჯერა. ოდნავ საბანგადახდილი, ლოგინში პერანგის ამარა, ნახევრად შიშველი ქალიშვილი იწვა. მამაკაცის გამოჩენამ გოგონა შეაკრთო. გაინაბა. გაიზმორა. გულაღმა გაიშოტა. ამობურცული მკერდი ხშირი სუნთქვით აუდ-ჩაუდიოდა. აკოკრილი ძუძუები უკრთოდა. გამჭვირვალე პერანგში სხეულის ყოველი ნაკვთი ჯადოსნური მიმზიდველობით გამოკრთოდა.

ანტი ნადირაძემ ერთი კი გადახედა სატყუარად მოყვანილ ღვთაებრივ სილამაზეს, მაგრამ იმდენი ნაღველი შემოსწოლოდა, იმდენი დარდის ჭია შეჰპაროდა გულსა და ძარღვებში და დაბობღავ-დაფათურობდა, რომ საალერსოდ ნამდვილად არ სცხელოდა.

უგრძნობლად ჩაეშვა ლოგინში. ქალიშვილს ზურგი შეაქცია. დაწვა, მაგრამ ძილი ახლოსაც არ ეკარებოდა. შვიდი აგვისტოს ღამე მოსვენებას არ აძლევდა. ბერია და მისი საშინელი დავალება ედგა თვალწინ. სისხლსა და სიკვდილს ხედავდა, სისხლის ტბორი იდგა, ხელები და სახეც სისხლით ჰქონდა მოსვრილი. საწოლიც სისხლით იყო წითლად შეღებილი.

იწვა ანტი ნადირაძე, თვალდახუჭული, გაუნძრევლად და გრძნობდა, რომ სულ მარტოდ იყო მიგდებული სადღაც კუნჭულში უმეგობროდ, უთვისტომოდ, უპატრონოდ. სიყვარული გასცლოდა, სიცოცხლეს დაევიწყებინა და მორიელის დაკუსული თვალებით სიკვდილი უთვალთვალებდა ბნელი სოროდან.

ჩერქეზ გოგონას ქალწულებრივი სურნელება შარავანდედივით მთელ სხეულს მოსდებოდა. მამაკაცის სიახლოვე თავბრუს ახვევდა. არ იცოდა, ხელები და ფეხები სად წაეღო, საკუთარი ძუძუების სიმძიმე ქალურ გრძნობას უმახვილებდა და ფიქრობდა: აი, ახლა გადმობრუნდება, რკინის მკლავებს მომხვევს და... დაიწყებს!.. სუნთქვას შემიკრავს!.. დაიწყებს!..

განეწყო უჩვეულო შემთხვევისათვის.

ალბათ პირველი ხილვა იქნება სასწაული!

შემდეგ... შემდეგ ყველაფერი ჩვეულებრივ სახეს მიიღებს.

დღეები და ღამეები ერთმანეთს გადაებმება. მეც შევეჩვევი და ვივლი ასე ამ ცხოვრების დაუსრულებელ გზაზე. აღარც არაფერი გამიტაცებს.

ყველაფერი პირველია ძნელი. სიცოცხლის გაჩენაც, სიკვდილიც, სიტკბოც და სიმწარეც, გზაზე დადგომაც და ყამირის გატეხაც, სიყვარულიც და სიძულვილიც. პირველი სიძნელე გაივლის და მხოლოდ მოლოდინი და მოგონება რჩება ნუგეშადაც და გასართობადაც.

ასევე ემართება ადამიანს, როდესაც რაიმეს კარგავს ან იძენს. პირველი წუხილი, სიხარული და გაოგნება ადრე გაივლის... შემდეგ... შემდეგ კი... ვითომც არაფერი. მდგომარეობასთან შეჩვევა და აზრთან შერიგება წერტილს უსვამს აღტაცებასაც და გატაცებასაც, ქალწულებრივ ოცნებასაც და მწვერვალების დასაპყრობად ლტოლვასაც!..

აი, შეიშმუშნა! ახლა გადმობრუნდება... არ დამინდობს... დაიწყებს...

და... ანტი ნადირაძემაც არ დააყოვნა და დაიწყო... ხვრინვა. საკუთარ თავთან დავისა და ბრძოლის შემდეგ ჩაეძინა.

IV

აგვისტოს გრილი და წყნარი ამინდით განებივრებულ სოხუმს ჯერ კიდევ ეძინა, როდესაც მყუდრო ორსართულიან, თეთრ-ვარდისფრად შეფერადებულ სახლს ახალი ათონის სანაპირო დაცვის უშიშროების პოლკოვნიკი მიადგა. სახლი მაგნოლიებისა და ნარინჯოვანთა სიმწვანეში იყო ჩაფლული. საგულდაგულოდ ჩაკეტილ ალაყაფის კარებს მორიგე ჩეკისტები დარაჯობდნენ.

მიქელაძესა და ნადირაძეს ათასი თავსამტვრევი საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი და ისე შემოეპარათ ალიონი, არც კი შეუნიშნავთ. თვალი ერთი წუთითაც არ მოუხუჭავთ. ათასჯერ გაზომილ საქმეს ხელახლა ზომავდნენ, აწონილს ისევ წონიდნენ, მარცხნიდან დანახულს მარჯვნიდან ასწორებდნენ. რაც ერთი საათის წინ მოიწონეს, ახლა მასში ეჭვი შეჰქონდათ. შლიდნენ და ხელახლა აკოწიწებდნენ. ყველა ჩეკისტს, რომლებსაც გარკვეული დავალება ეძლეოდათ, ხელახლა ამოწმებდნენ, ზოგს ტოვებდნენ მიჩენილ ადგილზე, ზოგს უბანს უცვლიდნენ, ზოგი თადარიგში გადაჰყავდათ, ზოგს უფრო სანდო და შემოწმებულ ჩეკისტებს უნაცვლებდნენ.

ასეთ ყოფაში იყვნენ უფროსი და მოადგილე, როდესაც მორიგემ პოლკოვნიკ ვორობიოვის მობრძანება მოახსენა.

პოლკოვნიკი განაპირა ოთახში გაიყვანა მიქელაძემ. ამ ოთახში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შედიოდა მიქელაძე. დარბაზი საგანგებო დანიშნულებისათვის იყო მოწყობილი. სამ კედელში ვიწრო, ადამიანის სიმაღლის ნიში დაეტანებინა თავის დროზე მშენებელს. ნიშებს ყოველთვის ფარდები ფარავდა ისე, რომ ადამიანის ყურადღებას არც კი მიიქცევდა. საჭიროების მიხედვით, ყოველი მოულოდნელი შემთხვევისათვის, გეპეუს უფროსს ნიშებში თავზე ხელაღებული და ძაღლივით ერთგული ჩეკისტები ჰყავდა ჩასაფრებული. ასე იყო ახლაც, რადგან კარგად არ იცოდა, როგორ

შეხვდებოდა ვორობიოვი მიქელაძის წინადადებას. მას იცნობდა, როგორც ერთგულს, ვაჟკაცს, უშიშარს, პრინციპულს, მაგრამ ისე დაახლოებული და განდობილი არ იყო მასთან, რომ გარკვევით სცოდნოდა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა საიდუმლოს გამხელის დროს. ამიტომ თადარიგი წინასწარ დაიჭირა გამოცდილმა ჩეკისტმა.

ოთახს არავითარი დგამ-ავეჯი არ ამშვენებდა. მხოლოდ ორად ორი სელის სავარძელი იდგა დარბაზის შუაში. ერთადერთი უჭაღო ელნათურა სავარძლებს ზემოდან დაჰყურებდა. ეს იყო და ეს. ფანჯრის დარაბა საერთოდ არ იღებოდა. მიქელაძე ოთახში შემოუძღვა პოლკოვნიკს. შუქი ჩართო. დარბაზს მკრთალი სინათლე მოეფინა. უცნაური გარემო ეუცხოვა ვორობიოვს, მაგრამ მისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ისე კი გრძნობდა, რომ ახლისა და მოულოდნელის წინაშე იდგა!

სავარძელი თავაზიანად შესთავაზა მიქელაძემ სტუმარს.

პირისპირ დასხდნენ. თვალები გამომცდელად გაუსწორეს ერთმანეთს.

ვორობიოვი მოწვეული იყო და საქმეზე საუბრის დაწყება მასპინძელს დაუთმო.

მიქელაძემ შემპარავად დაიწყო. მოქმედების გეგმა ბერიას სახელით გააცნო.

– შინაურმა მტრებმა, მავნებლებმა ამ ბოლო დროს თავი მაღლა ასწიეს. ტერორის გზას დაადგნენ. მათი მიზანია, შიგნიდან ააფეთქონ საბჭოთა სახელმწიფო და საერთაშორისო რეაქციას გზა გაუხსნან. შეთქმულების მიზანი და შეთქმულები უკვე ცნობილია. მასში ჩაბმულნი არიან მაღალი სამხედრო და სამოქალაქო პირები. მტრების წინააღმდეგ გაშლილი ფრონტის დასაწყებად საჭიროა მიზეზი. ამისათვის ყველაზე მოსახერხებელ საბაბად საკავშირო და საქართველოს ჩეკას მიაჩნია ბელადის აფხაზეთის სანაპიროზე მოძრაობა.

– კი მაგრამ, მე აქ რა შუაში ვარ? იმოქმედეთ, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემს მოვალეობას მტკიცედ შევასრულებ. ჩემს უბანზე მტერი არ გაჭაჭანდება.

– არა, ყური დამიგდე, ჯერ ყველაფერი არ მითქვამს, – განაგრძო მიქელაძემ; ოთახი მოათვალიერა, შემდეგ ცივი თვალებით სახეში ჩახედა მოსაუბრეს და განაგრძო...

და როცა ყველა კარტი გაშალა პოლკოვნიკის წინაშე, მოქმედების საბაბი, მიზეზი და მიზანი დაწვრილებით გააცნო, პირადად ვორობიოვის როლსაც ფარდა ახადა: სად, როდის და რა უნდა გაეკეთებინა. პოლკოვნიკს სისხლი მოაწვა სახეში, ზეზე წამოიჭრა და განერვიულებულმა ხმამაღლა უთხრა:

– კმარა! ყველაფერი უჩემოდ! საჩოთირო თამაშში მე ნუ ჩამრევთ! თქვენი საქმისა თქვენ იცით! მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

– ეს როგორ?! სანდო კაცად ჩაგთვალეთ, სახელმწიფო საიდუმლო გაგაცანით და ახლა ღალატის გზას ადგახარ?! ხომ არ დაგავიწყდა, რომ უშიშროების ჯარის პოლკოვნიკი ბრძანდებით?!

– მე არაფერი დამვიწყებია, ყველაფერი ვიცი, თუ გსურთ ყოველგვარ რწმუნებას მოვიხსნი, რიგით ჯარისკაცად წავალ, მაგრამ რაც შეუძლებლად მიმაჩნია, იმას არ გავაკეთებ!

როცა მიქელაძე მუქარაზე გადავიდა, ვორობიოვმა იარაღისაკენ წაიღო ხელი.

ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. ნიშებიდან დათვებივით უხეში და კუნთმაგარი ჩეკისტები გამოიჭრნენ. პოლკოვნიკი განაიარაღეს, შეკრეს. პირი ჩვრით ამოუვსეს, ერთ-ერთი მათგანი რომელიც უფროსი ჩანდა, ოთახის კუთხეში მივიდა, კედელში ჩამალულ ღილაკს ხელი დააჭირა და იატაკი ოთხი ფიცრის სიგანეზე ჩაიხსნა. გამოჩნდა ბნელ სარდაფში ჩასასვლელი კიბე.

რამდენიმე წუთი და ვორობიოვი უხმაუროდ შავ უფსკრულში გაუჩინარდა.

●

ნადირაძე იქვე ფუსფუსებდა, სადაც მიქელაძემ დატოვა.

– ვორობიოვი სად არის?!

– გავისტუმრე, – ნადირაძემ გამომეტყველებასა და ერთსიტყვიან პასუხში შეატყო, რაც მოხდა, მაგრამ მაინც ჰკითხა.

– არაფერი გამოვიდა?

– არაფერი!

ნადირაძემ გულში გაიფიქრა: დაიწყო სისხლიანი გზა. მსხვერპლი შეწირულია. ვაითუ, მეც არ ამცდეს ვორობიოვის ნატერფალზე სიარული!

– დრო არ ითმენს, ახლა რა გზას უნდა დავადგეთ?

– აი, რა, ანტი! ახლავე წახვალ და ერთ საათში აქ გააჩენ ვორობიოვის თანაშემწეს – მაიორ ლუგოვოის.

მართლაც, ერთი საათი არც კი იყო გასული, რომ ნადირაძე შემოუძღვა მაღალ, ახმახ, წვერგაპარსულ და გრძელულვაშიან სამხედრო პირს. ლუგოვოი გამხდარი, კაფანდარა, ოდნავ ბეჭებში მოხრილი კაცი იყო. მკაცრ სახეზე წვრილი თვალები ეშმაკურად უცინოდა, ფართო ნიკაპი და განიერი ყბები ენერგიული და მტკიცე ნებისყოფის იერს აძლევდა.

მთელი იმედი მიქელაძეს ახლა მაიორზე ჰქონდა დამყარებული.

მიქელაძე ღიმილითა და პატივისცემით შეეგება მაიორს, მოიკითხა, მხარზე ხელი დაჰკრა, მერე განაპირა ოთახში გაიყვანა.

ლუგოვოი ჭკვიანი, გამოცდილი კაცი იყო და ყველაფერი კარგად დაყნოსა. მტკიცე ტონით საი-

დუმლოს გამჟღავნების შემდეგ მან დაინახა, რომ ყველა გზა წინასწარ მოეჭრათ და ისეთ ჩიხში იყო შემწყვდეული, რომ აქედან მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩებოდა. ერთბაშად აუღო ალღო მდგომარეობას. ნათლად დაინახა, რომ ბერიას დაგებულ ხაფანგში იყო გაბმული და მას ვერასგზით თავს ვერ დააღწევდა. რაკი პოლკოვნიკის მაგივრად ის მოიხმეს და მას ანდობდნენ ამ ურთულესი დავალების შესრულებას, უშენიშვნოდ უნდა მიეღო. იმასაც მიხვდა ჭკვიანი და გამოცდილი მაიორი, რომ პოლკოვნიკი უკვე უფალს ჰყავდა მირთმეული. რაკი ყველაფერი წინასწარ აწონ-დაწონა და შედეგიც არ იყო ძნელად გასათვალისწინებელი, მოჭრით მოახსენა აფხაზეთის გეპეუს უფროსს:

– რაკი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვს, მე ჯარისკაცი ვარ და ყოველგვარ დავალებას ზუსტად შევასრულებ.

მიქელაძემ დაწვრილებით გააცნო მოქმედების გეგმა.

– დამატებითი დავალება თუ არ არის, წავალ ნაწილში, – ფეხზე წამოდგა ლუგოვოი.

– კარგი, შენთან ერთად ჩემი მოადგილე წამოვა, ანტი ნადირაძე. ერთად და შეთანხმებულად იმოქმედეთ. ხელოვნური განგაში შექმენით, ღამით მორიგეობა გააძლიერეთ. ნაწილი ფსიქოლოგიურად შეამზადეთ მტრის მოსალოდნელ გამოჩენასთან დაკავშირებით.

ტარას ლუგოვოი და ანტი ნადირაძე ერთი საათის შემდეგ ერთად გაემგზავრნენ ახალი ათონისაკენ.

●

შვიდ აგვისტოს, დილით ადრე, ბერია თავად ეახლა სტალინს. იგი ადრე ამდგარიყო და დასასვენებელი სახლის მანდარინებით დაბურულ ეზოში გამოსულიყო სასეირნოდ. მასთან ერთად იყო წინა დღით სტუმრად ჩამოსული ვოროშილოვი.

სტალინი და ვოროშილოვი დინჯად საუბრობდნენ. მახვილი ყური ადვილად გაარჩევდა სიტყვებს: გენერალური შტაბი; უცხოეთის დაზვერვა; მოსყიდულები; რევოლუციის ღალატი; ტუხაჩევსკი; ეგოროვი; ბლიუხერი.

ბერია საუბარში არ ჩარევია.

– კარგ დროზე მოხვედი, ლავრენტი პავლეს ძევ! – ყალიონი თამბაქოთი გატენა, ცეცხლი მოუკიდა, გააბოლა და ჰაერში ბოლქვებად აჭრილ კვამლს თვალი გაადევნა, – რა მშვენიერი ამინდია! გახედე, ზღვა როგორ ლივლივებს! მართლაც რომ საინტერესო იქნება დღეს აფხაზეთის ზურმუხტოვან სანაპიროზე გასეირნება! – მიმართა ვოროშილოვსა და ბერიას სტალინმა.

– იოსებ ბესარიონის ძევ! ნამდვილად თქვენც კმაყოფილი დარჩებით და ჩვენი სტუმარიც! – და ვოროშილოვს მიუბრუნდა, – კლიმენტი ეფრემის ძევ! თქვენც ხომ ინებებთ ჩვენთან წამოსვლას?

– რასაკვირველია, რასაკვირველია! – გამოთქვა თანხმობა ვოროშილოვმა.

– აი, კატარღებიც გამოჩნდნენ! – თითი გაიშვირა ბერიამ ზღვისაკენ და თანამოსაუბრეებიც იქითკენ მიახედა.

ზღვის ზვირთებს მთელი სისწრაფით მოაპობდა მზის სხივებზე თეთრად მოელვარე კატარღები და, ნაპირს მოახლოებულები, ერთბაშად გაუჩინარდნენ.

– იოსებ ბესარიონის ძევ! დამავიწყდა მეთქვა, სოხუმში დაგვხვდებიან ლაკობასთან ერთად ორახელაშვილი, მგალობლიშვილი და ხანჯიანი. ამ დილით მაცნობეს ამის შესახებ.

სტალინს პასუხი არ გაუცია. ოდნავ შუბლი შეიკრა, ყალიონიდან ფერფლი იქვე გადამორილ ხის კუნძზე დაფერთხა, ვოროშილოვს მკლავზე ხელი მოჰკიდა და ორსავე სტუმარს მიმართა:

– წავიდეთ, ვისაუზმოთ და დროულად გავუდგეთ გზას.

თერთმეტ საათზე ყველანი ზღვის ნაპირზე იყვნენ, სადაც მგზავრებს გედივით ყელამართული გაქათქათებული კატარღები ელოდათ.

ამ დღეს მგზავრობის მთელი პასუხისმგებლობა და ბელადის უშიშროება ხელთ აიღო ბერიამ. სტალინთან შეთანხმებით, ბელადის პირადი დაცვა მას დაექვემდებარა. დაცვის უფროსი გენერალიც მის ბრძანებას დაემორჩილა.

ბერიას განკარგულებით, პირველი კატარღა მთლიანად სტალინის პირად დაცვას დაეთმო და ბრძანება მიეცა, მეორე კატარღიდან სამას-ოთხასი მეტრის დაშორებით წინ ევლო.

მეორე კატარღაში სტალინი, ვოროშილოვი, ბერია და რამდენიმე მაღალი თანამდებობის ჩეკისტი მოთავსდა.

მესამე კატარღაში ჩასხდნენ საქართველოს გეპეუს უფროსის მიერ საგანგებოდ შერჩეული და თავიდან ფეხებამდის შეიარაღებული, მტერთან ბრძოლაში გამობრძმედილი ჩეკისტები. კატარღის უფროსს დაევალა ასევე სამას-ოთხასი მეტრის დაშორებით კვალში ჩასდგომოდა და უკან გაჰყოლოდა სტალინისა და ბერიას ნავს.

კატარღის უფროსებს ნაბრძანები ჰქონდათ, ნახევარი კილომეტრის მეტად არ მიახლოებოდნენ სანაპიროს, თუ საამისოდ საგანგებო განკარგულებას არ მიიღებდნენ, დაშორებით კი უფლება ეძლეოდათ, ერთი-ერთნახევარი კილომეტრით ზღვის სიღრმეში შეეღწიათ.

ზღვა საამურად ლივლივებდა. მოწმენდილი, ლურჯად მოკამკამე ციდან ცხრათვალა მზე უხვად აფრქვევდა მაცოცხლებელ სხივებს. გამჭვირვალე ზღვაში დაკვირვებული თვალი ადვილად გაარჩევდა ვერცხლისფრად მოელვარე თევზების ქარავანს და ზვირთებზე აკრობატულად მონავარდე დელფინებს, რომლებიც ხანდახან მთელი ტანით

ამოიმართებოდნენ ზღვის სიღრმიდან, ჰაერში გადატრიალდებოდნენ და შემდეგ ტყლაშუნით ერთბაშად გაუჩინარდებოდნენ.

მთელი სანაპირო ზოლი სიმწვანეში ჩაფლული მოჩანდა. ტყის გაუვალი კორომები და ხასხასა ბალახით დაფარული ველ-მინდვრები ერთმანეთს ენაცვლებოდა. შორს, მთის ფერდობებზე განლაგებული სოფლები ბუნების უხილავი მხატვრის ფუნჯით დახატულს ჰგავდა, რომლებიც აქა-იქ ბუერუსსა და ნისლში ინთქმებოდა. ხეობები ხეობებს გამოჰბმოდა, მთები მთებზე შეედგა ასევე უხილავ ძალას. ტყისა და ლიანების სილურჯეში იყო ჩაფლული კავკასიის გოროზად მიჯარული მთები. კიდევ უფრო შორს, ჩრდილოეთის დასალიერიდან თავს მშვენებად ედგა და ბუნების ამ შესანიშნავ პანორამას აგვირგვინებდა თოვლით შეერცხლილი კავკასიონის ჭაღარა მწვერვალები.

სტალინს შუბლი გაეხსნა, თვალებში სინათლე ჩაეფინა. სინანულით გაიფიქრა, დავაშავე, სვეტლანა თან რომ არ წამოვიყვანეო. ფიქრს მიეცა: სხვანაირად აეწყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, არა ისე, როგორც ვფიქრობდით და წარმოგვედგინა. ახლა უკან ვეღარ დავიხევთ. გზის შეცვლა იგივე სიკვდილია. ულმობელია ისტორია. მახვილი თვალები აქვს, არც არაფერი დაემალება და არც არაფერი გამოეპარება. სანამდე მე ვარ, მანამდე ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მინდა. ჯალათებს გმირებად ვაქცევ, სისხლსა და დილეგს ადამიანებისათვის საჭირო საქმედ დავსახავ. ხალხს ნახირივით წინ გავირეკავ, მონობამდე დავამდაბლებ, სულს ამოვხდი და მაინც მადლობას ვათქმევინებ. აზრისა და ფიქრის საშუალებას მოვუსპობ, ჯოჯოხეთში ვამყოფებ და მაინც ხელაპყრობილს ვაყვირებ: რა საამური ყოფილა სამოთხეში ყოფნაო. ვიცი, მომავალში არც მაპატიებენ და არც დამინდობენ, მაგრამ რა! მომავალმა რაც უნდა და როგორც უნდა, ისე აკეთოს, მე ტვირთი მოხსნილი მექნება და რას დავეძებ?!

●

კატარღები უცვლელი განრიგით გავიდნენ ზღვაში და კურსი ახალ ათონ-სოხუმისაკენ აიღეს.

მხიარულ ხასიათზე იყო სტალინი. ეს გულჩათხრობილი და ენაძვირი კაცი იმდენს ლაპარაკობდა, რომ ვოროშილოვი გაკვირვებული იყო. სტალინი ხუმრობდა კიდეც: კარგი ქენი, ლავრენტი, რომ გენერალი და ექიმი ჩამომაცილე, მათი დარიგება და ჩიჩინი სულს ამომხდიდა.

პირად მცველთა კატარღა, დაცვის უფროსი გენერლის, პეტრე საველიევის თანხლებით, სამასი მეტრის დაშორებით წინ მიუძღოდა სტალინ-ვოროშილოვ-ბერიას კატარღას. გამოჩნდა ახალი ათონის თვალწარმტაცი კონცხი. მონასტრის გუმბათი და მწვანეში ჩაძირული თეთრად გადაპენტილი დასასვენებელი სახლი.

ის იყო, პირველი კატარღა ოდნავ შედგა, შემობრუნდა და გეზი ნაპირისაკენ აიღო, რომ სერზე განლაგებულმა ქვემეხებმა ხმაშეწყობით დაჭექეს და ჭურვები კატარღის წინ, მარჯვნივ და მარცხნივ აფეთქდა, წყლის შადრევანი ცაში ატყორცნა.

საზეიმო განწყობილება ერთბაშად ჩაწყდა. აწრიალდნენ, შეშფოთდნენ, დაიბნენ. ბერიამ განკარგულება გასცა, კატარღა სასწრაფოდ შემოებრუნებინათ, მთელი სისწრაფით ზღვაში ღრმად შეჭრილიყო და უკან, გაგრისაკენ აეღო გეზი.

მეწინავე კატარღის ირგვლივ განუწყვეტლივ ფეთქდებოდა ყუმბარები, მესამე გასროლის შემდეგ ჭურვი ნავს დაეცა და აფეთქდა, ცეცხლის ენები და კვამლი აიმართა ზეცისაკენ. კატარღა სტალინის პირად მცველებთან ერთად ზღვის ხახაში ჩაეშვა.

ცეცხლმა მეორე კატარღისაკენ გადმოინაცვლა. ჭურვები შორიახლოს ეცემოდა და სკდებოდა. ბერია მხრებგაშლით წამოიმართა და სტალინ-ვოროშილოვი ერთიანად დაფარა, თან მესაჭეს ამხნევებდა და კარნახობდა, როგორ და საითკენ მიემართა საჭე. ამასობაში მესამე კატარღაც ამოუდგა გვერდით. შეშინებული, შეშფოთებული და დაბნეული ჩეკისტები ერთმანეთში აირივნენ. სტალინი დინჯად იჯდა. ვოროშილოვი შიშმა შეიპყრო და აცახცახდა. ბერიამ სრული სიფხიზლე, გამძლეობა და ვაჟკაცური გამბედაობა ბოლომდე შეინარჩუნა. ორი ჩეკისტი მოიხმო, წრე შეკრეს და ბელადის საიმედო დაცვა საკუთარი სიცოცხლის გაწირვით უზრუნველყვეს.

კატარღები შორს გაიჭრნენ ზღვაში, დაპატარავდნენ, ჰორიზონტს მიეფარნენ და მხედველობის არიდან გაქრნენ. ქვემეხების ყეფა თანდათან მინელდა და შეწყდა. შვებით ამოისუნთქეს. მღელვარება დაცხრა, დამშვიდდნენ.

სტალინი კვლავინდებურად მშვიდად იყო, არ აღელვებულა და არც შიში აღბეჭდვია სახეზე. ვოროშილოვი დიდხანს კანკალებდა და ბოლოს ძლივს დაიწყნარა ნერვები. ბერია კი თავსდატეხილ საშიშროებას ისე შეხვდა, წარბიც არ შეუხრია, დემონივით იდგა ჩეკისტთა შორის და ყველას მოქმედებას შეთანხმებულად და რკინის ნერვებით წარმართავდა.

ზღვა უდარდელად განაგრძობდა ლივლივს. საშიშროების ქარცეცხლმა ისე გადაიარა, რომ ერთხელაც არ წამოქოჩრილა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ისე განაგრძობდა სუნთქვას და ნელ ოხვრას. დელფინები ისევ ხტოდნენ, ცელქობდნენ, მზეს ეთამაშებოდნენ.

პირველი კატარღა ისე ჩაიძირა და იარაღში ჩასმული ვაჟკაცები ისე ჩაიტანა შავ-ლურჯი სტიქიის უფსკრულში, რომ კავკასიის მთებს შუბლზე ძარღვიც არ შესტოკებია, ჩაჩქანი არ მოუხდია, თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი მომხდარიყოს, იდგნენ ამაყად, მშვიდნი, სისხლგამშრალნი, გულამოცლილი და ზღვის შორეულ სივრცეს თავაწეულნი გასცქეროდნენ.

მზე საკმაოდ გადახრილი იყო, როცა გაგრაში დაბრუნდნენ.

ბერიამ სტალინის დასასვენებელი სახლი საგანგებოდ გააძლიერა. დაღუპულების სანაცვლოდ რჩეული ჩეკისტები შეარჩია და დაცვის ხელმძღვანელობა სტალინის მოსკოვში გამგზავრებამდე პირადად იკისრა. მიღებული გადაწყვეტილება სტალინმა მოიწონა და მოითხოვა, მცველები, გაცნობის მიზნით, მისთვის წარედგინათ.

მოვალეობის შესრულების დაწყებისთანავე ბერიამ ექიმიც შეცვალა, მეწამლეც, მზარეულებიც, მებაღეც და მეეზოვეც, გარდა შეფ-მზარეულისა.

სიფრთხილე და შორსგახედვა მოუწონა სტალინმა საქართველოს გეპეუს უფროსს და ყურშიც ჩააწვეთა: უფრო დიდი საქმის გაძღოლასაც შეძლებო.

ნავსი გატყდა. ნდობის პირველი ხიდი უფსკრულზე გაიდო.

ღია აივანზე სტალინმა, ვოროშილოვმა და ბერიამ ერთად ისადილეს. შებინდებამდის შეჰყვნენ.

– როგორ ფიქრობთ, რა წამოეფეთა საზღვრის უშიშროების უფროსს, რომ ქვემეხებიდან ცეცხლი გაგვიხსნა? – დაიწყო სტალინმა.

– გენერალი საველიევი თავისი რაზმით ჩაიძირა და დაიღუპა. ეს შემთხვევით ინციდენტს არ ჰგავს! – ჩაურთო ვოროშილოვმა.

– მე ვფიქრობ, ყველაფერი ის, რაც დღეს მოხდა, ღრმად ჩაფიქრებული დივერსიის ნაწილი უნდა იყოს! – თქვა ბერიამ.

– ვითომ ასეა? – ერთგვარი პაუზის შემდეგ ძლივს გასაგონად წარმოთქვა სტალინმა.

– მაქვს ზოგიერთი მამხილებელი საბუთი, მაგრამ სანამდე ყველა კარტს არ გავხსნი, ვშიშობ, ნაადრევად არ გამომივიდეს.

– საინტერესოა! – ჩაილაპარაკა ვოროშილოვმა.

– იმის გაგებაც საინტერესოა, თქვენს მამხილებელ საბუთს და ეჭვს საით მივყავართ?! – დაინტერესდა სტალინი, – იქნებ მეც დაგეხმარო ზოგიერთი საიდუმლოს გახსნაში.

– ცოტა კიდევ, იოსებ ბესარიონის ძევ, და ხვალ დილით უფრო სანდო ცნობები მექნება ხელთ. მაშინ უფრო გაბედულად შემეძლება დასკვნების გაკეთება.

– კარგი, არც ხვალ არის შორს!

– ერთგული კაცი სამი საათის წინ გავგზავნე სოხუმში. ზოგიერთ მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელოს სახელდახელოდ გამოიძიებს და, როცა დამატებითი მასალები ხელთ მექნება, თამამად მოგართმევთ ჩემი ეჭვის გასაღებს.

– არც ნამეტანი აჩქარება ვარგა და არც გაჭიანურებული დაგვიანება. როცა მორიელის შხამთან გვაქვს საქმე, შანთი დროულად უნდა მოვიმარჯვოთ, სანამ მთელი ორგანიზმი მოიწამლებოდეს.

– სწორი ბრძანებაა, იოსებ ბესარიონის ძევ! – ნაჩქარევად დაემოწმა ვოროშილოვი.

სამთა საუბარი გვიან ღამემდე გაგრძელდა. ვერ იქნა და ვერა, სხვა სასაუბრო თემას ვერც თავი მოება და ვერც ბოლო. იმ დღის მოვლენები ყველას თავში უტრიალებდა. საიდან არ მოუარეს საკითხს, მაგრამ გასაღებს ვერა და ვერ არგებდნენ.

●

იმ უკუნ და კვიმატ ღამეს ბევრი რამ საინტერესო მოხდა ახალ ათონსა და სოხუმში.

ტარას ლუგოვოიმ მიქელაძის დავალება საათის სიზუსტით შეასრულა: წყალსა და მეწყერს შორის მოქცეულ მაიორს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ამიტომ თვალდახუჭული, ბრმად იძლეოდა განკარგულებას, მოშვებული, ხელჩაქნეული.

გვერდით ანტი ნადირაძე ედგა და ყოველ ნაბიჯს უზომავდა, სულში ბინძურ ხელს უფათურებდა და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა.

აფხაზეთის ჩეკას უფროსის მოადგილე მეთაური კატარლის გამოჩენისას ბექობზე იყო გადმომდგარი და თვალს არ აცილებდა ზღვის სივრცეს და ცალკე ლუგოვოის მოქმედებას.

როცა ოპერაცია ჩათავდა, ნადირაძე სანაპირო დაცვის უფროსის მოადგილესთან მიიჭრა, ორივე ხელი ჩამოართვა და დავალების უნაკლოდ შესრულება მიულოცა.

მაიორს არც სიხარული აღბეჭდვია სახეზე, არც აღტაცება, არც ნაღველი და არც უკმაყოფილება. მადლობაც არ მოუხსენებია მილოცვისათვის. გამოთაყვანებული გასცქეროდა ზღვას და ვერ გაარჩევდი, ფიქრობდა თუ უაზროდ დარჩენილს ამქვეყნიური ვარამი მოსძალებოდა.

ის იყო, ნარინჯისფერმა მზემ წითელი პერანგი გადაიცვა, გაიზარდა, გაიბერა, უკანასკნელად გაიბრძოლა და ზღვაში ჩაეშვა. აფხაზურ ულაყებზე ამხედრებული, ორი მხედარი, ახალი ათონიდან გავიდა, პირი სამხრეთ-დასავლეთისკენ იბრუნა და სოხუმისაკენ შეყოვნებული თოხარიკით გაემართა. ერთხანს გვერდიგვერდ მიდიოდნენ მხედრები, თავისთვის გულჩათხრობილნი, – მიდიოდნენ, რომ გივი მიქელაძისათვის მოეხსენებინათ დღის ამბავი.

გზა ულრან ტყეში გაიჭრა. ვიწრო ბილიკით გადაუხვიეს, რადგან ის მანძილს საკმაოდ ამოკლებდა. ნადირაძე შეყოვნდა. წინ მაიორი გაუშვა.

სიბნელეში ცხენები ფრთხილად მიიკვლევდნენ გზას. ხშირად ფერხდებოდნენ. ყურდაცქვეტილები სიბნელესა და სიჩუმეს გაჰყურებდნენ.

მოულოდნელად ტყე აშრიალდა, ქარმა დაუბერა, გაძლიერდა. ზღვა მთელი ძალით მოაწყდა

ნაპირებს, ტალღების ზათქმა და ღრიალმა მთელი სივრცე დაიპყრო. ტყეს შფოთი და ძრწოლა მოემატა. ტოტების ხეთქება და ჯახანი ხეთა ერთიან მოთქმა-კვნესაში გადაიზარდა.

ასე იცის ყოველთვის დასავლეთით მგლის ხროვასავით მოვარდნილმა ქარმა და დელგმამ.

ასე იყო ამჟამადაც.

წინ მიდიოდა ლუგოვოი. სოხუმისკენ მიიჩქაროდა. რატომ, რისთვის – რომ გეკითხათ, ვერც კი გეტყოდათ. მიდიოდა იმიტომ, რომ ასე დაუბარა აფხაზეთის ჩეკას უფროსმა. ახლაც ისე ასრულებდა მოვალეობას, როგორც ზარბაზნებიდან გასროლისა და კატარღის ჩაძირვის დროს.

წაიფორხილა სიბნელეში მაიორის ცხენმა. ზღვამ გრგვინვასა და ქუხილს უმატა, ტყეც მეტი ძალით ახმაურდა. გაუვალი სიბნელე ჩამოწვა ტევრში.

უცებ, საერთო ღრიალ-გრუხუნში ვერც კი გაარჩევდი, მაიორის უკან რაღაცამ სუსტი ხმით დაიჭექა, ელვამაც გაჰკრა.

ლუგოვოი ფრთხილ ცხენს მორივით მოსწყდა, მიწაზე მძიმედ დაენარცხა. ხმა არც კი გაუღია, კვნესაც არ დასცდენია, არც საყვედური, არც დანანება, ისე გავიდა ამ წუთისოფლიდან; თითქოს კიდევაც მოელოდა ამ დღეს, ამ წუთს, ამ საათს; თითქოს კიდევაც უკვირდა, რომ ასე იგვიანებდა მარადი უკუნი.

მიწაზე დაცემულს ერთხანს ყური უწიოდა. შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა და არარაობის მარადისობაში გადნა.

ნადირაძე ცხენიდან ჩამოხტა. თავზე წაადგა სიბნელის სუდარაში გახვეულ ტარას ლუგოვოის, ვორობიოვის მოადგილეს, სანაპირო დაცვის უშიშროების მაიორს. ამოდენა კაცი ერთბაშად ჩიტივით გათავებულიყო. ჭკვიანი ცხენი თავზე დასდგომოდა, სიბნელეში თვალები უელავდა, თავს მგლოვიარედ აკანტურებდა, წინა ფეხებს მიწას ურტყამდა, თითქოს უნდოდა გაელვიძებინა საუკუნოდ დაძინებული, თან შეზრდილი მხედარი.

ანტი ნადირაძემ მათრახი გადაუჭირა ერთგულ და ჭკვიან პირუტყვს. ცხენი ადგილს მოსწყდა და ოთხახმით დასუდრულ ტყეში გადაეშვა.

აფხაზეთის ჩეკას მოადგილე მაიორს მხრებში დასწვდა და რის ვაი-ვაგლახით ბილიკიდან გადაიტანა და ხუთასწლოვან, ნამეხარ, ტოტებშემსხვრეულ, მრავლისმომსწრე მუხის ძირში მიასვენა. ჯიბეებიც გაუჩხრიკა; ნაგანი შეხსნა, ცხენს მოახტა და მთელი სისწრაფით სოხუმისკენ მოუსვა.

●

შუალამე მოახლოებული იქნებოდა, როცა გაქაფული ცხენი ანტი ნადირაძემ აფხაზეთის ჩეკას კარებთან მიაგდო.

გივი მიქელაძე დიდი ხანია მოელოდა მის გამოჩენას.

ნადირაძემ სწრაფად აირბინა ბრინჯაოს რიკულებიანი კიბე და უფროსთან სულმოუთქმელად შეიჭრა.

მიქელაძე გამოეგება. დავალების ბრწყინვალედ შესრულება მიულოცა. სავარძელი ფანჯარასთან მიუდგა, ფარდა გადასწია, სუფთა ჰაერით ოთახი გაავსო და დაწყნარებისთვის საკმაო დრო მისცა.

––ანტი! – დაიწყო მიქელაძემ, როცა შეატყო, რომ ნადირაძემ სული მოიბრუნა, – აქ ნუ ვისაუბრებთ. ჩემთან წავიდეთ სახლში. ხომ იცი, მარტო ვარ. ყველანი ბორჯომში არიან წასულნი დასასვენებლად. მამაპაპურად ვივახშმოთ კიდეც. ისე ვღელავდი, რომ დილიდან ლუკმაპური არ ჩამიდვია პირში. ხუთვარსკვლავიანი ენისელი და შენი საყვარელი ნაფარეული გველოდება. აბა, წავიდეთ. ყველაფერი იქ მომიყევი! – უფროსმა ხელი მოჰკიდა მოადგილეს, ძალით წამოაყენა დაღლილი, კარი მიიხურა და კაბინეტიდან გავიდნენ.

გივი მიქელაძე ქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს და მყუდრო უბანში ცხოვრობდა. ხუთოთახიანი, თეთრი ქვით მოპირკეთებული, თაღოვან კარფანჯრიანი და ფართოაივნიანი სახლი ზღვის პირას ედგა. ფართო ეზო ზღაპრულ ბაღნარს წარმოადგენდა და შემოვლებული ჰქონდა ბეტონის მაღალი კედელი. რკინის ალაყაფის კარები და გალავანი უცხო თვალთათვის მიუწვდომელის ხდიდა ეზოს და სახლის საიდუმლოებას.

ალაყაფის კარებს გარეთ პატარა ჯიხური იყო მიდგმული, სადაც გამუდმებით ჩეკისტები მორიგეობდნენ.

უკაცრიელად გამოიყურებოდა წლის ყოველ დროში მიქელაძის სახლი და ეზო. სტუმარს იშვიათად ნახავდით, რკინის კარებთან მიმდგარს. მორიგე ჩეკისტებიც მხოლოდ მაშინ გადააბიჯებდნენ გალავნის ზღურბლს, როცა მიქელაძის მეუღლე ან თვით ჩეკას უფროსი იხმობდა რაიმე დავალების მისაცემად.

აგვისტოს თვეში მთლიანად დაყრუებული იყო სახლი. ცოლი და სამი პატარა ქალიშვილი აგარაკზე ისვენებდნენ. მიქელაძე მთელი დღე სამსახურში იყო და ხანდახან გვიან ღამით ბრუნდებოდა. მის არც მოსვლას ამჩნევდა ვინმე და არც წასვლას, გარდა ეზოში თავისუფლად გაშვებული ციცარ-ფარშავანგებისა და ჯიხურში მთვლემარე მორიგე ჩეკისტებისა.

სასადილო ოთახში სუფრა გაშლილი დახვდა ანტი ნადირაძეს. ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი მშიერს ელოდებოდა. მიქელაძე და მისი მოადგილე ხარბად მიეძალნენ მადის მომგვრელ საჭმელ-სასმელს.

მასპინძელი ზედიზედ ცლიდა კონიაკის სირჩებს. ანტი ნადირაძე თავს იკავებდა, უფრო ღვინოს სვამდა, მაგრამ ცოტას და თავშეკავებით.

მიქელაძეს თვალები დაუწვრილდა, ენამაც ბორძიკი დაუწყო. საკმაოდ დანაყრდნენ. მასპინძელმა კონიაკის ბოთლს დაავლო ხელი და სტუ-

მარს სამუშაო ოთახში გაუძღვა. საწერი მაგიდა და რამდენიმე სავარძელი იდგა ოთახში. კაბინეტი ორი კარით საძინებელსა და სასადილოს უკავშირდებოდა. ფანჯრები დაბურულ ეზოში გადიოდა. კედლებს ლენინის, სტალინის, ძერჟინსკისა და ბერიას სურათები ამშვენებდა. წიგნის ერთადერთი კარადა, რომელიც კუთხეში იდგა და მორცხვად გამოიყურებოდა, სანახევროდ ცარიელი იყო.

ნადირაძემ მოკლედ მოახსენა უფროსს შვიდი აგვისტოს დღისა და ღამის ამბები.

ნასიამოვნებმა აფხაზეთის გეპეუს უფროსმა სამი პატარა ჭიქა კონიაკი ზედიზედ გადაჰკრა, ისე რომ სტუმრისთვის არც კი დაუძალებია.

ნადირაძემ მაგიდიდან ქაღალდები აიღო. კალამი მელანში ჩააწო და სუფთა ფურცელზე თავისი სახელი და გვარი მოაწერა.

– გამიგონია, – დაიწყო ნადირაძემ, – როცა ადამიანს დიდი მწუხარება ან სიხარული ეწვევა, ხელწერაც ეცვლებაო. საერთოდ, ჭარბი განცდები, პირველ ყოვლისა, ხელმოწერაზე ტოვებსო კვალს. აი, შეხედე, გივი, როგორ ერთმანეთს გაურბიან ცალკეული ასოები.

– რას ამბობ, ანტი! – კალმისტარი და ქაღალდი ჩამოართვა სტუმარს მასპინძელმა და სუფთა ქაღალდზე თავისი სახელი და გვარი ჩვეულებრივად გამოიყვანა მიქელაძემ, – აი, შეხედე! ყველაფერი ძველებურად არის და უცვლელი.

– აბა, კიდევ ვცადოთ! – ნადირაძემ გაიმეორა ხელმოწერა, და... სულ ბატიფეხური გამოუვიდა. მიქელაძემაც რამდენჯერმე სცადა, რომ სტუმარი დაერწმუნებინა, თუმცა მასაც არ აკლდა მღელვარება, მაგრამ ხელმოწერაში არავითარი ცვლილება არ შეინიშნებოდა.

მიქელაძეს წესად ჰქონდა, დაწესებულებაში თუ შინ, როცა სამუშაო მაგიდასთან იჯდა, წინ აუცილებლად რევოლვერს იდებდა. ასე იყო ახლაც. ბრაუნინგის სისტემის პატარა ლამაზი იარაღი მარჯვნივ იდო და შავად ელავდა.

– ეს რა ლამაზი ბრაუნინგი გქონია, გივი! დღემდე არ შემინიშნავს!

– მოგწონს? ფეშქაში! – და რევოლვერი გაუწოდა ანტის. ნადირაძემ მადლობა გადაუხადა და იარაღი ჩამოართვა, გასინჯა. არც ერთი ვაზნა არ აკლდა. საკეტი გახსნა. დაკეტა. ისევ გახსნა, ხელში რამდენიმეჯერ შეატრიალა, ლულაშიც ცალი თვალით ჩაიჭვრიტა.

მიქელაძეს კი საგულდაგულოდ გამოჰყავდა თავისუფალ, სუფთა ქაღალდზე თავისი ხელმოწერა. ანტის არც კი უყურებდა. გატაცებით წერდა და წერდა, აწოდებდა ნადირაძეს და თავმომწონედ ეუბნებოდა:

– აი, შეხედე, თუ რაიმე განსხვავება ნახო!

ანტი ნადირაძემ აუღელვებლად, მშვიდად, ბრაუნინგი ხელში ერთხელ კიდევ შეატრიალა, გაასწორა, სასხლეტი დაუშვა და ორი ტყვია მარცხენა მკერდში ერთდროულად მიაჭედა მიქელაძეს. გახვრეტილი გულიდან სისხლმა გამოჟონა და თეთრ პერანგზე ჩამოიღვარა. ყველაფერი ერთბაშად და მოულოდნელად მოხდა. მიქელაძემ თავი მაღლა ასწია, რაღაცის თქმა უნდოდა, პირი დააღო, თვალები გაუფართოვდა, სიტყვა ენაზე შეეყინა, სავარძელში ჩაიკეცა, თავი გვერდზე გადაუვარდა, ერთხელ კიდევ გაიზმორა, სავარძლიდან სანახევროდ დაცურდა და გათავდა.

ანტი ნადირაძემ თავისი ნახელავი შეამოწმა. როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ უფროსი სამარადისო ძილს მისცემოდა, ბრაუნინგი ცხვირსახოცით გაწმინდა და სავარძლის გასწვრივ იატაკზე დააგდო.

ხელმოწერილი ქაღალდები შეაგროვა. ორი მათგანი დიდხანს ათვალიერა, შემდეგ განზე გადადო, დანარჩენი ოთხად მოკეცა და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო.

ანტი ნადირაძეს სხვათა ხელწერის დიდი მიბაძვის უნარი ჰქონდა, ჩვეულებრივი თვალი თითქმის ვერ გაარჩევდა ერთმანეთისაგან დედანსა და ყალბს. ეს ცოდნა-თვისება ყველაზე მეტად ახლა გამოადგა ჩეკას უფროსის მოადგილეს. მიქელაძის ხელით დაწერილი პატარა ბარათი წინ დაიდო. ცოტა ხანს ხელი ავარჯიშა, ხოლო შემდეგ წინასწარ ხელმოწერილ ქაღალდზე დაწერა:

ჩემო საყვარელო ანეტა! ჩემო კუდრაჭა გოგონებო! დიდხანს ასე ცხოვრება არ შემეძლო, აუცილებლად გავგიჟდებოდი! თავს ვიკლავ! მაპატიეთ, რომ გაგამწარეთ. იმდენ ქონებას გიტოვებთ, რომ ცხოვრებაში გეყოთ! მშვიდობით!.. მშვიდობით!.. მშვიდობით!..

თუ რამ გაგიჭირდეთ, ანტი ნადირაძეს მიმართეთ. ის კეთილი კაცია და ყველაფერში დახმარებას გაგიწევთ. თქვენი მოსიყვარულე მეუღლე და მამა

გივი მიქელაძე.
7. VIII. 35.

ბარათი მაგიდაზე დატოვა. სინათლე ჩააქრო. ინგლისურგასაღებიანი კარები გაიხურა და... ვითომაც არაფერი მომხდარიყოს, ფეხაკრეფით სახლიდან გავიდა. ალაყაფის კარებთან მორიგე ჩეკისტებს არც კი გამომშვიდობებია, ისე გაუყვა ქუჩას.

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალილა ბენდიანიძე

ფოლკლორულ-მითოსური ნაკადი შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში

ფოლკლორი და მითოსი იყო, არის და იქნება მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი უმძლავრესი მასაზრდოებელი წყარო. მწერლების დამოკიდებულება ფოლკლორისა და მითოსისადმი ყოველ ეპოქაში იწვევდა მკითხველთა და მკვლევართა ინტერესს და ამ თემას ამჯერად ჩვენც მივმართეთ. ჩვენი კვლევის საგანია შოთა ნიშნიანიძის პოეზიის მიმართება ფოლკლორსა და მითოსთან – როგორც ქართულთან, ასევე ანტიკურთან. ქართული ანდაზები, ზღაპრების თუ მითოსის პერსონაჟები, თქმულებების თუ ლეგენდების სიუჟეტები მრავლად გვხვდება მის შემოქმედებაში.

„ან ტყის ფერიებს, ან წითელქუდას
ცისთვის შეთხოვნით და მადლის წირვით
ერთ კენწეროზე ბუდე შეუდგამთ
მუსიკალური პაწია სკივრი“

– წერს შოთა ნიშნიანიძე და აქ ტყის ფერიები თუ წითელქუდა ახალ კონტექსტშია მოქცეული, ახალი სიცოცხლე აქვთ მინიჭებული, ზღაპრული სამყაროდან რელიგიურ სამყაროში არიან გადასულნი. მათი ხსენება სიღრმეს მატებს ლექსს და ამდიდრებს მას. სხვა ლექსში ნახსენებია „თავფარავნელი ჭაბუკის“ სიუჟეტი ერთი მეტად მოქნილი და ტევადი სიტყვით „თავფარავნობს“ /„ჯერ სიყვარული თავფარავნობს“/, ეს კი ლექსს „კვიცი ანუ სახუმარო ბარათი“ ახალი შინაარსით ავსებს და ტვირთავს. მინიშნება ეხება თავფარავნელი ჭაბუკისა და წყალგალმელი ასულის სიყვარულს, ახალგაზრდების სიყვარულს, აკრძალულ სიყვარულს და ეს ყველაფერი ოთხ სტრიქონშია ჩატეული:

„ჯერ სიყვარული თავფარავნობს,
როგორც ჯეჯილი სანამგალო.
პატარა კვიცო ნაპარავო,
რა ვილონო და სად დაგმალო“.

მწარე სინამდვილეს ასახავს შოთა ნიშნიანიძის შემდეგი ლექსი:

„რატომ არის, რომ ზოგის ბამბა ოქროდ ჩხრიალებს,
რატომ ხმაურობს აგრერიგად დიდება ყალბი?
– ბევრნი ვართ ბამბის პატრონები... და უწინარეს
ყველას ყურები დაცული გვაქვს იმავე ბამბით“.

აქ გამოყენებულია ქართული ანდაზა „ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო“ და იგი შემოქმედებითად არის ათვისებული, სიღრმეს მატებს ლექსს.

ასევე ქართული ანდაზაა გამოყენებული ლექსში „ციხე“: „მოალყეების არ გვეშინია, ოღონდ შიგნიდან არ გატყდეს ციხე“ /შდრ. ქართული ანდაზა „ციხე შიგნიდან ტყდებაო“./ ქართული ანდაზა „კვიცი გვარზე ხტისო“ აქვს გამოყენებული შოთა ნიშნიანიძეს პატრიოტულ ლექსში „მე ერთი ქვეყანა ვიცი“. ეს ანდაზა ორიგინალურად არის ჩაქსოვილი ლექსში და ჩვენი წინაპრების საქებრად არის გამოყენებული:

„მე ერთი ქვეყანა ვიცი –
სამოთხის კარი ღია,
იქ მართლა გვარზე ხტის კვიცი
და სხვებიც თავის გზით ვლიან“.

ანდაზა „მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო“ შემოქმედებითად არის ათვისებული ლექსში „მგლური კანონის ბალადა“: „მგელი კი ისევ მგელია“! არ მორჯულდება მგელი! მგლის თავზე სახარებაო, – თქმაა ღიმილის მგვრელი“.

ასევე ფოლკლორიდან აღებულია სტრიქონი ლექსში „გარეთ ატლასი“:

„ქართველო, იარე ქართული ანდაზით:
გარეთ ატლასიო, შიგნით ათასი“.

ყველაფერი სწორია, თუმცა ეს გამონათქვამი ანდაზა არ არის, გამოცანაა.

შოთა ნიშნიანიძე წარმატებით იყენებს და შემოქმედებითად ითვისებს ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებს, იყენებს მათ ქართული ხასიათის, ქართული სინამდვილის დასახატავად და ქართული კოლორიტის გადმოსაცემად. ლექსში „სიზმრად ვნახე თეთრი გედი“ გამოყენებულია კილო და რეფრენი ქართული ხალხური ლექსისა „ნეტავ დედა რაო?“ და „ვაჰ, შენს დედასაო!“ ეს რეფრენი მოქნილობას ანიჭებს ნიშნიანიძის ლექსის მხატვრულ ქსოვილს, ქმნის რიტმს, რომელიც ასევე ნასესხებია ქართული ხალხური ლექსიდან. ლექსის ფინალში საქართველოს მძიმე მომავალია დახატული, რომელიც პოეტმა იწინასწარმეტყველა /შ. ნიშნიანიძის წიგნი, რომელშიც ეს ლექსია შეტანილი 1989 წელს არის გამოცემული/:

„–აგრე მწარედ რომ ყმუიან ნეტავ, დედა, რაო?
– ეს ალგეთის ლეკვებია, ვაჰ მათ დედასაო!
– ვითომ ყვავილები წვიმდა... ნეტავ, დედა, რაო?
– საქართველო ატირდება... ვაჰ შენს დედასაო!..“

მოქნილი დიალოგური ფორმა და რეფრენი განუმეორებელ მუსიკალურობას ანიჭებს ლექსს, რომლის სათავეც ხალხურ პოეზიაში უნდა ვეძებოთ.

საინტერესოა, რომ შოთა ნიშნიანიძე შემოქმედებითად იყენებს არა მხოლოდ ცალკეულ ხალხურ ლექსს, არამედ ზღაპრებსაც:

„შაშვი ვიყავ მგალობელი,
გალიაში რა მინდოდა,
ღმერთი მყავდა მწყალობელი,
სხვა წყალობა რად მინდოდა“.

შაშვი გალიაში უთუოდ პოეტი უნდა იყოს საბჭოური ხელისუფლების დროს, რომელიც ამა ქვეყნის ძლიერთა წყალობას არად აგდებდა და, ათასგვარი აკრძალვის მიუხედავად, მაინც სწამდა უფლის ძალა.

ქართული ხალხური სიმღერების ათვისება-გათავისების ნიმუშია შოთა ნიშნიანიძის ლექსი „კოლხური მელოდიები“. ამ ლექსში გამოყენებულია პერიფრაზები მეგრული სიმღერებისა „დიდა, ვოი ნანა“, „სისა ტურა“, „ჩაგუნა“, „ჩარირამა“, „ოდოია“. პოეტი ეფექტურად იყენებს ხალხურ სიმღერებს და თავის ლექსებს მეგრული მითოსური პერსონაჟების ხსენებითაც ამდიდრებს, ქმნის კოლორიტს:

„–ე, ბიჭებო, ჩაგუ მოდის, ჩაგუ მოდის ამალამ,
ჩაგუა, თუ ოჩოკოჩი აფხორილი ამაყად?
ჩაგუ მოდის, რია-რია... კარმაც გაიჩხაკუნა...
ჩაგუ, ჩაგუ, ჩაგუ, ჩაგუნია, ჩაგუნა...
და ხმა რეკავს ნისკარტულად,
– სისა, სისა, სისა ტურა!“

კოლხურ მელოდიებში პოეტი ასევე იყენებს ხალხური წითელა ბატონების დროს ჩონგურზე სამღერ ლექსს. ამ ლექსში ნახსენებია ბაზალეთის ტბაში ჩადგმული ოქროს აკვანიც, რომელშიც წევს საქართველოს მომავალი გმირი. ერთიც უნდა ვთქვათ – შოთა ნიშნიანიძე თვითონ ქმნის ზემოხსენებული ციკლის ლექსების რიტმს და არ იმეორებს ხალხური სიმღერების რიტმს, რითაც ახალ სიცოცხლეს სძენს ძველ ქართულ სიმღერებს.

არა მხოლოდ მეგრულ ფოლკლორს იყენებს შოთა ნიშნიანიძე, არამედ ასევე წარმატებით მიმართავს საქართველოს სხვა კუთხეების ფოლკლორსაც. მაგალითად, ლექსი „ქალაქში თქმული ფშავ-ხევსურული“. აქ გვხვდება ისეთი ფოლკლორული ალუზიებით დატვირთული სტრიქონები, როგორიც არის:

„ლექსო, ყივჩაყის დამფრენო, ვეფხის პწკლით
ჩამოგაზულო,
მოყმეო პირტიტველაო, ჩემო მამაცო წარსულო,
ხომ არ დაბერდი, პაპილავ, მგელავ, ძაღლიკავ,
ბათარეკ,
ერდოზე თვლემ და მზეს ლოლნი და ძველ
თქმულებებს ამთქნარებ...
...ხევსურის კარზე ნაწოლო, ხმლისა და ელვის
წაწალო...“

როგორც ვხედავთ, ამ მცირე ფრაგმენტში ჩატეულია არაერთი ფოლკლორული ასოციაცია, რომელსაც იწვევს ყივჩაღის, ვეფხის და მოყმის, წაწლობის ხსენება.

ამ სტრიქონებით პოეტი წინაპართა კაი ყმობას ასხამს ხოტბას და ერთ პაწია სტროფში ატევს რამდენიმე ნაწარმოების სათქმელს, რაც მის ოსტატობაზე მეტყველებს.

არსებობს ქართული თქმულება იმის შესახებ თუ როგორ წყალობს ალი თავის საყვარელს. ეს თქმულებაა დამუშავებული შოთა ნიშნიანიძის ლექსში „რძალ-მამამთილის ბალადა", ოღონდ ალი ჭინკით არის შეცვლილი. ჭინკას ქალის სახე არა აქვს ფოლკლორში და არც საყვარლები ჰყავს. ამ მხრივ შოთა ნიშნიანიძე ნოვატორობას იჩენს. აი, როგორ გამოიყურება აღნიშნული თქმულება მის ლექსში:

„– მამილო, მამილო, ავად ვარ ძვირფასო,
კალმახი მომიხდეს იქნება...
/იქნება მოგგუდოს ტყისკაცმა,
იქნება დაგახრჩონ ჭინკებმა/.
წავიდა მოხუცი... წავიდა, ჰოდა,
ჭინკა გაიხადა საყვარლად...
იმ დღიდან სხვაც ბევრი, სხვაც ბევრი რამ
ჰქონდათ
და თევზიც თავზე საყრელად".

რაც შეეხება ტყისკაცს, იგი ტრადიციული მნიშვნელობით არის ნახსენები, ისევე, როგორც ოჩოკოჩი ლექსში „მეწისქვილე" და „კოლო".

ლექსში „აფხაზური კანტატა" მდიდარი ფოლკლორული მასალა გვხვდება. მასში გამოყენებულია ქართული ხალხური ლექსი „წაიყვანეს თამარ-ქალი აფხაზეთში დიელო-და", ასევე ხალხური სიმღერები „ოდოია" და „ურაიდა რაიდა", რაც ლექსს ამდიდრებს:

„ოდიშში ვარ, ქორწილში ვარ... ცხენს
ვაჭენებ... ჰაიდა...
„ოდოიას" გადმოუხტა „ურაიდა რაიდა"...
ჩანს ანტიკურ არფასავით აივნების რიკული,
ზედ სიმებად ლერწმებია და სხივები ცისკრული.
წაიყვანეს თამარ-ქალი აფხაზეთში დიელო და...
მოწამეი ხარ, შენ საქართველო – ერო
ფეხბედნიერო და...
ჩანს ოდებზე კოლხთა ლერბი, ლერბი
სიმინდ-ჭიქურის
და აფხაზურ ცხენის ნალი ავგაროზად მიკრული".

ქართული ანდაზაა დამუშავებული ლექსში „კოცონის პატრონს კვამლს მიხსენებენ, /კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო/, სადაც ამ ანდაზისადმი კრიტიკული დამოკიდებულება მოჩანს:

„კოცონის პატრონს კვამლს მიხსენებენ,
მაინც სად ნახეს კვამლი უცეცხლოდ?!
ვისაც სიავით არ ესვენება,
სინდისი როგორ არ გავუკენწლო".

ლექსში „დაუწერელი ლექსების საგოდებელი" გამოყენებულია სურამის ციხის ლეგენდა. იგი ასე იწყება:

„რა განგებამ დამწყევლა, რა სულმა და სატანამ,
ზურაბივით სხეულში ლექსი ვინ ჩამატანა?"

ამ ლექსში პოეტი პერსონიფიცირებულია სურამის ციხეში, სხვა მხრივ ლეგენდა ტრადიციის მიხედვით არის გადამუშავებული:

„სურამისა ციხე ვარ, ხვედრით უსასტიკესი,
ჩემი შვილი ზურაბი შიგ გულივით მიკვნესის".

უყურადღებოდ არც ქართული ხალხური ზღაპრები დაუტოვებია შოთა ნიშნიანიძეს. ამ მხრივ გამოირჩევა მისი უსათაურო ლექსი „მე ვარ მისანი ხარი წიქარა", სადაც წიქარას ზღაპრული სახე პატრიოტულად არის გააზრებული და სამშობლოსადმი პოეტის სიყვარულზე მიგვანიშნებს:

„მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო".

განსაკუთრებით მდიდარია ფოლკლორული პერსონაჟებით შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ელასა-მელასა ანუ ქართული ნადიმი". აქ ქართულ სუფრაზე ერთმანეთის გვერდით სხედან ბახუსი, ოდისევსი, დევი, ჭინკა, ნაცარქექია, ამირანი, კიკლოპი/პოლიფემესის ვაჟი/, აქილევსი, ნიმფები, ჰექტორი, რაც მიგვანიშნებს, რომ ანტიკური მითოსის პერსონაჟებთან არიან გათანაბრებული ქართული მითოსის პერსონაჟები – რომ საქართველოც ანტიკურობის ნაწილია, რომ არავის ჩამოუვარდება თავისი მითოსით, რომ ქართული ინტელექტი ანტიკურობითაც არის ნასაზრდოები, გარდა საკუთრივ ქართული სამყაროსი.

განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ იყენებს შოთა ნიშნიანიძე თავის ლექსებში ანტიკურ მითოსს. მისი დამოკიდებულება გამოყენებული მასალისადმი ყველგან შემოქმედებითია, ამავე დროს, გათვალისწინებულია ანტიკური ტრადიცია. ლექსი „მკითხველთან შეხვედრის მცირე ოდისეა" აგებულია ჰომეროსის „ოდისეას" მეცხრე სიმღერის მოტივებზე, რომლებიც მითოსურია:

„... შური წამოდგა, გაიზმორა და გაიფოფრა
და აიზლაზნა... გადაიქცა ყეყეჩ კიკლოპად.
მშიერი იყო ის ოხერი... ჰოდა წინასწარ
თითო-ოროლა მეგობარიც გადამისანსლა.
მერე მთასავით დაეყუდა მღვიმის კარებთან
და უსიკვდილოდ აღარავის გაგვატარებდა...
...ქების ციკლოპი ღრუბელივით ფშვინავს
საავდროდ,
რითი დავბანგო, გამოვბრუჟო, რითი დავათრო?
როგორ დავუვსო ქიშპის თვალი საზარელ
ციკლოპს,

ის ცალი თვალი, შურის თვალი, სულ ამას
ვფიქრობ.
როგორ გავზარდო, ანდა როგორ გამოვიგონო
ერკემალივით ნასუქალი, ზორბა სტრიქონი,
რომ ლაჯებშუა ამოვეკრა ოდისევსივით...
...იქნებ ასრულდეს მწყალობელი განგების ნება
და გავეპარო ციკლოპივით საზარელ ქებას?“

როგორც ვხედავთ, ბერძნული მითოსიდან გადახვევას აქ არ ვხვდებით და, ამასთან, ახლებურად არის გააზრებული კიკლოპის სახე, დაკავშირებულია იგი შურთან და ქებასთან და შენარჩუნებული აქვს ანტიკური უარყოფითი მნიშვნელობა.

ლექსი „საწოლიც“ ანტიკური მითის მიხედვით არის შექმნილი. მის ეპიგრაფში ნათქვამია: „პროკრუსტე – ბერძნული მითოლოგიის ყაჩაღი – შეიტყუებდა ხოლმე მგზავრებს და ტახტზე აწვენდა. ვინც გრძელი აღმოჩნდებოდა, ფეხებს ჭრიდა, ვინც მოკლე – კიდურებს უჭიმავდა“. ეს მითი ამგვარად გამოიყენება ლექსში:

„...და როგორ გინდა, ტკბილად მოხუცდე,
ღმერთთან საუბრის გქონდეს უფლება,
როცა ყველას ჰყავს თავის პროკრუსტე:
სტრიქონი! ქალი! ძალაუფლება!..
...ნუ დამეთრგუნოს უბრალო ქინქლაც...
ისე ვიცხოვრო და ისე გავძლო,
ჩემი საწოლი /აქაც და იქაც/
არაფრით ჰგავდეს ყაჩაღის საწოლს...“

როგორც ვხედავთ, პროკრუსტეს მითოსურ სახეს პოეტი აქ ფილოსოფიურად გაიაზრებს.

განსაკუთრებით ხშირად მიმართავს შოთა ნიშნიანიძე დიონისე-ბახუსის სახეს, ქართულ სამყაროში გადმოჰყავს დიონისე, რომლის მნიშვნელობასაც ანტიკურობის მიხედვით მოიაზრებს. ლექსში „ვაზის სიმფონია“ ერთ კონტექსტშია მოქცეული ბახუსიც და დიონისეც და ამ სახეს ახლებური დატვირთვა აქვს შემატებული:

„...გვიყვარს, გვიყვარს ბახუსი, ბევრს არაფერს
ვერჩით,
ისევ სიყვარულისთვის დავამწყვდიეთ ქვევრში...
...ვაზის გვირგვინებით მოგვყავს დიონისე,
მოგვყავს დოვლათის და სიხარულის ღმერთი...“

დიონისე და ბახუსი ერთი და იგივეა, ოღონდ პოეტს ამ ლექსში ისინი განუსხვავებია.

ლექსში „მკვიდრნო მარადისობის“ დიონისე კოლხურ ღმერთად არის მიჩნეული და ქართულ ალს უკავშირდება. აქ მოთხრობილია დიონისეს ტრაგიკული აღსასრულის შესახებ, ოღონდ მხატვრულად არის გააზრებული ეს აღსასრული და გაქართულებულია:

„დიონისე – ლხინის ღმერთი (ვინც გვეხატა მარანზე)
კოლხიდაში იზრდებოდა ღმერთების აგარაკზე.
ბავშვობაში აქ დარბოდა ცხენისწყალთან, რიონთან,
მაშინ, როცა ჩვენს ქუთაისს ქუთაია ჰქვიოდა...
...აქ დარბოდა და ტყეებში ალებს აწიოკებდა,
აქ მღეროდა ჭურის თავზე ყელმაღალა დოქებთან...
...ბაახუ, ბაახუ, ბახუდიააა! – გასძახოდა გამდელი
და ღვთაებრივ ნაფეხურებს ასდიოდა ნათელი.
დანაწილდა ღმერთის ტანი დოქებად და ქვევრებად,
ქოთნებად და კეცებად – კერის ბედნიერებად“.

როგორც ვხედავთ, ბახუსის სახელიც კი გაქართულებულია, ამავე დროს, მას მინიჭებული აქვს კერიის მფარველი ღმერთის სტატუსიც, რაც უკვე სიახლეა.

როგორც ვხედავთ, ბახუსის სახელიც კი გაქართულებულია, ამავე დროს, მას მინიჭებული აქვს კერიის მფარველი ღმერთის სტატუსიც, რაც უკვე სიახლეა.

სიახლეა დიონისეს სახელის ოჩოპინტრესთან დაკავშირებაც – რაც ქართულ-ანტიკური სამყაროს საერთო წარმომავლობაზე მიგვანიშნებს. ასეთია ლექსი „კახეთს – ვაზის გვირგვინოსანს“:

„ოჩოპინტრევ! ოჩოპინტრევ! ჰაიტ, შე ეშმაკის
ნაჭლიკარო,
ბახუსი რო ჩამოივლის, მარნებში რას
დაჯირგალობ...
...შენთან ქეიფობს ბახუსი, ქართულად
მღერის ბახუსი...“

ლექსებში „ამურთან გამოთხოვება“, „შენი სარკმელი – ბუდე ამურის“, „მერმე“ მოხსენიებულია ანტიკური სიყვარულის ღმერთი ამური /იგივე ეროსი/. ამური აქ დახატულია ზუსტად ისე, როგორც ანტიკურ მითოსში – კულულებიანი კაფანდარა, ონავარი ბიჭი მშვილდ-ისრით, რომელიც თავისი ისრებით სიყვარულის ჭრილობას აყენებდა მსხვერპლს. ლექსი „შენი სარკმელი-ბუდე ამურის“ ასე მთავრდება:

„ღამით კოშკიდან ოქროს დალალი
ჩამოგიშლია, როგორც რიყურაჟი,
მეც ამოვსულვარ შენთან მალულად,
ჰო, ამოვსულვარ, ოღონდ... სიზმარში...“

როგორც ჩანს, ეს ფინალი ქართული ზღაპრისეულია და აქ ამური ისევ და ისევ ქართულ სამყაროს უკავშირდება, ისევე, როგორც ლექსებში „მესამე“ და „ჭინკასთან საუბარი“: „და ტიტლიკანა ამურებივით ვჭყუმპალაობდით კუს ტბაზე ხშირად“.

ანტიკური მითოსური პერსონაჟებიდან შოთა ნიშნიანიძეს ნახსენები ჰყავს ჰეფესტოც – მჭედლობის ღმერთი. ლექსში „ხალიბური სიმღერა“ /ნაწყვეტი პოემიდან „რკინის ნოველა“/ ჰეფესტო ქართულ სამყაროსთან არის დაკავშირებული:

„ჩვენ ვართ ჰეფესტოს მაცნე,
რკინას პირველნი ვკვერავთ.
ჩვენ ისტორიას ვაცმევთ
რკინის წვრილთვალა პერანგს“.

შოთა ნიშნიანიძის არაერთ ლექსში გვხვდება ვეფხისა და მოყმის ბალადის მოტივები თავისი ტრადიციული გააზრებით. მაგ. „ქართული ლექსისადმი“:

„...კიდევ გვიჩვენე ვეფხის ნახტომი
სილამაზის და ძალის პოემავ.
შენ ჩემს ცხოვრებას ყრმობიდან მოჰყევ
და დამაფეთე მაგ ბრწყინვალებით,
ბევრჯერ დამეცი ქალაქელ მოყმეს
და ჩამომკლანჭე სისხლის ბწკარები“.

ანდა – „ვეფხვი“:

„ნუთუ არ გქონდა სურვილი შეყრის,
საით გაგირბის მზერა ელამად.
შენ ხომ არა ხარ ნეტავ ის ვეფხვი,
მოყმემ რომ დასცა პირტიტველამა“.

მეგრული მითოსით არის ნასაზრდოები მთელი რიგი ლექსები, რომლებშიც გვხვდება ჭინკების, ალის, ოჩოკოჩის სახეები თავიანთი ტრადიციული გააზრებით. მაგ. „იმერეთი... გიორგობისთვე“, „ჩემო საყვარელო ადგილებო, ჩემო მოჭიხვინე რიონო“, „ჭინკასთან საუბარი“:

„გიორგობის თვეში ნუნუა წვიმს ჩვენში,
გალეშილი ოჩოკოჩი დაჩინდრიკობს ტყეში,
გარბიან და გამორბიან გზები ალთაბალთას
და ღლაბუცობს ოჩოკოჩი ოქროსთმიან ალთან“.

შოთა ნიშნიანიძის პოეტური პალიტრა მეტად მდიდარია ფოლკლორით, რაზეც მისი არაერთი ლექსი მეტყველებს:

„გმადლობთ, დევებო, ტყის კაცებო, ქონდრისკაცებო,
ჭინკებო, ქოსატყუილებო, სადაც არსებობთ!“

მის ლექსებში არაერთგზის არის ნახსენები ქართული ზღაპრებისეული დევი, როგორც თავისი დადებითი, ასევე უარყოფითი მნიშვნელობით, მაგ.

„ქალაქი – დევი მისცემია ლხინსა და აზარტს“
„ნახატი „მცხეთელი დევი“, „მე ვარ სკის
ქალაქი“ და სხვა.

როგორც ეს ზემოთაც აღვნიშნეთ, შოთა ნიშნიანიძე ხშირად იყენებს ქართული ხალხური ზღაპრების მოტივებს (ლექსები „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“, „მთაგრეხილები ნისლებში და ზღაპრებში ყვინთავს“ და სხვა). ზოგჯერ ზღაპრის გმირი მოხდენილი შედარების საფუძვლად არის ლექსში ქცეული:

„აისი წითელქუდასავით გამოდის ტყიდან
და მარწყვით სავსე კალათივით მიაქვს სოფელი“.

ლექსში „ქართული ლაშქრის სადიდებელი“ დამუშავებულია ქართული ხალხური ლექსი „ყივჩაღის პაემანი“, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება გიორგი ლეონიძის ამავე სახელწოდების ლექსისგან და ქართული სულის უკვდავებაზე მიგვანიშნებს:

„...ვინც პურს მთხოვს, სახლში ვისტუმრებ,
პურს ვურჩევ თავთუხისასა
თუ ხორცს მთხოვს, – მისი ჭირიმე,
ხორცს ვურჩევ ხოხობისასა.
თუ წყალს მთხოვს, ღვინოს მივართმევ,
სასმელს შევურჩევ ღვთისასა,
თუ ქალს მთხოვს /დაე იცოდეს/
ბედსა ვწევ ყივჩალისასა!“

განსაკუთრებით ხშირად მიმართავს პოეტი ამირანის მითს, რასაც მოწმობს მისი ლექსები „ქართლი“, „დიდი და პატარა პოეტების შესახებ“, „ქართული ზღაპარი“, „აგარაკი“, „პურის მკა ალგეთზე“ და სხვა. ამირანის სახე ყველგან ქართული ტრადიციის მიხედვით არის გააზრებული და ზოგჯერ პერიფრაზებსაც შეიცავს ამირანის მითის გალექსილი ვარიანტიდან:

„სანადიროდ წამოსულან ამირან და ძმანი მისნი,
მთას ირემი აფრენიათ, ცასა სწვდება რქანი მისნი...“

ანდა – დიდი პოეტი მიჯაჭვული ამირანია,

ხოლო პატარას არ ასცდება მასხარის როლი...
პატარა პოეტო, ის გოშია მაინც იყავი,
შენს ძმას ამირანს ჯაჭვს რომ ულოკავს“.

ლექსი „ამირანი“ შექმნილია „ამირანიანის“ მოტივებზე და ეძღვნება ვინმე ამირანს, ოღონდ ვის, ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. მთავარია, რომ მითი ამ ლექსში თანამედროვეობასთან არის შერწყმული:

„განა მართლა ხარ ამირანი – ქრისტეს ნათლული...
მდიდარი ხარ და უდარდელი უფლისწულივით,
დევებს შორიდან ესალმები დარდიმანდულად
და არც ბეჩავთა ქომაგობის არ გაქვს სურვილი.
ავსულებს, დევებს შიშის ზარი უნდა კრუნჩხავდეს,
შენ კი ირჩიე განზე იდგე ბევრგან და ბევრგან,
ისე იცხოვრო, ღმერთს ერთხელაც არ აუჯანყდე
და ამირანიც მხოლოდ ისე, სახელად გერქვას“.

ასევე „ამირანიანის“ მოტივებზეა შექმნილი ლექსი „ამირანის წელიწადი“. ამირანი ყველგან დადებითი გმირია. შოთა ნიშნიანიძე მის სახეს განსაკუთრებული პატივით ეკიდება. მაგ. ლექსი „ბიბლიოთეკიდან გამოვიდა“ ამირანს უკავშირდება და

მის ფინალში ნათქვამია: „სიბრძნე უნდა მოვპაროთ ღმერთებს როგორც ერთ დროს ცეცხლიო“.

შოთა ნიშნიანიძე არა მხოლოდ ანტიკურ და ქართულ მითოსს მიმართავს, არამედ რუსულსაც – კერძოდ, ლექსში „მასპინძლობაში წილი იდო ყველა ასაკმა“ ახსენებს ილია მურომეცს, რომელიც დევის სახესთან ჰყავს დაკავშირებული და დადებით კონტექტში მოიხსენიება.

შოთა ნიშნიანიძეს არც საბავშვო ფოლკლორი დაუტოვებია უყურადღებოდ. ამას მოწმობს მისი ლექსი „ნახევრად ზღაპარი“, სადაც გვხვდება ასეთი სტრიქონები ხალხური საბავშვო ლექსისა:

„აჩუ, აჩუ ცხენო, შე კუდმოსაჭრელო,
ზურგზე შეგასკუპდები, – საით გაგაჭენო.
აჩა-ბაჩა ცხენი ვარ, ხან – საწყალი წიქარა,
წუთისოფლის ურანგზებს მეც წვალებით მივკვალავ“.

ამ ლექსში სხვათა შორის დევი და ამირანიც არიან ნახსენები, როგორც მითოსური პერსონაჟები, ისევე, როგორც ლექსებში „შემოდგომა“ და „ქართული ზღაპარი“.

შოთა ნიშნიანიძეს ზოგჯერ ქართული ხალხური ლექსების სტრიქონები უცვლელად გადააქვს თავის ლექსებში და ახალ კონტექსტში ახალ სიცოცხლეს ანიჭებს მათ. მაგ. ლექსი „ვახტანგ მეფე“:

„ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ციდან
ჩამოესმა რეკა...
...ყრმას ძუ მგელი ჰყავდა ძიძად და
მგელკაცად გაიზარდა...“

ფოლკლორულ-მითოსური მასალა შოთა ნიშნიანიძეს შემოქმედებითად აქვს ათვისებულ-გათავისებული და ერთსაც ვიტყვით – პოეტი თავისი ლექსებით ინახავს და პოპულარულს ხდის რიგ მითოსურ პერსონაჟებს თუ ფოლკლორულ ღირებულებებს.

მიხა ხელაშვილი

მიხა ხელაშვილის სახელს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი. მისი ამ ლექსის კიდევ ერთხელ გამომზეურება იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ იგი მხატვრული ლირებულებითა და თავისი ტრაგიზმით ერთ-ერთი გამორჩეულია ბოლშევიკების მიერ ვერაგულად მოკლული ახალგაზრდა პოეტისა და სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი რაზმის წევრის შემოქმედებაში.

ამ ლექსისა და მისი ავტორისადმი ინტერესს იწვევს ისიც, რომ, თანამედროვეთა გადმოცემით, მიხა ხელაშვილმა იცოდა დედის მკვლელთა ვინაობა და ცხელ გულზე დაწერილი სტრიქონების გვერდით –

„სისხლი მწყურია მტრებისა,
თან ხორცის ჭამა მინდაო“.–

თითქოს მიმტევებელ შვილსაც ვხედავთ:

„რად ჰქენით ეგ საქმეი,
შვილებ არ თუ ხართ ხვთისაო?“

ასევე თანამედროვეთა გადმოცემით, იმავე მკვლელებმა ღალატით მოუსწრაფეს სიცოცხლე თვითონ მიხა ხელაშვილსაც, რადგან შიშობდნენ, რომ მან იცოდა დედის მკვლელების ვინაობა და შურს იძიებდა.

დღეს ცნობილია ამ საზარელი მკვლელობის ჩამდენთა ვინაობა, მაგრამ აქ ალარ ვასახელებთ, რადგან მათთვის დიდი პატივი იქნებოდა მიხა ხელაშვილის გვერდით მოხსენიება.

აქვე ვბეჭდავთ ალნიშნული ლექსის ხელნაწერს, რომელიც 1988 წელს სოფელ კაწალხევში 83 წლის ვანო ხორნაულმა გადასცა ბაბუა ალუდაურს.

ბატონი ვანო 1905 წელს იყო დაბადებული და კარგად ახსოვდა 1920-იან წლებში მიხა ხელაშვილის სტუმრობა მის ოჯახში – სწორედ ბატონმა ვანომ შემოგვინახა მიხას ლექსების უმეტესობა.

1988 წელი ჯერ კიდევ „სხვა დრო იყო“ და ბატონმა ვანომ ხელნაწერის წარმომავლობა „ვერ გაიხსენა“. ხომ არ გვაქვს საქმე მიხა ხელაშვილის ხელნაწერთან?

ბაბუა ალუდაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერიც არ შამხვდა მტრისფერი...

სინათლის სხივი გამიქრა,
ბნელით მოიცვა მიწაო.
სისხლით და ცოდვით აივსო
მხარე ეგ არაგვისაო.
თავს გვადგას მტერი ურჯულო,
ვერ გაძღა სისხლის სმითაო.
გეწია, ფშავის არეო,
დროება წინა ჟმისაო.
როდესაც დედის კალთაზე
ხანჯლითა ჰკლავდნენ შვილსაო.
მაგრამ არ იყო ადათი
მოკვლა იმ დიაცისაო.
მაშინ რად მიმტრეთ, ფშავლებო,
როცა მე გამიჭირდაო.
რად ჰქენით ეგ საქმეი,
შვილებ არ თუ ხართ ხვთისაო?
დედაც მამიკლეს ფშავლებმა
სამოც-ოთხმოცის წლისაო.
სისხლითა გბანენ, დედაო,
ცრემლით დაბანილ პირსაო.
ხელშიით გართმენ სუდარსა,
ჯაგებში გადაჩრილსაო.
დაგკრავდნენ, დაიკვნესებდი,
დაინატრებდი შვილსაო.
მაგრამ სად იყო მიხაი,
როცა შენ გაგიჭირდაო.
მტერიც არ შამხვდა მტრის ფერი –
ვარ უბედურის დღისაო.
რად მინდა პატრონტაშები,
თოფას რისთვისა ვზიდაო.
თავს თვითონ მაინც მოვიკლავ,
სიცოცხლე რადღა მინდაო.
სისხლი მწყურია მტრებისა,
თან ხორცის ჭამა მინდაო.
მკლავს ჯავრი ჩემი მტრებისა,
ველარამ დამამშვიდაო.
შავსტირე მთებსა მაღლებსა,
წინ ცრემლის გუბე მიდგაო.
დავსწვები, ვერ დავიძინებ,
შიგ ნარ-ეკალი მიგაო.

თემურ ძიმისტარიშვილი

მარათონი

●

... მირბოდა ფიდიპიდისი, მირბოდა, უფრო სწორად, ფიდიპიდისის ფეხები მირბოდნენ, ისე, მექანიკურად, თორემ თვითონ ფიდიპიდისი ვერც გრძნობდა საკუთარ ფეხებს. რაც ფეხი აიდგა და სირბილი ისწავლა, ის სულ მირბოდა, მთელი ცხოვრება მირბოდა... მისი სიცოცხლე, მისი პროფესია სირბილი იყო. თითქოს უცნაურიც კია, მაგრამ მას სირბილი უყვარდა, ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებოდა. როცა დარბოდა, თავის თავს უკეთ შეიგრძნობდა და სჯეროდა თავისი თავის... ჯერ კიდევ ყმაწვილს გველმა უკბინა ფეხზე; ხანდაზმულები ამბობდნენ, თუ გადარჩა, ალბათ, ფეხს მაინც დაკარგავსო; მაგრამ იგი სხვების დაუხმარებლად წამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ თავს ძალიან სუსტად გრძნობდა. ოფლი წურწურით სდიოდა, ფეხსაც, თითქოს სხვისიაო, ვერ შეიგრძნობდა. ჯერ ნელი ძუნძული დაიწყო, დაკბენილ ფეხს ძლივს მიათრევდა; შემდეგ ნელ-ნელა აუჩქარა, თან მათარიდან ყურძნის წვენს სვამდა და ასე ირბინა რამდენიმე საათი. შემდეგ მკვდარივით ეძინა მთელი დღე და, რომ გაიღვიძა, სრულიად გამოჯანმრთელებულიყო. ხალხი გაოცებას ვერ მალავდა. უფრო გამოცდილები ამბობდნენ, ალბათ, ბევრი მოძრაობისგან სისხლმა სწრაფად იწყო მის ორგანიზმში მოძრაობა და ორგანიზმიდან მთელი შხამი გამოიდევნაო.

სირბილი კი, იცოცხლე, კარგად იცოდა. მის პროფესიას ერთი ნაკლი ჰქონდა – უბრალოდ, შესაბამის პატივს არ მიაგებდნენ: რამდენი მალემსრბოლი იყო ფიდიპიდისამდე და იქნებოდა მის შემდეგაც, მაგრამ ერთი ლექსი, ერთი სიმღერაც არ დაწერილა მათზე.

აი, ახლაც ჯართან ერთად მარშით გამოვიდა ქალაქიდან. ზედმეტი ულუფა საჭმელი გამოუყვეს, რომ ენერგია ჰქონოდა და საჭიროებისას „ფორმაში“ ყოფილიყო, მაგრამ ფიდიპიდისმა ამაზე უარი თქვა. ვითომ რა, მებრძოლებს თუ შეეძლოთ თავის გაწირვა, მას არ შეეძლო?! სწრაფად სირბილი ხომ მისი ბრძოლა იყო. ჩვეულებრივ, მალემსრბოლს ყოველთვის კარგად კვებავენ, რომ გზაში არ დავარდეს, მაგრამ ეს სხვა შემთხვევა იყო, აქ იგი თავს გამორჩეულად გრძნობდა; რატომაც არა: მთელ ამოდენა ჯარს ერთი მიზანი ჰქონდა – მტერი დაემარცხებინა, მას კი, ერთადერთს, უნდა მიეტანა ეს ამბავი ქალაქისთვის, უმწეო ქალებისა და ბავშვებისთვის.

... ისე, ამაზე უფრო შორ მანძილზეც ურბენია, მაგრამ ეს სხვა იყო. ახლა ის პირველი უნდა მისულიყო და მივიდოდა კიდეც, აუცილებლად მივიდოდა. არა, ლექსს და სიმღერას, ალბათ, არავინ მიუძღვნიდა, მაგრამ აგორაზე მის სახელსაც ახსენებდნენ ძმასთან ერთად, გაკვრით...

ნეტავი, ცოცხალი თუ გადარჩა ძმა! კი, წინა რიგებში მდგომს ისარი მკერდში ნამდვილად მოხვდა, თავისი თვალით დაინახა შორიდან; ისიც დაინახა, როგორ წაიქცა, მაგრამ ხომ შეიძლება ცოცხალი გადარჩენილიყო! ყველაფერი შეიძლება... აი, მასზე კი აუცილებლად შეთხზავენ ოდას. არ არის ღირსი თუ?! ნამდვილი ვაჟკაცია, გმირი! ნეტავი, მის ადგილას იყოს... თუნდაც მკვდარი... მაგრამ არა, მისი ბედი არ ყოფილა ღირსეულად სიკვდილი, მისი ბედი სირბილია... მუდმივი სირბილი, გაუთავებელი სირბილი...

პროზა

ბრძოლაში გმირულად სიკვდილი კი არა, უბრალოდ, ჩხუბისაც კი ეშინია; რაღაც საოცარი სისუსტე იპყრობს, როგორც კი ვინმე შეუბღვერს. მაშინვე ერთი სული აქვს, გაიქცეს! გაიქცეს სადმე შორს, ისე, რომ კაცი ვერ დაეწიოს. არადა, როგორ თქვას, ბრძოლის მეშინიაო, ხომ ჩაქოლავენ, უკეთეს შემთხვევაში – განდევნიან; მის ცოლ-შვილს თავი არ გამოეყოფა ხალხში. არადა, სირბილი, ასე თუ ისე, მაინც საჭირო პროფესიაა და, სხვათა შორის, მატერიალურად არცთუ დაუფასებელი. დროული და, განსაკუთრებით კარგი ამბის მიტანისას, ხშირად კარგი გასამრჯელო მიუღია. ახლაც, ალბათ, მეფე კარგად დაასაჩუქრებს, თუ, რა თქმა უნდა, პირველი მივა; მისვლით კი მივა, აუცილებლად პირველი მივა!

მირბოდა ფიდიპიდისი, მირბოდნენ მისი ფეხები, ისე რომ სიჩქარეს არ ანელებდა; ჯერ დაღლა არ აწუხებდა, არც კი ქოშინებდა.

... მაგრამ მარტო მას ხომ არ ეშინოდა. აი, თუნდაც მისი მეზობელი, იონიკე. ნახევარ ტალანტს დაპირდა ვერცხლით, ნაღდი ვერცხლით, ამბის დროულად მიტანისთვის. თან, სულ ერთია, მოგების თუ წაგებისას. ალბათ, უფრო ბრძოლის წაგებას გულისხმობდა, როცა ნახევარ ტალანტს ჰპირდებოდა, რადგან დამარცხების შემთხვევაში ფიდიპიდისს ხომ შეეძლო ქალაქში სულაც აღარ მობრუნებულიყო და სადმე გადაკარგულიყო. მართალია, გზას გაიგრძელებდა, სანამ მოუსავლეთში გადაიკარგებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, აღებული ფულით შორს მოახერხებდა გაქცევას, იქნებ, ცოლ-შვილიც წაეყვანა. იონიკესაც ერთი სული აქვს, რომ სადმე გაიქცეს, გადაიკარგოს, გადაიმალოს. იმასაც ხალხის რომ არ ეშინოდეს, აქამდე კაი ხნის გაქცეული იქნებოდა; როგორც კი მტრის მოახლოების ამბავი გახდა ცნობილი, მაშინვე მიატოვებდა იმოდენა ცხვარ-ძროხას, მთელ თავის ქონებას, რასაც ზიდავდა, თან წაიღებდა და გაიხანგრძლივებდა თავის უბადრუკ არსებობას. ახლა კი ნამდვილი, პატიოსანი, ვაჟკაცი ვეტერანის როლს თამაშობდა: – თუ მაცნეს ზეთისხილის ტოტით ხელში დაინახავს, ისეთ უდარდელ სახეს მიიღებს, თითქოს დამარცხების შემთხვევაშიც ასევე უდარდელად შეხვდებოდა სიკვდილს, ხოლო, თუ ხელცარიელს დაინახავდა, მისთვის აღარავის ეცლებოდა და ისიც მოუსვამდა, უკანმოუხედავად მოუსვამდა, ოღონდ გადაერჩინა თავისი ბებერი, უსარგებლო სიცოცხლე. კარგად იცის, რომ მის ასაკში მონადაც არ წაიყვანენ; უბრალოდ, ბავშვების მომვლელადაც აღარ გამოდგება და, საერთოდ, რომ დაატყვეონ, სპარსეთში ვერც ჩააღწევს... მას იონიკე სძულდა, თუმცა არა, ის სიძულვილის ღირსადაც არ მიაჩნდა – უბრალოდ, ეზიზღებოდა. ამბობდნენ, ახალგაზრდობაში იონიკეც ძალიან სწრაფი და გამძლე მორბენალი ყოფილა, ბრძოლაშიც მამაცი იყოო. ერთი ბრძოლისას მარცხენა მკლავში დაუჭრიათ და გონება დაუკარგავს. ფარს ხელი მაინც არ გაუშვა და ისე მოახერხა რამდენიმე დღეში თავისიანებთან დაბრუნება. მაგრამ ამის შემდეგ მარცხენა ხელს ვეღარ ხმარობდა და მანაც, როგორც დამსახურებულმა ვეტერანმა, ჯარში ყოფნა „ვეღარ შეძლო“, საქონელი გაიჩინა, გაამრავლა და მდიდარი კაცი გახდა. ვითომ რა, რომ მოენდომებინა, მარცხენა მკლავის გარეშე ფიდიპიდისივით ვერ ირბენდა? მკლავის სისუსტე სირბილში რას შეუშლიდა. აი, თვითონ რომ მოსვლოდა ასეთი რამ, განა მიატოვებდა სირბილს... მაგრამ არა; იონიკე „გმირი ვეტერანი“ იყო, ფიდიპიდისი კი უბრალო მორბენალი, მალემსრბოლი... მოკვდებოდა ფიდიპიდისი და მისი სახელიც დავიწყებას მიეცემოდა...

მირბოდა ფიდიპიდისი, კვლავ მირბოდნენ მისი ფეხები. წვივებში წვა იგრძნო, მაგრამ ნამდვილ დაღლამდე ჯერ შორს იყო. ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია. ჯერ ნახევარი გზაც არ ჰქონდა გავლილი. პირი გაუშრა, ორიოდე ყლუპი წყალი მოსვა, ისე რომ არც გაჩერებულა.

... ფიდიპიდისი ბოლომდე ვერ მიმხვდარიყო, ამბის შესატყობინებლად კვამლის დანთების ძველი, გამოცდილი წესი რატომ არ გამოიყენა მილტიადესმა – ბრძოლის ველიდან ათენამდე ოციოდე კოცონიც საკმარისი იქნებოდა; მაგრამ, წვიმა რომ წამოსულიყო? – თუ ღმერთები ზურგს შეაქცევდნენ და ბრძოლას წააგებდნენ, მაშინ, ალბათ, ბოლომდე გაწირავდნენ და წვიმასაც მოუვლენდნენ. არა, უფრო საიმედო შიკრიკი-მალემსრბოლი იყო. თანაც, ალბათ, უმთავრესი ის იყო, რომ ჯარისკაცებს მისი იმედი არ უნდა ჰქონოდათ – დამარცხებას შინ დარჩენილები დროულად შეიტყობდნენ და თავს გაქცევით უშველიდნენ. ჯარისკაცებს პირად ვაჟკაცობასთან ერთად ოჯახის წევრების დაღუპვის შიშიც უნდა ჰქონოდათ, – ეს მათ შემართებას და ბრძოლისუნარიანობას აათმაგებდა.

ისე, დამარცხების შეტყობინება თუ არ სურდა მეფეს, მალემსრბოლი რაღა საჭირო იყო, მაგრამ მთავარსარდალიც ხომ ადამიანია, მასაც ხომ აქვს თავისი სისუსტეები. ალბათ, უნდოდა, გამარჯვების ამბავი ადრევე შეეტყო ხალხს, რომ შემდეგ მას ჯართან ერთად სათანადო პატივით შეხვედროდნენ.

აი, ახლაც ფიდიპიდისს მარტო ჯილდოსი და პირველობის სურვილი კი არ აწუხებდა. უბრალოდ, რომ წარმოიდგენდა მისი პირით ხალხთან რა სიხარული უნდა მისულიყო, ეს ამბავი ძალას უორკეცებდა.

ამდენი ფიქრისგან ფიდიპიდისს თავში აზრები სულ აერია. მისი საქმე ფიქრი არ იყო. ერთხელ ძმამ უთხრა: შენი საქმე ფიქრი არ არის, ფიქრის ტვინი შენ ვინ მოგცა, შენ ტვინი ფეხებში გაქვსო. ალბათ, მართალი იყო, ამას რომ ამბობდა. მისი საქმე სირბილი იყო, მაგრამ ფიქრი მაინც უყვარდა; მისი ფიქრები მარტივი იყო, ისინი, უბრალოდ, გზის

სირთულეს ავიწყებდა და დისტანციას უმოკლებდა.

ამ ომში მალემსრბოლებად ის და თეოპულოსი იყვნენ დანიშნული. თეოპულოსი, მართალია, მასზე ცოტა ახალგაზრდა იყო, მაგრამ გამოცდილება არც მას აკლდა და ფიდიპიდისისთვის საშიშ მეტოქეს წარმოადგენდა. გამარჯვებით აღფრთოვანებულმა მთავარსარდალმა უკანასკნელ მომენტში მათ ჯერ მთლად ყმაწვილი არიანეც დაამატა. მართალია, არიანე ძალიან სწრაფი, ღონიერი ახალგაზრდა იყო, მაგრამ გამოცდილება აკლდა და დიდ დისტანციაზე ფიდიპიდისისთვის საშიშ მეტოქეს არ წარმოადგენდა. ამხელა დისტანციაზე ის ვერც საკუთარ ძალებს გაანაწილებდა სწორად და ვერც რელიეფის სირთულეს გაითვალისწინებდა. თვით მილტიადესი ფიდიპიდისისადმი კეთილად იყო განწყობილი, აფასებდა და სჯეროდა მისი. არ არის გამორიცხული, რომ მასთან ერთად თეოპულოსი და არიანე იმიტომ დანიშნა მახარობლებად, რომ ფიდიპიდისს მათთვის ეჯობნა და ხალხის თვალში სხვებისგან ამით გამოერჩია.

არიანე, როგორც მოსალოდნელი იყო, თავიდანვე წინ გაიჭრა და მალე თვალს მიეფარა. ნელ-ნელა თეოპულოსმაც უკან მოიტოვა ფიდიპიდისი, მაგრამ ისე, რომ გზის სწორ მონაკვეთებზე მისი ზურგის დანახვა მაინც იყო შესაძლებელი. ფიდიპიდისი განსაკუთრებით არ ჩქარობდა. მთავარი იყო, ძალები სწორად გაენაწილებინა, ისე, რომ დასასვენებლად შეჩერება არ დასჭირვებოდა, თორემ, გახურებულ ფეხებს ერთხელ თუ გააჩერებდა, მერე კაი ხანს ველარ დაიძროდა ადგილიდან. ადრე ფიდიპიდისი ამ გზაზე ნამყოფი იყო, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით. მაშინ ისეთი საჩქარო ამბავი არ ჰქონდა მისატანი. ათენიდან რომ გამოვიდა, გზად ერთი შეხედვით არცთუ ისე დიდი შემაღლება შეხვდა, მაგრამ, როცა ეს „შემაღლება“ გადაირბინა, ისე დაიღალა, რომ მიხვდა, შემაღლება კი არა, საკმაოდ მოზრდილი მთა ყოფილა. მაშინ ძალების აღსადგენად კაი ხანს მოუწია დასვენება, ისე, რომ, თუ მანამდე მზე ზენიტში იყო, როცა გზის გაგრძელება შეძლო, მზე უკვე ზურგში აჭერდა.

მეორე გზაც იყო, უფრო სწორად, გზა კი არა, ბილიკი, მაგრამ მალემსრბოლისთვის ეს გზა გაუვალად ითვლებოდა. იგი გაცილებით მოკლე იყო და სწორი, თითქმის ათი სტადიონით ამოკლებდა დისტანციას. ეს გზა მარმარილოს კარიერზე გადიოდა. ამ გზაზე მოქალაქეებისთვის სიარული აკრძალული იყო, მაგრამ ახლა, სპარსელების შემოსევის მოსალოდნელი საშიშროების გამო, კარიერზე სიცოცხლე ჩამკვდარიყო, – იქ აღარც ჯარისკაცები იყვნენ და არც ყარაულები. სინამდვილეში, ის გზად არც კი ჩაითვლებოდა. უბრალოდ, მარმარილოს ნგრევისგან მთა ნელ-ნელა ჩაიჭრა, ჩაიჭრა და მასში უღელტეხილივით ვიწრო გასასვლელი გაჩნდა. ფიდიპიდისს ახსოვს, ამ კარიერზე გამოაგზავნეს ამბის მოსატანად, როცა ცნობილი ორატორი, ჰეფესტიონი გარდაიცვალა. მთავარი გზიდან როგორც კი გადმოუხვია, გზაზე შიგადაშიგ მარმარილოს ნაფხვენები და ნატეხები ეყარა და მათ გვერდს უქცევდა. შემდეგ ამ ნამსხვრევებმა იმატა და იმატა. ისინი ფეხისგულებში ერჭობოდა და აუტანელ ტკივილს აყენებდა. ნელ-ნელა სირბილიდან სიარულზე გადავიდა, მაგრამ მალე მალემსრბოლის მსუბუქი ხამლები მთლად შემოეფლითა და აუტანელი ტკივილისგან ადგილზე ჩაიკეცა. მაშინ ერთმა ღვთისნიერმა ქვისმთლელმა წყლით ჩამობანა ფეხისგულები, კარიერის მუშების ხის საბოები მიუტანა საიდანღაც და, როგორც იქნა, ძლივსძლივობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწია კარიერის უფროსამდე.

ახლა საინტერესო იყო, არიანე და თეოპულოსი რომელ გზას აირჩევდნენ – უფრო გრძელს, მთაზე გამავალს, თუ უფრო მოკლეს, მაგრამ წვეტიანი მარმარილოს ნატეხებით მოფენილს. წამოსვლისას ფიდიპიდისმა ყურადღება მიაქცია, რომ არც არიანეს და არც თეოპულოსს წელზე შემოხვეული ტილოს ნაჭრის გარდა არაფერი ჰქონდათ თან. ჰო, მართლა, წელზე შემოკრულ თოკზე ჩამოკიდებულ პატარა წყლიან მათარას თუ არ ჩავთვლით, პირის გასასველებლად რომ სჭირდება ყოველ შიკრიკს. ფიდიპიდისს კი ზურგზე პატარა აბგა ჰქონდა მოგდებული, ყველა მალემსრბოლისთვის ზედმეტი ტვირთი, თვით ფიდიპიდისისთვის კი გამარჯვების ერთ-ერთი იმედი და საწინდარი.

წინ აღარც არიანე ჩანდა და აღარც თეოპულოსი.

იგი კარიერის ხეობას მიუახლოვდა. ამ მხრიდან მარმარილოს არ ეზიდებოდნენ, ამიტომ მარმარილოს ნატეხებით მოფენილი ადგილიც უეცრად იწყებოდა. ფიდიპიდისი მიწაზე ჩამოჯდა. აბგიდან სპეციალურად ამ შემთხვევისთვის თავისივე გაკეთებული ხის საბოები ამოიღო, რომლებიც ჩვეულებრივი, ქვისმთლელთა საბოებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ შეძლებისდაგვარად მსუბუქი იყო და, გარდა ამისა, თასმებით შეიძლებოდა მისი წვივებზე დამაგრება. შემდეგ თავისი მსუბუქი ხამლები აბგაში ჩააწყო და სწრაფი ძუნძულით გაუყვა მარმარილოს ნატეხებით მოფენილ ოღროჩოღრო გზას.

ცოტა ხანში თეთრ მარმარილოზე მოწითალო ლაქები შენიშნა. ფიდიპიდისს ფეხები დაუმძიმდა. წვას ახლა უკვე ბარძაყებში გრძნობდა. მარმარილოს დიდ ნატეხებზე ფეხი ხშირად უბრუნდებოდა, რაც დამატებით, კოჭებში ტკივილსაც იწვევდა.

თეთრ ფონზე წითელმა ლაქებმა თანდათან მოიმატა, რომელიც ნელ-ნელა წითელ ზოლში გადაიზარდა. ცოტა ხანში მიწაზე გართხმული არიანე გამოჩნდა, რომელიც ოფლში გაწუწული და სისხლში ამოთხვრილი ძირს ეგდო და სახეზე აუტანელი ტკივილი ეხატა. მან ტკივილისგან დაჯღანული, მაგრამ გაოცებული სახით შეხედა ფიდიპიდისს, შემდეგ მზერა მის ფეხებზე გადაიტანა და... ფიდიპიდისს

მისი გაოცებული სახეღა დაამახსოვრდა ხის საბოე-ბის დანახვაზე. რას იზამ, ეს პირზე რძეშეუმშრალი, თავის თავში დაჯერებული ღლაპი როგორ აჯობებდა გამოცდილ ფიდიპიდისს. იგი არიანეს წინაშე თავს დამნაშავედ არ გრძნობდა. აკი მილტიადესმაც სპარსელების ჯარს ბრძოლა მათთვის უხერხულ ადგილას და დროს შესთავაზა, სანამ ისინი მთელი ჯარის ნაწილების გაშლას მოახერხებდნენ. თანაც, ჯარის გაყოფა ორად მოუხდათ: მაშინ, როცა, მგზავრობით დაქანცული ჯარის ერთი ნაწილი ათენისკენ მიდიოდა მარშით, იგი გემებიდან ახალ გადმომსხარ ჯარის ნაწილს დაუპირისპირდა და ბრძოლის სასწორი თავის მხარეზე გადაწონა. ეს ხომ ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა იყო. ფიდიპიდისის ბრძოლის მიზანი კი ამ დისტანციაზე გამარჯვება იყო და მასაც, როგორც შეეძლო, ისე უნდა გამოეყენებინა თავისი „სტრატეგია“ და „ტაქტიკა“.

ფიდიპიდისმა ტემპს კიდევ უფრო მოუმატა. ეს დაწყევლილი მარმარილოს კარიერი კი არ თავდებოდა. სტადიონზე ნაკლები ჰქონდა დარჩენილი, ფიდიპიდისმა რომ შეამჩნია, უფრო სწორად, გრძნობადაკარგული ფეხისგულებით მაინც შეიგრძნო, რომ საბოებს ძირები დაუსკდა და მალე სულ მთლად დაიშლებოდა. ეს კატასტროფის ტოლფასი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, გაჩერების შემთხვევაში გზის გაგრძელება გაუჭირდებოდა, მაინც უეცრად ადგილზე გაქვავდა. რამეს თუ არ მოიფიქრებდა, ფეხშიშველა აქედან ვერ გააღწევდა. მან წელზე შემოხვეული ტუნიკა გაიხადა, მთლად დედიშობილა დარჩა. მათარიდან ორიოდე ყლუპი წყალი მოსვა, დანარჩენი თავ-კისერზე დაისხა და იქვე მიაგდო. შემდეგ ტუნიკა ორად გახია, წელზე შემოხვეული თოკიც მარმარილოს ნატეხებით ორად გაწყვიტა; ტუნიკის ნახევები საბოიან ფეხებზე მჭიდროდ შემოიხვია და თოკებით დაიმაგრა. ფეხები კიდევ უფრო დაუმძიმდა, შეჩერების შემდეგ სუნთქვის აღდგენაც გაუჭირდა და რის ვაი-ვაგლახით განაგრძო გზა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე, თვალებში ეღვრებოდა და მხედველობას უშლიდა. დაბჩენილი პირით სუნთქავდა.

როგორც იქნა, გააღწია კარიერიდან. იცოდა, ცოტა ხანი მარმარილოს ნატეხები და ნაფხვენები კიდევ შეხვდებოდა, ამიტომ საბოებს ფეხიდან არ იცილებდა, არადა, ყოველი ნაბიჯი ენერგიის უდიდეს დაძაბვას მოითხოვდა. ბოლოს, როგორც იქნა, მთავარ გზაზე გავიდა. გაჩერდა.

თეოპულოსი არც მთაზე ჩანდა და არც წინ. გამორიცხული იყო, რომ ასე გაესწრო. ე. ი. მისმა ტაქტიკამ გაამართლა და იგი პირველი იყო. ახლა მხოლოდ მიზნამდე მიღწევა იყო საჭირო. ალბათ, ვერც კი ააღწია თეოპულოსმა მთის წვერამდე ანდა სადმე ჩამოჯდა და ისვენებდა, ეს დასვენება კი, ფიდიპიდისს გამოცდილი ჰქონდა, ხანმოკლე ვერ იქნებოდა. აკანკალებული ხელით ძლივს მოიცილა შემოხვეული თოკები და ფეხშიშველა დარჩა. ამის შემდეგ უკვე რბილი, თიხიანი გზა იყო დარჩენილი. სულ მთლად დედიშობილა ფიდიპიდისმა შეძლებისდაგვარად აუჩქარა ნაბიჯს და ძუნძულით გაემართა ათენისკენ. შორიდან ქალაქის დანახვამ ძალა შემატა და სირბილის ტემპსაც მოუმატა.

უცებ გაახსენდა, რომ, როცა თოკებით ტუნიკის ნახევებს იმაგრებდა ფეხებზე, გამარჯვების მომასწავებელი ზეთისხილის რტო იქვე მიაგდო. მით უკეთესი; იონიკე ზეთისხილის ტოტის გარეშე რომ დაინახავს ფიდიპიდისს, იფიქრებს ბრძოლა წაგვიგიაო და მის მოსვლას არ დაელოდება, ისე გაიქცევა ქალაქიდან. დაიკარგა მისი ნახევარი ტალანტი ვერცხლი, მაგრამ ფიდიპიდისისთვის ახლა ეს უკვე სულერთი იყო. საჭირო იყო სულ ცოტა ძალდატანება, სულ ცოტაც და, იგი იქნებოდა ბოლო დროის ერთ-ერთ უდიდესი ბრძოლის გამარჯვების მახარობელი. ამის შემდეგ მასაც დააფასებდა ხალხი. ხუმრობა ხომ არ იყო ამხელა დისტანციის შეუჩერებლივ გარბენა. თანაც ორ ისეთ მოწინააღმდეგეს აჯობა, როგორებიც ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე არიანე და გამოცდილი თეოპულოსი იყვნენ.

ფიდიპიდისმა ნაბიჯს კიდევ უფრო აუჩქარა. ფეხებს საერთოდ ვეღარ გრძნობდა, უკანასკნელ ძალებს ხარჯავდა, პირი ხმელეთზე ამოგდებული თევზივით დაელო და ხმაურით ისუნთქავდა ცხელ ჰაერს.

აი უკვე ქალაქის შესასვლელშია. კი, ნამდვილად პირველია. ხალხს სახეზე გამარჯვების სიხარულისა არაფერი ეტყობოდა. გაშტერებული შესცქეროდნენ დედიშობილა, ოფლში გახვითქულ ფიდიპიდისს, ფიდიპიდისი კი თვალზე ბინდგადაკრული ქალაქის ცენტრისკენ, აგორასკენ გარბოდა. თითქოს ხალხში საკუთარი ბავშვებიც დალანდა, მაგრამ შეჩერება არ შეიძლებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწია მოედნამდე, შეჩერდა, ძალ-ღონე მოიკრიბა და უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად ამოიხრიალა:

„ჩვენ გავიმარჯვეთ“!

●

ეთიოპელმა მარათონელმა მორბენალმა, აბებე ბიკილამ, 1960 წელს რომის ოლიმპიადაზე ფეხშიშველმა გაირბინა მთელი დისტანცია და ოლიმპიური ოქრო მოიპოვა.

ზუსტად ოთხი წლის შემდეგ, ტოკიოს ოლიმპიადაზე (სხვათა შორის, მონაწილეობის მიღებას არც კი აპირებდა, რადგან ორმოცი დღით ადრე აპენდიციტის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული) მან მეორე ოლიმპიური ოქრო მოიპოვა ამავე დისტანციაზე და კიდევ ერთხელ დაამტკიცა თუ რაოდენ ამოუწურავია ადამიანის შესაძლებლობანი, როდესაც ის მთელი თავისი რწმენით ებმება ბრძოლაში სანუკვარი მიზნის მისაღწევად.

ელიარდ ოგნიანვა

შენს იქით...

ჩვენ ვხუჭავთ თვალებს – ფართოდ გახელილს –
რადგან მუდმივად სიყალბის გვჯერა,
და ვიწერთ პირჯვარს შენი სახელით,
თუმც ალსარებაც არ გვითქვამს ჯერაც...

ისევ წამიერ ვნებებს ვუგალობთ,
თრობამდე ვტკბებით ნაჩუქარ ნიჭით
და მაშინ გეძებთ, ჩვენო უფალო,
როდესაც მართლა ძალიან გვიჭირს.

და ვანთებთ სანთლებს შენს წმინდა ხატთან,
რომ ჩავეჭიდოთ დაკარგულ იმედს
და, თუ ოდესმე არ გაგვიმართლა,
აუცილებლად ვაბრალებთ ვინმეს...

არ ვიცით, მაგრამ შენიც არ გვესმის
და სულის სარკმელს ვაფარებთ ფარდებს;
და, როცა ჩვენს თავს ვუმზერთ სარკეში,
ვბრაზობთ და სარკეს სიმწრისგან ვამტვრევთ...

თან მუდამ გვიკვირს, არსთა განმრიგევ,
რა მოთმინების უნარით გვისმენ,
რადგან სხვებს ჭკუას როგორც ვარიგებთ,
ჩვენ ხომ არასდროს არ ვცხოვრობთ ისე.

და ვხვდებით, როცა დღეებს დარჩენილს
აკანკალებულ თითებზე ვითვლით,
არ არის სხვა გზა და სხვა საშველი
შენს იქით, შენი ნათელის იქით...

ვიდრე შენ

ერთი იმედიც არ დარჩა არსად
და დაცვარულ შუბლს ხშირად ვიმშრალებ;
შენც გაყრიან და ჩემს მომავალსაც
ფართო ნიჩბებით მიწის სიშავეს.

და ყოველივეს განიცდის მზერა,
ათას ბრჭყვიალა ცრემლში მცურავი.
შინ მიდის ხალხი, უკლებლივ ყველას
თავის დარდი აქვს და საზრუნავი.

იქცა ჩემი მზე ნაცრისფერ ლაქად,
გახშირდა სულში ფოთოლთა ცვენა.
უშენოდ მართლა არ ვიცი, რა ვქნა,
როგორ გავუძლო დარდს ამოდენას.

ვდგავარ და ვფიქრობ (და ამ თვის ბოლო
ცივ და წვიმიან ქარით ერთობა)
და ვხვდები, ჩემს თავს რომ უფრო ვგლოვობ,
ვიდრე შენ, ჩემო ერთადერთობავ...

•

ვკოცნიდი ვნების სხვა გამძაფრებით
შენი თმებიდან ავარდნილ სურნელს,
კისერს, მოქსოვილს ცისფერ ძაფებით,
თვალებს – ლურჯსა და საყვარლად სულელს.

და ვაგროვებდით წუთებს დარჩენილს,
თუმც ტელეფონში ჟინიან ნებით,
მახსოვს მუსიკა გია ყანჩელის
კინოფილმიდან „ცისფერი მთები...“

და უცებ სევდა გაჩნდა ტუჩებთან,
აცეკვდნენ შუბლზე წვეთები ოფლის,
რეკავდა, ვისაც ჰქონდა უფლება,
შენი ძებნისა და შენთან ყოფნის.

სხვა გზა არ იყო, უნდა გამეშვი,
ეძებდი ქოშებს, ყელსაბამს, ჩანთას,
გული კი... გული იმ სიჩქარეში,
როგორც ყოველთვის, კვლავ ჩემთან დაგრჩა...

ცისკარი

დარდად გამყვები

უჩემოდ ყოფნას ბავშვივით გიშლი
წარმოუდგენლად მკაცრი იერით,
რადგან მკლავს შენი დაკარგვის შიში,
მგონი, ყოველგვარ შიშზე ძლიერი
და, რადგან გული სხვაგვარად უცემს
დროს და სიხარულს გვჩუქნის არც იმდენს,
ველარ ვისვენებ, ვაითუ უცებ
მარტო მყოფს ჩემი შველა დაგჭირდეს.
შენ ხომ ჩემს სახელს, სისხლიან ჩვრებით
ამ ცხოვრებიდან თითქმის ამოშლილს,
ძილშიც ბუტბუტებ და მეც აქ ვრჩები,
თორემ რა მინდა იმ სამყაროში,
სადაც სიმართლეს ქვა-ლოდი ადევს
და ქვეყნის დარდი ცეკვა-თამაშით
დულს თავბრუდამხვევ ვნებების ალზე.
მილიონობით თავის ქალაში.
აი, ამიტომ ჯერ ისევ აქ ვარ,
ცხადში თუ სიზმრად გვერდით დაგყვები
შენ – იავნანით ბავშვობადამტკბარს
და სულავსებულს ქართულ ზღაპრებით;
და გეძებს, მუდამ გიჟივით გეძებს:
თვალები, ფიქრი, სუნთქვა, მიმიკა.
მინდა, მოგწყვიტო და მხურვალ მკერდზე
ყაყაჩოსავით ფრთხილად მიგიკრა,
რომ წამით მაინც დამშვიდდეს გული
და დაიწმინდოს თვალი გონების,
თორემ მეც ვიცი, რა ბანალური
იქნება სხვისთვის ეს სტრიქონები;
და მაინც, როცა სიკვდილის ნისლი
მჭიდროდ ამიხვევს თვალს და სასმენელს,
დარდად გამყვები იმ ქვეყნად, ვიცი,
და მკვდარს საფლავშიც არ მომასვენებ...

●

ბოლო დროს ისევ
მინდება გნახო,
მაგრამ როს ვახელ
თვალებს სიზმრიანს,
ხან ისე შორს ხარ, ხან ისე ახლო,
რომ მე სადა ვარ, ვერ გამიგია.

თუმცა, როდესაც
ლექსებს ვწერ შენზე,
მაშინ ნამდვილად
მხიბლავს სიცოცხლე
და ისე მომწონს, რომ მუდამ გეძებ,
რომ შემხვდე, იქნებ არც კი მინდოდეს.

ნუცა დვალიშვილი

სინათლე

„თქვენ მართლა გიყვარით ხატავთ“.

პოლ სეზანი

სინათლე, ვინსენტ!
სამხრეთისკენ აიღეთ გეზი!
პარიზის ჰავა მწირია და, მოგკლავთ შიმშილი.
მზესუმზირები შეანათეთ ვინმე პოლ სეზანს,
დიახ, ასეა, – თქვენ, ნამდვილად, ხატავთ გიჟივით.

კარტოფილებით ვახშმობისას იხრჩოლებს ლამპა,
ფერებს ბარტერით გადაგიცვლით მამილო ტანგი,
ტილო თქვენსავით ცახცახებს და, სიცოცხლე დალპა,
მოდით, რა, ვინსენტ,
შემიღებეთ დილები,
კარგი?

თუმცა სენ-პოლის თავშესაფარს გაუგეთ გემო,
ერთგულ მეგობრად გაიხადეთ ექიმი გაშეც,
ისე... თქვენ ისე აელვარებთ თავთავებს,
„ჩემო!“ –
მინდა გითხრათ და,
თქვენს ყანებში მზისგულზე გავშრე,

რადგან წვიმები...
წვიმებია მუდმივი, რუხი...
თქვენს იაპონურ ოცნებაში ციმციმებს არლი.
კვიპაროსები.
ვარსკვლავები.

სახლები.
ქუხილს
მე ველარ ვუძლებ, –
ჭრილობაზე მაყრიან მარილს

მლაშე ცრემლები.
გაყიდული ერთი ნახატი.
ავტოპორტრეტი გოგენისთვის, ან ჩალის ქუდით,
ფერი – სიგიჟე, სნეულება, როგორც სახადი,
თვითმკვლელობამდე,
იმის მერე,
მუდმივად,
თუნდაც

ყვითელ სახლებში მარტოობამ გაიდგას ფეხი,
ჩვენ მიგვიყვანენ ფინიშამდე ჩვენი ომები.
შუაგულ მზეში დასასრული ყველაფრის, ერთხელ.
პურის ყანები, –
სიკვდილივით შავი ყორნებით.

სინათლე, ვინსენტ!
სამხრეთისკენ აიღეთ გეზი!

საით, ანდრია?

საით წამოვიდე, ანდრია, საითკენ?
ჩემთვის ხომ მუდმივად ადრეა ცოლობა.
რაღაცას წუწუნებ, რომ წლები გავიდნენ.
წავიდნენ, ანდრია... და შენთვის, მხოლოდღა.

ჩემთვის კი ადგომა ადრეა, ანდრია,
როცა შენ იღვიძებ და ჩაის არომატს
უჩემოდ უსინჯავ, და ცაზე ანთია
მთვარე-გუშინდელი, და მზეც კი ამოვა

უჩემო დღეზე, და შენ უძლებ განწყობას.
ასეა, ანდრია! მე მკლავენ ალები,
რომ რაღაც გეგმების მიხდება დაწყობა
და მუდმივ მოლოდინს ვაცეცებ თვალებით.

საით წამოვიდე? შენს სახლში მუდმივად
სრული წესრიგით რომ მაგიჟებს ქაოსი?!
საწოლის კიდეზე დავჯდები უნდილად
და ასე მოვიწყენ... ანდრია, სალოსი

შენ არ ხარ! რად მყვედრი, რომ წლები გარბიან?
ჩემთან სულ ქარია და ღამეც ადრეა.
რაც არის, ეს არის, – და მაინც ნაღდია!
საით წამოვიდე, საითკენ, ანდრია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკეცე

დაკეცე სიტყვა,
აზრი,
განსჯა,
ფრთები დაკეცე!
და რომ დაშვება მტკივნეული უფრო არ იყოს,
წყლისკენ, ზღვებისკენ გაიჭერი, ასე თავკერძა,
ნაპირზე მთვარის მოქცევამ რომ მაინც გაგრიყოს.

წყალმა წაიღოს ნათესებიც,
წყალმა წაიღოს!
გარეცხოს წვიმამ დაყვლეფილი ლოცვისას მუხლი,
რაც კარი იყო გასაღები – უკვე გაიღო
და ალიონის ნატერფალებს აბიჯებს მწუხრი.

ყოჩივარდების აფეთქებებს უნდა გაექცე,
შორიდან, როგორც მოკვეთილმა, უნდა უცქირო,
ღამით ტკივილით დაკრუნჩხული ევნო სარეცელს,
დილა ტყუილით გაათენო...
ასე, უბირი,

თვალებდათხრილი,
დასისხლული
მიხოხდე ზღურბლთან,
სადაც ცის კარი მთავრდება და მზე არის ნედლი.
დახურე პირი!
სუნთქვაც გიჭირს,
და ასე მუქთა
დაგრჩა ღმერთების საჩუქარი –
ცა – ოთხი კედლით.

დაკეცე ფრთები...

მანანა წერეთელი

ნუ მეტყვი...

ნუ მეტყვი, შენში მოკვდა პოეტი,
ალარ გემჩნევა ფერი გვირილის,
ნუ მეტყვი, რომ სულს ალარ ათრთოლებს
იისფერი და ირმის ყვირილი.
ნუ მეტყვი, ნისლებს ველარ ავყვები,
მთების კალთებზე დამწყდა ფესვები,
რომ თითქოს სხვათა კართან ჩამოსხდნენ,
როგორც ხიზნები, ჩემი ლექსები...
ნუ შეგაშფოთებს ჩემი დუმილი,
ოლიმპოს დუმილს რას შეადარებ,
მე ჩემი წილი მაქვს ცა – ნაწვიმი,
მაქვს ჩემი წილი მზეც და სამარეც.
ნუ მეტყვი, თითქოს გამიწყრა მუზა
და არ მთავაზობს კვლავ ფერებს ულევს;
წინ მიზის ბავშვი – ლამაზი ლექსი,
რომელსაც გავზრდი და მიერთგულებს...

•

თვალებში შენი მზერის ლანდია,
სადღაც გალობენ გალობას ბოლოს,
ამ ჩემს გაზაფხულს რაც დამართნია,
მგრძნობელი შენ ხარ მხოლოდ და მხოლოდ.

ჩემი სამზერი შენთან მთავრდება,
ჩემი სიჩუმე ქუხილებს მეტობს.
ამ გულში ცეცხლი რისგან ანთია,
შენ უწყი მხოლოდ, მაღალო ღმერთო!

მე მოვალ...

მე მოვალ შენთან...
და მოგიტან ჩემს უთქმელ ფიქრებს,
ჩემს საფიქრალზე,
ჩემს ფიქრებზე შენც ფიქრობ, იქნებ...
მე სიყვარულის ელდად მოვალ
აპრილის თვეში,
თვალში ღიმილით და დაკვირტულ
რტოებით ხელში.
შევაწრიალებ შენს გარინდულ
ცხოვრებას წამში
და შენ ღმერთივით უკვდავქმნილი
გახდები მაშინ...

•

ქარი წრიალებს ჩემს ახლომახლო,
ვიღაცა კვდება მუსიკის ხმაში,
მე არაფერი არ შემრჩა ქვეყნად,
შენ რომ დაგკარგე, დავმთავრდი მაშინ.
ქარი, ო, ქარი შეიჭრა სულში
და ველურ ხმებით ნერვებს მიწეწავს,
მე ოაზისებს ვერ ვპოვებ, ალბათ,
ჩემთვის უდაბნოს გზები იწყება...
ქარი შემომრჩა ცის ნამის ნაცვლად,
ფიქრები დამრჩა გრიგალთა ხმაში.
მე შევეფარე დამლუპველ ნისლებს
და, რომ დაგკარგე, დავმთავრდი მაშინ...



ჯემალ ქირია

მარიამის ზღაპრები

ცხვირი

ოთხი წლის მარიამს ცხრა საათზე დედა ლოგინში აწვენს და მკაცრად ეუბნება:

– დაიძინე, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!

ვერაფერსაც ვერ უზამს! მარიამს თვალები დაჭყეტილი აქვს, რათა ძილი მართლაც არ წამოეპაროს და სიზმარეთში არ წაიყვანოს. სიზმარი ან მოვა, ან არა, ეს დღე კი წავა, ხვალ სულ სხვა დღე იქნება და მარიამს არ სურს ამ დღის გაშვება. იქ, დიდ დარბაზში, უფროსები სულაც არ აპირებენ დაძინებას. ისინი ტელევიზორს უყურებენ, საუბრობენ, ჩაის მიირთმევენ...

– კარი არ დაკეტო, მეშინია! – ეუბნება დედას. სინამდვილეში არაფრისაც არ ეშინია – უნდა, დიდების კინოს უყუროს, დიდების კონცერტსა და ჭორაობას მოუსმინოს.

– შუქი არ ჩააქრო, მეშინია!

ეშმაკობს, სინათლე იმიტომ უნდა, რომ ძილს უფრთხობს მასაც და მის სათამაშოებსაც, კედლის გასწვრივ რომ ჩამწკრივებულან.

– აბა, აბა, ნუ მაბრაზებ! – უწყრება დედა.

მარიამი გასუსული წევს, მერე ხმადაბლა მიხმობს:

– ბაბუ, ბაბუ!

მის ქათქათა, თეთრ საწოლთან ქათქათა, თეთრი საბავშვო სავარძელი დგას, შიგ ძლივსა ვჯდები, სახე სახესთან მიმაქვს და ხმადაბლა ვეკითხები:

– რატომ არ გძინავს?

– მომიყევი ზღაპარი! – მეხვეწება.

არ ვიცი, რა მოვუყვე. რაც წიგნებში წერია, მარიამმა უკვე იცის, იმიტომ, რომ წიგნის ზღაპრები მულტფილმებად ქცეულან და მარიამმა ისინი ბევრჯერ ნახა. თუ ნაცნობ ზღაპარს მოუყვები, წამდაუწუმ გაწყვეტინებს, გისწორებს, ასე კი არა, ისე იყოვო, ეს და ეს რატომ გამოტოვეო.

მარიამის ოთახში კუთხის ტელევიზორი დგას, მასში მხოლოდ მულტფილმები და ზღაპრები ცხოვრობენ. კედლის გასწვრივ უამრავი თოჯინაა. მარიამს ზოგი უყვარს, ზოგმა კი თავი მოაბეზრა და ყურადღებასაც არ აქცევს. პატარა კარადაში წიგნებია ჩამწკრივებული. მარიამმა ჯერ კითხვა არ იცის. მის წიგნებში ფურცლების მაგიერ სქელი მუყაოა და უამრავი სასაცილო ნახატია. ზოგიერთ გვერდზე ინგლისური ასოებიც წერია, მაგრამ იმ ასოებისგან შედგენილი სიტყვების ამოკითხვა და ქართულად გადმოთარგმნა მხოლოდ დედიკოს შეუძლია.

– რა გინდა, რომ მოგიყვე? – ვერაფერი მაგონდება, აქეთ-იქით ვიყურები. კედელთან ბურატინო დგას და თვალდაჭყეტილი შემომცქერის. ის ხომ ცნობისმოყვარეა, ყველაფრის გაგება სურს და ცხვირიც იმიტომ დაუგრძელდა.

ჰოდა, მეც ვყვები:

– ბურატინომ ცხვირი რომ დაკარგა, ის თუ იცი? მეტად ცნობისმოყვარე იყო და ცხვირს ყველგან

ყოფდა. ამიტომ ისე დაუგრძელდა და დაუწვრილდა, რომ პატრონს მოძვრა და გაექცა. თურმე ნუ იტყვით, მარიამი ბურატინოზე ცნობისმოყვარეა, უფროსების საუბარიც აინტერესებს, უფროსების კონცერტებიც და უფროსების კინოც, ამიტომაც მარიამის პატარა ცხვირიც გაექცა მარიამს.

გზაზე ორი ცხვირი ერთმანეთს გადაეყარა.

საით გაგიწევიაო, – მარიამის ცხვირმა ჰკითხა.

ახალი ამბების გასაგებად გამოვიქეციო, – უპასუხა ბურატინოს ცხვირმა.

მაშ, მე იქით წავალ, შენ კი აქეთო, – მარიამის ცხვირმა.

ჰოდა, ცხვირებმა პატრონები გაცვალეს. მარიამის პატარა ცხვირი ბურატინოს აღმოაჩნდა, ბურატინოს გრძელზე გრძელი ცხვირი – მარიამს. იმსიგრძეა, თავს უკან თუ არ დავწევ, თვალებსაც ამომთხრის-მეთქი, დავძინე.

მარიამმა ცხვირზე ხელი იტაცა.

– არ მინდა ასეთი ზღაპარი! – ჩაიწუწუნა, კედლისკენ შებრუნდა და თვალები დახუჭა.

თეთრი თაგვი, რომელიც ნამდვილი არ იყო

მარიამი ძილში ატირდა. დედიკო ეფერება, აწყნარებს, მაგრამ მარიამი ვერ იღვიძებს.

დილით ადრე წამოცუნცულდება, საბნის ქვეშ შემომძვრება და ხვეწნას იწყებს:

– ბაბუ, მომიყევი ზღაპარი!

მეზარება თვალის გახელა, თანაც ამ უთენია რა ზღაპარი უნდა გამოვაცხო?

– წუხელ ძილში რატომ იტირე? – ვეკითხები.

– თეთრი თაგვი დამეკარგა!

– რომელი თეთრი თაგვი?

– როგორ არ იცი, ბაბუ, სათამაშო თაგვი რომ მყავს, ლამაზი, ფუმფულა, ბალიშზე მიწევს!

– გაიპარებოდა!

– რანაირად გაიპარებოდა, ის ხომ ნამდვილი არ არის! – გაკვირვებით კითხულობს მარიამი.

– ჰო? – თვალის გახელა მეზარება და, კოჭზე ძაფს რომ ართავენ, ისე ვართავ სახელდახელო ზღაპარს: – მარიამს ჰყავდა თეთრი, ფუმფულა, ლამაზი თაგვი, რომელიც ნამდვილი არ იყო. სოროში კი ცხოვრობდა ნაცრისფერი, დაუბანელი, ულამაზო თაგვი, რომელიც ნამდვილი იყო. გამოიჭყიტა სოროდან თაგვმა, რომელიც ნამდვილი იყო, ერთი დანახვით შეუყვარდა თაგვი, რომელიც ნამდვილი არ იყო. „წამოდი ჩემთან, ერთად ვიცხოვროთ“, – უთხრა თაგვმა, რომელიც ნამდვილი იყო, თაგვს, რომელიც ნამდვილი არ იყო. „ფიჰ! მე თეთრ, ქათქათა ბალიშზე ვცხოვრობ, რა მინდა ბნელ სოროში!“ – ამრეზით გადმოხედა თაგვმა, რომელიც ნამდვილი არ იყო, თაგვს, რომელიც ნამდვილი იყო. არ მოეშვა თაგვი, რომელიც ნამდვილი იყო, თაგვს, რომელიც ნამდვილი არ იყო. მარიამის ბალიშზე ამოცუნცულდა თაგვი, რომელიც ნამდვილი იყო და კუდით დაითრია თაგვი, რომელიც ნამდვილი არ იყო. „მარიამ, მიშველე!“ – კივის თაგვი, რომელიც ნამდვილი არ იყო, ხოლო თაგვი, რომელიც ნამდვილი იყო, სოროსკენ მიათრევს. ოლონდაც სორო ვიწროა, თაგვი, რომელიც ნამდვილი არ იყო, ფუმფულაა და შესასვლელში გაიჭედა. კუდზე ექაჩება თაგვი, რომელიც ნამდვილი იყო, თაგვს, რომელიც ნამდვილი არ იყო. „მიშველეთ!“ – კივის ფუმფულა, თეთრი თაგვი, რომელიც ნამდვილი არ იყო. ამ დროს გამოელვიძა მარიამს, მიირბინა და ხელი სტაცა თაგვს, რომელიც ნამდვილი არ იყო, მაგრამ თაგვი, რომელიც ნამდვილი იყო, არ უშვებს ფუმფულა და გრძელ კუდს. „ტკაც!“– და მოწყდა კიდეც. მარიამმა ბალიშზე დააბრუნა თეთრი თაგვი, რომელიც ნამდვილი არ იყო, მაგრამ ფუმფულა და გრძელი კუდი უკვე არ ჰქონდა; თაგვს კი, რომელიც ნამდვილი იყო, შეყვარებულის კუდიღა შერჩა...

მარიამის კისკისმა მთელი ოჯახი დააღვიძა; ცხადია, მარიამის სათამაშოებიც და მარიამის წიგნებიც, საიდანაც ასოების ამოკითხვა მარიამმა ჯერაც არ იცის.

მარიამის სიყვარულები

მარიამს საახალწლო ზეიმისთვის ამზადებენ. ტანზე ფურფუშელებიანი, თეთრი კაბა ჩააცვეს, თავზე ვერცხლისფრად შეღებილი, ბრჭყვიალა მძივებით შემკული პრინცესას გვირგვინი დაადგეს.

დაბზრიალდა მარიამი სარკესთან, თვითონაც აღფრთოვანდა და წამოიძახა:

– ბათურა რომ დამინახავს, გაგიჟდება!

ბათურა მისი ბოლო მეგობარია.

შარშან სხვა ბაღში დადიოდა მარიამი, მაშინ ის სამი წლისა იყო და იქაც ჰყავდა გამორჩეული მეგობარი – გიორგი.

ერთხელ დედამ ძველ ბაღში წაიყვანა, რაღაც საქმე ჰქონდა და მარიამიც გაიყოლია. გახარებული გოგონა კიბეზე სულ სირბილ-სირბილით ავარდა, თავის ჯგუფში შეირბინა, მაგრამ გიორგი ვერ იპოვა, თავისმა დედიკომ ისიც სხვა ბაღში გადაიყვანაო.

უკანა გზაზე მარიამი ჩუმად მოდიოდა.

დედამ ჰკითხა:

– რა იყო, მარიამ, ცუდად ხომ არა ხარ?

მარიამმა გულზე ხელი მიიდო და უპასუხა:

– მოწყენილობა მტკივა!

აბი-ტირილინი

პატარა ბათურა დილას ტირილით იღვიძებს, შუადღესაც წაუტირებს, საღამოს კი ღნავილს იწყებს. ეკითხებიან, რა იყო, საყვარელო, რა გაწუხებს, რატომ ტირი? ბათურა არ პასუხობს, რადგან თვითონაც არ იცის, რატომ ტირის... ეტირება და რა ქნას?

ერთხელ მამიკომ თქვა, ეს ბავშვი ექიმ-ტირილოლოგს უნდა ვაჩვენოთო.

თქვენ არ იცით, ვინ არის ექიმი-ტირილოლოგი? ეს ექიმი ბაბუებიდან ყველაზე დიდი ბაბუაა და თურმე შეხედავს თუ არა პატარას, დაეჭყანება და ყველაზე მტირალა ბავშვსაც კი გააცინებს.

ჰოდა, მამიკომ და დედიკომ ჩაისვეს ბათურა მანქანაში და წაიყვანეს სახელგანთქმულ ტირილოლოგთან.

ბათურას გული შიშით უკრთოდა, კარგი გემრიელი ღნავილი ქვეყანას ერჩივნა, მაგრამ ვერ ბედავდა.

შევიდნენ ქათქათა, თეთრ კაბინეტში. მაგიდასთან თეთრწვეროსანი ბაბუ იჯდა.

შეხედა ბათურას და მოფერებითა თქვა:

– ეს რა კარგი ბიჭუნა მოგიყვანიათ! აბა, გამიცინე, პატარავ!

ბათურამ თავი დახარა და სლუკუნი წამოსცდა.

– აბა, აბა, ტირილი არ გამაგონო! ხომ იცი, ცრემლებით ეს ლამაზი პირისახე მოგეთხუპნება! – მერე დედიკოს და მამიკოს მიუბრუნდა და უთხრა: – აი, ტირილინის აბები გამოგიწერეთ! როგორც კი სატირლად გაემზადება, ეს მწარეზე მწარე აბი გადააყლაპეთ!

– ბატონო ექიმო-ტირილოლოგო! – მიმართა მამიკომ. – ხანდახან ყველა ბავშვი ტირის, მაგრამ, ბათურა თუ აჯღავლდა, მტრისას...

– როცა უმიზეზოდ აჯღავლდება, გამომიძახეთ და ტაკოზე ტირილინის ნემსს გავუკეთებ!

– მე არ ვიჯღავლებ! – ჩაიჩურჩულა ბათურამ.

ბიჭუნას არც აბის ეშინოდა, არც ნემსისა, მაგრამ ყველაზე დიდი ბაბუასი ეხათრებოდა.

კოკროჭინა და მარიამი

1.

კოკროჭინა წიგნის ფურცლებში ცხოვრობდა და ერთხელაც იქიდან გადმოვარდა. ეს წიგნი კარგა ხანს იდო მარიამის ბებოს კარადაში. თათუ ბებო ცხოვრობდა სოფლის განაპირას, მომცრო, აივნიან სახლში და ზაფხულობით, არდადეგებზე, პატარა მარიამი ბებოს სტუმრობდა. სახლის წინ, ეზოში, დიდი კაკლის ხე იდგა, იმის ქვეშ ეძინა ძაღლ ბუბუს, ირგვლივ დაკუნტრუშებდა თეთრი ბეკეკა რინტუ და ამაყად დააბიჯებდა მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე. აივნის მოაჯირზე გემრიელად ეძინა და ხანდახან იზმორებოდა ფისოებში ყველაზე ზარმაცი ფისო, რომელსაც სხვა სახელი არც ერქვა, ყველანი ფისო-ფისოს ეძახდნენ... ძაღლი ბუბუ ონავარი ბიჭებისგან მამაცურად იცავდა ბებოს ეზო-გარემოს, თეთრი ბეკეკა დაკუნტრუშებდა აქეთ-იქით, მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე კი ამაყად დააბიჯებდა. იგი მეტად საქმიანი მამლაყინწა გახლდათ – დილით მზე ამოჰყავდა, საღამოობით დასაძინებლად უშვებდა, ხოლო ღამღამობით საათებს ასწორებდა. აბა, დროზე რომ არ შემოეძახა თავისი „ყიყლიყო“, ყველა საათი დაიძინებდა და დროც გაჩერდებოდა...

ამ ზაფხულს ბებომ თავად ჩააკითხა ქალაქელებს და ექვსი წლის მარიამი თან გამოიყოლა. ჭიშკარი რომ შემოაღეს, გახარებული ბუბუ ყეფა-წკმუტუნით შემოეგებათ, ბეკეკა რინტუმ კიკინი მორთო, ფისო-ფისომ ტკბილად გაიზმორა და ძილი განაგრძო, ისიდორე ბიბილოძე კი ღობეზე შეფრინდა და იქიდან დასჭექა:

– ყიყლიყო-ო!

– გამარჯობა, ძია ისიდორე! გამარჯობა ბუბუ! – ტაში შემოჰკრა მარიამმა.

– გამარჯობა, პატარავ! – კუდი გააქიცინა ბუბუმ.

– ამისგან გემრიელი ჩახოხბილი გაკეთდება! – თქვა თათუ ბებომ მამლაყინწაზე.

ნურას უკაცრავად! ისიდორე ბიბილოძე მეტად ფრთხილი მამლაყინწა იყო და უმალვე ღობიდან კაკლის კენწეროზე აფრინდა, იქ კი ვერც ჯოხს მიუწვდენდი, ვერც ქვას.

ახლა კი დროა, კოკროჭინას მივუბრუნდეთ! თათუ ბებომ სახლის კარ-ფანჯრები გასანიავებლად დააღო, კარადიდან ძველი წიგნი გამოიღო და მარიამს შეაჩეჩა:

– აჰა, ეზოში ჩადი და, სანამ სადილს გაგიმზადებ, ნახატები დაათვალიერე!

მარიამი კაკლის ჩრდილში, ჭილოფზე ჩამოჯდა და წიგნი გადაშალა. უნდა გითხრათ, რომ გოგონამ ზოგი ასო უკვე იცოდა, ზოგი ჯერაც არა. ამიტომ პირველსავე გვერდზე ასოებს თითი გააყოლა და ამოიკითხა:

– ი-ყ-ო დ-ა ა-რ-ა ი-ყ-ო რ-ა...

ზღაპრების წიგნი ყოფილაო, გაიხარა მარიამმა და დააპირა იმის გაგება, თუ რა იყო და რა არა, მაგრამ ვინ გაცალა!

ორღობეში მეზობელი გოგონები აჩოჩქოლდნენ:

– მარიამ, მარიამ, წამო, ვითამაშოთ!

მარიამმა წიგნი ჭილოფზე დააგდო და ბავშვებს სათამაშოდ გაეკიდა.

ეს წიგნი უბრალო არ გეგონოთ. ძველად მისი ფურცლები დიდმა მეზღაპრეებმა დაასახლეს. ერთგან, უფრო სწორად, მეათე გვერდზე კოკროჭინას ეძინა. ხანდახან გულის გასახალისებლად სიზმარი

ეწვეოდა. ამ სიზმრებში ერთი ზღაპრიდან მეორეში გადაისეირნებდა; ხან თავის ძმაკაც ხუთკუნჭულას ეწვეოდა; კარის ჭუჭრუტანიდან პრინცესას გახედავდა; კუდიანებს თუ გადაეყრებოდა, ეშმაკობით თავს დაიძვრენდა. ზოგ ზღაპარში დევები ბუღრაობდნენ, ზოგში ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპები იგრაგნებოდნენ და კოკროჭინა, ცხადია, თავს შველოდა – უსიზმრო ძილში იმალებოდა. რას ვიზამთ, ჩვენ ხომ ვიცით, რომ წიგნის გმირებს მის ფურცლებში მანამ სძინავთ, სანამ ცნობისმოყვარე მკითხველი გადაშლიდეს. ასეთ დროს კოკროჭინასაც ეღვიძებოდა, ეს რამდენი მძინებიაო, და მკითხველს ფათერაკების საძებრად მიუძღვებოდა.

ამჯერად კაკლის ჩრდილში დაგდებული წიგნი ვის უნდა გადაეშალა? ბუბუმ მხოლოდ დასუნა. ბეკეკა რინტუ განზე გახტა, მას, ცხადია, წიგნისა არაფერი გაეგებოდა. ფისო-ფისომ ცალი თვალი გაახილა და ეგ იყო. ისიდორე ბიბილოძემ შორიდან ეჭვით დახედა და კვლავაც ღობეზე შემოჯდა. უცებ საიდანღაც ნიავმა დაუბერა, კაკლის ფოთლები ააშრიალა, წიგნის ფურცლები ზედიზედ გადააბრუნა. ნიავმა ხომ კითხვა არ იცის, უბერავს და წიგნის ფურცლებს ერთიმეორის მიყოლებით გადაშლის... აჰა, კიდევ ერთი გვერდიც და კოკროჭინა თავისი ლოგინიდან გადმოვარდა...

2.

წიგნიდან გადმოვარდნილი კოკროჭინა რომ დაინახა, ისიდორე ბიბილოძე ძირს ჩამოფრინდა და მისკენ გაქანდა. იქნებ, ხოჭო ეგონა და ყელის ჩაკოკლოზინება მოუნდა ან, იქნებ, მსმენელს ეძებდა, რათა თავისი ჭკვიანური აზრები გაეზიარებინა. ის ხომ დღისითაც და ღამითაც მთელ სოფელს გადაჰყივლებს ხოლმე ამ თავის აზრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც არავინ უსმენს. კოკროჭინამ რომ დაინახა, უზარმაზარი წითელი ურჩხული მოექანებაო, ცხადია, მოცოცხა. სიმართლე რომ გითხრათ, მამლაყინწა სულაც არ იყო უზარმაზარი. რომ დაეკლათ, ჩახოხბილის ერთ ქვაბს თუ შეავსებდა, მაგრამ კოკროჭინა ხომ ასანთის ღერზე ოდნავ დიდი იყო და ამიტომ მოეჩვენა, წითელი ურჩხული მომდევსო. ამასობაში უფრო საშიში და დიდი ურჩხული წინიდან შეეფეთა. თქვენ, ალბათ, ხვდებით, რომ იგი ძაღლი ბუბუ იყო. გამხმარი თონის პური ეშოვნა და იმას ლოღნიდა. მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე რომ გამოიქცა, ბუბუმ იფიქრა, პურის წართმევა უნდაო და ღრენით წამოიმართა:

– რას გამოქანდი, ჰა?!

მამლაყინწამ სწრაფად დაამუხრუჭა და ფრთები დროშებივით ააბათქუნა.

– ეზოში უცხოა! – შესჩხავლა.

– მთლად გაგიფრენია, აი! – დინჯად განაცხადა ბუბუმ, მაგრამ ამასობაში მანაც დაინახა პატარა კოკროჭინა, რომელმაც თათებს შორის შემოირბინა და აქედან მამლაყინწას ასძახა:

– ეი, შენ, წითელო ურჩხულო, არ გამაბრაზო, თორემ კუდით ქვას გასროლინებ!

კოკროჭინა მეტად გულადი ყმაწვილი გახლდათ, თუმცა ხანდახან შიშისგან გულისხეთქებით გარბოდა...

ბუბუმ კეთილმოსურნედ დასუნა და შეეკითხა:

– ასე რამ დაგაპატარავა, შე საბრალო? ალბათ, არაფერსა ჭამ!

– ჰო, მშია!

– დამეწვიე და მიირთვი! – მიიპატიჟა ბუბუმ.

კოკროჭინას ფინჩხიც ჰყოფნიდა, ბუბუ კი დიდრონ ლუკმებს ნთქავდა.

მამლაყინწა შორიდან უყურებდა ამათ ქეიფს, თვითონაც სიამოვნებით აკენკავდა პურის ფინჩხებს, მაგრამ, ვითომ თქვენი არაფერი მინდაო და, წინ და უკან ამაყად დააბოტებდა.

როგორც კი მოლონიერდა, კოკროჭინამ ამოიოხრა:

– რა მეშველება, ხელმწიფე გამიბრაზდება!

თქვენ თუ ზღაპრების წიგნს ჩაათვალიერებთ, აუცილებლად შეგხვდებათ ხელმწიფეც, დედოფალიც, უფლისწულიც, უამრავი პრინცესაც, კუდიანებიც, ნაირ-ნაირი ურჩხულებიც...

წიგნში, საიდანაც კოკროჭინა გადმოვარდა, მთელი ორმოცდამეერთე და მომდევნო რამდენიმე გვერდი ხელმწიფის სასახლეს უჭირავს. იმ სასახლეში ცხოვრობენ თვითონ ხელმწიფე, დედოფალი და უფლისწული (ნაზირ-ვეზირებსა და ფარეშებს არცა ვთვლი!). როცა წიგნის ფურცლები ასე აფრიალდება და ერთბაშად ყველა გვერდი გადაიშლება, მთელი სამეფო იღვიძებს, ყველანი მოეშურებიან ხელმწიფის სასახლისკენ, სადაც ამ ამბის აღსანიშნავად დღესასწაული იმართება. ამ დროს ხელმწიფე და დედოფალი წიგნის ყველა ფურცლიდან პრინცესებს იწვევენ, რათა სარძლო შეარჩიონ. გოგონებში ვინც ყველაზე ლამაზი აღმოჩნდება, უფლისწულზე ის დაინიშნება.

– რასაკვირველია, მტრებსაც არ სძინავთ, ისინიც მოიძურწებიან, იქნებ, რაიმე ვავნოთო! – თქვა კოკროჭინამ – ამიტომ ჩემმა ძმობილმა ხუთკუნჭულამ მენაპირედ დამნიშნა! იქ, სადაც ტყე თავდება და ფართო ველები გადაიშლება, ჩემი სახლი დგას და ვუთვალთვალებ გზას, რათა ბოროტნი არ გამოვატარო, ულამაზეს პრინცესებს კი გზა ვაჩვენო!

– ნუ დარდობ! – ბრძანა ბუბუმ. – შენ თუ ყველაზე ლამაზს ეძებ, ასეთი ჩვენი მარიამია!

– მარიამი ყველაზე ლამაზია! – ჩაიკიკინა ბეკეკამ.

ციკარი

ისიდორე ბიბილოძე უმალ ღობეზე აფრინდა და ორლობეს მიაყივლა:

– მარიამ, მარიამ, გინდა უფლისწულზე გაგათხოვოთ?!

მარიამი ამ დროს მეზობელ გოგონებთან „კლასობანას“ თამაშობდა. მამლაყინწის ყივილი რომ შემოესმა, კისრისტეხით გამოიქცა. აბა, რომელ პატარა გოგონას არ მოუნდება უფლისწულზე გათხოვება?

ეზოში ქარივით შემოვარდა და იკითხა:

– აბა, უფლისწული?

– შეხედე, ძმობილო! – დინჯად მიმართა ბუბუმ კოკროჭინას. – ამასთან შედარებით შენი წიგნის პრინცესები მახინჯებად გამოჩნდებიან!

– კა-კა-კა, ლამაზია, ულამაზესი! – შეჰკაკანა მამლაყინწამაც.

– კი-კი-კი, ლამაზია, ულამაზესი! – შეჰკიკინა ბეკეკამაც.

– ჰო, მაგრამ მე არასოდეს მინახავს ასეთი დაუბანელი პრინცესა! – შეჭოჭმანდა კოკროჭინა.

მართლაცდა, ორლობეში რომ „კლასობანას“ ითამაშებ და მტვერში ამოიგანგლები, ვერავინ გაარჩევს, მზეთუნახავი ხარ თუ ალქაჯი.

მარიამმა ხელსაბანთან მიირბინა, ხელ-პირი საპნით დაიბანა, კბილები გამოიხეხა, თმა კოხტად დაივარცხნა, ლამაზ, ფურფუშელებიან კაბაში გამოეწყო (ბალის ზეიმისთვის რომ უყიდეს), კოხტა ბაჩები მოირგო...

თათუ ბებომ სათვალიდან გამოხედა და ჰკითხა:

– ნეტავ, ასე ვის ეპრანჭები?

მარიამი სარკესთან დაბზრიალდა და სწრაფად უპასუხა:

– ბებია, უფლისწულზე ვთხოვდები!

– ჯერ ისადილე და მერე გათხოვდი! – გაეცინა თათუ ბებოს.

– აღარ მშია! – უპასუხა მარიამმა და, სანამ ბებია გონს მოეგებოდა, გოგონა უკვე ეზოში იყო.

ბუბუ, ისიდორე ბიბილოძე, კოკროჭინა და მარიამი გადაშლილ წიგნში შეცვივდნენ.

ფისო-ფისოს, ცხადია, ძველებურად ეძინა... ბეკეკა რინტუმ კი გაკვირვებით შეჰკიკინა და ღობეზე გადმოსული აკაციის ფოთლებს მისწვდა.

3.

პირველ გვერდზე უზარმაზარი ფერადი ასოები ჩამწკრივებულიყო.

– ა... ე... ი... – მარიამმა სამი ასო ამოიცნო.

– ზღაპ-რე-ბი! – წაიკითხა კოკროჭინამ. ის ხომ წიგნში ცხოვრობდა და კითხვაც შეეძლო.

ძალლი ბუბუ ასოებს შორის დარჩენილ ღიობში გაძვრა-გამოძვრა. ისიდორე ბიბილოძე აფრინდა და „ზ“-ს კენწეროზე დაჯდა, იქიდან „პ“-ს კენწეროზე გადაფრინდა, იქიდან „რ“-ს კენწეროზე, ბოლოს „ბ“-ს კენწეროზე და შეშფოთებით აკრიახდა, რადგან წინ დაბურული ტყე კედელივით წამოიმართა.

ამასობაში მარიამმა, ბეკეკამ და კოკროჭინამაც მოირბინეს, ასოების გასწვრივ ბილიკი რომ მიიკლაკნებოდა, იმით გამოაღწიეს.

უკნიდან თათუ ბებოს ხმა თანდათან სუსტდებოდა:

– მარიამ, შე ახტავჯანავ, სად დამეკარგე?!

დაიკარგები, აბა, რა... ულრან ტყეში!

დიახ, წიგნის მომდევნო გვერდზე დაბინდული ტყე იწყებოდა. ბებერ მუხას, რცხილას, ნეკერჩხალს, რაგინდარას კენწეროები ცაში აეწვდინათ და ფართოდ გაშლილი ტოტები ერთმანეთში გადაეხლართათ. ფოთლებში მზის სხივები ოდნავღა ატანდა და ყვავილებით მოჩითულ ბილიკზე ეფინებოდა.

წინ მარიამი მიიჩქაროდა. ფეხდაფეხ ბუბუ მისდევდა. ბუბუს ზურგზე ისიდორე ბიბილოძე მოკალათებულიყო. მამლაყინწას ზურგზე კი კოკროჭინა იჯდა.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ბილიკზე მელაკუდა გამოცუნცულდა.

– მეგობრებო, სად მიგყავთ ეგ მამალი?

ისიდორე ბიბილოძე აკრიახდა, აქოთქოთდა, ხის ტოტზე შეფრინდა. ხე თურმე ფიჭვი იყო. კოკროჭინამ გირჩები მოწყვიტა და თავში დაუშინა მელაკუდას. მარიამმა ჯოხს დაავლო ხელი და ზურგზე გადაუჭირა. ბუბუ ღრენით წაეტანა და კინაღამ ფუმფულა კუდი მოაგლიჯა.

მელაკუდა ბნელ ტყეში წკავწკავით გაიძურწა.

მეგობრები გამხიარულდნენ. მარიამი მღეროდა, ბუბუ ყეფდა, მამლაყინწა ყიოდა, კოკროჭინამ დაუსტვინა.

ცოტაც და ბილიკზე გაქუცული ტურა გადმოხტა, ატირდა და აკივლდა:

– მშია, მშია, ეს გემრიელი ბეკეკა მაჭამეთ!

მარიამმა თავში ჯოხი უთავაზა, ისიდორე ბიბილოძემ ჩაუნისკარტა, კოკროჭინა ახტა-დახტა, ზურგზე მოექცა და ყურები მოაწიწკნა. გავეშებული ბუბუ რომ წაეტანა, ტურამ ამდენს ვერ გაუძლო და წკავწკავ-ტირილით მოუსვა.

კვლავ ბევრი იარეს თუ ცოტა, უცებ ბუჩქებიდან ზორბა მგელმა გამოყო თავი, თვალები ბოროტად დააბრიალა, ღოჯებიდან წითელი ენა გადმოუვარდა.

– საით გაგიწევიათ, გემრიელო ლუკმებო! – დაიღრიალა ბოროტმა მგელმა.

– ვაიმე, ჩემი შეჭმა უნდა! – დაიკიკინა ბეკეკამ.

– კრიახ-კრიახ-კრიახ! – აკრიახდა ისიდორე ბიბილოძე და კოკროჭინა ფიჭვის ტოტებზე ააფრინა. იმან კი ზევიდან გირჩები დაუშინა მგელს. ოლონდაც ან გირჩები, ან მარიამის ჯოხიც მგელს რას

დააკლებდა, თუ არა ბუბუს სიმამაცე. ძაღლი ბუბუ ისე გამეტებით მიეტანა, მგელი შედრკა და, საიდანაც გამოძვრა, იმ ბუჩქებში გაიძურწა...

– ვაშა და ვაშა მამაც ბუბუს! – ერთხმად შესძახეს მეგობრებმა და გზა განაგრძეს...

– გული კინაღამ გამისკდა, – ჩაიწკმუტუნა ბუბუმ, – მაგრამ მეგობრების დახმარებამ გამამამაცა!

4.

ბევრი იარეს მეგობრებმა თუ ცოტა, ტყისპირას გავიდნენ.

დიდი ხის ჩრდილში პაწაწინა სახლი იდგა. ერთი კიბე ჰქონდა, ერთი აივანი, ერთი ფანჯარა, ერთი კარი და ასანთის კოლოფის ხელა ოთახი. შიგნით პაწაწინა საწოლი იყო, პაწაწინა მაგიდა და პაწაწინა სკამი.

– ეს ჩემი სახლია! – თქვა კოკროჭინამ. – იგი მეათე გვერდზეა და ეს ჩემი მისამართია! როცა წიგნი დაიხურება, მე ამ საწოლში ვიძინებ!

მეგობრებმა, რაკი შიგ ვერ შეეტეოდნენ, სათითაოდ ცალი თვალით ფანჯარაში შეიჭყიტეს – ჯერ მარიამმა, მერე ბუბუმ, მერე ისიდორე ბიბილოძემ...

რასაკვირველია, ყველას მოუნდა ასეთი სახლი, ბუბუს და მამლაყინწას – საცხოვრებლად, მარიამს კი სათამაშოდ.

5.

წინ მინდორი იდო, უფრო შორს გორაკიანი მხარე იწყებოდა. მინდორზე სამი რაღაცა მოიკლაკნებოდა – წითელი, შავი და თეთრი.

– გემრიელი ჭიებია! – აკაკანდა ისიდორე ბიბილოძე და გაქანდა.

მეგობრებმა ერთხმად შეუძახეს – შეჩერდი, შეჩერდიო, მაგრამ მამლაყინწამ მიირბინა და წითელს თავში ჩაუნისკარტა.

ეს ვინ გამიბედაო და აიგრაგნა, მაგრამ რა აიგრაგნა. სამი უზარმაზარი გველეშაპი წამოიმართა და საშინელი პირებიდან სულ ცეცხლი გადმოანთხიეს. ხომ იცით, სამთავიანი გველეშაპი რა საზარელია. ტანი ხვლიკისნაირი აქვს, ოლონდ სპილოსხელა, ჟირაფივით გრძელ კისრებზე ნიანგის თავები აბია – წითელი, თეთრი და შავი.

გულგახეთქილი და დაფუფქული ისიდორე ბიბილოძე უკან გამოიქცა. სხვებიც, ცხადია, დაფრთხნენ. ბუბუს მამაცური ყეფა მგელს, ტურასა და მელაკუდას კი შეაშინებდა, მაგრამ გველეშაპებს, ნურას უკაცრავად, ვერა... ამიტომაც აწკმუტუნდა ჩვენი მამაცი ბუბუ და პირი ტყისკენ იბრუნა, იმას მარიამი და კოკროჭინა მიჰყვნენ, ისიდორე ბიბილოძე კი ყველას ასწრებდა და კრიახ-კრიახით ხის ტოტებში შეფრინდა.

განრისხებულმა სამთავიანმა გველეშაპმა ტყისპირას იბაჯბაჯა, ახლომახლო ხეები ცეცხლით შეტრუსა და, რაკი ვერავინ იპოვა, თავის გზას დაადგა...

6.

ბევრი იარეს თუ ცოტა, სადღაც მეთხუთმეტე გვერდის მიდამოებში, დახეთ, ზედ შუა გზაზე ოთხი დევი დამჯდარა და კენჭაობით ერთობიან. ერთი დევი სამთავიანია, მეორე ორთავიანი, კიდევ ორი თითოთავიანი. ოთხნი იყვნენ, მაგრამ შვიდი თავი კი გამოსდიოდათ.

– ჩემი ძმობილი ხუთკუნჭულა თუ არ მოვიხმე, ამ დევებს გვერდს ვერ ავუქცევთ! – თქვა კოკროჭინამ.

სახელი ახსენა თუ არა, საიდან იყო, საიდან არა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, პატარა გლეხის ბიჭი გამოვარდა.

– სალამი, მენაპირე კოკროჭინა, აგერა ვარ ხუთკუნჭულა!

– გზაზე დევები კენჭაობენ და ვერ გაგვივლია! – შესჩივლა კოკროჭინამ. – ან შენ იღონე რამე, ან მოიხმე ჰარამ-ჰურუმ-გიშერა!

მარიამმა არ იცოდა, ვინ იყო ჰარამ-ჰურუმ-გიშერა. იფიქრა, ალბათ დევებზე ღონიერი, ოლონდ კეთილი ურჩხულიაო. უნდოდა ეკითხა, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან ხუთკუნჭულამ დაიძახა:

– აბა, მიყურეთ!

ახტა-დახტა, პირდაპირ დევებს შორის ჩახტა და კენჭები მოხვეტა.

– არიქა, დაიჭირეთ, ხუთკუნჭულაა! – წამოცვივდნენ დევები.

ხუთკუნჭულა სამთავიანი დევის ფეხებს შორის გაძვრა და მოუსვა.

– დაიჭით, არ გაუშვათ! – ყვიროდნენ დევები და ძუნძულით მისდევდნენ.

გორაკი გადაირბინეს და მათი ხმები მინელდა.

– მართლაც რომ დაიჭირონ? – შეწუხდა მარიამი.

– ბეწვის ხიდზე გადაირბენს და დევები ხახამშრალები დარჩებიან! – აუხსნა კოკროჭინამ. – ჯობს, ავჩქარდეთ, თორემ დევები მობრუნდებიან, ეს მათი ქვეყანაა!

მეგობრებმა ფეხს აუჩქარეს. წინ კვლავ მარიამი მიდიოდა, მერე ბუბუ, ბუბუს ზურგზე ისიდორე ბიბილოძე, მამლაყინწაზე – კოკროჭინა...

7.

გზისპირას უზარმაზარი, ტოტებგაშლილი მუხა იდგა. მუხის ჩრდილში ნახევრად გადაყუნცული ჯარგვალის დირეზე ისეთი დედაბერი იჯდა, იმაზე ბებერი დედამიწაზე არავინ დაიარებოდა.

დედაბერს პირიდან იმსიგრძე კბილი გამოსჩროდა, რომ, თუ ფეხზე იდგა, იმ კბილს ხელჯოხად იყენებდა. ახლაც წამოიწია, კბილს დაეყრდნო და აჩიფჩიფდა:

– მოდით, მოდით, ბებო გენაცვალოთ!

– რა უცნაური ბებიაა! – გაიკვირვა მარიამმა.

ბუბუმ კუდი გააქიცინა და დაიწკმუტუნა, – არ იცოდა, შეეტია თუ არა.

– ახლოს არ მიხვიდეთ! – დაიძახა კოკროჭინამ. – ეს ცალკბილა ჯადოქარია, ბადით დაგვიჭერს და ქვაბში მოგვხარშავს!

მართლაც, ჩრდილში, ზედადგარზე უზარმაზარი ქვაბი იდგა, ქვეშ ცეცხლი ენთო და ადუღებული წყლის ბუყბუყი ისმოდა.

– უჰ, შე არგასაზრდელო, თუ ხელი ჩაგავლე, ლუკმად არ მეყოფი! – გაბრაზდა დედაბერი.

– გავიქცეთ! – შეჰყვირა კოკროჭინამ და მეგობრებმა ისე სწრაფად მოუსვეს, თვალისდახამხამებაში ორი მთა გადაირბინეს და ოცდამეთხუთმეტე გვერდამდე ჩააღწიეს.

8.

აქ ვინ არ მიხვდებოდა, რომ სატახტო ქალაქს უახლოვდებოდნენ.

გზა ფართო და მოკირწყლული იყო. უამრავი სტუმარი მოემართებოდა სადღესასწაულოდ.

პრინცესები ეტლებში ისხდნენ, რაინდები ცხენებზე ამხედრებულიყვნენ, სწავლული ჯადოქრები ზანტ ჯორებს მოაჩინდრიკებდნენ, სპილოებით და აქლემებით დიდვაჭრები მოემართებოდნენ. მოკლედ, წიგნის ახლო და შორეული გვერდებიდან შინ არავინ დარჩა. მხოლოდ დევები, გველეშაპები და კუდიანები არავინ დაპატიჟა, ცხადია, არც მგელი, ტურა და მელაკუდა. ტყიდან ისმოდა მათი ნაწყენი წკავწკავი, ჩხავილი და ღმუილი, მაგრამ ყურს ვინ მიუგდებდა.

წინ მიუვალი ციხე-გალავანი წამოიმართა. ალაყაფის კართან ხმლებითა და შუბებით შეიარაღებული მეომრები იდგნენ.

– ვინა ხართ და საიდან მოდიხართ? – იკითხა უხუცესმა.

– მე გახლავართ ტყისპირეთის მენაპირე! – თამამად უპასუხა კოკროჭინამ. – შორეული პირველი გვერდიდან მოვაცილებ პრინცესა მარიამს!

კარი გაიღო და მეგობრები გალავანში შევიდნენ.

გალავნის შიგნით ზღაპრული ქალაქი გადაიშალა. უამრავი სახლი, ქუჩები, ბაღები, შადრევნები, ქანდაკებები და კიდევ რაგინდარა. ყველაზე ლამაზი, რასაკვირველია, შუაში აღმართული ხელმწიფის სასახლე იყო, სულ ოქროთი და ვერცხლით ნაშენები.

სასახლის მისადგომებში მესაყვირეებმა საყვირებს ჩაბერეს, მედოლეებმა დოლები ააბრაგუნეს.

კიბეებთან ეტლები ჩერდებოდნენ და იქიდან სხვადასხვა მხარეებიდან ჩამობრძანებული პრინცესები ჩამოდიოდნენ.

– აქ იმდენი პრინცესაა, მე უფრო კონკიასა ვგავარ! – თქვა მარიამმა.

– ჰოდა, ზღაპრებში სწორედ კონკიები იმარჯვებენ! – გაეცინა კოკროჭინას.

სტუმრები მარმარილოს დიდ დარბაზში შევიდნენ. ჭერზე ბროლის ჭაღები ბრწყინავდა. მაღალი ფანჯრებიდან მომდევნო გვერდების შორეული სანახები გადაშლილიყო.

შემაღლებულზე მეფის ტახტი იდგა. გვირგვინოსანი ხელმწიფის გვერდით ულამაზესი დედოფალი იჯდა.

ხელმწიფემ ხელები ასწია და ტაში მსუბუქად შემოჰკრა.

მაღალ აივანზე მუსიკოსები ისხდნენ. ხელმწიფის ნიშანზე დირიჟორმა ჯოხი პიუპიტრზე დააკაკუნა.

წუთიც და ისეთი მხიარული მუსიკა აჟღერდა, ფეხები თავისით მოითხოვდნენ ცეკვას.

რა გითხრათ, რით გაგაკვირვოთ? აბა, ბუბუს ცეკვა ვინ გაიგონა, უბრალოდ, ყირაზე გადადიოდა და სულ ეს იყო, თან მუსიკას თავისი ძაღლური ყმუილი ააყოლა.

მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძემ ფრთები ააბათქუნა და აკაკანდა – კა-კა-კა!

კოკროჭინას სურდა, მარიამთან ეცეკვა, მაგრამ თვითონ ხომ ძალზე პატარა იყო და მარიამს ვერც მისწვდებოდა.

სამაგიეროდ, მარიამმა ხელები გაშალა, ფეხები ააბაკუნა, ყოჩაღად დაბზრიალდა და მისი ფურფუშელებიანი კაბა ლამაზად აფრიალდა. ასეთი ცეკვა მან ბაღში ისწავლა და აი, ახლა გამოადგა. იძულებული გახდა, მარტოს ეცეკვა, რადგან აქ არ იყვნენ მისი ბაღის მეგობრები – ბათურა, გიორგი, ირაკლი... წიგნის პრინცესებს კი წიგნის კავალრები ახლდნენ და ოჰ, ოჰ... ლამის იყო, იატაკი ჩაინგრა მათი ფეხების ბრაგუნისგან.

უცებ ხელმწიფემ კვერთხი ასწია და ტახტიდან წამოდგა.

მუსიკა უმალ შეწყდა. მოცეკვავეები კედლების გასწვრივ ჩამწკრივდნენ.

ხელმწიფემ რიგებს შორის აუჩქარებლად ჩამოიარა. შეხედავდა მორიგ პრინცესას და გვერდს აუვლიდა. რაღა დაგიმალოთ და ზოგ პრინცესას გრძელი ცხვირი ჰქონდა, ზოგს პაჭუა და ჭორფლიანი; ზოგი პრინცესა ელამი იყო, ზოგიც ცოტათი კუზიანი, ზოგს მოლრეცილი ფეხები ჰქონდა; ზოგი გოდორივით ჩასუქებულიყო, ზოგიც ცარიელ ჩონჩხს დამსგავსებოდა... მოკლედ, უნაკლო პრინცესას ზღაპრებშიც ვერ მოძებნი... აჰა, მა-

რიამთანაც მოაღწია ხელმწიფემ და შეათვალიერა. მარიამმა მუხლი მოხარა, ხელები ლამაზად გაშალა და თავი მსუბუქად დაუკრა, როგორც არაერთხელ ენახა მულტფილმებში.

– სადაური ხარ, პატარავ? – ჰკითხა ხელმწიფემ.

კოკროჭინა წინ გამოხტა და სწრაფად ჩაარაკრაკა:

– პრინცესა მარიამი – პატარა სოფლის განაპირა სახლში მცხოვრები თათუ ბებოს შვილიშვილი!

– სასიამოვნოა შენი გაცნობა, პატარავ! – ბრძანა ხელმწიფემ და მკლავი გამოუწოდა.

მარიამი ხელით მკლავზე დაეყრდნო და ორივენი ტახტისკენ გაემართნენ. ამ დროს ბევრ პრინცესას გული წაუვიდა, ბევრმა ცრემლი ღვარა, მაგრამ რას იზამდნენ...

დედოფალმა ნიკაპზე თითი ნაზად ამოსდო მარიამს და ჩაიჟღურტულა:

– ლამაზია, ულამაზესი!

– მოიხმეთ უფლისწული! – ბრძანა ხელმწიფემ.

ოქროს მაღალი კარი გაიღო და იქიდან ერთმანეთის მოყოლებით გამოჩნდნენ სასახლის დიდებულები და მანდილოსნები.

ისინი მოწიწებით მოაგორებდნენ თეთრი და ვარდისფერი აბრეშუმით გაწყობილ საბავშვო ეტლს.

მარიამმა გაკვირვებისგან პირი დააღო – მან პირველად იხილა თავისი საქმრო – ზღაპრეთის სამეფოს უფლისწული.

ეტლში იწვა თეთრი, ქათქათა, ბუთხუზა ბიჭი, რომელიც მონდომებით წუწნიდა სატყუარას... მარტო პამპერსი ეცვა და სულ ეგაა... თქვენ, ალბათ, აქამდე ზღაპრებში არ შეხვედრიხართ პამპერსიან უფლისწულს!.. პაწაწუნამ პირიდან საწოვარა გამოიღო და უკბილო, დორბლიანი პირით გაუცინა მარიამს და, საიდუმლოდ ისიც უნდა გაგიმხილოთ, ამ დროს პამპერსში ფისი ქნა...

– პრინცესა მარიამ! – ბრძანა ხელმწიფემ. – ჩვენი უფლისწული ჯერ პატარაა. შენ უნდა ელოდო მომავალ ხელმწიფეს ზუსტად თხუთმეტი წელი...

ესა თქვა და ფანჯრიდან მსუბუქმა ნიავმა დაუბერა...

9.

დანარჩენი მოკლედ უნდა ვთქვათ:

ძალიან ჩქარობდნენ, ვაითუ, წიგნი დახურულიყო და შიგ ჩარჩენილიყვნენ.

კოკროჭინა თავის პატარა, ტყისპირა სახლში შევარდა და ძილს მიეცა.

ბუბუმ ზურგზე შემოისვა პრინცესა მარიამი, მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე, ერთი ისკუპა და პირდაპირ თათუ ბებოს ეზოში ჩახტა.

– მარიამ, სად გაქრი, შე ახტაჯანავ! – აივანზე ბებია გადმომდგარიყო და მარიამს უხმობდა.

ზღაპრების წიგნი დაიხურა იმ დრომდე, სანამ უჭკუო ნიავი დაუბერავდეს ანდა ჭკვიანი მკითხველი გახსნიდეს...

შუბლთვალა ჩიჩუ და ჰარამ-ჰურუმ-გიშერა

შუბლთვალა ჩიჩუ ზღაპრების წიგნში ცხოვრობს. შუბლთვალა იმიტომაა, რომ შუბლზე ერთადერთ თვალი აქვს. სინამდვილეში მას ჩიჩუ-მუჩუ-ჩიჩი ჰქვია და დევთა ოჯახის წევრები სახელს უმოკლებენ. მამიკო-დევი ჩიჩუს ეძახის, დედიკო – მუჩუს, დანარჩენები – ჩიჩის, რადგან ყველაზე მეტად ჩიჩიას ჭამა უყვარს. თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით, რომ ჩიჩუ დევის პატარა ბიჭუნაა.

ჩვენი ნაცნობი პრინცესა მარიამი, ხელმწიფის სარძლო, კარგა ხანს მოწყენილი იჯდა აივანზე. პრინცესები ხომ ორღობეში ახტაჯანა გოგონებივით „კლასობანას“ ვერ ითამაშებენ. „ოჰ!“ – ამოიოხრა მარიამმა, იოლი არ ყოფილა პრინცესობა. თხუთმეტი წელი აივანზე რომ იჯდე და უფლისწულს ელოდო, მთქნარებისგან ყბები დაგასკდება.

ჰოდა, ერთ მზიან დილას მოწყენილმა მარიამმა ზღაპრების წიგნი გადაშალა. თქვენ გგონიათ, წყნარად და დინჯად გადაფურცლა ის გვერდები, სადაც უღრანი ტყე იწყება ანდა ყვავილებით მოფენილი ველებია, ანდა ოქროს ვაშლების ბაღებია... ნურას უკაცრავად! წიგნი უდიერად გადახსნა შუაში, სადაც ზღაპრის არც თავი ჩანდა, არც ბოლო. ასე უთავბოლოდ წიგნის გადაშლა საშიშია, რადგან წინასწარ ვერ გაიგებ, რა ფათერაკს გადაეყრები.

მარიამმა თვალის დახამხამება ვერ მოასწრო, დევთა სოფელში აღმოჩნდა. აქეთ მთაა, იქით გორაკები, გორაკებზე – ციხე-კოშკები... მარიამის წინ მოღრეცილი სახლია. სახლი არც ეთქმის, უფრო ლოდების გროვაა. ლოდზე ჩასუქებულ-ჩაპუტკუნებული ბიჭუნა დგას, ერთიანად წითური ბალნით შემოსილი. შუბლზე ერთადერთი ჭროლა თვალი აქვს. თავზე ორი პატარა რქა უჩანს. პირიდან ისეთი ღრჯოლები გამოსჩრია, მტრისას!

– ჩიჩია მინდა! – დაიღრინა ჩიჩუმ, რადგან ეს ბიჭი სწორედ ჩიჩიას მოყვარული დევუკა იყო.

– მე პრინცესა მარიამი ვარ! – ამაყად განაცხადა ოდნავ შემკრთალმა მარიამმა.

– მოდი რა, შეგჭამ! – შეეხვეწა შუბლთვალა ჩიჩუ.

გამოიხედა ორთავიანმა დედიკო დევმა და შვილს დაუტატანა:

– როგორ შეიძლება! ეს ხომ უბრალო გოგონა არ არის, ხელმწიფის სარძლოა! ამიტომ ჯერ ქვაბში უნდა მოვხარშოთ და მერე მივირთვათ!

– ჩიჩია მინდა-ა! – დაიჯინა შუბლთვალა ჩიჩუმ, რადგან პატარა დევები უფროსების რჩევებს ყურს არ უგდებენ.

ამ დროს ახლო გორაკზე მტვერი ავარდა. გაიხედეს და რას ხედავენ, ფერდობზე სამთავიანი მამიკო დევი მოძუნძულებს და მოიძახის:

– ვაიმე-ე, მიშველე-ეთ!

არადა, უზარმაზარ დევს რა მიშველება უნდა – ისეთი ლონიერია, მხარზე სპილოს გაიდებს და გაიქცევა. ახლა კი მორბის და მტვრის კორიანტელს აყენებს, ვერ გაიგებ, ვის გაურბის, იმ მტვერში მხოლოდ ღრენა და წკავწკავი ისმის.

– უი, უი, ჰარამ-ჰურუმ-გიშერა მოვარდა, დავიმალო-ოთ! – შეჰკივლა დედიკო დევმა და ლოდებს ამოეფარა.

დგას ჩვენი ბუთხუზა ჩიჩუ, პირში თითი გაურჭვია და იმ ერთადერთ თვალს გაკვირვებით ახამხამებს.

ჩაიძუნძულა სამთავიანმა დევმა.

– ჰამ-ჰამ! – შეჰყეფა ჰარამ-ჰურუმ-გიშერამ, მარიამის წინ გაჩერდა და კუდი გააქიცინა.

დიახაც, ეს იყო პატარა ცუგა, მამაცი და ბრაზიანი, დევების დაუძინებელი მტერი. თურმე სადმე დევს რომ დაინახავს, ეგრევე კანჭებში კბილებით ჩააფრინდება. ხომ გაგიგონიათ, უზარმაზარ სპილოს პაწაწინა წრუწუნასი ეშინიაო. ჰოდა, დევებსაც ეშინიათ ჰარამ-ჰურუმ-გიშერასი.

ახლაც დაინახა შიშით გაშტერებული ჩიჩუ და ყეფით მიეჭრა, აქაოდა, აქ რას დგახარ, რატომ არ გარბიხარო.

ჩიჩუ ერთი შეკუნტრუშდა და წიგნიდან გაძუნძულდა. ჰარამ-ჰურუმ-გიშერა გაეკიდა და მარიამიც, ცხადია, ფეხდაფეხ მიჰყვა.

რა ამბავი ატყდა!

მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე კრიახ-კრიახით ტოტზე შეფრინდა და იქიდან გადმოჰყივლა ეზოს ძაღლ ბუბუს, თავს უშველე, ჰარამ-ჰურუმ-გიშერა მოდისო. ბეკეკა რინტუმ პეტელი და კუნტრუში მორთო. ზარმაცზე უზარმაცესი ფისო-ფისო წამოხტა და თათუ ბებოს ოთახში დურთა თავი.

– დაწყნარდი, ჰარამ-ჰურუმ-გიშერა! – მიმართა დინჯად ბუბუმ. – თავმომწონე ძაღლი პატარებს არ ერჩის!

– რალა პატარაა, თითქმის დევია! – დაჰყეფა ჰარამ-ჰურუმ-გიშერამ. ბუბუს ცხვირი ცხვირზე მიადო და დასუნა.

აქოშინებულმა ჩიჩუმ სული ძლივს მოითქვა. შუბლის თვალს ხან ჰარამ-ჰურუმ-გიშერასკენ მიაბრუნებდა, ხან მარიამისკენ, მერე საწყლად ჩაიწუწუნა:

– ჩიჩია მინდა-ა!

– აბა, ეს არის პატარა? – კვლავ აყეფდა ჰარამ-ჰურუმ-გიშერა. – ხედავთ, ჩვენი პრინცესას შეჭმა მოუნდა! ეცი მაგას! – თქვა და გამოექანა.

ჩიჩუმ, ვაიო, და კვლავ წიგნში დურთა თავი. ჰარამ-ჰურუმ-გიშერა ყეფა-ყეფით მიჰყვა.

მათი ხმები თანდათან მინელდა.

მარიამმა წიგნი დახურა და ეზოში სიწყნარე და ბინდი ერთად ჩამოწვა.

– მარიამ, სავახშმოდ ამოდი! – აივნიდან გადმოსძახა თათუ ბებომ.

და უცებ, ტოტზე მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე აკაკანდა:

– ბეკეკა რინტუ სად არის? ბეკეკა რინტუ დაგვეკარგა!

თურმე იმ ალიაქოთის დროს ბეკეკა რინტუმ იმდენი იხტუნავა, ფეხი დაუცდა და წიგნში მოადინა ტყაპანი...

ბეკეკა რინტუს ფათერაკები

ღამით ოდესმე მარტოდმარტო თუ ყოფილხართ ბნელზე ბნელ ტყეში, სადაც არც გზა ჩანს, არც ბილიკი... ირგვლივ ყურუში სიბნელეა და, თუ რამე ანათებს, ეს რინტუა, თეთრი ბეკეკა. ის ვერავის ხედავს, მას კი ყველა, ვისაც მისი შეჭმა მოუნდება.

მიდის, მიბაკუნებს ბეკეკა რინტუ; ხან ბუჩქებში გაიხლართება, ხან ეკლებს გადაეყრება ან პაწია რქებით უზარმაზარ ხეს მიებჯინება... მიდის და შიშისგან აკანკალებული მოთქვამს: სადა ხარ, თათუ ბებო, დილდილობით ბოთლიდან საწოვარათი რძეს რომ მაწოვებდი; სადა ხარ, მარიამ, შენ ხომ მუდამ მეფერებოდი და ნორჩ ნეკერს მაჭმევდი; სადა ხარ, ბუბუ, ხშირად რომ მტუქსავდი, ამდენს ნუ დაკუნტრუშებ, თორემ ხიფათს გადაეყრებიო; სადა ხარ, მამლაყინწავ, ღობიდან რომ დამყიოდი, გაილვიძე, მზე ამოვიდაო; სადა ხარ, უზარმაცესო ფისო-ფისო, კრუტუნით რომ მეხახუნებოდი, იქნებ რძე მიწილადოსო... მიდის ბეკეკა რინტუ და ჯავრით მოთქვამს...

– ვისი ხარ? – ზევიდან დასჩხავლა ვიღაცამ.

აიხედა ბეკეკა რინტუმ და მუხლები მოეკვეთა. ხის ტოტზე ორი უზარმაზარი თვალი ბრიალებდა.

– პრინცესა მარიამის! – ხმა აუკანკალდა რინტუს.

– ჰმ, პრინცესები ხეზე ვერ დაძვრებიან! – თქვა ბუმ, რადგან ეს გახლდათ ღამის მტაცებელი ფრინველი. – რაკი ხეზე ვერ ამოძვრება, ვერც დამიჭერს!

– მე ისიდორე ბიბილოძესიც ვარ! – აპეტელდა რინტუ.

– ეს ვინღაა?

– მამლაყინწაა, ყივილით მზე ამოჰყავს. თუ დავუძახე, მოფრინდება და მზეს უცებ ამოაგორებს!

ყველამ იცის, რომ ბუს მზე არ უყვარს და ამიტომაც დღისით თავის ფუღუროში იმალება.

– ნუ დაუძახებ და არას გერჩი! – თქვა ბუმ. – წავალ, თაგვს მაინც შევსანსლავ!

ბრიალა თვალები გაქრა და რინტუმ ფრთების ტლაშუნი გაიგონა.

ბუ გაფრინდა.

გულმოცემულმა ბეკეკამ გზა განაგრძო.

ამასობაში ირიჟრაჟა კიდეც, ვიწრო ბილიკი გამოჩნდა და ბეკეკა რინტუ აჩქარდა, იქნებ, ამ ბილიკმა შინ მიმიყვანოსო.

ხედავს, ზედ ბილიკზე ფუმფულა კუდია დახვეული. მელაკუდას საკუთარ კუდში გემრიელად სძინავს.

ბეკეკა რინტუს ფეხების ბაკუნზე თავი ასწია და დაამთქნარა:

– ესეც ასე, საუზმემ მომაკითხა!

– მე პრინცესა მარიამისა ვარ! – აპეტელდა ბეკეკა რინტუ.

– მით უკეთესი! ყველა პრინცესაზე უფრო პრინცესა რომც იყოს, მე ვერ მომეწევა!

– მალე მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე მოფრინდება!

– მით უკეთესი, საუზმედ შენ მეყოფი, სადილად მამლაყინწას შემოვინახავ!

– ფეხდაფეხ ძაღლი ბუბუ მომდევს, საცაა გამოჩნდება და კუდით დაგითრევს!

– აბა, ბუბუ! – წამოხტა შეშინებული მელაკუდა, ჰაერი დაყნოსა და ბუჩქებში გაუჩინარდა.

ბეკეკა რინტუმ გზა განაგრძო.

მზე ამოვიდა და ტყე განათდა. ირგვლივ მაღალი ხეები იდგა და ტოტებში უამრავი ჩიტი ჟღურტულებდა.

აგერ – მოსახვევიც და ბეკეკა რინტუს გზაზე უზარმაზარი მგელი გამოშლიგინდა.

– ვისი ხარ? – შეჰღრინა მგელმა.

– პრინცესა მარიამის! – აცახცახდა ბეკეკა რინტუ.

– ჰა-ჰა, პრინცესების სულაც არ მეშინია!

– მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე დაგკორტნის!

– მამლაყინწათი მაშინებ?

– ძაღლი ბუბუ ჩემს კვალზე მოდის!

– ეზოს ძაღლმა რა უნდა მიქნას, ჰა?

– ჰარამ-ჰურუმ-გიშერა ჩემი ბიძაშვილია!

აბა, მამაცი ცუგა ბეკეკას ბიძაშვილი როგორღა იქნებოდა, მაგრამ მგელმა შიშით მიმოიხედა – აუუ-უ! – შეჰყმუვლა და ბუჩქებში გაუჩინარდა.

ბეკეკა რინტუმ მოკურცხლა. ცოტა ირბინა თუ ბევრი, ტყისპირს გააღწია.

წინ დიდი მინდორი გადაიშალა.

სამშვიდობოს გავედიო, გაიფიქრა და დახეთ ბედის უკუღმართობას – მინდორზე სამთავიანი გველეშაპი წამოიგრაგნა, სწორედ ის, კინაღამ ისიდორე ბიბილოძე რომ შესანსლა.

– დილაუთენია რა გემრიელმა ლუკმამ მოგვაკითხა! – წაუმღერა სამივე თავმა.

ბეკეკა რინტუს ლამისაა გული გაუსკდა, მაგრამ უზარმაზარ ურჩხულს სად გაექცეოდა და ხმის კანკალით მიესალმა:

– გამარჯობა!

წითელმა თავმა ბრძანა:

– ამ ზრდილობიან ბეკეკას გემო მე უნდა ჩავატანო!

შავმა თქვა:

– შენ რატომ? მე უფრო გემრიელად ჩავახრამუნებ!

თეთრმა თქვა:

– თქვენ რატომ? ჩემზე უფრო უპრიანია!

ატყდა ჩხუბი და ყაყანი: არა, მე შევჭამ ამ ბეკეკას, არა მეო! მორთეს ყეფა, ღრენა, ყმუილი... თავებმა ურტყეს ერთმანეთს და კარგადაც დალურჯდნენ... ისეთი ხანძარი გააჩინეს, ნახევარი მინდორი გადაიწვა და თვითონაც ამოიხრუკნენ.

ბეკეკა რინტუ, ცხადია, ჩხუბის ბოლოს არ დალოდებია – ცოცხლად მოკურცხლა.

ერთგან უშველებელი მუხა იდგა. მუხის ჩრდილში ბებოა, ჩვეულებრივი ბებია, დამჭკნარი და მოფამფალებული. ოღონდ ამ ბებოს ზედა ტუჩიდან ერთი კბილი გამოსჩრია. იმსიგრძეა ეს კბილი, მიწას სწვდება და ბებო ხელჯოხად იყენებს.

– მოდი, ბებო გენაცვალოს, მოდი! – ალერსიანად უხმობს.

ბეკეკა რინტუ ნელ-ნელა უახლოვდება, ჭოჭმანობს. იქნებ, თათუ ბებოა, ბოთლიდან რომ რძეს აწოვებდა, მაგრამ თათუ ბებოს რომ ამოდენა კბილი არა აქვს?

უცებ დედაბერმა ბადე გადმოისროლა და ბეკეკა რინტუს ჩამოაცვა.

აპეტელდა საბრალო რინტუ, ცალკბილა დედაბერი კი ახითხითდა, ბადე გამოსწია და იმ ბადით ბეკეკა ხეზე ჩამოაკონწიალა...

ბუბუმ კვალი აიღო

როგორც კი გაიგონა მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძის ყივილი, ბეკეკა რინტუ დაიკარგაო, ბუბუმ მთელი კარ-მიდამო შემოირბინა, ყველა კუთხე-კუნჭული დასუნა, საცა საეჭვო ხმაური შემოესმა, შეჰყეფა. ბოლოს კაკლის ჩუროში დაგდებულ წიგნს გადააწყდა და სუნი იკრა. როცა ძაღლი სუნს იკრავს, ცხადია, კვალს მიჰყვება და ბუბუ ყეფა-ყეფით და სუნსულ-სუნსულით ულრან ტყეში შეეხეტა.

აქეთ-იქით ირბინა, იმ ეკლებში გაიხლართა, სადაც ადრე რინტუ იხლართებოდა; იმ ბუჩქებში ჩაიკარგა, სადაც რინტუ იკარგებოდა; იმ ხეს მიადგა, რომელსაც რინტუ რქებით მიებჯინა... მოკლედ, ბეკეკა რინტუს კვალს მისდია და მისდია.

– ბუ-ბუ!.. ბუ-ბუ!.. – ზევიდან გადმოსძახა ტყის ბუმ.

ახედა ბუბუმ, დაინახა ორი ბრიალა თვალი და ყეფა აუტეხა:

– შენ მოიტაცე ჩემი ბეკეკა?

– ვერა! შემაშინა, ჩემი პატრონი ისიდორე ბიბილოძე ღამებნელში მზეს ამოიყვანსო! ირბინე, ბილიკზე მელაკუდას წააწყდები და იმას მოჰკითხე!

ბუბუმ გზა სირბილით განაგრძო. მალე ირიჟრაჟა და ბილიკიც დალანდა.

აგერ მელაკუდა წამოწოლილა.

– შენ შეჭამე ჩემი ბეკეკა?

– ოჰ, გემრიელზე გემრიელი ბეკეკა! – ამოიოხრა მელაკუდამ. – კვალზე ბუბუ მომდევს, კუდით დაგითრევსო და ვერ გავბედე! იარე, მოსახვევთან მგელი შეგხვდება და იმას მოჰკითხე!

აჩქარდა ბუბუ, ბილიკი სწრაფად ჩაირბინა და, მართლაც, აგერ, მგელს ბუჩქიდან თავი გამოუყვია და ავი თვალებით უმზერს.

ბუბუ ცოტათი შეკრთა, რადგან მარტო იყო და მეგობრები ვერ დაეხმარებოდნენ, მაგრამ მაინც მამაცურად შეეკითხა:

– შენ შეჭამე ჩემი ბეკეკა?

– ისე მშია, ლამისაა შენც შეგსანსლო! – დაიღრინა მგელმა. – ჰარამ-ჰურუმ-გიშერასი რომ არ მეშინოდეს, ცოცხალი ვერ გადამირჩებოდი!

ესა თქვა და ბუჩქებში გაუჩინარდა.

ჩვენ ხომ ვიცით თუ როგორი უშიშარია ძაღლი ბუბუ. ეზოში მის თვალწინ ფისო-ფისო ვერ გაისეირნებს, თაგვი ვერ გასუნსულდება, მაგრამ მგელი-ი...

გადავრჩიო და სირბილ-სირბილ, ყეფა-ყეფით ტყის ბოლოს გავიდა.

მიიხედ-მოიხედა.

დიდი, გადამწვარი მინდორია. ერთგან უშველებელი მუხა დგას.

ჩეროში ცალკბილა დედაბერი დგას და ალერსით იხმობს:

– ბუ-ბუ! მოდი ჩემთან, ბებო გენაცვალოს, მოდი, მოგეფერო!

ბუბუმ კუდი გააქიცინა და ეჭვით შეწკმუტტუნა. დედაბერი ცოტათი ჰგავდა თათუ ბებოს, მაგრამ უფრო – ცალკბილა ჯადოქარს. კოკროჭინამ ხომ გააფრთხილა, ახლოს არ მიხვიდეო.

– მოდი, ბებო გენაცვალოს! – მოიხმო ისევ დედაბერმა. – აი, შენთვის ძვალი მაქვს!

მერედა, როგორ უყვართ ძაღლებს გამოხრული ძვალი.

ამ დროს ტოტიდან მოესმა ბეკეკა რინტუს პეტელი:

– მი-შვე-ლე, ბუ-ბუ!

ბუბუ ღრენით გაქანდა, მაგრამ ცალკბილამ დაასწრო, ბადე ესროლა, შიგ გაახვია და ესეც ხეზე დაკიდა.

– ჰე და ჰე, საუზმეცა მაქვს და სადილიც! – ჩაიხითხითა ცალკბილამ.

ზედადგარზე წყლით სავსე დიდი ქვაბი იდგა. ცალკბილამ ფიჩხს ცეცხლი შეუნთო და თავისი ერთადერთი კბილით შეშის ჩეხას შეუდგა.

ისიდორე ბიბილოძემ მზე ამოიყვანა

მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე მთელი ღამე კაკლის ტოტზე ყუტყუტებდა. გარიჟრაჟმა რომ მოაღწია, ნისკარტი გახსნა და ზედიზედ რამდენჯერმე ომახიანად შეჰყივლა. კიდევ კარგი, რომ მის სიზმარში საათი დროულად აწიკწიკდა, თორემ ღამე ხომ არასოდეს დამთავრდებოდა. საბედნიეროდ, მამლაყინწას ყივილმა მზე გამოაღვიძა და იმანაც ცის კიდეზე თვალი ჩააპაჭუნა.

გათენდა, ეზო-კარი განათდა. თუმცა რად გინდა? ეზოში არც ბეკეკა რინტუ დაკუნტრუშებს, არც ძაღლი ბუბუ დასუნსულებს, ფისო-ფისოს, თათუ ბებოსა და მარიამს ჯერაც სძინავთ.

გაახსენდა ისიდორე ბიბილოძეს, წუხელ ბეკეკა რინტუ წიგნში რომ დაიკარგა, გაახსენდა, რომ ღამით ბუბუს ყეფა ერთხელაც არ გაუგონია. ესე იგი, ბუბუც დაკარგულია.

ისიდორე ბიბილოძე, აბა, რა მამლაყინწა იქნებოდა, ეს ამბავი ქვეყნიერებისთვის რომ არ ემცნო და ისეთი ყივილი და კრიახ-კაკანი ატეხა, თათუ ბებო და მარიამი კი არა, უზარმაცესი ფისო-ფისოც კი გააღვიძა.

რა ამბავიაო და სოფლის ძაღლები აყეფდნენ, კატები აჩხავლდნენ, თხები აპეტელდნენ, ძროხები აბღავლდნენ, შინაურმა ფრინველმა ქოთქოთი ატეხა. ნამძინარევი თათუ ბებო და მარიამი აივანზე გამოვიდნენ.

– რა გაყივლებს, შე ქვაბის კერძო, შენა?! – მიაწყევლა ბებომ. – რად დაგვიფრთხე დილის ტკბილი ძილი?

– რინტუ და ბუბუ დაიკარგნენ! – გადმოჰყივლა ისიდორე ბიბილოძემ.

– აფრინდი მერე კაკლის კენწეროზე და მიიხედმოიხედე! – უბრძანა ბებომ.

მარიამმა ზღაპრების წიგნი იქ გადაშალა, სადაც უღრანი ტყე იწყებოდა და ასძახა:

– აი, უღრანებში ყველაზე მაღალი ხე რომ მოჩანს, იმაზე აფრინდი!

ისიდორე ბიბილოძემ ერთხელ ხომ უკვე იმოგზაურა ამ ტყეში. ამიტომაც ამჯერადაც წიგნის იმ გვერდს მიაშურა, სადაც ყველაზე ბებერი და ყველაზე მაღალი ხე იდგა. ხის ფუღუროში ჩვენი ნაცნობი ბუ მზეს ემალებოდა და ტკბილად ეძინა. არც მამლაყინწას გაუგია, რომ ხის ფუღუროში ბუ ცხოვრობს, არც ბუს გაუგია, რომ მისი ხის კენწეროზე ისიდორე ბიბილოძე დაფრინდა და ირგვლივ მიმოიხედა. ამ კენწეროდან მხოლოდ სხვა ხეების კენწეროები მოჩანდა. ისიდორე ბიბილოძე მეორე ხის კენწეროზე გადაფრინდა, იქიდან მესამეზე... თქვენ ხომ იცით, რომ ეზოს ქათმებს შორს ფრენა არ შეუძლიათ და სულ მალე ყოჩაღ მამლაყინწას არაქათი გამოელია.

ოლონდაც სულის მოთქმა ვინ გაცალა! მომდევნო კენწეროზე რომ ჩამოჯდა, ის ხე უცნაურად შექანდა, თითქოს მამლაყინწის გადმოგდება უნდაო. ჩაიხედა ისიდორე ბიბილოძემ და შიშისგან ფრთები ააბათქუნა – ცალკბილა დედაბერი თავისი ერთადერთი და უზარმაზარი კბილით ხეს ჭრიდა...

დაღლილი კი იყო ისიდორე ბიბილოძე, მაგრამ ძალა მოიკრიბა და სხვა ხეზე გადაფრინდა. დედაბერი ახლა ამ ხეს მოადგა და კბილით ჩეხა დაიწყო.

– მიშველე-ეთ! – იყივლა ისიდორე ბიბილოძემ და, რაკი ფრენის თავი უკვე არ ჰქონდა, მიწის პირზე მოცოცხა.

მირბის მამლაყინწა კრიახ-კრიახით, უკან დედაბერი მოსდევს თავისი გრძელზე გრძელი კბილით. დაეყრდნობა ამ კბილს და იმოდენა ნახტომს აკეთებს, ისიდორე ბიბილოძეს საცაა მიეწევა.

ამასობაში ტყე გათავდა. აგერ მენაპირე კოკროჭინას პატარა სახლი. კოკროჭინა ეზოში გამოსულა, პირს იბანს, თან „აბადელიას“ მღერის.

– კოკროჭინა, მიშველე-ე! – მოაჩხავლა მამლაყინწამ.

ხედავს კოკროჭინა, რომ მორბის დიდი და წითელი ურჩხული, უკან კი ცალი კბილით მოხტის საზარელი ცალკბილა და აჰა და აჰა, ხელს სტაცებს.

ბიჭუნას პირსახოცი დაავიწყდა, ელვის უსწრაფესად შევარდა თავის პაწაწკინა სახლში. მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძეც მიჰყვა, ოლონდ კარში მხოლოდ მისი თავი შეეტია, ტან-ფეხი კი გარეთ დარჩა.

ხტუნვა-ხტუნვით მოვარდა ცალკბილა, ბადე გადმოისროლა, სახლიც, კოკროჭინაც და ისიდორე ბიბილოძეც ერთად მოხვეტა, ზურგზე მოიგდო და მუხისკენ გასწია, სადაც ტოტზე ბადეებით ჩამოკიდებული რინტუ „პე-ე!“-ს იძახდა, ხოლო ბუბუ საწყალობლად წკმუტუნებდა.

– ესეც კაი ვახშამი! – ახითხითდა ცალკბილა და ქვაბის ქვეშ ანთებულ ფიჩხს შეშა ბლომად მიუმატა...

უფლისწული საშველად მოდის

ელოდა, ელოდა მარიამი, მაგრამ არც ბეკეკა რინტუ გამოჩნდა, არც ძაღლი ბუბუ და არც მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე. დადარდიანდა თათუ ბებოს შვილიშვილი, ჩემი მეგობრები ან მგელმა შეჭამა, ან სამთავიანმა გველეშაპმა, ან დევებმა მოიტაცეს და ქვაბში ჩაყარესო... თუმცა აივანზე ჯდომა და ტირილი რას შველოდა? აიღო ზღაპრების წიგნი და ზუსტად იმ გვერდზე გადაშალა, სადაც მეფის სასახლე ეგულებოდა. როგორც კი ალაყაფის კარებთან გამოჩნდა, გალავნის ქონგურებზე მებუკეებმა ბუკებს ჩაბერეს, აქაოდა დიდი სტუმარი გვეწვიაო. გაიღო მძიმე კარები და მარიამი შეუდგა მარმარილოს კიბეს, რომლის ორთავე მხარეს ჩამომწკრივდნენ კარის დიდებულები და სხვადასხვა მხარის პრინცესები.

ვეზირთუხუცესი გამოეგება პრინცესა მარიამს და წარუძღვა ხელმწიფის კაბინეტისკენ. ამ დროს იქ იმყოფებოდნენ ხელმწიფე, დედოფალი და ამომავალი მზე, ტახტის მომავალი მფლობელი – უფლისწული.

თქვენ, ალბათ, გგონიათ, რომ უფლისწული ისევ ისეთი პატარაა, როგორც ორმოცდამეერთე გვერდზე იყო, პამპერსი აცვია, ეტლში წევს და საწოვარას მონდომებით წუწნის... ნურას უკაცრავად! ზღაპრის გმირები ერთ დღეში ერთი თვისას იზრდებიან, ერთ თვეში – ერთი წლისას... ასე რომ, ახლა უფლისწულს პამპერსი არ ეცვა და პირში საწოვარაც არა ჰქონდა. პრინცესა მარიამის დანახვისას წამობაჯბაჯდა (დახეთ, სიარული უსწავლია!), თითი გამოიშვირა და აღუღუნდა – ღუ-ღუ-ღუ!.. – აქაოდა, ბედნიერი ვარ თქვენი ხილვითო.

პრინცესა მარიამმა ყველას თავი დაუკრა და ასე მიმართა:

– ხელმწიფეო, დედოფალო და უფლისწულო! თქვენი სამეფოს ულრან ტყეებში დაიკარგნენ ჩემი უახლოესი მეგობრები – ბეკეკა რინტუ, ძაღლი ბუბუ და მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე. იმედია, ისინი ჯერაც არ შეუჭამიათ თქვენს ქვეშევრდომებს!

– ვინ გაბედავდა ამას! – განრისხდა ხელმწიფე და ვეზირთუხუცესს მიუბრუნდა: – სასწრაფოდ აქ მომგვარეთ ხუთკუნჭულა!

თითქოს იატაკიდან ამოძვრაო, ხუთკუნჭულა ხელმწიფის წინ წარსდგა.

– აქა ვარ, ხელმწიფეო!

– აბა, რას გვეტყვი პრინცესა მარიამის საჩივარზე?

– ყველაფერი ბოროტი ჯადოქრის, ცალკბილას ოინია, თქვენო უდიდებულესობავ! – მოახსენა ხელმწიფეს ხუთკუნჭულამ. – ბოლო დროს თავს გაუვიდა და აპირებს, დღესვე შესანსლოს ბეკეკა რინტუ, ძაღლი ბუბუ, მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე. ამაზე ამბობს, კარგი საჩახოხბილეაო, აგრეთვე ჩვენი ტყისპირა მენაპირე, ხელმწიფის უერთგულესი ქვეშევრდომი, კოკროჭინა, რომელმაც ხელმწიფეს პრინცესა მარიამი წარუდგინა, პრინცესებში ულამაზესი!

– რას ბრძანებს უფლისწული? – მიმართა ხელმწიფემ უფლისწულს, რომელსაც საჩვენებელი თითი პირში გაერჭო და ჩაფიქრებული წუწნიდა.

უფლისწულმა პირიდან თითი გამოიღო, წინ გაიშვირა და მამაცურად შესძახა:

– უ-უ-უ!

დიახ, მამაც უფლისწულს ომი სწადდა. მისი სარდლობით ხელმწიფის მხედრობა მართლაც დაამარცხებდა ცალკბილა ჯადოქარს. მართალია, ხელმწიფის შვილმა ჯერაც ბევრი სიტყვა არ იცოდა,

მაგრამ მისი „ღუ-ღუ!..“ და „უუუ!“ სხვას რას უნდა ნიშნავდეს, გარდა მოწოდებისა, სამეფოს რაინდობა ფეხზე დამდგარიყო.

სასახლის წინ უთვალავი მხედრობა შეიკრიბა. მეომრებს თავზე ჩაჩქნები ეხურათ, ხელში ხმლები, გრძელი შუბები და მშვილდ-ისრები ეპყრათ.

– გაგვიძეხ, უფლისწულო! – ერთხმად დასჭექეს.

უფლისწული კიბის თავზე მობაჯბაჯდა და წამოიძახა:

– ჰამ-ჰამ!

ხედავთ, როგორი ბრძენი და შორსმჭვრეტელი ალმოჩნდა ხელმწიფის პატარა შვილი. მან ბრძნულად განჭვრიტა, რომ მეფის ჯარს დევების სოფელი უნდა გაევლო და თადარიგი დაიჭირა – ბრძანა, ჩვენი ერთგული და მამაცი ჰარამ-ჰურუმ-გიშერა მოიხმეთო.

უმალ მოცუნცულდა პატარა ცუგა, ყეფა-ყეფით ამცნო ჯარების სარდალს, გზა ხსნილია და დევები ახლოსაც ვერ გაჭაჭანდებიანო.

ასე და ამგვარად, უთვალავი ლაშქარი გზას დაადგა.

წინ, რა თქმა უნდა, ჰარამ-ჰურუმ-გიშერა მიცუნცულებდა, ჰაერს ყნოსავდა და თავისი ყეფით აფრთხობდა ხელმწიფისა და სამეფოს მტრებს.

სამეფო ეტლში ისხდნენ პრინცესა მარიამი და უფლისწული. რაკი წიგნის გზები კარგად ვერაა მოკირწყლული, ეტლი გვარიანად ჯანჯღარებდა, მარიამმა თავისი მომავალი საქმრო კალთაში ჩაისვა, რათა პაწია შემთხვევით არ გადავარდნილიყო.

ამათ, ცხადია, ლაშქარი მოჰყვებოდა და სალაშქრო სიმღერას აგუგუნებდა.

ამასობაში ცალკბილა ჯადოქარმა ცეცხლს შეშა ბლომად შეუკეთა, ააგიზგიზა და ელოდა, წყალი როდის ადულდებოდა. ხანდახან მოუთმენლად ჩაყოფდა თითს, ხომ არ გაცხელდაო. ამ ფუსფუსში იყო და, რადგანაც ყურნაკლული გახლდათ და თვალებიც დაელმებული ჰქონდა, ვერც სალაშქრო სიმღერა გაიგონა, ვერც ალყაზე გამწკრივებული ჯარი დაინახა, მით უფრო პრინცესას კალთაში მოკალათებული უფლისწული, რომელიც ბუნჩულა ხელებით ტაშს უცაცუნებდა, ხანდახან ბუქნაობდა და საყვარლად ჟღურტულებდა:

– და-და-და!.. – აქაოდა, მოსცხეთ მაგასო.

ის იყო, ცალკბილამ წყალში ერთხელაც ჩაყო თითი, ჰაერში რაღაცამ გაიზუზუნა და სწორედ იმ თითზე დაერჭო. ემწარა ცალკბილას, ეგონა, წყალი ადულდა და იმან დამთუთქაო.

უფლისწულმა ბრძანება გასცა:

– ღვ-ღვ-ღვ!..

ლაშქარი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ეს ბრძანება. მომართეს მშვილდი და ისარი, სეტყვასავით წამოვიდა, ქვაბი წუთში ამოივსო, წყალი გადმოიღვარა და ცეცხლი ჩააქრო... თვითონ ცალკბილას იმდენი ისარი შეერჭო, ზღარბს დაემსგავსა.

– მეტკინა, მეტკინა, მეტკინა!.. – აკივლდა ცალკბილა, თავის კბილს დაეყრდნო და გადახტა. ამგვარად ეყრდნობოდა კბილს და მიხტოდა და მიხტოდა, სანამ ღურღუთ ტყეში მიიმალებოდა.

მეომრებმა ჩამოხსნეს და გაათავისუფლეს ტოტებზე ბადეებით ჩამოკიდებული ტყვეები.

პირველი, რა თქმა უნდა, ბეკეკა რინტუ დაიხსნეს. იგი გახარებული პეტელით, კუნტრუშ-კუნტრუშ გამოიქცა და ეტლში ჩახტა. იქ ხომ მარიამი იჯდა, მარიამის კალთაში – უფლისწული და ბეკეკა რინტუ უფლისწულის კალთაში აღმოჩნდა. პატარა უფლისწული სიცილით აჭყლოპინდა – ა ა ა!.. ეს რა კარგი სათამაშო ჩამიხტა კალთაშიო.

ძაღლი ბუბუ მარიამთან მისუნსულდა. თავი მორცხვად დახარა და კუდი მორიდებით ააქიცინა, აქაოდა, ეს რა დამემართა, ცალკბილამ როგორ გამაცურაო, სხვის საშველად მოვრბოდი და ბადეში თვითონ აღმოვჩნდიო.

ისიდორე ბიბილოძეს, ჩვენს მამაც მამლაყინწას, ამ ხნის განმავლობაში კოკროჭინას სახლის წინკარში ჰქონდა თავი გაკვეხებული და ამიტომაც ეგონა, სულ ღამეაო. ახლა თავი წინკარიდან ძალით გამოაყოფინეს, დაინახა, რომ დღეა, ცაზე მზე კაშკაშებს და ომახიანად დაჰყივლა, ყოჩაღ მე, მტრის ჯინაზე მზე მაინც ამოვაგორეო.

კოკროჭინაც გამოძვრა თავისი პატარა სახლიდან და განაცხადა, გზა დამიკეტეს, თორემ გარეთ რომ გამომელწია, ცალკბილას შავ დღეს დავაყრიდიო.

უფლისწულმა ერთი ჩაიჟღურტულ-ჩაიღუღუნა, რაც სიცილს ნიშნავდა და წამოიძახა – ავა-ავა-ავა!.. ესე იგი, ომი დამთავრდა, დროა, შინ დავბრუნდეთ და რძიანი ფაფა მივირთვათო...

პრინცესა მარიამსაც გაახსენდა, რომ სადილობის დრომ მოაწია. ის და მისი მეგობრები – ბეკეკა რინტუ, ძაღლი ბუბუ და მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძე ზღაპრების წიგნის მეათე გვერდიდან (გახსოვთ, ალბათ, იქ კოკროჭინას სახლი იყო!) პირდაპირ თათუ ბებოს ეზოში აღმოჩნდნენ.

– გამარჯობა, ფისო-ფისო! – მიესალმა მარიამი ზარმაცებში ყველაზე ზარმაც ფისოს. ფისო-ფისოს აივნის მოაჯირზე ეძინა, ცალი თვალი ოდნავ გაახილა, კუდი მსუბუქად გააქნია და ტკბილი ძილი განაგრძო.

მარიამი სკოლაში მიდის

მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძემ იმდენჯერ გააღვიძა მზე და იმდენჯერ დააძინა, რომ ხმაში ხრინწი შეეპარა. ბეკეკა რინტუ ამიერიდან ბეკეკა კი არა, თხა გახდა. იმოდენა გაიზარდა, ღობეზე წინა ფეხებით ადის, რათა აკაციის ფოთლებს მისწვდეს.

ძალლი ბუბუ დაგვიბერდა და მისი ღაფლაფი ახლა ტყის ტურებს თუ აფრთხობს. მარიამს კი ერთ მშვენიერ დღეს თათუ ბებომ საზეიმოდ აუწყა:

– მარიამ, შენი მშობლები ჩამოდიან, მალე სკოლაში უნდა წახვიდე!

მარიამი, ცხადია, კარგა ხანია სკოლისთვის ემზადება. დედიკომ და მამიკომ ახალი კაბა უყიდეს, ახალი, ლამაზი ბაჩები, მოხატული ზურგჩანთა და პრიალაყდიანი წიგნები.

ჰოდა, მარიამი ხტუნვა-ხტუნვით ჩავიდა ეზოში.

ჯერ ბუბუ მოიკითხა, ახალი ამბავი ახარა.

ბუბუმ ყური ცქვიტა, კუდი გააქიცინა და იკითხა:

– იქ კამფეტებს გაჭმევენ? იქნებ ყეფაც გასწავლონ! საღამოობით მე და შენ ყეფა-წკმუტუნით გავერთობით!

– სულელო ბუბუ! – დაიკიკინა რინტუმ. – პრინცესას ყეფა რას არგებს? უმჯობესია, ჩემსავით კიკინი ისწავლოს. სკოლაში გავაცილებ კიკინ-პეტელით და გზა-გზა ეკალასა და აკაციის ყვავილებს მივირთმევთ!

– გაგიფრენიათ და ეგაა! – შეჰკაკანა მამლაყინწა ისიდორე ბიბილოძემ. – ურჩევნია, ყივილი ისწავლოს! ვიცი, უბედური ბედისა ვარ, თათუ ბებო ქვაბში ჩამახოხბილებს, მარიამი კი ჩემს მაგიერ ღობეზე შეხტება და ყივილით მზეს ამოიყვანს!

მარიამი, ცხადია, ყეფასაც ისწავლის, კიკინსაც, ყივილსაც, მაგრამ ახლა ამისათვის არ ეცალა, ზღაპრების წიგნთან მიირბინა, მეათე გვერდზე გადაშალა და კოკროჭინას ჩასძახა:

– კოკროჭინა, მალე სკოლაში მივდივარ!

კოკროჭინამ პაწაწინა სახლის პაწაწინა ფანჯრიდან თავი გამოყო და ამოსძახა:

– ამ ამბავს აუცილებლად უფლისწულს შევატყობინებ!

– ეჰ, უფლისწულს რა ესმის, ის ხომ ჯერ ძალზე პატარაა! – გულდაწყვეტით თქვა მარიამმა.

ჰმ, პატარა!.. მარიამმა, ალბათ, არ იცოდა, რომ ზღაპრების წიგნში უფლისწული ერთ გვერდზე პამპერსიანი პაწაწინაა, მომდევნოზე უკვე დაბაჯბაჯებს, მომდევნოს მომდევნოზე კი ცხენს დააჯირითებს, ტყეში სანადიროდ დადის ანდა იმისთვის, რომ ცალკბილა ჯადოქარი დაიჭიროს და ის ერთადერთი კბილი ამოაძროს...

ასე იყო თუ ისე, რაკი ჩანთა ახალი წიგნებით გამოეტენა, მარიამმა ზღაპრების წიგნი იქ ვერ ჩაატია. თანაც ეშინოდა, გაკვეთილის დროს იქიდან ცალკბილა არ გამომძვრალიყო ან შუბლთვალა ჩიჩუ... ამიტომ წიგნი ისევ კაკლის ჩეროში დატოვა და ბუბუს დაავალა, უდარაჯე, იქიდან მგელი არ ამოხტეს და თათუ ბებო არ შეგვიჭამოსო.

ქალაქიდან მანქანით ჩამოვიდნენ მამიკო და დედიკო. მარიამს ჩააცვეს ახალი კაბა და ახალი ბაჩები, მადლობა გადაუხადეს თვალაცრემლებულ თათუ ბებოს. ორლობეში შეიყარნენ სოფლის გოგო-ბიჭები. ზოგი მათგანი უკვე სკოლის მოსწავლე იყო, ზოგი პირველად ახლა მიდიოდა სკოლაში. მარიამს ხან ერთი ეხუტებოდა და კოცნიდა, ხან მეორე.

მშობლები მანქანაში ჩასხდნენ, მამიკომ მანქანა დაქოქა და წამოიძახა:

– მარიამ, დროზე! – მშობლებს ხომ ყოველთვის ეჩქარებათ.

სწორედ ამ დროს ისეთი სასწაული მოხდა, ყველანი სახტად დარჩნენ. გაისმა ცხენის ჭიხვინი და მალალ ღობეს გადმოევლო თეთრი ცხენი. ზედ მზეჭაბუკი იჯდა. ტანზე ოქროქსოვილი ეცვა, თმის კულულებში ოქროს მომცრო გვირგვინი უბრწყინავდა.

მხედარმა ცხენი მანქანასთან მოაგელვა და მარიამს ხელი გამოუწოდა.

– პრინცესა!

მარიამმა ხელი შეაგება, იგრძნო, რომ მიწას მოსწყდა და წამში მზეჭაბუკის კალთაში აღმოჩნდა.

რა ვაი-უშველებელი ატყდა!

– აჰ! – წამოიძახა თათუ ბებომ.

– აჰ! – შეჰკივლა დედიკომ.

– აჰ! – იყვირა მამიკომ.

– აჰ, აჰ!.. – ახმაურდნენ სოფლის გოგო-ბიჭები.

აყეფდა ბუბუ, აპეტელდა რინტუ, აკაკანდა ისიდორე ბიბილოძე, ფისო-ფისომაც გაახილა თვალი და „მიაუ-უ!“ დაიკნავლა.

ცხენი ადგილს მოსწყდა.

გამცილებლები ჟრიამულით გამოედევნენ.

მამიკომ, ცხადია, მანქანა გააქროლა.

იქ, სადაც სოფლის ორლობე ქალაქისკენ მიმავალ გზატკეცილს უერთდებოდა, მარიამი იდგა და ხელში ვარდების თაიგული ეჭირა.

თეთრცხენოსანი მხედარი გამქრალიყო.

მანქანაში რომ ჩასხდნენ, დედიკომ ხმის კანკალით ჰკითხა:

– მარიამ, ვინ იყო?

მარიამმა ამოიოხრა, პირისახე ვარდების თაიგულში დამალა და მეტი არაფერი თქვა.

ჩვენც არ ვიცით, რა უთხრა უფლისწულმა მარიამს და რა უპასუხა მარიამმა.

მამიკო მანქანას გზატკეცილზე მიაქროლებდა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი

ჯარჯი ფხოველთან

„პოეტი ვინმე სიყვარულის გზებზის მღორღავი...“

– ჯარჯი! გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, ჩემი სიყმაწვილის ხანაში, ჩვენ ლექსებს თითქმის ვკითხულობდით... თუმცა კარგად მესმის, რომ მაშინაც და ახლაც პოეზიით მონიჭებული სიამოვნების განცდის უნარი რჩეულთა ხვედრია... კარგად მახსოვს ის ზეალმაფრენა. როცა შენი ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა, მახსოვს, პოეზიის მოყვარულები მაშინ ერთმანეთს როგორ ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს, როგორი ახალი და მიმზიდველი იყო მაშინ ასეთ ლექსებთან მარტო დარჩენა:

არ იმღერებს ეს სიმღერა,
ჩემი სტრიქონი არ იფარფატებს როიალის
ნათელ მინდვრებზე,
არ დაჰკვლევს ბეჩავს ძეხორციელი,
არც გუთნისდედა შემოსძახებს,
არც ტრიალი ტრამალის მკვიდრი მენახირე
და არც დალლილი
მგზავრი იმღერებს ამტვერებულ გზებზე მარები...

მარტო დარჩენას ვამბობ, რადგან ძნელი იყო მაშინ შენი, ბესიკ ხარანაულის, თედო ბექიშვილის და სხვათა ლექსების პოეზიის სალამოებზე უამრავი ადამიანის თავშეყრის ადგილებში მოსმენა და აღქმა, რადგან დაფიქრების გარეშე ვერ წაიკითხავდი ვერც „ხეიბარ თოჯინას,“ ვერც „როცა არავინ ცას არ უყურებს...“ ფიქრი კი ჩვენთვის არავის უსწავლებია, „ტკბილი ხმების“ მოსმენით ვერთობოდით, გალაკტიონს ლენინთან გვიწყვილებდნენ და ტატოს „მერანს“ რევოლუციური აღმშენებლობის ჭენებით გვითარგმნიდნენ, შავი ყორანიც ისე უნდა დაგვენახა, რომ ეს იყო ბურჟუაზია, კომუნიზმს რომ მისჩხაოდა და ვერ ეწეოდა. ვინ იჯერებდა? მაგრამ სული ხომ იშხამებოდა, პოეზია ხომ ლაფში ისვრებოდა! ასეთ დროს გამოჩნდა თქვენი თაობა. ჩემი აზრით, ეს იყო დისიდენტური მოძრაობა ქართულ პოეზიაში, – ახალი, სილრმისეული აზროვნებით, დახვეწილი და მშვენიერი სალექსო ფორმებით, მოუხელთებელი იდუმალებით. ამ იდუმალებისა და „ხელმიუწვდომლობის“ განცდა დღემდე მომყვება, როცა შენს ლექსებს ვკითხულობ. შენ როგორ იხსენებ იმ წლებს, იმ პირველ ნაბიჯებს პოეზიაში?

– ერთ რამეზე უნდა შევთანხმდეთ, რომ პოეზიის სრულყოფილი აღქმა მხოლოდ გრძნობებით შეიძლება: ლექსი უნდა იგრძნოს მკითხველმა. ამიტომაა, პოეზიის მკითხველები, პოეტური მგრძნობელობის ადამიანები, სამწუხაროდ, ძალზე ცოტანი არიან!.. თუ არ ვცდები, მე მგონია ბორხესს უთქვამს, პოეზიის მკითხველები თვით პოეტებზე მცირენი არიან. ეს სარწმუნო ჩანს, მაგრამ ამის გამო პოეტებმა ხელი არ უნდა აიღონ ამ ღვთაებრივ საქმეზე: ისინი კვლავ და კვლავ უნდა დატკბნენ ენის გულუხვობით, პოეტური თამაშით და ყურები არ უნდა ჩამოყარონ! აქვე ვიტყვი, რომ პოეტური ქმნადობის პროცესი თამაშია ენის წიალში.

პოეტური თამაშის ელემენტები უფრო ხელშესახები და წვდომილია რითმიან-კონვენციურ ლექსში, თუმცა ვერლიბრიც, ვერბლანიც და თეთრი ლექსიც ენობრივი თამაშის ნაყოფია...

პოეტი ბედნიერია, თუ ამ თამაშში ენაც აჰყვება, პოეტური დარდიც თუ იმძლავრებს: ამ მომენტს ადრე მუზის მოსვლას ეძახდნენ, ახლა კი არ ვიცი, რა ჰქვია, მგონი პოეტური განწყობა თუ რაღაც ამგვარი...

წმინდა ვაჟა-ფშაველა ამ მომენტს „არწივის მოსვლას“ ეძახდა, ხოლო პოეტური უნაყოფობის ხანა „არწივის წასვლად“ მიაჩნდა: „როცა არწივი წამივა...“

რაც შეეხება პოეტურ დისიდენტობას, ამგვარი რამ მართლაც იყო: ზოგიერთმა წითელი ფერის სულგაყიდულმა ვაიმწერალმა ვერლიბრი ანტისაბჭოურ ფორმად გამოაცხადა, რასაც მოჰყვა ჩვენს მიმართ სასტიკი წინააღმდეგობა გამომცემლობების და სხვადასხვა რედაქციების მხრიდან...

ამის საპირისპიროდ წარმოიშვა ქართული პოეზიის ჰერმეტიზმი: უაღრესად დაიხვეწა ქვეტექსტის ხელოვნება... სამწუხაროა, რომ ქართული პოეზიის ჰერმეტიზმი არაა შესწავლილი. ის კი არადა, ბევრმა მისი არსებობაც კი არ იცის. ჰერმეტიზმმა ლექსი გააბუნდოვნა, ძნელად აღსაქმელი გახადა... საბედნიეროდ, ჰერმეტიზმის ხანა დასრულდა საბჭოური სისტემის დასრულებისთანავე!

ჩემი წიგნების კითხვისას თუ „ხელმიუწვდომლობის“ განცდა გრჩება, ასე ჩანს, რომ კიდევ დარჩენილია ჩემს ლექსებში ჰერმეტიზმის კვალი!

იტალიურ ჰერმეტიზმს თუ გავიხსენებთ, ფაშიზმის დამარცხების შემდეგაც იტალიელ პოეტებს კაიხანს გაჰყვათ ეს სტილური ბუნდოვანება!

აქვე დავაზუსტებ, რომ საყოველთაოდ აღიარებულ პოეზიას თუ მკითხველი ვერ გრძნობს, მაშინ სავარაუდოა ერთი რამ: ის ლექსი არ მიესადაგება ამა თუ იმ მკითხველის გემოვნებას. ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ ჭეშმარიტი პოეზია, გულიდან მომდინარე ცოცხალი ლექსი. უსულო და სისხლისგან დაცლილ „ლექსებზე“ აქ საუბარიც არ შეიძლება!

საბედნიეროდ, ჩვენი ქართული პოეზია მრავალფერი და მრავალგვარია, ისე, რომ აქ პოეზიით „აღუვსებელი“ არავინ დარჩება – ყველა გემოვნებისთვის რაღაც მოიძებნება: სხვადასხვა სიმაღლის და ძალის პოეზია – ლექსი, პოემა და სხვა...

„ვერ გავიგე“ – ეს არასწორი პრეტენზიაა „ვერ ვიგრძენი“ – ეს უფრო სჯობია!

მკითხველის პრობლემა: ეს ყოველთვის იყო და ახლაც არის! შევეგუოთ მკითხველის სიმცირეს! წმინდა პოეზია ერთეულებისთვის იქმნება და მკითხველებიც ერთეულები არიან...

– ამ დღეებში ჟურნალ „აფრაში“ წავიკითხე ალექსანდრე მენის საინტერესო სტატია „ღვთის სასუფევლის მაცნე“, სადაც ავტორი ბიბლიურ წინასწარმეტყველთ უწოდებს ღმერთის შიკრიკებს, მაცნეებს, ღვთის გამოგზავნილებს, რომელთა წარმოსახვაში ღმერთი „ცეცხლოვან უფსკრულსა და თვალის მომჭრელ მზეს ემსგავსებოდა, რომლის ნათება ყოველგვარი შემეცნებისთვის მიუწვდომელია“. მენი ასევე აღნიშნავს, რომ ბიბლიური წინასწარმეტყველი უფლის ჩანაფიქრის თავისუფალი თანამონაწილეა და არა ნებასა და ცნობიერებას მოკლებული პასიური შუამავალი. მათი წიგნების დიდი ნაწილი ლექსადაა დაწერილიო – აღნიშნავს სტატიის ავტორი, „ეს ლექსთწყობა ანტიკურს ან დასავლეთევროპულს თითქმის არაფრით ჰგავს. ეს ტექსტები იშვიათ შემთხვევაშია აგებული მეტრიკაზე და თითქმის არაა გარითმული. ბიბლიურ პოეზიას საფუძვლად უდევს თამაში აზრობრივი პარალელებით, რაც ძველი აღმოსავლეთისთვის ასევე დამახასიათებელია... მათ სიტყვებს ისეთი დაუოკებელი ძალა აქვს, ყველა ფორმის წალეკვა რომ შეუძლია. სტრიქონები უროს მძიმე დარტყმასავით ეცემა, ზვავის გრგვინვასავით გაისმის“, და ბოლოს: „ამ ბგერებში ისმის რაღაც ძველთაძველი და პირველქმნილი“.

შენს ლექსებს რომ ვკითხულობ, ძალაუნებურად ვფიქრობ ფშავზე, იმ რაღაც ძველთაძველზე და პირველქმნილზე, იმ ბგერებზე, საიდანლაც, შორეული წიაღიდან ხან უროსავით რომ ეცემა, ხან მართლაც ზვავივით გატყდება, ხან ცრემლებად იღვრება, ხან მზის სხივებივით გაცხუნებს, ხან ისეთ მწვერვალად ამოიზიდება, როგორიც ვაჟა-ფშაველაა. მე, რომელსაც დაუსრულებლად შემიძლია ვილაპარაკო ფშავზე და ყოველდღიურად გავვოცდე ამ ფენომენით, გვერდს ვერ ავუვლიდი შენს საკვნე მამულდედულს, საიდანაც იწოვს, ჩემი აზრით, შენი პოეზია საზრდოს, ვისი მაცნე და შიკრიკიც ხარ, ვისი ქადაგიც, მაშინ საიდან შენი ხმა ხან ასეთი მუნჯი, ხან მწარე „მოგუდული და უმოტივო, თავგაჩეხილი მეციხოვნის ხაფია იგი, ყელგამოღადრულ მოზვრის ხრიალი“. ხან კი „დიაცთა ხმაში აკვნესდება და დამარცხებულ მეციხოვნეთა ბაგეებში დაიკლაკნება“, ხან, როგორც ბავშვს, „ცრემლის ტალღებით ევსება ხახა,“ ხან „მოთელავს ბალახს, მოიქცევა ხახაგამშრალი...“ საიდან ასეთი პოეტური ხილვები?

– ჩვენი მთის ჯვარ-ხატების სადიდებლები თავისუფალი ლექსით, ანუ წყობილსიტყვით არის შესრულებული, რაც ქართულ ვერლიბრს ესაძირკვლება, ისევე, როგორც ხმითნატირლები თეთრი ლექსისა და ვერბლანის სათავეა...

ამ მხრივ ჩვენს კლასიკურ პოეზიაშიც ბევრი მაგალითია: ვაჟა-ფშაველა, პაოლო იაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი... შემდეგ მოდის ჩვენი თაობა: თავისუფალი ლექსის მძლავრი ტალღა!

აჰა, ბიბლიურ ტექსტებშიც თამაშის კვალი აღმოუჩენია ალექსანდრ მენს: ეს სწორი და სამართლიანი მიგნებაა!

ბიბლიური წიგნები წყობილსიტყვითაა შესრულებული და აქ პოეტური თამაშის ელემენტი უდავოდ იგძნობა... ბიბლიის ქართული თარგმანებიც პოეტურობით გამოირჩევა: განსაკუთრებით „მცხეთური ოთხთავი", სულხან-საბა ორბელიანის ხელი რომ ატყვია...

ენობრივი თამაშის კვალი ფშაურ სადიდებლებში, შელოცვებში და ხმითნატირლებშიც ჩანს...

ასე იყო: ჩვენს ოჯახში ამ ტექსტების სურნელი ტრიალებდა – დედაჩემი ანდრეზების, ხმითნატირლების და შელოცვათა ტექსტების უბადლო მცოდნე იყო...

მოგვიანებით, როცა უკვე სტუდენტი ვიყავი, პროფესორ ქსენია სიხარულიძის დავალებით ის ხმითნატირლები ჩავიწერე: ირაკლი გოგოლაურმა შემდგომში ფშაური ხმითნატირლების კრებულში დაბეჭდა...

დედაჩემი ასევე ზეპირი მოთხრობების შესანიშნავი მთხრობელი იყო. მისი ერთი თუ ორი მოთხრობა გიორგი ცოცანიძემ დასტამბა ფშაური დიალექტისადმი მიძღვნილ წიგნში.

ეს ფშაური პოეზია, ფოლკლორი, რითმიანი თუ ურითმო, ადრეული ბავშვობიდანვე ზეპირად ვიცოდი.

შემდეგ, როცა წერა-კითხვა ვისწავლე, ხელში ჩამივარდა ხალხური „ვეფხისტყაოსანი" და ერთიც სამეცნიერო წიგნი: ზოოვეტის სტუდენტების სახელმძღვანელო. ეს ორივე წიგნი სულ მალე თითქმის ზეპირად ვისწავლე.

ამის შემდეგ ერთ ძველისძველ სკივრში ვიპოვე ნახატებით გამოცემული, ოღონდ საკმაოდ დაფლეთილი წიგნი „ხარაბუზა და ფუტკარი". ეს იყო ჩემი პირველი საბავშვო წიგნი...

წიგნების ნაკლებობა იყო, მაგრამ ამას ვანაზღაურებდი დედაჩემის მოყოლილი ზღაპრებით, ანდრეზებით და ზეპირი მოთხრობებით...

უფრო მოგვიანებით მოვიდა წმინდა ვაჟა-ფშაველა და ჩვენი ლიტერატურის სხვა კლასიკოსები...

დაუვიწყარია ის ამბავი, რაზეც პირველი ლექსი „დავწერე". ზეპირად ვთქვი, რადგან ჯერ წერა-კითხვა არ ვიცოდი. ჩემს სოფელში, თითქმის კლდეუფსკრულზე დაკიდებულ არახიჯაში, ერთი მცირე მოედანია, ხოვლები ჰქვია. აი, იქ ერთი მწყემსი ცხენს ხედნიდა, თან უმოწყალოდ სცემდა!.. ამ ამბავს ბავშვები გაოცებით და სიბრალულით შევყურებდით. აი იქ ასეთი რამ მოხდა: ცხენმა ჩამოაგდო ის მწყემსი და თავში დაკბინა: ამას ფშავში „დაკამპვას" ეძახიან. დაკამპული მწყემსი გაიქცა, უკან ცხენი დაედევნა ფლოქვების ცემით! იმ ცხენს ვუთანაგრძნობდი და დიდად გავიხარე ცხენის გამარჯვებით: იმ გამარჯვებულ ცხენზე ამოვთქვი პირველი ლექსი...

– იახსრის გორზე შუადღისას დაკლული ხარის თვალები დადის ჩემი ქოხის ჩათვლემილ ჭერზე... და ხსოვნას ჯერაც ათრთოლებულ ხელებით მოაქვს ლორთქო ბალახის მეწამული აქვითინება...

ეს მშვენიერი ლექსი ძალიან სევდიან გუნებაზე მაყენებს; თითქოს ხარივით, ამ უწყინარი, ძლიერი და კეთილშობილი ცხოველივით მორჩილად მიუყვები იახსრის ბილიკებს ღვთაების სამსხვერპლოზე თავის დასადებად. სიმართლე გითხრა, არ მესმის ღვთის მორჩილი აბრაამის, ცხოველად გარდასახული მისი ძის, ისაკისა და იახსრის გორზე დაკლული ხარის, ამ მისტიკური და მითური აქტების ყოველწლიური განმეორება. უბრალოდ, ადამიანურად და ქრისტიანულად არ მესმის. ცხოველი ჩემთვის ცხოველია ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ბევრჯერ ადამიანზე მეტად მეტყველი, თანაც ხარი ჩემს ეროვნულ, ატავისტურ გრძნობებს აღვიძებს. წელან დედაშენი ახსენე, საოცარი ფშაველი ქალი, რომელიც ცალკე საუბრის თემაა. მახსენდება, ერთხელ ჩვენს სახლში, თხილიანში, ხბოს დაკვლა რომ დააპირეს, საქსოვი აილო და ტყეში გავიდა, ჩემი გაზრდილია, შვილო, მაგის სიკვდილს ვერ ვუყურებ, მაგის ხორცს რა შემაჭმევსო... და კიდევ, როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ახლობლებს სთხოვა: „ეს ციცა კარში არ გამიგდოთ, როცა აღარ ვიქნები". ამიტომ მგონია, რომ დაკლული ხარის თვალები მოსვენებას არ აძლევს ამ უძველესი ადათ-წესების შემნახავ და, ამასთან, მაღალი ქრისტიანული ზნეობის მქონე ფშაველებს – ცხოველ ბუნებასთან ასე ჰარმონიულად რომ თანაარსებობენ. ხომ არ გავაპროზაულე შენი მშვენიერი ლექსი? რატომ აღვიძებს ღრმად ადამიანურ გრძნობებს ეს პოეტური ზმანება – ხარის მაველრებელი თვალები ფშაველების ქოხთა ჭერებზე?

– ფშაველთა ცხოვრების წესებიდან ეს მომწონს: სიკვდილის სიახლოვის „ვერდანახვა" და პოეზიის არევა ყოფიერების წვრილმანებში.

ვფიქრობ: ფშაველების სტოიციზმს პოეზია ამაგრებს: ირონიული ნაკადი, ამ პოეზიის თანამდევი რომ არის, საკმაოდ იოლად უმკლავდება სიკვდილის შიშს, მტერსაც და მოყვარესაც ამით ხვდება ფშაველი. თუმცა ეს ირონია ხშირად დაცინვაში გადადის და ეს კი, არა მგონია, რომ სახარბიელო იყოს!

დედაჩემზე უკვე ვისაუბრეთ... მეტის თქმა არაა საჭირო! მან შვიდი შვილი გაზარდა არახიჯაში, თითქმის ცასმიბჯენილ სოფელში. ახლა ოთხნი დავრჩით: მე და ჩემი ძმები იოსებ და ირაკლი ციგროშვილები, და ჩვენი ძვირფასი და ეთერი...

აქვე გავიხსენებ ბიძაჩემს, ეფრემ ციგროშვილს. მან იცოდა ხუცური დამწერლობა, ჰქონდა ხუცური შრიფტით გამოცემული ძველისძველი ბიბლია და სამკითხაო წიგნი „ეფრემ ვერდი". ასევე „ვეფხისტყაოსანი"... სიბერის ჟამს თელავის რაიონის სო-

ფელ ლაფანყურში გადასახლდა და იმ წიგნებს რა ბედი ეწია, არავინ იცის!

რაც შეეხება ფშაურ ჯვარ-ხატებს და იქ ძღვნად მიყვანილ საქონელს, ესეც ძველისძველი ტრადიციაა და, მეეჭვება, მისი შერყევა ვინმემ შესძლოს, თანაც ახლა, როცა იქ ქრისტიანობის სულმა და ტრადიციამ საკმაოდ იმძლავრა...

– შენი ლრმად ინტელექტუალური პოეზია ფორმით არ ჰგავს სახელგანთქმულ ფშავ-ხევსურულ, ხალხურ-ტრადიციულ ლექსს, თუმცა ის მსოფლგანცდა და ის მშვენიერი პოეტური ხილვები შენი ფშავის დასაბამიერ წიაღშია საძიებელი. „მზეს ჭირხლავს ჩემი ამონასუნთქი, ჩემი ასაკის ერთადერთ მოწმეს“ (პოემა „შესაკრებელი“). როგორც უნდა დავცილდეთ დროში წარსულს, მაინც „ჯიუტია წარსულის ფესვი“. აი, კვლავ ფშავი, გვერდს ვერ ვუვლი მზის ასაკის დროინდელ ფშავს. შენი „ფურცლებიდან“ რობაქიძისეულ ვაჟა-ფშაველას დახასიათებას ვისესხებ – „ჰომერის ხატები“. რომელი მითური დროით სუნთქვას დღეს ფშავი – რას უნდა ნიშნავდეს ამ ხალხის დღემდე მოტანილი პოეტური ცნობიერება; ხატოვანი და მეტაფორული მეტყველება; შინაგანი თავისუფლების მაღალი ხარისხი; სილალე და სამყაროს გამრიგე ღმერთის ერთგულება; დედა-ბუნებასთან, როგორც ცოცხალ არსებასთან, თანაცხოვრების წესები; სიკვდილის „ფეხზე დაკიდება“ და მისი, როგორც სიცოცხლის შემავსებელი აქტის განცდა. ფშავი, თითოეული ფშაველისთვის სამყაროს ჭიპი სიბრძნისა და ანდრეზების მხარე – ეს ყოველივე იგრძნობა შენს პოეზიაში...

– ის სადიდებლებიც, ის შელოცვებიც და ხმითნატირლებიც ხომ ტრადიციულია, თანაც, არც ტრადიციულ-კონვენციურ ლექსზე მითქვამს უარი: ეს პოეტური ფორმები ჩემში თანაარსებობენ და, სათქმელის კვალობაზე, ხან ერთი იქმნება და ხან მეორე... ეს ხდება ლექსის ამოთქმის, ლექსის ქმნადობის, პოეტური თამაშის დროს, სპონტანურად...

ვერ იტყვი, ახლა ამა და ამ ფორმის ლექსს დავწერო. ყველაფერს პოეტური თამაში წარმოქმნის, ყველაფერი ენის კარნახით, ენის ღვთაებრივი ჩარევით ხდება...

თუმცა, არის ნაკეთები ლექსიც: პოეტების რომელილაც კასტა ამ ხერხს მიმართავს და ხელთ გვრჩება ნაკეთები შაირები, სისხლგამოცლილი ტექსტები... დაბეჯითებით ვიტყვი: ამ საქმეში ღმერთის ხელი არ ურევია!

მაინც რა იწვევს ლექსის ამოთქმის გაუნელებელ წყურვილს?

უთქმელი სიტყვის მწუხარება. ეს არის შემოქმედებითი დარდი, იდუმალი რამ, რასაც საწერ მაგიდასათან მიყავხარ, რაც კალამს გაღებინებს ხელში...

უცნაური და აუხსნელია ისიც, ეს დარდი, ჟამიჟამ, სიზმარშიც რომ შემოგაწვება და ემორჩილები კიდეც, მაგრამ სიზმრიდან ერთი სტრიქონიც ვერ გამოგაქვს, რადგან ცხადისაკე მიმავალი გზა ძალზე გრძელია და ამ გზაზე დავიწყების ნისლი მეუფებს!

გავიხსენოთ უღრან ტყეში ჩამონათალ ხეებზე ქიმიური ფანქრით აღბეჭდილი ლექსები, ვიტყვი ასე: პოეტს შემოქმედებითი დარდი უღრან ტყეში წამოეწია, სადაც არც საწერი მაგიდაა, არც ფურცელია და არც კალამი. რჩება ერთი გზა: ლექსის ზეპირად ამოთქმა: ეს ლექსი ხომ ხშირად დავიწყებას გადაეცემა, მაგრამ გამოსავალი აქაც არის!

აქვე დავამატებ: არ მიყვარს ხმამაღალი ეპითეტები, ჭირივით მძულს პანეგირიკი! ღმერთმა გვაშოროს!

– „ფურცლებზე“ მინდა გკითხო, შენი შემოქმედებისა და ცხოვრების ამ შესაკრებელზე. „პოეზიის უმთავრესი ელემენტია წერტილის დასმის ხელოვნება“ – წერ. „ფურცლები“ წერტილია? ან რატომ დაარქვი მას პროზა, მე ვკითხულობ მას, როგორც პოეზიას, ისე როგორც „სიტყვაში გამღვალ სულს: მედიტაციური ჩალრმავებით პყრობილს, შუქმოფენილს“ („ფურცლები“). თუმცა, რა ფორმაც უნდა ქონდეს „ფურცლებს“, ეს არის, ისევე როგორც მთელი შენი პოეზია, დიდი ქართული პოეზიის – ამ მოვლენისა და დღესასწაულის – ერთი შესანიშნავი ფურცელი, საიდანაც მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ პოეზიისა და პოეტის გარეშე – პოეტისა, რომელსაც ადარებ ხან დაჭრილ ლომს, ხან ჩიტს რომელმაც არ იცის, რაზე მღერის, ხან მარადიულ ლტოლვილს – „პესიმიზმის უკუნეთში, თუ მწუხარების უძირო მორევში ჩავარდნილს“ – დიახ, თქვენს გარეშე სიცოცხლე გროშის ფასადაც არ ელირებოდა, ამიტომაც გიჯერებ: „ლექსი იმიტომ იბადება, რომ გულს ხავსი არ მოეკიდოს, ქარიც იმიტომ იბადება, რომ ჰაერი არ დაჭაობდეს“; გიჯერებ იმასაც, რომ „პოეზია არის ამოუცნობი, ღვთაებრივი ვირუსით შეპყრობილი ადამიანების ხელობა“, მაგრამ არ გეთანხმები, რომ „ჩვენ გვაქვს პოეზია, მაგრამ ალმქმელი გული ალარ არის“! თქვენ, პოეტებს, ჩვენს გულებთან, თქვენც რომ ვერ წარმოგიდგენიათ, ისეთი შეხება გაქვთ, ისე როგორც ჩიტებს ვერ წარმოუდგენიათ, რა სიამოვნებას გვანიჭებენ...

– ვფიქრობ, რომ სწორი მიგნებაა: „ფურცლები“ უფრო პოეზიაა, ვიდრე პროზა, მაგრამ ის არ არის წყობილსიტყვა, აქ პოეზია და პროზა მჭიდროდ ემეზობლებიან ერთიმეორეს...

ეს ჩანაწერები პოეზიის და ესეის საზღვარზეა: ხან ერთი მხარე სჭარბობს და ხან მეორე: უფრო პოეტური მხარე სჭარბობს, მაგრამ ეს არ არის ლექსი პროზად...

ეს არის მეტაპოეზია, თუმცა ჩვენი კრიტიკოსების ნაწერებში ეს ტერმინი ჯერ არ შემხვედრია: როგორც ჩანს, ეს სიახლე ჩვენმა ლიტერატურამ არ გაიზიარა, არ მიიღო! ვნახოთ, მომავალში რა მოხდება. ნუ ვიჩქარებთ. დიფერენციაცია აუცილებელია. ლიტერატურული ცხოვრება ხომ არ მთავრდება და თავის გრძელ გზაზე ის ბევრ რამეს შეიძენს და ბევრ რამეს კიდეც უარყოფს!

ტერმინზე რომ არაფერი ვთქვათ, ლიტერატურული ფაქტი ასეთია და ფაქტია მთავარი: მას თავისი სახელი სჭირდება...

– პოეტის გზას, ჩემი მოსაზრებით, ფინიში არა აქვს. მაშ, რატომ დაარქვი შენს ბოლო ლექსებს „ეპილოგი“? როგორი ტრაგიკული განცდების ანარეკლიც უნდა იყოს პოეზია, ის მაინც სინათლეში ამყოფებს ადამიანს. შენი პოეზიიდანაც, მიუხედავად მძაფრი პოეტური ხილვებისა, მიუხედავად ხანდახან „ყელგამოლადრულ მოზვრის ხრიალისა“, მაინც მზის სინათლე ილვრება:

მაცნე ხარ, მზეო!
ამ ულრანის ჭუჭრუტანიდან მე ვხედავ:
მოგაქვს ზეთის ხილის რტო თეთრი ნისკარტით,
თუმცა გარეთ ისევ წვიმაა.

ხომ არ დაილალე „სიყვარულის გზების ღორღვით?“ ეს კარგად გამოგდით პოეტებს – არც ილლებით, არც ბერდებით, რადგან თქვენ სხეულები არ ხართ...

„ეპილოგი და სხვა ლექსები“ ჩემი ბოლო წიგნია. ის ეხლა იქმნება, როცა სიკვდილის ფეხის ხმა სულ ახლოს ისმის, შესაძლოა, ამგვარ სათაურზეც წაგცდეს ხელი!

ახლა სათაურის ავკარგზე არა ვფიქრობ. დღეს ჩემი სურვილია რომ მოვასწრო ამ წიგნის დამთავრება!

ამ წიგნზე ვმუშაობდი კლინიკაში, სადაც განსაკუთრებული პირობები შემიქმნეს ოპერაციის შემდეგ... მერმე ვმუშაობდი სოფელ კანატიაში, ჩემი დის ოჯახში... წიგნი სანახევროდ დაწერილია...

მინორულ განწყობილებებს რაც შეეხება, ეს ჩემი ფიზიკური და სულიერი მდგომარეობითაა გამოწვეული... მე ვარ მონოლოგების პოეტი, ხოლო მონოლოგი სულის ანარეკლია!

ვერ ვიტყვი მომავალში ნათელ, ოპტიმისტურ ლექსებს დავწერო, რადგან ოპტიმიზმის ადგილი აღარა რჩება!

შემოქმედებით დაღლას კი ნამდვილად ვერ ვგრძნობ. ჯერჯერობით ასეა. ვნახოთ, მომავალში რა იქნება!

– ძალიან მიყვარს, შენი ერთი პატარა ლექსი: „ღამეს ჭრიალით აღებს კალია. შე საცოდავო, დარდი რომ გალხვა – სად ეშურები? ღამეს კარი აქვს, თუ გახვალ, ისევ ღამეში გახვალ! ღამეს ჭრიალით აღებს კალია“. რას წვალობს კალია, თუ ირგვლივ ისევ უკუნია? ბნელს ხომ ყოველთვის მოსდევს ნათელი, რადგან არსებობს სწრაფვა სინათლისკენ. სწრაფვაც სინათლეა, პოეზიაც სინათლის კარს გვიღებს, ამიტომ ნუ მოგვაკლებ შენი პოეზიის ნათელს. არ გვიყვარს პოეზიის მოყვარულებს „სიბნელის აპოლოგია“. – მაინც „სიყვარულის გზების მღორღავი“ პოეტი ხარ.

– „სიბნელის აპოლოგია“, ვგონებ, ცუდი ლექსი არ უნდა იყოს. ეს ლექსი ერთგვარი შეჯამებაა იმ წიგნის, ეხლა რომ იწერება...

„სიყვარულის გზების გაღორღვას“ რაც შეეხება, ეს არის პოეზიის უმთავრესი თემა და მიზანი: მიდიხარ, ღორღავ, მაგრამ ვიღაც უკეთური იქ კვლავ ლოდებს ახვავებს!.. და, თუ მე ამ გზას ვერ მოვშორდები: ღორღს და ეკალს მოვაცილებ, რომ აქ თამამად გაიაროს სიყვარულმა, რა თქმა უნდა, ის თუ კიდევ სადმე არის სიძულვილით სავსე და მწუხარე დედამიწაზე!

ბელა! არ მინდა, ეს საუბარი ისე დამთავრდეს, რომ არ ვთქვა შემდეგი რამ: დღეს ქართულ პოეზიას კარგი დღეები უდგას: – იწერება ბევრი კარგი ნაწარმოები, თუმცა ეს ნაწარმოებები მკითხველამდე ვერ აღწევენ ჩვენში წიგნის გავრცელების არარსებობის გამო...

და აქვე ვიტყვი: დღეს ქართველ პოეტებს ცუდი დღეები უდგათ – შესაძლოა ეს ამაზრზენი ფაქტი ჩვენშიც განმეორდეს, რაც რუსეთში მოხდა საბჭოური წყობილების გარიჟრაჟზე, როცა რუსეთის დიდი პოეტი, ორმოცი წლის ალექსანდრ ბლოკი შიმშილით მოკვდა!..

დღეს იქმნება უამრავი ფონდი და, ნუთუ დანაშაულია, რომ პოეზიისა და პოეტების გადარჩენის ფონდი შეიქმნას საქართველოში!

ნუთუ ამის მისაღწევად უდავოდ მთავრობის შეცვლას უნდა ვუცადოთ!?

ესაუბრა
ბელა წვერაძე

ნობელიანტები

ტომას ტრანსტრიომერი



ჩემი სიზმრები ჩემი ალმაფრენაა

ტომას ტრანსტრიომერი – 2011 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი

მსოფლიო დონის კრიტიკოსები ტრანსტრიომერს არ მიიჩნევენ აქტუალურ, ხმაურიან პოეტად, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ არც თანამედროვე დასავლური პოეზიაა მაინცდამაინც აქტუალური და ხმაურიანი. მოკლედ რომ ვთქვათ, ტიტანების დრო წავიდა. მას შემდეგ, რაც პოეტის როლი თანამედროვე ეპოქაში რადიკალურად შეიცვალა და პოეზია პირად, კერძო საქმედ გადაიქცა, ამ დარგში ნობელის პრემიის მინიჭება, თუ ის წმინდა პოლიტიკური მოსაზრებით არ არის ნაკარნახევი, ხშირად გაკვირვებას და მითქმა-მოთქმას იწვევს, მაგრამ არა ამ შემთხვევაში. ვისაც ტომას ტრანსტრიომერის ლექსები წაუკითხავს, მან იცის, რომ პოეტის შემოქმედება სულიერი სამყაროს ძიების უწყვეტი ძაფია. მართალია, ნობელის პრემია არ არის ლიტერატურის დარგში მსოფლიო ჩემპიონატი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს არის კიდევ ერთი ხმამაღალი შეხსენება მწერალზე და მის შემოქმედებაზე და იმაზეც, რომ თანამედროვე დასავლურ სამყაროში პოეზია არ გარდაცვლილა – ის არსებობას განაგრძობს.

შვედი პოეტი ტომას ტრანსტრიომერი ოთხმოცი წლისაა. მან თითქმის მთელი ცხოვრება ქალაქ ვისტერასში გაატარა. პროფესიით ფსიქოლოგი მუშაობდა ყველაზე მძიმე ადგილებში: არასრულწლოვანთა ციხეში, სულიერად დაავადებულთა სამკურნალო დაწესებულებებში... ამდენად, იგი კარგად იცნობდა ცხოვრების ავ-კარგს, რაც შემდგომ მის შემოქმედებაშიც აისახა. ტრანსტრიომერი, შეიძლება ითქვას, მოდერნიზმის ბოლო სახეა. ის სირთულეები, რაც მის პოეზიას ახასიათებს, არა მხოლოდ ფრანგულ სიურრეალიზმს, არამედ გერმანულ პოეზიასაც ეხმიანება და მთლიანად მოიცავს იმას, რასაც ჩვენ მაღალ ევროპულ კულტურას ვუწოდებთ, ანუ რასაც რილკეში ან თომას მანში ვგულისხმობთ ხოლო, თუ კინომატოგრაფზე ვილაპარაკებთ, მაშინ პარალელები შეიძლება შვედ რეჟისორ ინგმარ ბერგმანთან გავავლოთ. მოკლედ, ეს არის პოეტის მიერ ძალიან ფრთხილად არჩეული გზა, რომელიც დასავლეთევროპულ კულტურაში გარკვეულ პერიოდს ამთავრებს.

ტომას ტრანსტრიომერი პროფესიონალი მუსიკოსიც არის. ფორტეპიანოსა და ორღზე მაშინაც კი არ შეუწყვეტია დაკვრა, როდესაც 59 წლის ასაკში ინსულტი გადაიტანა და მოძრაობისა და

მეტყველების უნარი დაკარგა. დღემდე ვერ ხმარობს მარჯვენა ხელის კიდურს და, მიუხედავად ამისა, მარცხენა ხელით მაინც ახერხებს შუბერტისა და ლისტის ნაწარმოებების ვირტუოზულად შესრულებას. ამ ორი დიდი კომპოზიტორის მუსიკის შთაგონებით შეიქმნა ლექსები: „შუბერტიანა“ და „მწუხარე გონდოლა“. დღეს საყოველთაოდ აღიარებული ტომას ტრანსტრიომერი მეუღლესთან ერთად სტოკჰოლმში ცხოვრობს, ქალაქში, სადაც „პოეტთა პოეტს“ უწოდებენ.

ნობელის პრემიის ლაურეატმა ესპანურ ჟურნალ „EL Pais“-ის კითხვებს წერილობით უპასუხა.

– ეთანხმებით თუ არა შვედი აკადემიკოსების დასკვნას, რომ თქვენი შემოქმედება სინამდვილის ახლებურად დანახვის შესაძლებლობას გვაძლევს?

– დიახ, ვეთანხმები და ვფიქრობ, რომ ეს ძალიან ზუსტი განმარტებაა, თუმცა ხშირად პოეზია ნაკლებად ემორჩილება დეფინიციას.

– ისევ ინახავთ ათ წუთს ფიქრისთვის?

– ოთხმოცი წელი და ინვალიდის ეტლი გაცილებით მეტ დროს მიტოვებს ფიქრისთვის, ვიდრე ათი წუთია.

– როგორ ფიქრობთ, ფსიქოლოგის პროფესია იძლევა საშუალებას, იყოთ თავისუფალი ლიტერატურაში?

– ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მივხვდი, რომ ჩემთვის უმთავრესი პოეზიაა, ამიტომაც შეგნებულად ავირჩიე პროფესია, რომელიც რეალობის გაანალიზებაში დამეხმარებოდა და ეს არჩევანი არც არასდროს მინანია. ჩემმა პროფესიულმა გამოცდილებამ ბევრი შტრიხი შემატა ჩემს პოეზიას.

– ევროპულ პოეზიას ხშირად უწოდებენ ენისგან დამოუკიდებელ პოეზიას. თქვენ რას გვეტყვით ამის შესახებ?

– გეტყვით, რომ ლექსები ყოველთვის იქნება მშობლიურ ენაზე დამოკიდებული, თუმცა შესაძლოა, მომავალში რალაც შეიცვალოს. ზოგჯერ ვფიქრობ და მგონია, რომ პოეზიისთვის უმჯობესიც კია, გადალახოს საზღვარი.

– თქვენს ლექსებში ხშირად მეორდება სიზმრები, ხილვები, ზმანებები, ანუ თქვენ ხართ პოეტი, რომელსაც ხელეწიფება, ძილშიც კი მალალ ხარისხში აიყვანოს სიტყვის, ფრაზის მნიშვნელობა.

– იცით, პოეზიაში არის რალაც სიზმრისეული. თუ მკითხავთ, რას ვაკეთებ, როცა ვილვიძებ, გიპასუხებთ, რომ ვფიქრობ ჩავლილ სიზმრებზე და ვოცნებობ. ამ ორ კომპონენტს ბევრი აქვს საერთო და ერთურთს პოეზიაში ერწყმის. ჩემი სიზმრები ჩემი ალმაფრენაა. დასაძინებლად მივდივარ, როგორც ღამის წვეულებაზე, და ვილვიძებ თითქმის ყოველთვის იმედგაცრუებული.

– როგორც ჩანს, ნობელის პრემიის ლაურეატი მარტოსულია.

– იცით, ყველაზე მარტოსული მწერლის გონებაშიც ილექება ადამიანთა სახეები. შეიძლება, თავად მწერალი ბოლომდე ვერ აცნობიერებდეს ამას. მე ყოველთვის თან მდევს ჩემი მსმენელი, ჩემი აუდიტორია და ეს ყველა ჯილდოზე, ყველა პრივილეგიაზე მნიშვნელოვანია.

მოამზადა *ნინო ნაჭყებიამ*




ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՊԱՏՄՈՒԹՅՈՒՆ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԱՇԽԱՐՀԱԳՐԱԿԱՆ ՀԱՐԱԲԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԲՆԱԿԱՆ ԿԵՆԴԱՆԻՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՂԱԳՐԱԿԱՆ ՀԱՐԱԲԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ԿԱՊԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԿԱՐԳԱՎԻՃԱԿԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՄՇԱԿՈՒՅԹԱՅԻՆ ԿՅԱՆՔԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԱԶԳԱՅԻՆ ՊԱՏԿԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՒՇԱՐՁԱՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՂԱԳՐԱԿԱՆ ՀԱՐԱԲԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ԿԱՊԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԿԱՐԳԱՎԻՃԱԿԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՄՇԱԿՈՒՅԹԱՅԻՆ ԿՅԱՆՔԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԱԶԳԱՅԻՆ ՊԱՏԿԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՒՇԱՐՁԱՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՊԱՏՄՈՒԹՅՈՒՆ
I ՄԱՍ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՊԱՏՄՈՒԹՅՈՒՆ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԱՇԽԱՐՀԱԳՐԱԿԱՆ ՀԱՐԱԲԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԲՆԱԿԱՆ ԿԵՆԴԱՆԻՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՂԱԳՐԱԿԱՆ ՀԱՐԱԲԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ԿԱՊԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԿԱՐԳԱՎԻՃԱԿԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՄՇԱԿՈՒՅԹԱՅԻՆ ԿՅԱՆՔԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԱԶԳԱՅԻՆ ՊԱՏԿԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՒՇԱՐՁԱՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՊԱՏՄՈՒԹՅՈՒՆ
II ՄԱՍ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՂԱԳՐԱԿԱՆ ՀԱՐԱԲԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ԿԱՊԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԿԱՐԳԱՎԻՃԱԿԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՄՇԱԿՈՒՅԹԱՅԻՆ ԿՅԱՆՔԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԱԶԳԱՅԻՆ ՊԱՏԿԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՒՇԱՐՁԱՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՊԱՏՄՈՒԹՅՈՒՆ
III ՄԱՍ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՂԱԳՐԱԿԱՆ ՀԱՐԱԲԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ԿԱՊԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԿԱՐԳԱՎԻՃԱԿԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՄՇԱԿՈՒՅԹԱՅԻՆ ԿՅԱՆՔԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԱԶԳԱՅԻՆ ՊԱՏԿԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՒՇԱՐՁԱՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՊԱՏՄՈՒԹՅՈՒՆ
IV ՄԱՍ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՂԱԳՐԱԿԱՆ ՀԱՐԱԲԵՐՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ԿԱՊԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԿԱՐԳԱՎԻՃԱԿԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՄՇԱԿՈՒՅԹԱՅԻՆ ԿՅԱՆՔԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ԱԶԳԱՅԻՆ ՊԱՏԿԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՀՈՒՇԱՐՁԱՆՆԵՐԸ
ՀԱՅԿԱԶՈՒՆՔԻ ՊԱՏՄՈՒԹՅՈՒՆ

ბ 100/14

ფასი სახელშეკრულებო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი
მიშა იაშვილი



მიშა იაშვილი

კომპოზიცია

ხელმოწერთა საყურადღებოდ!!!

ხელმოწერების გასაფორმებლად დაუკავშირდით ქვემოთ ჩამოთვლილ გამავრცელებლებს მითითებულ ტელეფონის ნომრებზე:

„პრესექსპრესი"-962 311; „მაცნე"-341 070; „საქპრესა"-518 518; 515 905

შპს „ელვა.ჯი" ტელ: 38-26-73; 38-26-74

ინდივიდუალური ხელმოწერის გაფორმება ასევე შესაძლებელია უშუალოდ „ცისკრის„ რედაქციაში მისამართზე: თბილისი, ათონელის (ხიდის) ქ. 29/1
დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვირეკეთ რედაქციაში: 98-36-43; 899188093

ISSN 0132-6023
9 770132 602007 >